

კვირის პალიტრა




N43(124) 24/X.-30/X.2002.

ფასი 60 თ. 1168  
2002

1.5

# ლიკა ქავთარაძე ასლან მეორედ გათხოვდა

## ვინ არის მისი ბედნიერი მეუღლე



### ტრაგედია ლონდონში: უნიჭიერესი ქართველი იურისტი ზანო კრიმინალებს ემსხვერპლა

**აღუკო მახართბლი შვილი:**

**„... იხი, რა?! ძალმა თუ დალაგი ჩაიფიქრა,  
თუ გინდა, კაზა კოჭეზამდე ჩაასვი და ჩადრი  
ჩამოაფარა — მაინც გიდალაგებს.“**

**გვ. 16**



**მინიატურები**

გალავარჩინოთ  
თბილისის იერსახე! 3

**ერთი ჟიტსვა** 4

**საუკუნის მშენებლობა**  
წმინდა სამების ტაძარში  
მღვდელმსახურება წელსვე  
აღესრულება 6

**სასარგებლო აზრები**  
აშორიგებების ენციკლოპედია 7

**ოჯახი**  
ლიბა ქაშვარაძეს სიყვარული  
მეორედ ეწვია 8

**ტანტი**  
ერთგული მკითხველი 10

**ხელოვნება** 11

**კრიმინალი**  
75 ღოღარმა ახალგაზრდებს  
სადისტური მკვლელობა  
ჩააღწინა 12

**დეკლარანტი**  
უბინაო პარლამენტარის  
სუნამოები და „ინტიმური  
თემატი მორავლის ასკაქტში“ 13

**მსახიობი**  
ინტრიგანი ვერსაჩე ცხოვრებაში  
„მშვიდობის მტრადი“ ყოფილა 16

**ტკივილი**  
ტრაგედია ლონდონში:  
უნიჭიერესი ქართველი იურისტი  
განზ კრიმინალურს ემსხვერპლა 18

**თბილისელები**  
„თბილისტლოვ“ გიგო  
ნიშნინიკესთან ანუ როგორ  
ავგაღღეთ... ქუჩის ღონეჟა 21

**მოქალი**  
ურჩ და გულჩათხრობილ  
ნინო ჭინჭარაულს თავისი  
სულელური ოცნებების  
ასრულების არ სჯერა 24

**დეტექტივი**  
საენსიო ასაკს მიახლოებული  
მთავარი სპეცრაგველი  
აბრეშუმის გზის იმეღაღა 26

**იმაღი**  
ქართველი ბიჭი ბარსელონის  
ჩოგბურთის აკადემიაში  
არანტა სანჩესის  
გვერდით ვარჯიშობს 28

**ანტიდეპრესანტი**  
ინფორმაციულ-მედიცინებითი  
კოლაჟი გორა ღვალის  
30

**წმინდა სამების ტაძარში მღვდელმსახურება  
წელსვე აღესრულება**



უკვე რამდენიმე წელია, წმინდა სამების საპატრიარქოს ლავრის მშენებლობა მიმდინარეობს. სიმაღლე მიწის ზემოდან ჯვრის ძირამდე, 77 მეტრია. ჯვარი შვიდმეტრ-ნახევარია. იშვიათობაა ისიც, რომ ერთბაშად 15 ათასი კაცის მიღება იქნება შესაძლებელი.

6


**ლიბა ქაშვარაძეს  
სიყვარული მეორედ ეწვია**

დიდი ხნის წინ - 22 წლის ვიყავი, როცა ლევანი გავიცანი. მეგობრების ქორწილში მეჯვარეები ვიყავით. მას შემდეგ, მას აღარ შევხვედრივარ, ურთიერთობა არ მქონია. ხუთი თვის წინ, დაბადების დღეზე შევხვდი იმ ოჯახში, ვისი მეჯვარეებიც მაშინ ვიყავით.



8

**ტრაგედია ლონდონში: უნიჭიერესი ქართველი  
იურისტი განზ კრიმინალურს ემსხვერპლა**



ცოლს დაურეკა და უთხრა: ინციდენტი მომიხდა, მღევნიან და ვიშალეებიო. ალბათ, შეეშინდა და პოლიციას არ მიმართა. იფიქრა, დამიჭერენო. შეიძლება, მას ის განგი შემოაკვდა, ღამის 11 საათზე დაესხნენ თავს ავთოს.

18

**„თბილისტლოვ“ გიგო ნიშნინიკესთან ანუ  
როგორ ავგაღღეთ... ქუჩის ღონეჟა**


ის არ ავიწყდება თბილისს. ნიაზს ყველა უყვარდა, ერთი - განსაკუთრებით. ერთხელ ამ გოგოს დაბადების დღეზე თბილისში მოსული პირველი თოვლის ფიფქი მიუგანა. მეორე დაბადების დღეზე კი, გულის სწორს თვითონ გაღაჟგითონი მიჰგვარა.



21



# გადავარჩინით თბილისის იერსახე!



თუ გახსოვთ, რამდენიმე თვის წინანდელ „პროვოკაციაში“ საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის შეცვლაზე გვქონდა საუბარი და გერბის ჩემუელ ვარიანტში ერთ-ერთი მთავარი ფიგურა, „რაფის“ მარკის თბილისური „მარშრუტკა“ უნდა ყოფილიყო.

გერბის, დროშისა და ჰიმნის შესახებ, დღესაც ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ საქართველოს პარლამენტი უფრო „მნიშვნელოვანი“ „საქმეებით“ არის დაკავებული და ჯერჯერობით ვერ მოიცალა ამ საკითხისათვის.

თუმცა, ახლა არც მე ვაპირებ კონკრეტულად ამ ამბავზე თქვენი ყურადღების გამახვილებას – ამჯერად უფრო „არაოფიციალურ“, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვან პრობლემაზე მინდა გესაუბროთ – რაც, შეიძლება ითქვას, უფრო სულიერ-კულტურულ სფეროს განეკუთვნება, ვიდრე პოლიტიკურს:

არაერთხელ თქმულა და დაწერილა (ალბათ, სამართლიანადაც), რომ ჩვენი დღევანდელი მემკვიდრეობა განსხვავდება გუშინდელი დღისაგან – ქალაქი ქალაქს აღარ ჰგავს და სოფელი აღარ სოფლობს; ნაღდი ქალაქელი სანთლით სძებარი გახდა და გლეხს თოხი და ბარი შესჯავრდა. არადა, თბილისი ხომ ყველას – შინაურსაც და უცხოესაც ყოველთვის არცებდა თავისი განუმეორებელი კოლორიტითა და უცნაური ადამიანებით... ამას წინათ, კიდევ ერთი ინტერვიუ წავიკითხე – მავანი აკადემიკოსი, „კარენი თბილისელი“ და ამ „კასტის“ ერთ-ერთი „უკანასკნელი მოპიკანი“, გულდაწყვეტით ამბობს, – დედაქალაქი გომიბითა და უსახური შენობებით გაივსო, ეკ, რა დრო წავიდაო...



თავისებურად მართალია ის კაცი, მაგრამ ასე ხელაღებით ყოველგვარი სიანხლის უარყოფაშიც ვერ დავეთანხმები – ეს სერიოზული საკითხია და უემოციოდ, ცივი გონებით უნდა ვიმსჯელოთ: აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, ნახსენები რესპონდენტის ჯველობის დროსაც, რომელსაც ასე გულწრფელად მისტირის ახლა, მისი თაობის მამების თაობაც ასე წუწუნებდა, რადგან მათთვის თბილისის კოლორიტი ორთაჭაღის ბაღები და ფაიტონი იყო, მისი შვილებისთვის კი – კიროვის პარკი და ათი ნომერი ტრამვაი გახდა, რომელზე შეხტომა-ჩამოხტომა „სპორტის ეროვნულ სახეობად“ იქცა; კიდევ უფრო ადრე, ყაბახი და დილის საარი იყო თბილისი და თბილისელობა და ა.შ. ბოლომდე, უფრო სწორად, დასაწყისამდე თუ მივყევით, გოგირდამდე და გოგირდიან მდულარე წყალში დამზადებულ „ჩახოხბილამდე“ მივალთ...

ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ „მამებს“ არასოდეს მოსწონდათ „შვილების“ ამენებული, რაც ბუნებრივია და არა

საგანგაშო. მაგრამ დღეს ნამეტანი ხდება: დაბერება და „მამათა თაობად“ განდობა ვინ გვაცადა, აგერ, ჩვენ თვალწინ – სულ ათიოდე წლის მანძილზე, ძლივს მოვასწართ ახალი – „ჩვენნი“ თბილისის შექმნა ღვთისა და მთავრობის მადლითა და შეწვევით და ყოველგვარი ეროვნულისა და „ქალაქურის“ მტრები, თავზე გვანგრევენ „ახალთბილისურ კოლორიტს“!

აბა, წარმოიდგინე, ძვირფასო მკითხველო: ზამთარია, გელვიძება შენს გაყინულ ბინაში, სადმე გლდანულაში, „ხე-ემ-კა“-ს დასახლებასა თუ დიდ დილოში. დგები, შუქი არ არის, აბაზანაში დაგროვილი წყლით „დაიბანსავით“ ხელ-პირს, თერმოსიდან დასხმულ ჩაის დალევ, სადარბაზოში გამოხვალ. მე-

თექვსმეტე სართულიდან მერვემდე რომ ჩამოხვალ, შუქი მოდის!!! ლიფტით აგრძელებ გზას, მესამემდე ჩამოდის და შუქი ისევ ქრება... ანზორას გამოჰყავხარ – „პოლ-ლიტრა“ შენზეა (მერე რა?! რამდენი თაობა იყო, ერთი სართულის ავლაც რომ არ ღირსებია თბილისური ლიფტით?!).

აი, სანუკვარი „მარშრუტკაც“ გამოჩნდა. აეჭვებო, დასაჯლომი ადგილი არ არის – ხუთი-ექვსი კაცი ფეხზე დგანართ – ჩახუტებულები, ახლობლურად, „თბილისურად“... ბაზრობასთან „პრობკაა“, ნახევარი საათი დგახართ, მანქანაში თბილა, „მატორის პრაკლადკა“ უშვებს და სალონში დამწვარი ბენზინის სასიამოვნო სუნის დგას; ჭუბურხინჯელი, ჭიათურელი, ან თუნდაც ლანჩხუთელი „ნაღდი თბილისელი“ მძღოლი, თავის საყვარელ, ყველა „ნაღდი თბილისელისთვის“ სასიამოვნო ბაიათებს ატრიალებს; არანაკლებ სასიამოვნოა იმაზე ფიქრი, რომ სამსახურში მისვლამდე, კიდევ სამი ასეთი ბაზრობა გაქვს გასავლელი... საღამოს იგივე სიამოვნება გელის; მანამდე – სამსახურშიც, „ნაღდ თბილისელ“ უფროსთან რამდენიმესაათიანი ურთიერთობა...

ძებო, თბილისელებო! ხმა აიმაღლეთ! დედაქალაქის მერიის ანტიქართული და ანტითბილისური გადაწყვეტილებით, 3200 „მარშრუტკას“ ლიცენზია აღარ გაუგრძელებია და მათ მაგივრად 20 (ოც!) ავტობუსს შემოიყვანენ!!! (ცხადია, იქ უფრო ჭყლეტვა და „ახლოს ყოფნა“ იქნება, მაგრამ „მარშრუტკა“ მაინც სხვა არის...)

P.S. ორიოდე კვირაში, თბილისში მსოფლიო მოგზაური – ჯუმბერ ლეჟავა ბრუნდება. ყველა „ნაღდ თბილისელს“ მისგან ესტაფეტის მიღებას ვთავაზობთ – მოვაწყით უფრო ძნელი მსოფლიო მოგზაურობა – „მარშრუტკით“.

P.P.S. მძღოლის გვერდით მე ვვადები.

# „როგორც მოვიდნენ პარტიაში, კეთილი ინებონ და ისე წავიდნენ“

— ჯერაც არდაფუძნებული „ნეოლიბერალური პარტია“ ორ ბუნაკად გაიხლიჩა რეზო შვიშვილი და ვახტანგ ხმალაძე მხარდამჭერებთან ერთად ცალკე გავიდნენ, სოსო ცინცაძემ და ვალერი გელაშვილმაც




თავიანთ მომხრეებთან ერთად, საინციპიტოვო ჯგუფი დატოვეს. მინც რა განხად განხეთქილების რეალური მიზეზი? რაზე შავიშვილი:

— ცინცაძეს ჩვენი პარტია რომ არ

მოსწონს, იქიდანაც კარგად ჩანს, დაუფარავად რომ განაცხადა: თავმჯდომარე თქვენი გუნდის წევრი არ უნდა იყოს!.. როგორც ჩანს, ჩვენი პოზიციები რაღაც-რაღაცებში ერთმანეთს არ დაეძახა. ცინცაძე ამბობდა, რომ პარტიისთვის მე არავითარ შემთხვევაში არ უნდა მეხელმძღვანელა... გაუგებარია, რატომ? ესეც რომ არ იყოს, პარტიის თავმჯდომარის საკითხი ყრილობამ უნდა გადაწყვიტოს და არა რეზო შვიშვილმა ან იმავე სოსო ცინცაძემ! ჩვენი გუნდი მუშაობას კვლავაც აგრძელებს და არსად აპირებს წასვლას. ვიღაც-ვიღაცები კი, როგორც მოვიდნენ პარტიაში, კეთილი ინებონ და ისევე წავიდნენ, — რაც უნდათ, ის გააკეთონ, დმერთმა ხელი მოუძაროთ...

### სოსო ცინცაძე:

— რეზო შვიშვილმა პარტიას ისეთი ულტიმატუმები წამოუყენა, რომელიც პარტიის დამფუძნებელთა უძრავლესობამ არ მიიღო. ამიტომაც იძულებული გახდა, რომ თავის თანამოაზრეებთან ერთად, პარტია და-



უტოვებინა. ტყუილია, შვიშვილი რომ აცხადებს, თითქოს თავმჯდომარეობის ამბიცია მქონდა. ჩვენი გუნდის არც ერთ წევრს ამგვარი ამბიცია არ ჰქონია... ან რა შუაშია აქ შვიშვილის პიროვნება? თავმჯდომარე საერთოდ არ გვინდოდა და ვამბობდით, რომ პარტიას კოლექტიური ხელმძღვანელობა უნდა ჰყოლოდა.

# „არ ვადასტურებთ იმ ინფორმაციას, თითქოს პანკისში კიდევ 30 არაბის დაკავებას ვაპირებთ“

— ადასტურებს თუ არა უშიშროების სამინისტრო ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს ქართულმა სპეცსამსახურებმა 10-ზე მეტი არაბი ტერორისტი დააკავე, რომელთა შორის „ალ-ქაიდას“ საშუალო რგოლის 2 მეთაური აღმოჩნდა?

მისა ლალიაშვილი, უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი:

— ამ ფაქტს უშიშროების სამინისტრო არ ადასტურებს. არ ვადასტურებთ არც იმას, თითქოს პანკისში კიდევ 30 არაბის დაკავებას ვაპირებთ და თითქოს საქართველომ აშშ-ის დახმარებით გახსნა არაბი ტერორისტების მიერ მომზადებული ორი შეთქმულება რუსეთში განლაგებული ამერიკული ობიექტების წინააღმდეგ და ჩაშალა ქმიკოსთა ჯგუფის საქმიანობა, რომელიც მსამებს ამზადებდა ამერიკელებისთვის... არ

უარვეფოთ, რომ პანკისში ბოვეიკთა მცირე ჯგუფები მინც დარჩება, მათ შორის არიან კრიმინალები, ძეხნილები და არ არის გამორიცხული, ის ხალხიც იყოს, ვისაც სხვადასხვა ტერორისტულ ქმედებაში ადანაშაულებენ. დიდმა შენაერთებმა ხეობა უკვე დატოვეს, მცირე ჯგუფები კი შეიძლება, თავს აფარებდნენ ტყეს, რომელიც მაღალ მიტემა და ამიტომ იმ ტერიტორიების გაკონტროლება ვერჯერობით ვერ ხერხდება.

# „ისევ ის ხალხი ახსნადებს პრეტენზიას პარლამენტში მოსვლაზე, ვისაც ნგრავის მეტი, სხვა არაფერი უკეთობია“

— 24 ნოემბერს პარლამენტს გამოკლებულ დეპუტატთა არჩევნებში სოციალისტური პარტია მონაწილეობას არ აპირებდა. ახლა კი რამდენიმე კანდიდატურა წარადგინეთ. რა მოხდა, რატომ შეიცვალეთ გადაწყვეტილება?

ვახტანგ რჩაულიშვილი, სოციალისტური პარტიის ლიდერი:

— სულ რაღაც 10 თვის „სიცოცხლედა“ დარჩა ამ მოწვევის პარლამენტს და ამის გამო, სიმართლე რომ ვითხრათ, აღარც კი ვაპირებდით არჩევნებში ჩაბმას. ვფიქრობდი, რომ წვალებად აღარ ღირდა... გადაწყვეტილება შემაცვლევინა ზოგიერთი პარტი-

ის განაცხადა იმის თაობაზე, რომ ამ არჩევნებით პარლამენტში უფრო მეტ ხალხს შემოიყვანენ, რათა შევარდნაძეს ბრძოლა გამოუცხადონ! რა უნდა ამ ხალხს? აღარ მოსწყინდათ ამდენი ბრძოლა და კინკლაობა?! გამოდის, რომ დღეს ისევ ის ხალხი აცხადებს პრეტენზიას პარლამენტში მოსვლაზე და ქვეყნის მართვაზე, ვისაც ნგრავის მეტი, სხვა არაფერი უკეთობია... აი, სწორედ ამან დამაფიქრა და გადაწყვიტე, რომ პოლიტიკაში მომეყვანა ახალი სახეები, ად-

ამიანები, რომელთაც საქართველოს გადარჩენა შეუძლიათ. შევარდნაძის ხელისუფლების შემდეგ, მხოლოდ კომპეტენტური და მცოდნე ხალხი თუ გადაარჩენს ქვეყანას. მარტო სოციალისტურმა პარტიამ კი არა, მთელმა საქართველომ საუკეთესო შეილები, კარგი ადამიანები უნდა შეარჩიოს ამ დამანგრეველების მავიჯად ისეთი საპასუხისმგებლო მოვალეობისთვის, როგორც პარლამენტის წევრობა...




# „საშიში ნაგდვილად ვარ იმ ადამიანებისთვის“...

— ბოლოს და ბოლოს, მოხდება თუ არა საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე თქვენი „კურთხევა“ და კიდევ — რას იტყვით იმაზე, რომ გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ქუჩაში მოწყობილი აქციები სამოქალაქო ომის დაწყების მცდელობად მონათლეს?

**მიხეილ სააკაშვილი**, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი:

— საბედნიეროდ, ხალხი ასე არ ფიქრობს — სააკაშვილს ომის დაწყება უნდაო! ვიღაც-ვიღაცები კი აცხადებენ, რომ საშიში ვარ და მართლებიც არიან! საშიში ნამდვილად ვარ იმ ადამიანებისთვის, ვინც კანცელარიის რამდენიმე ბოლო სართულზე თბილად მოკალათებულა და კიდევ, ერთი-ორი გუბერნატორისთვის. „ნაციონალური მოძრაობა“ მართლაც რომ მათი კეთილდღეობის დამანგრეველი ძალაა... ჩვენ არც არეულობა გვაძლევს ხელს და არც სამოქალაქო ომი. ერთადერთი გზა, რითაც შეიძლება ხელისუფლებაში მოვ-

იდეთ, ეს არის თავისუფალი არჩევნები. შევარდნაძეს კი პირიქით — სურს, ხალხი იმაში დაარწმუნოს, თითქოს არჩევნები არაფერს ნიშნავს, მის რეალურ შედეგებს ვერაფერს ხედავს. ამასობაში კი, თვითონ ძალაუფლების განსამტკიცებლად შეიარაღებულ ფორმირებებს ქმნის. ასე რომ, თუ ვინმეს უნდა, რომ ქვეყანაში არეულობა იყოს — ეს უპირველესად არის მთავრობა და სხვა არავინ. ახლა კინკლაობის და ნიშნის მოგების დრო აღარ არის. გვინდა, საკრებულო დროულად ამუშავდეს, რათა შევარდნაძის სურვილი — „თბილისი საკრებულოს გარეშე!“ — არ განხორციელდეს! ის ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ საკრებულოს თავმჯდომარედ არ ამირჩიონ, მაგრამ როგორც იქნა, პოლიტიკურმა სპექტრმა ურთიერთანამშრომლობა ისწავლა; ყველა მიხვდა, რომ ერთმანეთის ჭამით საქმეს ვერ გააკეთებენ და ქვეყანაც დაინგრევა. ყველა მიხვდა, რომ ერთმანეთის მტრობით ხელისუფლებას არსებობის დროს უხანგრძლივებს. მისდა საუბელურად, შეთანხმებებს უკვე მივალწიეთ ლეიბორი-



სტებთან და სხვა პარტიებთანაც, რომლებიც საკრებულოში იქნებიან წარმოდგენილნი. ვფიქრობ, ყველა პრობლემას ერთად გადავჭრით და წესრიგსაც დავამყარებთ...

# „არც გენერალ-პროკორის გადამტყობნა სურს ვინმეს“...



— რატომ გახდა საპარლამენტო ფრაქციებს შორის ვაჭრობის საგანი ის, დროებით საგამოძიებო კომისიას აღუდგება თუ არა უფლებამოსილება და კიდევ რატომ გახდა ამ ეტაპზე მიხეილ ოსაძის კანდიდატურა დეპუტატთა გარკვეული ჯგუფისთვის მიუღებელი?


**ვალერი გელვახიანი**, „აღორძინების“ წევრი:

— თუ საგამოძიებო კომისიას უფლებამოსილებას არ გაუგრძელებენ, არჩვენამდე

იქ შესული მასალებიც ტაბუდადებული იქნება, ანუ უამრავი საკითხი — ვთქვათ, ელოდება თუ არა განათლების მინისტრს ან გენერალურ პროკურორს იმპიჩმენტი — კვლავაც გადასაწყვეტი დარჩება. ამჟამად პარლამენტში განსახილველად შემოვიდა განათლების კონცეფციის საკითხი. ამ დადგენილების უკან ევროსაბჭოს გრანტი იდგა. ვინც ამ კონცეფციას განხორციელებდა, ამ გრანტით იხელმძღვანელებდა და ის ჩაატარებდა განათლების რეფორმას, სამინისტრო კი კონცეფციის განხორციელების მიღმა რჩებოდა. ამან გამოიწვია დაპირისპირება განათლების სამინისტროსა და „მოქალაქეთა კავშირს“ შორის. ამ საკითხის შესწავლა ფიქრია ჩინრამდემ დაიწყო და ბევრი დარღვევაც აღმოაჩინა, მაგრამ, ფაქტობრივად, განათლების სამინისტროსთან წინასაარჩევნოდ სიტუაციის გამწვავება არავის აძლევს ხელს, — მის დაქვემდებარებაში ხომ ამომრჩეველთა დიდი ელექტორატია. არც გენერალ-პროკურორის გადამტყობნა სურს ვინმეს, რადგან თვითონაც კარგად ვიცი, რასაც ნიშნავს არჩევნების წინა პერიოდში სამართალდამცავებთან ურთიერთობის გამწვავება. არადა, თუ დროებით საგამოძიებ-

ო კომისიას უფლებამოსილება არ გაუგრძელდება, აღარც გაბრძინებთ გაახსენდება ვინმეს და აღარც კარტოზია. პარტიებს წინასაარჩევნოდ ქულების ჩაწერა სურთ, ამიტომაც არ უნდათ კომისიის უფლებამოსილების აღდგენა. ამისთვის კი რაიმე მიზეზის გამოძებნა იყო საჭირო. ასეთი მიზეზი გახდა ასანიდის საკითხიც. ოსაძის წინააღმდეგ დეპუტატები სწორედ მას შემდეგ ამხედრდნენ, როდესაც ის ბათუმში ჩავიდა და აბაშიძეს წარუდგინა კომისიის დასკვნა, რომელიც ასანიდის ეხებოდა. რატომ არ უნდა ჩასულიყო ბათუმში? როდესაც ოსაძემ ასანიდის საკითხის შესახებ დასკვნა დაწერა, პრეზიდენტმა ჩააყენა საქმის კურსში. პრეზიდენტმა კი უთხრა, რომ საქმის კურსში აბაშიძე ჩაეყენებინა. ოსაძემ დაურეკა ბატონ ასლანს და მოახსენა: თუ გსურთ, ამ დოკუმენტს გადმოგიგზავნით ან მე თვითონ ჩამოვალ. აბაშიძემ ოსაძე ბათუმში მიიწვია და ისიც წავიდა. იმ დროს დოკუმენტი უკვე ხელმოწერილი იყო, ე.ი. ოსაძეს მუშაობა დასრულებული ჰქონდა. ამ ყველაფერს კი ვიღაც-ვიღაცებმა მაინც პოლიტიკური სარჩული დაუდეს.

უკვე რამდენიმე წელია, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნშინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლეგაციურთვეით, წმინდა სამების საპატრიარქოს ლავრის მშენებლობა მიმდინარეობს. 1989 წელს, ამ ტაძრის პროექტისთვის კონკურსი გამოცხადდა. საუკეთესო პროექტი არქიტექტორმა არჩილ მინდიაშვილმა წარმოადგინა. საინტერესოა, რით განსხვავდება ეს ლავრა სხვა ეკლესიებისგან, რაში გამოიხატება მისი გრანდიოზულობა. ამ და სხვა თემებზე სასაუბროდ წმინდა სამების საპატრიარქოს ლავრის მთავარ არქიტექტორს არჩილ მინდიაშვილს ვესტუმრე



ნინო მჭედლოძე

# წმინდა სამების ტაძარში მღვდელმსახურება წლებულსკე აღესრულება

— ბატონო არჩილ, რამდენი არქიტექტორის პროექტი იყო მიღებული საკონკურსოდ?

— კონკურსი ორ ტურად ჩატარდა. ორივე ტურში 110-ზე მეტი კოლექტივი მონაწილეობდა. ზოგს ორი და სამი ვარიანტიც ჰქონდა წარმოდგენილი. ცალკეულ ნაბუშეკარზე ერთი, ორი, სამი და ზოგზე — შეიდი ადამიანიც მუშაობდა. იყო პროექტები, რომლებიც მთელმა სახელსონომ წარმოადგინა. კონკურსში უცხოეთში მცხოვრები

ქართველი არქიტექტორებიც მონაწილეობდნენ.

— საუკეთესო პროექტის შერჩევა რა კრიტერიუმებით მოხდა?

— ამ საკითხს სხვადასხვა კუთხიდან უღებოდნენ: ტრადიციების გამორება, რადიკალურად განსხვავებული ახალი ფორმა და შინაარსი. ჩემს პროექტში ძველი საკათედრო ტაძრების ანალიზზე დაყრდნობით შევეცადე, განმესაზღვრა თუ როგორი უნდა ყოფილიყო მათი განვითარების დღევანდელი ეტაპი. მაშინ ბევრი ვერ ხედავდა, თუ რაში გამოიხატებოდა სიახლე. დღეს, როცა მშენებლობა დასრულების ფაზაშია, გამოიკვეთა ახალი ფორმები. ალბათ იმიტომაც გაიმარჯვა ჩემმა პროექტმა, რომ მასში ჩადებული იყო ახალიც და ტრადიციაც დაყრდნობილი ძველიც.


— როგორც ვიცი, ეს ტაძარი ცხრა ეკლესიას მოიცავს. თითოეულს თავისი სახელი აქვს. რას ნიშნავს ეს გაერთიანება?

— სამონასტრო ტაძრებისთვის დამახასიათებელია რამდენიმე ეკლესიის განთავსება ერთ ტაძარში. შიომღვიმეში რამდენიმე ტრაპეზია. ტრაპეზი თავისთავად ნიშნავს ეკლესიას. ერთ ტრაპეზზე წირვა მხოლოდ ერთხელ შეიძლება ჩატარდეს. რამდენიმე ტრაპეზი ქმნის იმის საშუალებას, რომ დღის განმავლობაში რამდენიმე წირვა ჩატარდეს. თავიდან პროექტში იყო სამი ტაძარი: ერთი ძირითადი — საკათედრო ტაძარი და მის

გვერდით: ძირითადი ტაძრის აღმოსავლეთი მხარეს, ორი მცირე ეკლესია ჩრდილოეთით და სამხრეთით. როდესაც გადაწყდა ტაძრის ადგილმდებარეობა, ეს ვეღარ მოხერხდა. იმისთვის, რომ მყარი გრუნტისთვის მიგვეღწია, 13 მეტრ სიღრმეზე ჩავვით. რელიეფი დახრილია და მის ამოვსებას ვამჯობინე, ქვემოთაც მიმეღო საეკლესიო დანიშნულების სათავსები. ვერძოდ, იქ არის საბუხეუმი ნაწილი, ხარების დიდი ტაძარი და ოთხი მცირე ეკლესია. ზემოთ წმინდა სამების დიდი ტაძარი აიგოს. შემდეგ მოდის მთავარანგელოზთა, იოანე ნათლისმცემლის, წმინდა ნინოს, წმინდა გიორგის, წმინდა ნიკოლოზის, 12 მარციქულისა და ყოველთა წმიდათა. ფაქტობრივად, ტაძარი ყველა წმინდანის სახელს მოიცავს.

— ამხელა ფართისა და სიმაღლის ტაძარი პირველია საქართველოში?

— პირველია. სიმაღლე მიწის ზეოდან ჯვრის ძირამდე, 77 მეტრია. ჯვარი შეიძლება ნახევარია. მიწის ქვემოთ, საძირკვლამდე კიდევ 13 მეტრია. ფართიც დიდი გამოგვივიდა — დაახლოებით, შეიდი ათასი კვადრატული მეტრი. თუმცა, ტაძრის გრანდიოზულობა მხოლოდ პარამეტრებით არ განისაზღვრება. მისი ექსტერიერი და ინტერიერი ძალიან საინტერესოდ არის გადაწყვეტილი. ის ერთ-ერთი დომინანტია მტკვრის მარცხენა სანაპიროს თავზე. მას ფაქტობრივად უკავია ძველი თბილისის ზემო მხარე. საინტერესო ის არის,



არჩილ მინდიაშვილი



რომ ზუსტად მამადავითის აღმოსავლეთ ღერძზეა განთავსებული. ფაქტობრივად, სივრცული ღერძია მთაწმინდასა და ელიას მთას შორის. ამდენად, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, უკვე მოგებული აქვს სივრცე ტაძარს. იშვიათობაა ისიც, რომ შესვლა სამ ღონეზე ხდება. ერთბაშად 15 ათასი კაცის მიღება იქნება შესაძლებელი.

**— რა საჭიროა ამხელა ეკლესია?**

— როცა აქ პირველი წირვა ჩატარდა, ხალხის ტევა არ იყო. ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა, როდესაც საბერძნეთის მთავარეპისკოპოსმა, წმინდა ანდრია პირველწოდებულის თავის ქალა ჩამოაბრძანა. იმხელა რიგი იყო, რომ მე თვითონ გამიჭირდა ტაძარში შესვლა. ამდენად, რა ბევრი კრიტიკოსი და ოპონენტიც არ უნდა გვეყდეს, ტაძრის ასეთი გაბარიტები, დრომ და საჭიროებამ მოიტანა. მისი თავისებურება კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ გუმბათი დაყრდნობილია რვა სვეტზე, ნაცვლად ტრადიციული ოთხი სვეტისა, რამაც საშუალება მოგვცა გუმბათის პარამეტრები გვეცვალა. ის ყველაზე განიერია საქართველოს ეკლესიების გუმბათებს შორის (16 მეტრის დიამეტრი აქვს). ამან მოგვცა უზარმაზარი შიგა სივრცე. ეს უფრო შთაბეჭდავი იქნება, როცა ხარაჩოები ჩამოიხსნება. საინტერესოა ისიც, რომ თითოეული ეკლესია არის დამოუკიდებელი და ამავე დროს, ყველა ერთმანეთთანაა დაკავშირებული. დიდი ტაძრიდან გამოუსვლელად შეიძლება ცხრავე ეკლესიაში მოხვედრა. ტაძრის მიწისქვეშა ნაწილს ახლავს ტექნიკური გალერეა, რომელსაც ორი ფუნქცია აქვს: ის იცავს ტაძრის საძირკველს რელიეფის ზემოქმედებისგან და მასში გადის ყველა კომუნიკაცია, რაც ტაძრის მომსახურებას სჭირდება.

**— ამბობენ, ზარების დარეკვა დისტანციურადაც არის შესაძლებელიო. მართალია?**

— ზარებს ორი რეჟიმი აქვს: მექანიკური და ელექტრონული. მას თავისი კომპიუტერი აქვს, სადაც ჩაწერილია 9 ზარი და შესაძლებელია, ელექტრონულად მოხდეს დარეკვა. ამ შემთხვევაში, ჩაქური ნაკლებად ძლიერია და ხმის გავრცელების სიხშირე მცირეა.

**— ზარები გერმანიაში დაუმზადებიათ, ჩვენში არ არსებობს ამის პრაქტიკა?**

— ამხელა მასშტაბის ზარებს ჩვენთან ვერ ჩამოასხამენ. მოქანდაკე

გია ჯაფარიძემ რამდენიმე ზარი ჩამოასხა, მაგრამ იმდენი კომპონენტია გასათვალისწინებელი, რომ ზოგიერთი ვერ ამართლებს. რაც მთლიანად ზარების ჩამოტანაში გადავიხადეთ, აქ ამ თანხით მასალა-საც ვერ ვიყიდდით.

**— საერთოდ, რა სახსრებით მიმდინარეობს მშენებლობა?**

— ადრე ბიუჯეტიდან გვიყოფნენ გარკვეულ თანხას, ქალაქის მერიაც გვეხმარებოდა, მაგრამ ძირითადად შემოწირულობებით ხდება მშენებლობა, რომელიც დღემდე არ წყდება. მინდა ვითხრათ, რომ საკმაოდ ხელგაშლილი არიან ჩვენი უცხოელი თანამემამულენი. როდესაც პატრიარქთან სტუმრად ჩამოდიან, სოლიდურ თანხებს სწირავენ ამ ტაძრის მშენებლობას. საქართველოს პრეზიდენტსაც აქვს შემოწირული თანხა, პარლამენტარებიც გვიდგანან მხარში.

**— ამჟამად რა სტადიაშია მშენებლობა?**

— მშენებლობა ფაქტობრივად დასრულებულია: მიმდინარეობს დროებითი სახურავის მოწყობა. თვის ბოლოს დასრულდება შეღვევითი სამუშაოები. ცოკოლის ანუ ზედიერკლის სამუშაოები დაწყებულია. წელს უკვე მოპირკეთება შესრულდება.

**— წირვა-ლოცვები როდის შეიძლება ჩატარდეს?**

— წირვა-ლოცვები აქვე, ილია თეზბიტელის სახელობის ეკლესიაში მიმდინარეობს. რამდენიმე წირვა აქაც ჩატარდა. მცირე ტაძრები უკვე მთავრდება და ალბათ წელსვე იქნება შესაძლებელი მღვდელთმსახურების დაწყება.



**რადიკალიზაცია**



კაცი, რომელიც განიზრახავს დახარჯოს თუნდაც ერთი საათი და არ დაინანებს დაკარგულ დროს, ჯერ კიდევ ვერ გაზრდილა იმდენად, რომ შეიგნოს მთელი სიცოცხლის ფასი.

*ჩარლზ დარვინი*

უხვად გავსცემდეთ, ვავსებდეთ, სიძუნწე უმეცრულია.

*შოთა რუსთაველი*

შენ ის აკეთე, რასაც ყოველი მოგიწონებდა ჭკვათამყოფელი — აკეთე, თუნდაც გაწყდეს გამგები, მაშინ იქნები სამგზის საქები.

*თეოდორ შტორმი*

გათენებულა, ადექი, ადამიანო, სწრაფად! დაღამდება და მორჩება შენი შრომა და ჯაფა.

*იოჰან ვოლფგანგ გოეთე*

უსაშველოს გადატანას უნდა მიეჩვიოთ.

*მიშელ მონტენი*

ვინც ძველთა ქმნილებებს არ გასცნობია, ისე უცხოვრია,

მშვენიერებისა არაფერი სცოდნია.

*გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი*

სულმდაბალი ადამიანი თავის მოსაზრებათა ლაფს უშენს ყველაფერს, რაც წმინდაა და ღიადი. ესაა მისი უმაღლესი სიამოვნება.

*ვისარონ ბელინსკი*

ვინც სხვების წინაშე დიდხანს ლაპარაკობს და ავიწყდება მსმენელნი, ამით არ ამებს მათ, უსიამოვნო გრძნობას აღუძრავს.

*ჟან დე ლა ბრუიერი*

მთელი ჩვენი ღირსება აზრშია მოქცეული. არა დრო და სივრცე, არამედ სწორედ ის, აზრი გვაძალღებს.

*ბლევ პასკალი*

ნათია თენიშვილი

მრავალი მამაკაცისთვის საოცნებო, ულამაზესი ქალბატონის — ლიკა ქავთარაძის ცხოვრებაში სიახლეა. მას მეორედ ეწვია სიყვარული და სულ ახლახან გათხოვდა. ბედნიერი მეუღლე — ლევან შანიძე, პროფესიით ენერგეტიკოსია, მაგრამ ამჟამად რეჟისურით არის დაკავებული და საკუთარ „არტ-წარმოების“ სტუდიას ხელმძღვანელობს. მთელს თუ არა, ნახევარ საქართველოს მაინც ხომ მოვტაცე ლიკაო! — მითხრა მან...

სად და როგორ გაიცნეს ლიკამ და ლევანმა ერთმანეთი? როგორ დანიშნა ლევანმა და რა ხიბლავს ლიკას მასში? — ყველაფერ ამაზე თავად გვიაზიშობენ. წყვილს ახალ სახლში სწორედ იმ დროს ვესტუმრე, როცა ხელოსანი სარეცხ მანქანას ამონტაჟებდა და ლიკას, მის სწორად მოხმარებას ასწავლიდა.



# ლიკა ქავთარაძის სიყვარული მეორედ ეწვია

მარიგას როლში ფილმში „ნაგერის ხე“



გაიცანით?

— დიდი ხნის წინ — 22 წლის ვიყავი, როცა ლევანი გავიცანი. მეგობრების ქორწილში მეჯვარეები ვიყავით. მას შექმდე, მას აღარ შევხვედრივარ, ურთიერთობა არ მქონია. ხუთი თვის წინ, დაბადების დღეზე შევხვედი იმ ოჯახში, ვისი მეჯვარეებიც მაშინ ვიყავით. რაღაცნაირად აეწყო, აეწყო და...

— ადრე არასდროს გიფიქრიათ ლევანზე?

— მე არა, მაგრამ ის თურმე ადრეც ფიქრობდა ჩემზე, მე ხუთი თვის წინ დავიწყე ფიქრი, როცა სითბო ვიგრძენი მისგან და მითხრა — მიყვარხარო.

— როგორც ვიცი, თქვენ მეუღლესთან ოფიციალურად გაცილებული არ ყოფილხართ. მან

როგორ მიიღო ეს ფაქტი?

— არა, სანდროსთან გაყრილი არ ყოფილვარ. ის თბილისში არ არის. წერილი გაუგზავნე და ჩვეულებრივად, უმტკივნეულოდ მიიღო ეს ყველაფერი. ჩვენ შორის უკვე აღარ იყო ის ურთ-

იერთობა, რაც უნდა ყოფილიყო. სანდრო სულ წასული იყო საზღვარგარეთ, თავის საქმეებზე, ასე რომ...

— სულ წასული იყო, — თქვით. თქვენზე არ ეჭვიანობდა?

— არა. არ ვაძლევდი ეჭვიანობის საბაბს. მე უფრო ვეჭვიანობდი, ვიდრე ის.

— თქვენმა შვილმა როგორ მიიღო ეს ყველაფერი?

— ლევანი 22 წლის არის. მანაც ძალიან ჩვეულებრივად და ნორმალურად აღიქვა.

— ლიკა, ლევანმა რით მოგხიბლათ?

— ჯერ გარეგნობით, მერე ყურადღებით. ძალიან მოსიყვარულე, ერთგული და თბილია. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მყავს გვერდით ადამიანი, რომელსაც ვუყვარვარ. ამას მეუბნება და მიმტკიცებს, რომ უჩემოდ არ შეუძლია.

— მაგრამ თქვენ ბევრი თავყვანისმცემელი გყავდათ. ალბათ ისინიც გამოხატავდნენ ყურადღებას და სითბოს თქვენ მიმართ...

— ყოველთვის მეუბნებოდნენ კომპლი-

— ლიკა, როგორ გრძნობთ თავს ახალ სახლში?

— ძალიან კარგად ვგრძნობ თავს და ძალიან მომწონს. მთავარია, იმ ადამიანთან ცხოვრობდე, რომელიც გიყვარს. სხვას არაფერს აქვს მნიშვნელობა.

— ლევანი როდის და სად

მეწუტებს: ძალიან კარგი მსახიობი ხართ, ლამაზი ხართო, — და მსგავს რაღაცებს, მაგრამ ისეთი რამ, რაც ლევანმა გამოიჩინა, არავისგან არ მიგრძნია. ქალისთვის მთავარია, ურთიერთობაში ყურადღება და სითბო იგრძნოს. მან უნდა იგრძნოს, რომ გვერდით ძლიერი მამაკაცი ჰყავს.

— ერთი თვეა, რაც ერთად ცხოვრობთ. ამ ხნის მანძილზე არც ერთხელ არ გინახუბიათ?

— რა თქმა უნდა, ყოფილა შელაპარაკება. მე მივბრბოდი, ლევანი მაკავებდა, მაგრამ სერიოზული არაფერი მომხდარა.

ამ დროს ჩვენთვის ლევანმაც მოიცალა და ვთხოვე, გაეხსენებინა, თუ სად ნახა ლიკა ქავჭავრაძე პირველად.

— საინტერესო ისტორიაა. პირველად ისეთ ადგილას ვნახე — ძალიან გამიკვირდა. ნაძალადეგში ვცხოვრობდი. პირველ სკოლაში ვსწავლობდი და მეტროთი დავდიოდი ხოლმე. მაშინ მეცხრე კლასში ვიყავი. ჩავედი მეტროში და გხედავ — ულამაზესი გოგო დგას. გამიკვირდა — ასეთ ლამაზ გოგოს მეტროში რა უნდა-მეთქი?! თავიდან არ ვიცოდი, ვინ იყო. ბევრჯერ მითქვამს: ჩემთვის ლიკა არც მარიტაა და არც ის გოგონა, პეპლებს რომ დასდევს-მეთქი... ხშირად შემხვედრია. ვიდექი და ვუყურებდი. მოგვიანებით გავიგე, რომ ლიკა იყო.

— მისვლა და გაცნობა ვერ გაბედეო?

— არა, გამბედაობა ყოველთვის მქონდა. უბრალოდ, თვითონ ლიკა ისე საქმიანად გამოიყურებოდა, რომ ვფიქრობდი — აშკარად იმას ელოდება, ვისაც უნდა ელოდებოდეს და მე მასთან არაფერი მესაქმება-მეთქი. ჩამივარდა გულში, მაგრამ არანაირი პერსპექტივა არ მქონდა. მერე ლიკა დაიკარგა არეალიდან. გავიგე, რომ გათხოვდა. მერე შემთხვევით, საერთო მეგობრების ქორწილში მოგვიწია ხელისმომკიდებლად ყოფნა. იმ დროს ლიკა უკვე გათხოვილი იყო. მიუხედავად ამისა, როცა გავაცნობიერე, რომ ამ ქორწილს ნათლობა მოჰყვებოდა, თავზარი დამეცა. ქვეცნობიერად არ მინდოდა, რომ მირონით ნათესავეები გავმხდარიყავით. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამიხარდა როცა გავიგე, რომ ლიკა ვერ მონათლავდა ბავშვს, რადგან გადაღებები ჰქონდა და დაკავებული იყო. რაღაც შანსს, იმედის ნაპერწკალს ქვეცნობიერად, მაინც ვიტოვებდი. სულ მახსოვდა ლიკა.

— ეს თქვენი პირველი ქორწინებაა?

— კი, პირველია. უილიამ ფოლკნერი ამბობს: „ნამდვილი მამაკაცი ერთხელ მიდის ომში და ერთხელ მოჰყავს ცოლიო“. მეც მაგ ჭკუაზე ვარ. 40 წლის კაცი ვარ და, რა თქმა უნდა, რაღაც ისტორია მეც გადამხდენია. ყოველთვის ვცდილობდი, ისეთ ადამიანთან მქონოდა ურთიერთობა, ვისაც რაღაც „დეტალი“ მაინც ექნებოდა ლიკასი — ან თვალის ჭრილი, ან გამოხედვა, ან ღიმილი, მაგრამ ლიკა ერთია და განუშეორებელი...

— ლიკამ თქვა, რომ თქვენი ურთიერთობა ხუთი თვის წინ დაიწყო. როგორ მოხდა ეს?

— ისევ იმ მეგობრებთან შევხვდი ერთმანეთს. მე ლიკა, ბედნიერი მეუღლე, ბედნიერი ქალი მგონია და საერთოდ, მგონია, რომ ბედნიერია... ერთ-ერთი საუბრის დროს ვიგრძენი, რომ ლიკას სითბო აკლია. ის სითბო, რომლის მიცემაც მე შემიძლია და დიდი პრეტენზია მაქვს ამისი. მერე ერთმანეთს გავუკეთ. მე ჩემი პრობლემები მქონდა და მან ხელი გამიმართა. ლიკამ ძალიან ბევრი რამ შემოიტანა ჩემს ცხოვრებაში. შეიძლება ითქვას, რომ რადიკალურად შემცვალა კარგისაკენ. დამამშვიდა, თავდაჯერებული გამხადა და დამანახვა, რომ შეიძლება ამ ცხოვრებით დატკბე...

— ძნელი იყო ლიკას გულის მოგება?

— ვერ წარმოიდგენთ და, ბევრი არაფერი დამჭირვებია. ყველაზე კარგი ჩვენს ურთიერთობაში ის არის, რომ თავიდანვე მეგობრულად განვეწყვეთ ერთმანეთის მიმართ. მე შენ მიყვარხარ — ადვილი სათქმელია, მაგრამ გარანტიები არ არის, რომ მერე, ეს სიყვარული იქნება შენარჩუნებული და გადაიზრდება მჭიდრო მეგობრობაში. ჩემი ყველაზე კარგი მეგობრები არიან დედაჩემი და ლიკა: ამასთან ერთად, მე ის მიყვარს, როგორც ჩემი მეორე ნახევარი.

— სიყვარული როგორ აუხსენით?

— ელენობა იყო. მეგობრები შევიკრიბეთ. ცოტა გავერთეთ, დავლიეთ და ვიცეკვეთ. ლიკასგან სითბო ვიგრძენი, ზუსტად ის სითბო, რაც კაცს „რაღაცებს“ მიახვედრებს. მეორე დღეს ვუთხარი: შენთვის საჩუქარი მაქვს-მეთქი — და ბეჭედი ვაჩუქე. ეს ყველასათვის გასაკები სიმბოლიკაა. ძალიან კარგად მიიღო — ისე, თითქოს მართლა, უბრალოდ, საჩუქარი იყო (იცინის). სხვათა შორის,

ცოტა დიდი ჰქონდა ის ბეჭედი. სამი დღის მერე, მკითხა: შენ რა, ხელი მთხოვეო?

— ესე იგი, პირდაპირ დანუშნეთ, სიყვარულის ახსნის გარეშე?

— ჩვენი ყოველი კონტაქტი პრინციპში — მანამდეც, ახლაც და დარწმუნებული ვარ, მომავალშიც — სულ სიყვარულის ახსნაა. ლიკა რომ მეუბნება — მიყვარხარო, — მე ვუბნები — მე უფრო მეტად მიყვარხარ-მეთქი...

— ეჭვიანი ხართ?

— მინდა, რომ არ ვიყო, მაგრამ გარკვეული ეჭვიანობის მომენტი არის. შინაგანად რაღაცები იღვიძებს, მაგრამ მე ვხვდები, რომ უფლება არ მაქვს, ვიეჭვიანო. ლიკა არ არის ის ადამიანი, ვისაც ეყვარება ის, ვინც აეჭვიანებს. შემიძლია ვთქვა, რომ ის სულდღერად უბიწოა. მე არა მაქვს უფლება, ვიეჭვიანო ისეთ ქალზე, რომელიც ყოველწამს მიმტკიცებს ერთგულებას და სიყვარულს. პირიქით, მე იმის მეშინია, რომ ლიკა არის ძალიან ეჭვიანი, მაგრამ მთელი საქართველოს წინაშე ვამბობ, რომ მე მას ეჭვიანობის საბაბს არ მივცემ. საქმე ის არის, რომ ლიკას არჩევანი ვარ. ძალიან მიხარია, რომ დღეს მე არა ვარ ჩემი წარმატების პიკში და არა ვარ რეალიზებული ისე, როგორც ვაპირებ, რომ ვიყო; რომ სქელი ჯიბე არ მაქვს და მაქვს ზუსტად ის



# ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გე-  
მახსოვრებთ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა  
ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი  
და არც ამ ტესტის კითხვებზე გავიჭირდ-  
ებით პასუხის გაცემა...

1. გამოჩენილი რუსი მწერ-  
ალი ნიკოლაი ვოვოლი გარდა-  
იცვალა...




- ა) ძილში;
- ბ) ლოცვისას;
- გ) ნაბახუსევს, თავის გაუსაძლისი  
ტკივილისგან.

2. „ჩვენ გარკაროსი შემო-  
ვლასთან ეპროვანო“. ვის  
შესახებ ამოვოვდა ჩარჩილი ამ  
სიტყვებზე?



- ა) სტალინის;
- ბ) მუსოლინის;
- გ) ჰიტლერის.

3. რა მანსაკუთრებული  
ტრადიცია აქვთ ვორნოს  
კუნძულის მკვიდრთ?



- ა) ადამიანის თავებზე ნადირობა;
- ბ) მთელი სოფლის ერთ სახლში  
ცხოვრება;
- გ) მრავალქმრიანობა.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

სიმაღლე, რაც მაქვს და მიუხედავად ამ  
ყველაფრისა, ლიკას არჩევანი მე ვარ. ეს  
არის მთავარი. მე ლიკასაგან ერთგულე-  
ბა ვიგრძენი. ვფიქრობ, რომ ამ კუთხით  
ის არ იყო დაფასებული. ვიცი – საკმა-  
რისია, მე ვიყო ერთგული და ისიც ერთ-  
გული იქნება.

— ყველაზე მეტად ლიკას  
რომელი თვისება მოგწონთ?

— ზარმაცია კარგი გაგებით და ეს  
მომწონს...

ამაზე ლიკამ პროტესტი გამოთქვა, —  
მითხარი ერთი, რას ნიშნავს კარგი გაგე-  
ბით ზარმაცია?..

— როცა შენ ისვენებ, ისე ისვენებ,  
რომ ადამიანს შეშურდება. თუ მუსიკას  
უსმენს, ტერფი ცალე ცეკვავს. ერთი  
ხელი სხვაგან არის, მეორე — სხვაგან  
და მთელი სულით ხარობს. თუ მუსიკა  
არ უნდა, ბავშვით გადარუნდება და  
დაიძინებს. მე ეს ძალიან მომწონს.

— თუ ჩხუბობთ ხოლმე?

— ჩხუბი გამორიცხულია — ამას  
საკუთარ თავს ვერ ვაკადრებ. ჭიდაობას  
და ომს აზრი არა აქვს. მე აფხაზეთშიც  
ვიყავი, ყარაბაღშიც, „თბილისის ომშიც“  
და ა.შ. მაშინ გამოვიტანე დასკვნა, რომ  
ეს, უკიდურესი საშუალებაა. ლიკას ყო-  
ფილ შეუძლებს პატივს ვცემ, თუნდაც  
იმიტომ, რომ არ შექმნა ომის სინდრომი,  
თუმცა, მე ამისთვის მზად ვიყავი: თუ  
ომს დამიწყებდნენ, უნდა მეომა იმიტომ,  
რომ ლიკას უნდოდა ჩემთან ყოფნა. მას

ქალისთვის მთავარია, ურთიერთობაში ყურადღება  
და სითბო იგრძნოს. მან უნდა იგრძნოს, რომ გვერ-  
დით ძლიერი მამაკაცი ჰყავს



ისედაც ჰქონდა გადაწყვეტილი ქმართან  
განშორება. მე არა ვარ მწგრეველი. როცა  
შევიტყვე, რომ არ იყო ბენდიერი და  
ვერებოდა, მხოლოდ მერე მივეცი შინა-  
განად ჩემს თავს ურთიერთობაზე ფიქრის  
უფლება.

— ლევან, დედათქვენმა თუ  
მოგიწონათ არჩევანი?

— ის ჩემი მეგობარია, მას უნდოდა  
ის, ვინც მის შვილს უნდოდა. კატეგო-  
რიული ფორმით დაუუსვით საკითხი, რომ  
სახლში არაფრის დალაგებას არ დაიწყ-  
ებდა, თან ამ დროს, მე და ლიკა ვიცი-  
ნოდით: ჩვენ თვითონ მივხედავთ ჩვენს  
თავს, შენ დაისვენე-თქო, — მაგრამ არა  
მგონია, ამას შეეგუოს. აი, ახლაც ველო-  
დებით, უნდა მოვიდეს.

— ლიკა, როგორ მიგიღოთ  
დედამთილმა?

— მე თვითონ გამოვიჩინე მისი გაც-  
ნობის ინიციატივა. არანაირი ბარიერი  
ჩვენ შორის არ არის — უცებ შემოვიდა  
კონტაქტში და ძალიან უშუალოა. დიდი  
სითბო ვიგრძენი მისგან.

— კერძებს თქვენ ამზა-  
დებთ?

— მე ძირითადად მშრალი საკვებით  
— ძეხვით, „ვიჩინით“ და ა.შ. ვიკვებებო-  
დი. ლევანიც გადავიყვანე ასეთ კვებაზე.  
თუ ის შემომთავაზებს — რაზე გავაკე-  
თოთო, — ნამდვილად გავაკეთებ.

ლევანი:

— მაგრამ ლიკამ იცის, რომ ლევანი

მაგას არ იტყვის, იმ-  
იტომ, რომ დისკომ-  
ფორტს არ შეეუქმნი  
(იცინის). ჩვენ აღ-  
ბათ მალე ვეგეტარი-  
ანელები გავხდებით.

საუბარი თითქმის  
დავამთავრეთ, როცა  
ლევანის დედა —  
ქალბატონი თამარი  
მოვიდა. „ლიკა ძა-  
ლიან მგრძობიარე და  
თბილია. ძალიან ვა-  
ფასებ მას. არც ვე-  
ლოდი, რომ ლევანის  
გვერდით ასეთი თბი-  
ლი, მოსიყვარულე და  
გამგები ადამიანი იქ-  
ნებოდა“... — მითხრა  
მან.

# „სიკეთის ფორმულის“ თამადაობით გამართული ზეიმი



20 ოქტომბერს ფილარმონიის წინ, უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. ისინი „ივერიის“ წევრების გამოჩენას ელოდნენ. რომლებმაც ნახევარი საათით დაიგვიანეს, ბოლოს კი, ორსართულიანი ავტობუსითა და პოლიციის დაცვით მოვიდნენ. საზეიმო

წითელი ლენტის გაჭრის შემდეგ, ვარსკვლავში პირველი ბუთხუზ (ალექსანდრე) ბასილია ჩადგა. გახარებულმა თემურ წიკლაურმა განაცხადა: ზოგი ბერდება, ზოგი იბრდება, ჩვენ ვიბრდებით, არ ვბერდებით.

ვარსკვლავის გახსნა საზეიმო კონცერტით აღინიშნა. ძველი პაროდიების ახლებურ ინტერპრეტაციას მაყურებელი ოვაციით ხვდებოდა. მთელი საღამო თავდაზნობრივად უკრავდა თემურ ყვითელაშვილი. ყველას ემჩნეოდა, რომ მისი გიტარის განუმეორებელი ჰანგები მოენატრა... ცისფერ სამოსში გამოწყობილი მანანა თოდაძე საოცარი ენერჯიულობითა და თავდავიწყებით ცეკვავდა და მღეროდა – „მე სიცილი მინდა“... (სიმღერას მის მიერ გახმოვანებული მულტფილმიდან). თამუნა ამონაშვილი კი მართლა ვარსკვლავით ბრწყინავდა. მომღერალმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა:

– ეს კაბა სპეციალურად ამ კონცერტისთვის არ შემიძინია. სხვა კონცერტზე უკვე მეცვა. საერთოდ, სცენაზე არ გამოვდივარ ისეთი ტანსაცმლით, რომელშიც თავს კომფორტულად არ ვგრძნობ, მაგრამ დღეს განსაკუთრებით მინდოდა, ისეთი კაბა მეცოდა, რომელშიც თავს ყველაზე უკეთ ვგრძნობდი და ყველაზე მეტად მომიხებოდა. სხვათა შორის, ეს კაბა მაკა ასათიანს ეკუთვნის და მართლა ძალიან ლამაზია.

თამუნა 15 წლის წინ გამოდიოდა „ივერიის“ კონცერტებზე. მას მიაჩნია, რომ „ივერია“ მისთვის უდიდესი სკოლა იყო და პროფესიონალიზმს სწორედ ამ სკოლის წყალობით მიადწია.

კონცერტი სრული ანშლავით ჩატარდა. „ივერიელებმა“ უამრავი მილოცვა მიიღეს. ყველა ცდილობდა, თავისი სიყვარული და პატივისცემა გამოეხატა მათ მიმართ. გვიან საღამოს კი, დიდიშენი, ერთ-ერთ რესტორანში, უზარმაზარი ბანკეტი გაიმართა. სუფრას ბატონი ბუთხუზი თამადაობდა, მას „ივერიელები“ „სიკეთის ფორმულას“ ეძახიან. თურმე არაჩვეულებრივი თამადაც ყოფილა. ამ შშენიერ ზეიმს თითქოს არაფერი აკლდა, ერთის გარდა – სამწუხაროდ, ის უფვეიერვერკოდ ჩატარდა.

## ქართველი მხატვრის „გერმანული“ შემოქმედება

ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი მხატვარ გელა სამსონაძის (სურათზე გელა შუაში) შემოქმედებას მასპინძლობს. დაბა ქეიშხეთში, 1965 წელს დაბადებული, თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული შემოქმედი, უკვე რვა წელია, რაც გერმანიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს, თბილისში კი მისი ბოლო გამოფენა გალერეა „მერანში“, 1994 წელს მოეწყო. როგორც მხატვარმა აღნიშნა, ეს ექსპოზიცია მისი ცხოვრების ფრაგმენტების ასახვას წარმოადგენდა. მან აგრეთვე გაგვიმხილა, რომ ყველა ნახატი, უჩვეულო სიდიდის გამო (2-3 მეტრი ზომისაა), იატაკზე იხატებოდა.



უამრავ დამთვალიერებელს შორის გამოფენაზე ფოტოხელოვანი გურამ წიბახაშვილიც შეგვხვდა, რომელმაც გელა სამსონაძის გრაფიკას, მხატვრობაში გადაღებული ახალი ნაბიჯი უწოდა და ვითხრა, რომ არანაკლებ საინტერესოა მისი ფერწერული ნამუშევრებიც. ხელოვნების მუზეუმი გელა სამსონაძის შემოქმედებას 30 ოქტომბრამდე უმასპინძლებს, გაისად კი მხატვარი საქართველოში თავისი ფერწერული ნამუშევრების ჩამოტანას აპირებს.

## ეიდლის მხატვრობის უდიდესი ნიმუში

გია ბულაძემ ტექნიკური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზის ჭერი მოხატა – სულ 300 კვადრატული მეტრი. ეს საქართველოში ყველაზე დიდი მოხატულობაა, საერო მოხატულობებს შორის. ამასთანავე, ის მხოლოდ ერთი მხატვრის შესრულებულია. როგორც წესი, დიდ მოხატულობას მხატვართა ჯგუფი ქმნის.

როგორც თავად ბატონმა გიამ ვითხრა, მან ჭერზე გამოხატა სამყაროს ტექნოლოგიური ათვისების ისტორია, განვითარების ეტაპები და სავარაუდო პერსპექტივა. ჭერზე გამოხატულია აგრეთვე მითოლოგიური და ბიბლიური პერსონაჟები. მხატვარს არც ნიუტონი, არისტოტელე, ლეონარდო და ვინჩი და სხვა გენიოსები



დაჰვიწყებია. მთელი ფართის მოხატვას ორი თვე დასჭირდა, რაც ასეთი დიდი ნამუშევრის შესაქმნელად დროის მცირე მონაკვეთია.

პირველად დიდი ფართობის მოხატვის სურვილი, გია ბულაძეს წლების წინ გაუჩნდა. მან გადაწყვიტა, უმაღლესი სასწავლებლების შენობებში შეექმნა დიდი მოხატულობები. მის ინიციატივას პირველად რინე მეტრეველმა დაუჭირა მხარი. ასე განდგა უზარმაზარი მხატვრობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკითხველო და საკონფერენციო დარბაზებში, რის შემდეგაც შემოქმედმა პედაგოგიური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზის ჭერიც მოხატა.

ჩვენთან საუბრისას ბატონმა გიამ აღნიშნა, რომ თუკი საშუალებას მისცემენ, სამოქმედო მხატვრის აეროპორტის ჭერს ან კედლებს. ასევე – საკოლმეურნეო ბაზრის შენობის ინტერიერს. იქ, ირვკლივ, არეულობა და ქაოსი სუფევს; ამ ქაოსურ სამყაროს ის კედლებზე „მოაწესრიგებს“ და ბაზრის ტერიტორიაზე დადებით მუხტს შეიტანს. ერთი სიტყვით, გია ბულაძის სურვილია, მისი ხელოვნება ფართო მასებს მოუახლოოს და ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილად აქციოს.

# 75 დღეა ახალგაზრდებს საღისური მკვლელობა ჩააღენინა


მეზო სანაპი

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატა 31 წლის კობა შევარდენიძის საკასაციო საჩივარს იხილავს. 2002 წლის 30 ივლისს განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ შევარდენიძეს და მის ორ მეგობარს – 27 წლის კახაბერ ჭეფარიშვილსა და 20 წლის ილია მეყანწიშვილს უზენაესმა სასამართლომ განაჩენი გამოუტანა. მსჯავრდებულმა კობა შევარდენიძემ, საკასაციო წესით, სწორედ ეს განაჩენი გაასაჩივრა და მისი გაუქმება მოითხოვა.

სასამართლო განაჩენის მიხედვით, შევარდენიძე და მეფარიშვილი თბილისელი ანუელა საფარიანის, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობაში იქნენ ცნობილი დამნაშავე.

იმვე განაჩენის მიხედვით, მკვლელობა შემდეგ ვითარებაში მოხდა:

ილია მეყანწიშვილს კახაბერ მეფარიშვილის ვალი – 75 აშშ დოლარი ჰქონდა. თუმცა, თანხას ვერ უბრუნებდა და 2000 წლის 24 ნოემბერს კობა შევარდენიძესთან შეთანხმებით, პიროვნების გაძარცვა გადაწყვიტა. ამის შესახებ მეფარიშვილმაც იცოდა, განზრახვის განხორციელებაზე ისიც დათანხმდა და მეგობრებთან შეთანხმდა, რომ ანგარიშსაც მაშინ გაასწორებდნენ. ამ საუბრის შემდეგ, ორი ბოთლი არაყი დალიეს და იმავე დღეს, საღამოს, დაახლოებით 9 საათისთვის, განზრახვის შესასრულებლად წავიდნენ. ერისთავის ქუჩაზე მდებარე სასწრაფო დახმარების სადგურის ახლოს გაჩერდნენ და შესაფერის პიროვნებას დაელოდნენ. მალე მათ კინოთეატრ „საქართველოსკენ“ მიმავალი ქალი (როგორც მოგვიანებით დადგინდა – ანუელა საფარიანი) შენიშნეს, მასთან ჯერ შევარდენიძე და მეყანწიშვილი მივიდნენ, ძალით შეიყვანეს ბენზინგასამართი სადგურის გვერდით მდებარე შესახვევში და პირადი ნივთები წაართვეს. ამ დროს ქალმა კახაბერ მეფარიშვილს სახეზე ფარანი მიანათა და უთხრა, რომ იცნობდა მას. ამის გაგონებაზე მძარცველებმა საფარიანს ყველა ნივთი უკლებლივ



დაუბრუნეს, შემდეგ იქვე სკამზე ჩამოსხდნენ და სთხოვეს მას, მომხდარის შესახებ პოლიციაში არ გაეცხადებინა. თუმცა, საფარიანის პასუხი და დაპირება, რომ არაფერს იტყოდა, რატომღაც დამაჯერებლად არ ჩათვალეს, იფიქრეს – სანდო არ არისო და ქალი, კვლავ ძალით, იქვე მდებარე მიტოვებული ფორტოატელიეს ჯიხურში შეიყვანეს. კახაბერ მეფარიშვილი საფარიანს მივარდა, ტახტზე წააქცია, შემდეგ დანა აპოილო და კისრის და ყელის მიდამოებში რამდენჯერმე ჩაარტყა. ამის დანახვაზე, ილია მეყანწიშვილმა იქაურობა მაშინვე მიატოვა. დაჭრილი, ბოროტმოქმედებს წინააღმდეგობას უწევდა და თან ხრიალებდა. განწირული ქალის ხმის ჩასახშობად, შევარდენიძემ მას პირზე ხელი დააფარა, მარცხენა ხელი გაუკავა, მარჯვენა ხელზე კი მუხლით დააწვა, მეფარიშვილის მიერ ძირს დაგდებული დანა აიღო და ქალს ყელში რამდენჯერმე გამოუსვა. მერე ისევ მეფარიშვილს მიუბრუნდა და უთხრა: ყელი გამოვჭერი და ახლა ვერაფერს იტყვისო.

მეფარიშვილი და შევარდენიძე ჯიხურიდან გარეთ გავიდნენ. იქ ილია მეყანწიშვილს ისევ შეხვდნენ და მომხდარის შესახებ უთხრეს. შევარდენიძემ იქვე, წყლის გუბეში დაიბანა სისხლიანი ხელები და მეყანწიშვილთან ერთად სახლში

წავიდა. შინ დაბრუნებულმა მეფარიშვილმა დედას უთხრა, რომ კობა შევარდენიძესა და ილია მეყანწიშვილთან ერთად ვილაცასთან იჩხუბა. ამის შემდეგ, გააცხელებინა წყალი და სისხლიანი ხელები დაიბანა.

სასამართლოში კახაბერ მეფარიშვილმა პროკურატურისთვის მიცემული ჩვენებები შეცვალა და თქვა, რომ საფარიანი მას არ გაუძარცვავს. „...მთვრალი ვიყავი და რა მოხდა, არ მახსოვს... შესაძლოა, ანუელა საფარიანი მე მოვკალი“...

დამნაშავედ არც კობა შევარდენიძემ და არც ილია მეყანწიშვილმა ცნეს თავი. წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებები კი სასამართლოში ორივემ შეცვალა.

შევარდენიძემ განაცხადა, რომ საფარიანს ხელჩანთა წაართვა, მაგრამ მასში არაფერი იღო და დაუბრუნა.


„...ქალმა მეფარიშვილს უთხრა – გიცნობო. შეკამათდნენ... მე და მეყანწიშვილმა ერთად მივატოვეთ იქაურობა... მკვლელობის შესახებ მერე შევიტყვე“; – თქვა შევარდენიძემ. რაც შეეხება მეყანწიშვილს, მას არც ძარცვაში და არც მკვლელობაში მონაწილეობა არ მიუღია.

სასამართლო კოლეგიამ მარცვის ეპიზოდში სამივე განსასჯელი გაამართლა. აღსანიშნავია, რომ ილია მეყანწიშვილს მხოლოდ ამ ნაწილში ედებოდა ბრალი, ამიტომაც ის პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა, კობა შევარდენიძესა და კახაბერ მეფარიშვილს კი დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის მუხლები სასამართლომ დაუდასტურა. მეფარიშვილს 20 წლით, ხოლო შევარდენიძეს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

განაჩენი უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატაში, მხოლოდ კობა შევარდენიძის ადვოკატმა გაასაჩივრა. მისი თქმით, შევარდენიძეს მკვლელობა არ ჩაუდენია, ხოლო საქმეში მტკიცებულებები არ არსებობს. ადვოკატი კობა შევარდენიძის გამართლებას მოითხოვს.

60600 აკაბიშვილი

ირაკლი გომბაზა — ახალგაზრდა ბათუმელი პარლამენტარი — როგორც ამბობენ ხოლმე, ჯერ კიდევ „მამის კისერზე ზის“, რადგან დეპუტატის ხელფასი თითქმის არაფერში ჰყოფნის — მთელი თვის გასამრჯელო, მგზავრობასა და მობილური ტელეფონის გადასახადში ეხარჯება... უფულობის გამო, თბილისში ბინის ყიდვასაც კი ვერ ახერხებს და სტუდენტობისას ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს. ამის გამო, დღემდე ვერ დაქორწინებულა... ერთი სიტყვით, ის, ვისაც უცოლო პარლამენტარზე უჭირავს თვალი და დაინტერესებულია, თუ რა სიმდიდრის პატრონია ირაკლი გომბაზა, ინტერვიუდან უამრავ საინტერესო ამბავს შეიტყობს. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით... თავად დეკლარანტმა კი საუბრის დასაწყისშივე მთელი სერიოზულობით განმაცხადა: თუ ჩემი ცხოვრება-ქონება გაინტერესებთ, მაშინ ხანმოკლე საუბარი მოგვიწვეს, რადგან ბევრი არაფერი მაქვს...



უჩინო კარლანტის სენსაციური „ისტორია თქვენი ამოწმის წყაპად“

„ცოლს ნაქირავებ ბინაში ხომ ვერ მოვიყვანი...“

ირაკლი გომბაზა ჯერჯერობით ვერ დაიკვირებს საკუთარი შრომითა და ვარჯით მოგროვილი ქონება-ცხოვრებით. მთელი უძრავ-ძირავე ქონება, რაც დეკლარაციაში აღუნიშნავს, მისი მამისა და პაპის შენატენი გახლავთ. გომბაზების მთელ სიმდიდრეს შეადგენს: სახლი ბათუმში, მიწის ნაკვეთი ბაღათის რაიონში და ორი ავტომანქანა.

— სახლი, რომელშიც ამჟამად ვცხოვრობთ (და რაჯობის ღირებულებაც 35.000 დოლარია. — ავტ.) ბაბუაჩემის ნაყიდაა. მიწის ნაკვეთიც (სოფელ ობაში მიწის ნაკვეთი 5.000 დოლარად აქვს შეფასებული. — ავტ.) პაპისუფლია. თბილისში სახლი არ მაქვს და ავტო უკვე 12 წელია, რაც ქირით ვცხოვრობ.

— მერე, რატომ არ ყიდულობთ?

— არ მაქვს ფული და... — ?!

— მართალს გეუბნებით! უფულობის გამო ვერ ვყიდულობ სახლს და რა ვქნა?! ერთთახიანი ბინა ვიქირავე 100 დოლარად. ფაქტობრივად, პარლამენტი მიხდის ქირას — თვეში 200 ლარს და მხოლოდ 20 ლარის დამატება მაქვს. აი, ამიტომაც არ მომყავს ცოლი. ნაქირავებში ხომ ვერ მოვიყვანი! ცოტა არ იყოს, უხერხ-

დოსია:

ირაკლი გომბაზა 1974 წლის 10 ივლისს ბათუმში, მოსამსახურის ოჯახში დაიბადა. მამა — ელგუჯა გომბაზა პროფესიით ინჟინერი, კომუნისტური პარტიის წევრი ვახლდით და ყოველთვის ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობდა — მაგალითად, იყო მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი, — მაგრამ ირაკლის თქმით, არ იპარაგდა და ამიტომ, დიდი ქონების დაგროვებაც ვერ შეძლო. დედა — რუსულან მთისწრაფიშვილი ექიმად მუშაობს თავისი დედა და მოსწრება. ირაკლი განებივრებული ბავშვი არ ყოფილა, კარგად სწავლობდა — სკოლაში არც ერთი „ოთხანი“ არ ჰყავდა და ოქროს მედალსაც გამოჰკრავდა ხელს, სწორედ იმ წელს რომ არ გაუუქმებინათ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი. ჰყავს ორი და — ნინო და თამარი და პარლამენტარი ბიძის მოსახელე დისშვილი.

„ულია...“

— მხოლოდ ამიტომ? ზოგს დაქრავების საშუალებაც არა აქვს, მაგრამ უცოლოდ არ რჩებიან...

— ჰო, ახლა თუ ის ვიფიქრე — მერე რა? — შეყვარებული წყვილი ნემსის ფუნ-

წშიც გაეტევა-მეთქი, — იქნებ, ამაზე არც ვიფიქრო, მაგრამ ასე ხომ არ არის, არა?

— გამოდის, რომანტიკული ბუნების არ ყოფილხართ...

— ზოგჯერ ვარ ხოლმე რომანტიკულ განწყობაზე, მაგრამ ამ საკითხში... რა ვიცი, ალბათ მოვა დრო და დავქორწინდები. კაცისთვის აუცილებელია ოჯახის შექმნა, რათა სტაბილურობის განცდა ჰქონდეს. საქმესაც უკეთესად გავაკეთებ და თან, ხომ იცით, როგორი დემოგრაფიული ვითარებაა ქვეყანაში და ვეცდები, ჩემი წვლილიც შევიტანო ამ საერო საქმეში... ახლა, სულ ისეც ნუ იფიქრებთ, რომ მართო ხელმოკლეობისა და უბინაობის გამო ვერ მომყავს ცოლი. ძალიან ცოტა დრო მრჩება საკუთარი თავისთვის, პარლამენტში კი ვერავის ვხვდები ისეთს, ვისზეც სერიოზულად ვიფიქრებდი... მოკლედ, პარლამენტის კვლევებში ძალიან ძნელია საცოლის შერჩევა.

— ბუნებრივად მიჩნდება კითხვა: მამათქვენს 25.000 დოლარი ნაღდი ფული ჰქონია და რა — არ გაძლევთ ფულს, სახლი რომ იყიდოთ?

— არა, ასეც არ არის. ეს 25.000 დოლარი ჯიბეში კი არ უდევს — ნაწილი გასესხებული აქვს, ნაწილიც — საქმეში აქვს ჩადებული და ამიტომ, ამ თანხის თავმოყრას ვარკვეული დრო სჭირდება. ისე კი, მამაჩემი ზრუნავს საიმისოდ, რომ



მამამ „პრეზენტი“ გამოიკეთა. პარლამენტის წევრად არჩევასთან დაკავშირებით

ბინა შევიძინოთ თბილისში.

— კი, მაგრამ რა ნაკვეთი გაქვთ ასეთი, 5.000 დოლარად რომ შეგიფასებიათ?

— მამაჩემი ამ ნაკვეთს მილიონდაც შეაფასებდა, რადგან იქ ვენახი გვაქვს გაშენებული, რომელსაც მამა დიდი რუდუნებით უვლის. როცა დრო მაქვს, ჩავდივარ და ვენახები ხოლმე ყურძენს ერთად ვწურავთ... ზარმაცი არ ვარ, შრიმისმოყვარეობა მამისგან მეძვიდრეობით გადამოძეცა.

— 2.000 დოლარად შეფასებული ავტომანქანა „ვაზ-24“ მამათქვენის საკუთრებაა, თქვენ კი „ვაზ-2107“ გყავთ, რომელიც 8.000 ლარად შეგიფასებიათ. ავტომანქანა საკუთარი ფულით შეიძინეთ?

— არა, მამამ „პრეზენტი“ გამოიკეთა. პარლამენტის წევრად არჩევასთან დაკავშირებით. 1999 წლის ნოემბერში ძაჩუქა „07“.

— მამა ხშირად გასაჩუქრებთ ხოლმე?

— არც ისე ხშირად, თუმცა, ყოველთქვე მეხმარება ფულით...

— თქვენს ოჯახში ყველაზე ძვირად ღირებული ნივთი რომელია?

— ანტიკვარულ ნივთებს თუ გულისხმობთ, ასეთი რამეები არ გვაქვს. 1950-60-იან წლებში, ბაბუაჩემის მიერ შეძენილი გერმანული პიანინო გვაქვს და ძალიან კარგი ბიბლიოთეკა — 4000-ზე მეტი წიგნი.

რა თანხა აქვს ირაკლი გოგავას ანგარიშზე „გაერთიანებულ ქართულ ბანკში“?

— ასჯერაზრდა პარლამენტარს ბევრი ხარჯი აქვს (საწვავი, მობილური ტელეფონი...

ქეიფი, ქალებში ვაგლა-გამოვლა და ა.შ.), ამიტომაც, საკუთარი ხელფასი არ ჰყოფნის და რადგან სხვა შემოსავალი არ აქვს, მამა — ელგუჯა ერთადერთ ვაჟიშვილს ყოველთვის უგზავნის ხოლმე ფულს. მკარე ხელფასისა და იმის მიუხედავად, რომ ირაკლი წუხს — დანაზოვის გაკეთებას ვერ ვახერხებო, — მას მაინც მოუხერხებია 2.500 დოლარამდე თანხის გადახდა. დღემდე შემოუნახავს პირველი პონორარიც — 200 გირვანქა სტერლინგი, რომელიც 1996 წელს დიდ ბრიტანეთში სტა-

ჟირებაზე მყოფ 22 წლის ირაკლისთვის ქვინსის უნივერსიტეტში წაკითხული ლექციისთვის (ნაციონალიზმის თემაზე!) გადაუხდიათ...

— თუ იცით, როგორ მოაგროვა მამათქვენმა ის 25.000 დოლარი, რომელიც ნაღდი ფულის აღმნიშვნელ გრაფაში მიგინიშნებიათ?

— მამაჩემი 1992 წლიდან დღემდე ბიზნესშია. ადრე უკრაინასა და მოსკოვში მუშაობდა — წვრილი ბიზნესით იყო დაკავებული. ეს 25.000 დოლარიც წლების დანაზოვია. ამჟამად ფოთის გემთსარემონტო ქარხნის დირექტორი გახლავთ (ცნობისათვის: ბატონი ელგუჯას წლიური შემოსავალი 5.000 ლარია; ქალბატონი რუსუდანი ბაიუძის საზღვაო ნავსადგურში მუშაობს კიბად და წელიწადში სულ 1960 ლარს იღებს; თამარი კერძო კომპანიაში, ფასიანი ქვადლების რეგისტრატორია და 1.800 ლარს იღებს წლიურად; მოკლედ, ყველა, საკუთარ თავს თვითონ ინახავს. — ავტ.).

— თქვენ როგორღა მოახერხებთ 2.500 დოლარის შეგროვებას? თქვენც ბიზნესი ხომ არ გაქვთ?

— ნაწილი, მივლინებიდან გადახასული თანხა (სამივლინებო ხარჯებში ბატონ გოგავას 10.500 დოლარი აქვს ჩაწერილი. — ავტ.). ადრე უცხოური უნივერსიტეტების მიერ გამოცემულ ჟურნალებში სტატიებს ვაქვეყნებდი და პონორარს ვიღებდი. 500 დოლარი გადამიხადეს საფრანგეთში, ლექციისთვის, რომელიც თავდაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სემინარზე წავიკითხე უსაფრთხოების თემაზე. მოკლედ, ასე მოვაგროვე გარკვეული თანხა.

ასლა მგონი, უკვე 2.500 დოლარი მაქვს. — როგორც ჩანს, ფულს ბანკს არ ანდობთ: ანგარიში არსად არ გაქვთ გახსნილი. ამდენ ფულს სად ინახავთ? შინ? არ გეშინიათ?

— ანგარიში მქონდა გახსნილი — ვიფიქრე, მთელ ჩემს დანაზოვს, რომ არ დავხარჯო, იქ შევიტან-მეთქი, — მაგრამ მერე გადავიფიქრე. ალბათ იმიტომ, რომ ბანკებს მაინცდამაინც არ ვენდობი. დღეს-დღეობით კი, „გაერთიანებულ ქართულ ბანკში“ ანგარიშზე სიმბოლური თანხა — 3 თეთრიდაა დარჩენილი. ფულს ახლობელთან ვინახავ, რადგან მეშინია, სულს არ წამძლიოს და სადმე არ მივახარჯო. აი, მამაჩემი სად ინახავს ფულს, ეს არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით...

— რატომ? მამათქვენი არ განდობთ ასეთ საიდუმლოებებს? არ გეუბნებათ, ფულს სად ინახავს?

— არა — უბრალოდ, ამით არ დაინტერესებულვარ.

— საუბროსას აღნიშნეთ, რომ მთელი თქვენი ხელფასი — 800 ლარი მანქანის სანვავსა და მობილურ ტელეფონში გხმარდებათ. გამოდის, რომ ვერაფერს ყიდულობთ თქვენი ხელფასით?

— დაახლოებით 300 ლარი საწვავში ხმარდება, რადგან ძალიან ბევრს ვმობრუნობ მანქანით. მობილურზეც ბევრს ვლაპარაკობ ხოლმე და თვეში 150 ლარი ამაში მჭირდება. დანარჩენი კიდევ — ჭამა ხომ მინდა? რადგან მარტო ვცხოვრობ, სადილის მომზადებას შინ ვერ ვახერხებ და თითქმის სულ გარეთ მიწევს ჭამა. მოკლედ, საკუთარი ხელფასით ჩაცმა-დახურვას ვერ ვახერხებ.

— მასსოვს, ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადეთ: პარლამენტში ყოფნა არ მომწონს და ალბათ ბიზნესში ვცდი ბედს — ბოლოს და ბოლოს, მატერიალურად უზრუნველყოფილი მაინც ვიქნებიო. აზრი ხომ არ შეიცვალეთ?

— არა, აზრი არ შემიცვლია, მაგრამ ბიზნესში ვცდი ბედს თუ რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში დავიწყებ მუშაობას, ამას მომავალი გვიჩვენებს. ერთი რამ კი უნდა აღვნიშნო: პარლამენტში მოსვლა და სხდომაზე დასწრება მართლაც შემჯავრდა. აქ ძალიან ბევრი სიმბიურეა, ორმაგი სტანდარტებია გამეფებული და რაც ყველაზე ძალიან მაწუხებს — მთელი პარლამენტი როგორი „პროფესიონალებითაა“ დაკომპლექტებული. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, ასეთი სიტუაცია თუ იქნებოდა...

— ასლა ის მითხაროთ, რა



თანხას შეადგენს თქვენი ყოველდღიური ჯიბის ფული?

— რა ვიცი, ხან — რამდენს და ხან — რამდენს. მაგალითად, ამჟამად 60 ლარამდე მაქვს ჯიბეში. დღეში ასე, 30-40 ლარი მჭირდება ხოლმე.

— დღეში 30-40 ლარი არც ისე ცოტაა — მხარჯველი ყოფილხართ...

— კლავი, ვარ, მხარჯველი და ხელგამოღილი, როცა ამხს საშუალება მაქვს...

— მამა ირკოლონიძე ცხვირით...

— ინტიმურ თემებზე მხოლოდ ძალიან მომავლურ ასპექტში...

— ირკოლიძე ვინაა? არაა...

— ხელგამოღილი და მხარჯველი დეკლარანტი დიდი მოქიფე და მომღვინე არ ყოფილა — ყანწებით ლიტრობით ღვინის სმა არ უყვარს. იმის გამო კი არა, რომ ვერ იტანს — უბრალოდ, იმით, რომ მანძია: დღევანდელი ქართული სუფრა ხშირად ღრეობად იქცევა ხოლმე და ეს არ მოსწონს. ისეთ ხალხთან არ უყვარს ქეიფი და ღვინის სმა, ვინც ეპირფერება და ემლიქნელება ერთმანეთს, თორემ „ძველგაზრდებთან“ და „ბიძებთან“ ქეიფი ძალიანაც საიმოვნებს. იმ დროს კი, როდესაც ირაკლი ძმაკაცებთან ერთად ქეიფობს ხოლმე, ფულის გადახდისას თავადვე აქტიურობს, რადგან როგორც მოთხრა, მის სამეგობროში ყველაზე მეტი შემოსავალი აქვს. ამავე მიზეზით, ახლობელი ადამიანებისთვის საჩუქრების მიძღვნაც ხშირად უწყევს ხოლმე. ახლა მგონს თქვენც ფულით მუდღვე ვერჯერობით არ

გყავთ, მაგრამ საყვარელ ქალს ალბათ ძვირად ღირებული საჩუქრებით ანებივრებთ, არა?

— იცით, რა? ძოდით, ამგვარ ინტიმურ თემებზე მხოლოდ მომავლის ასპექტში ვილაპარაკოთ. ამ ეტაპზე რა ხდება და როგორ ხდება — ამაზე ვერაფერს გეტყვით: ეს ჩემი პირადი ცხოვრებაა...

— ინტიმურ თემებზე საუბარს არც ვაპირებ — უბრალოდ, მაინტერესებს, რა საჩუქრებს უძღვნი ხოლმე ქალბატონებს?

— საყვარელი ქალის რა მოგასვენოთ, მაგრამ გეტყვით, რომ ახლობლებს (ქალბატონებს ვგულისხმობ) უფრო ხშირად, სუნამოს ვუძღვნი ხოლმე. პარფიუმერიის მაღაზიაში, როგორც თქვითი წყალში, უკვე ისე ვგრძნობ თავს. სუნამოს საზღვარგარეთ ყიდულობ ხოლმე — 20-დან 50 დოლარამდე ვაძლევ. უფრო ძვირად ღირებულებს არის, მაგრამ ასეთებს ვერ „ვწვლები“...

— ალბათ თვითონაც გსიამოვნებთ, ახლობელი ადამიანები საჩუქრებს რომ გიძღვნიან?

— საჩუქრები ვის არ უყვარს?! განებივრებული არ ვარ, მაგრამ ზოგჯერ რაღაცებს მისასწორებენ ხოლმე — კალმისტრებს, საფულეებს, სუნამოს, პერანგებს... აი, გიჩვენებთ, ბრიუსელიდან როგორი პერანგი ჩამომიტანეს (ირაკლიმ მაგიდის უჯრიდან, ახლათახალი ზოლიანი პერანგი ამოიღო. — ავტ.)...

— მშვიდობაში! ის მაინც მითხარი, ვინ მოგიძღვნათ?

— გმადლობთ. ვინ მაჩუქა და ჩემმა მეგობარმა ზვიად მუქმანიანმა (პარლამენ-

ტარი. — ავტ.) — მივლინებაში იყო და იქიდან ჩამომიტანა.

— მივლინებაში თქვენც ხშირად გინევთ ხოლმე წასვლა. იქ აახლებთ თქვენს გარდერობს?

— ძირითადად, საზღვარგარეთ ვიძენ ტანსაცმელს, თუმცა, აქაც ყვიდულობ ხოლმე რაღაც-რაღაცებს. ფეხსაცმელი საზღვარგარეთ ძალიან ძვირია და ამიტომ, ყოველთვის თბილისში ყვიდულობ. კოსტიუმებისა და სხვა აქსესუარების ყიდვა კი ლონდონში სჯობს: იქ შედარებით იაფიცაა და ხარისხიანიც.

— თქვენი ყველაზე ძვირად ღირებული კოსტიუმი რა ფასიანია?

— გავისხენებ... ლონდონში შევიძინე პიჯაკი, რომელშიც 170 გირვანქა სტერლინგი გადავიხადე.

— აქსესუარებიდან რა გიყვართ?

— ჰალსტუხი. დაახლოებით 50-მდე ძალიან კარგი ჰალსტუხი მაქვს. მივლინებიდან ისე არ დაკბრუნდები, ერთი ჰალსტუხი მაინც რომ არ ვიყიდო. მეგობრებიც ხშირად მჩუქნიან.

— დაბოლოს — როგორც აღნიშნეთ, სამეგობროში ყველაზე მეტი შემოსავალი თქვენ გქონიათ. ხშირად სესხულობენ თქვენგან ფულს?

— არც ისე. არც ისეთი ფულიანი კაცის სახელი მაქვს გავარდნილი...

— თვითონ თუ გინევთ ხოლმე ფულის სესხება?

— კი, ასეთი შემთხვევებიც არის. მერე რა მოხდა?..

პოსტსკრიპტუმის მაგიერ:

საკუთარი ხელფასით უკმაყოფილო დეკლარანტი 680-ლარიან მობილურ ტელეფონს დაატარებს ჯიბით და თუმცა ჭირის დღესავით ეჯავრება ინტიმურ თემებზე საუბარი, იმას მაინც თამამად აცხადებს, რომ სუნამოს შერჩევაში უკვე ექსპერტია, რადგან ქალბატონებს ყველაზე ხშირად სწორედ მას უძღვნიან ხოლმე საჩუქრად... სტუდენტობის დროს კი, 50-დოლარიანი სუნამოს ყიდვას ვინლა ჩიოდა?! — ზოგჯერ თურმე ჯიბეში ზურდა ფულიც არ უჩხრიალებდა და „მარშრუტ-კამის“ კი ვერ ჯდებოდა. ამიტომაც, დანაზოვის შექმნის მიზნით, უნივერსიტეტთან ახლოს, არაფიშვილის ქუჩაზე უქირავებია ბინა... როგორც ჩანს, ირაკლის საქმეები წინ მიიწევა: თუ ადრე, 50 თეთრიც არ ჰქონდა სამგზავროდ, ახლა უკვე თვეში 800 ლარიც აღარ ჰყოფნის...


დაახლოებით 50-მდე ძალიან კარგი ჰალსტუხი მაქვს



# ინტიკანი ეჩსაჩე ცხოეხებაში „მუეირობის მტეეი“ ყოფირა

მსახიობი ალექო მანხარ-ოკლიშვილი მრავალი წლის წინ გავიცანი. ჯერ კიდევ მაშინ ამბობდა, მსახიობი უნდა გაგზდევო. შეასრულა კიდევ სიტყვა. ასამდე სახე შექმნა თეატრში, მაგრამ ტელესერიალში „ძილის წინ“ განსახიერებულმა ვერსაჩემ განსაკუთრებული წარმატება მოუტანა.

მანია კახიძე



— ალექო, შენი აზრით, როდემდე იარსებებს ეს სერიალი?

— მანამდე, სანამ მაყურებელს არ მოჰბეზრდება. ვერსაჩემ სერიოზულად ვერ ვუყურებ. ისე, რომანტიკული კაცია. ვერსაჩე დიდია მეგრელია, მე წარმოშობით კახელი გახლავართ (იცივის). ცოტა გული კი მწყდება, რომ უმრავლესობამ ვერსაჩეთი გაშიცნო. იმას არ ვამბობ, რომ არასერიოზული სამუშაოა, მაგრამ „ძილის წინ“ გასართობი სერიალია, თეატრის სცენა კი სხვა რამეა, თუმცა იმაში ცუდი არაფერია, რომ პოპულარობა ვერსაჩემ მომიტანა.

— ტელესერიალში იმპროვიზაციას ხშირად მიმართავ თუ ხუსტად იმას აკეთებ, რასაც რეჟისორი გეუბნება?

— არც უმაგისობაა, მაგრამ სცენარში უნდა ჩავჯდე.

— თეატრი ახსენე...

— თეატრი ჩემთვის პროფესიაც არის, ჰობიც, მთაც, ზღვააც... თეატრალურ ინსტიტუტში ჩემი პედაგოგი სამსახიობო ოსტატობაში, ბატონი თეძურ ჩხეიძე გახლდათ. ჩვენი ჯგუფი პირველი იყო მისთვის, სხვა ჯგუფი აღარც აუყვანია. კარგა ხანს, მოზარდ მაყურებელთა თეატრში ვმუშაობდი, ახლა მარჯანიშვილის თეატრში ვარ. ასამდე სახე შექმენი, თუმცა სულ 4-5 როლი მომწონს.

— სახელმწიფო პრემია რომელი როლისთვის მოგანიჭეს?

— ორჯერ მომანიჭეს სახელმწიფო პრემია: სპექტაკლებში „ბენდინი ბილე-

თი“ და „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე“. ორივე პიესა ირაკლი სამსონაძისა გახლავთ. არ მიყვარს საკუთარ შემოქმედებაზე ბევრი ლაპარაკი, ტრაბახი — მით უმეტეს. უბრალოდ, ძალზე სასიამოვნოა, როცა შენს შემოქმედებაში ასეთი წუთები დგება და საერთოდ, მე მგონი, იღბლიანი მსახიობი ვარ...

— ფულადი პრემია თუ მიგიღია?

— თეატრალურ ფესტივალზე სპექტაკლმა „არტი-ხელოვნებამ“ გრან-პრი მიიღო. 10 ათასი ლარით დაგვაჯილდოეს, რომელიც ხუთ ადამიანს გვერგო.

— პედაგოგიურ მოღვაწეობას როგორ უთავსებ გადაღებებსა და თეატრში მუშაობას?

— დიდიდან გვიან ღამემდე დაკავებული ვარ. სტუდენტებთან მუშაობა ჩემთვის ძალზე საინტერესოა. მართალია, ძალიან ცოტას გვიხდიან პედაგოგებს, მაგრამ... სხვათა შორის, დღეს, როგორც მსახიობთა უმრავლესობა, მეც თავისუფალი მსახიობი ვარ: მარჯანიშვილის თეატრში კონტრაქტი მაქვს დადებული. ძირითადი სამსახური, რასაც ოფიციალური სამსახური შემიძლია ვუწოდო — თეატრალური ინსტიტუტია. მსახიობის ოსტატობის პედაგოგი ვარ.

ტელესერიალის — „ძილის წინ“ სამუშაო მომენტი. „... პოდა, დიდი სურვილი გვაქვს, კურიობებისაგან შემდგარი რამდენიმე სერია გაკეთდეს“

— მკაცრი პედაგოგი ხარ?  
— (იცივის) არა მგონია...

— გვარი მართლაც კარგი გაქვს — მახარობლიშვილი. სულ კარგი ამბების მაუნყებელი უნდა იყო.

— შეიძლება, სასწაული არ მოვახდინო, მაგრამ ნამდვილად ვცდილობ, რომ ცუდი არაფერი ვაკეთო და, შესაბამისად, კარგი ამბების მაუნყებელიც ვიყო, თუმცა, დღეს კარგი ამბების დეფიციტია. გულწრფელად ვცდილობ, ქრისტიანულად ვიცხოვრო და ათი მცნება არ დავარღვიო...

— რომელი უბნელი ხარ? როგორ გეპყრობიან პოპულარულ მეზობელს? ალბათ, ყველას უხარია, მათ გვერდით რომ ცხოვრობ...

— ვერაზე გავიზარდე, მაგრამ კარგა ხანია, საბურთალოზე ვცხოვრობ, თანაც ზემოთ, ნუცუბიდის პლატოზე. კარგი ჰაერია (იცივის)... რაც მართალია — მართალია, გადასარევი მეზობლები მყავს. ბავშვებიც დიდი ჟრიაშულით და სიხარულით მხვდებიან. თუ რაიმე ტვირთი მიმაქვს ხოლმე, მაშინვე მორბიან — მოგეხმარებითო...

— ერთ რუსულ ჟურნალში წავიკითხე, რომ ცნობილი სომეხი მსახიობის ფრუნზიკ მკრტიჩიანის შვილები, მამის ფილმებს არ უყურებდნენ. შენი შვილები თუ უყურებენ სერიალს?

— ჩემი შვილები თეატრალურ გარემოცვაში გაიზარდნენ, ჩემი მეუღლე ეკაც მსახიობია, ბებია-ბაბუაც მსახიობები ჰყავთ და ფრუნზიკას შვილებისაგან განსხვავებით, ჩემები თეატრშიც დადიან



სპექტაკლებზე, ტელეგადაცემებსაც უყურებენ და სერიალსაც.

**— რა ამის პასუხია და კარგად გისდის ვერსაჩეს როლისთვის?**

— როგორ გითხრა... ვერსაჩეს პონორარი მე და ჩემს მეუღლეს აშკარად „ამოგვიდგა მხარში“. ავშენდით-მეთქი, — ვერ ვიტყვი, მაგრამ გარკვეულ პრობლემებს კი ვაგვარებთ. ამას წინათ, მაღაზიაში (ამას წინათ კი არა, ხშირად) ნისიად ავიღე რაღაცები. იქვე ქალბატონები იმყოფებოდნენ და შეიცხადეს — უიმე, ესეც ნისიად იღებს?! ზოგს შეიძლება სასაცილოდ არ ეყოს, რა პონორარზეა ლაპარაკი...

**— იმდენს მაინც არ გისდის, რომ მანქანა შეიძინო და ფენით აღარ იარო?**

— ჩემი მანქანა ჩვენს დუხჭირ ცხოვრებას შეეწირა — ძალიან დაბერდა და 260 ლოლარად გავეიდე. იმ ფულით კი ცოლ-შვილი დავასვენე. ისე კარგად შემიძლია მანქანის შეკეთება, რომ ერთ-ორ ფინანს ხელოსანს ვაჯობებ კიდევ. ტრაგედია არ არის უმანქანობა, თუმცა — სასურველია. რომ არ მყოლოდა, არც ვიდარდებდი, მაგრამ საკუთარი მანქანის გემო რომ ვიცი, ამაშია საქმე! მანქანა რომ გყავს, უამრავ საქმეს ასწრებ. ვერსაჩეს პონორარით კი, მანქანას ნამდვილად ვერ ვიყიდი. არა, ისეთს კი ვიყიდი, როგორიც მყავდა... ისე, ელექტრიკოსობაც მხეხრებდა და სანტექნიკაც, საერთოდ, ხელმარჯვე ბიჭი ვარ.

**— საინტერესოა, ტელესერიალის გადაღების დროს როგორი კურიოზები ხდებოდა?**

— ისეთი არაფერი, მაგრამ დუბლებს ინახავენ, რომელშიც მაინც არის რაღაც ისეთი, რაც მემონტაჟეს შენახული აქვს. ჰოდა, დიდი სურვილი გვაქვს, კურიოზებისაგან შემდგარი რამდენიმე სერია გაკეთდეს. ძალიან სასაცილო იქნება.

**— შენი ვერსაჩე მეტისმეტად ეჭვიანია. შენ თუ ხარ ეჭვიანი?**

— მე თუ ჩემს ცოლზე ვიეჭვიანებ ან შეყვარებულზე (ცოლი და შეყვარებული ამ შემთხვევაში ერთია) — ესე იგი, მაქვს ეჭვის საბაბი. თუ საბაბი გაჩნდა — დამთავრებულია, წყნარად გაშორდი და მორჩა! იცი, რა?! ქალმა თუ ლალატი ჩაიფიქრა, თუ გინდა, კაბა კოჭებამდე ჩააცვი და ჩადრი ჩამოაფარე — მაინც გიღალატებს.

**— ჩვენში, უფრო ხშირად, მუშტი-კრივიტ შორდებიან**

**სოლმე, შენ კი ამბობ — წყნარად სჯობსო. მშვიდობისმოყვარული ყოფილხარ...**

— ნამდვილი მშვიდობის მტრელი ვარ!

**— „მშვიდობის მტრედო“, შუბლს მიმდებარე „ტიერიტორიაზე“ თმა რომ საგრძნობლად გაგცვივია, ამის ბრალი ხომ არ არის?**

— შუბლის მიმდებარეს რას დავებებ?! — კევის მიმდებარეზეც დამეწყო, კარგა ხანია (იციანის).

**— წონაც საგრძნობლად მოგმატებია...**

— თავს მაინც კარგად ვგრძნობ. 82 კილო ვარ, მაგრამ თუ რომელიმე როლისთვის საჭიროა გახლომა, შემიძლია ერთ კვირაში დავიკლო წონაში. ისე, უმადობას არ ვუჩივი, მშვენიერი მჭამელი ვარ, რამდენჯერაც მაჭმევენ, უარს არ ვამბობ და იმდენჯერ გეახლებით.

**— სიმთვრალე როგორი გაქვს?**

— ზღაპრული. სახლში მეუბნებიან — ნეტავ, სულ ნასვამი იყო. სტუმარი და ქეიფი ძალიან მიყვარს.

**— ესე იგი, სიფხიზლეში უფრო ძნელი ასატანი ხარ?**

— არა. ხომ გითხარი, მშვიდობის მტრელი ვარ-მეთქი?

**— სიყვარულზე რას მეტყვი?**

— მე სულ შეყვარებული ვარ, სხვანაირად ვერ ვიცხოვრებ.

**— პოპულარული კაცი ხარ და დავიჯერო, არ გირეკავენ სუსტი სქესის წარმომადგენლები ან სასიყვარულო ბარათებს არ გწერენ?**

— არ ვარ მექალთანე, პატიოსანი კაცი განლაგარ. შეყვარებულები, რა თქმა უნდა, მყოლია, მაგრამ იმაზე როდი ვფიქრობ — არიქა, სად, რომელ ქალთან დავწვე-მეთქი?! რამდენი ქალი გამიცნია და ყველას თუ მიმიხვდი, ხომ!

**— და მაინც, თუ ცრემლად დაიღვარა — უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია და მოგკვდებიო?**

— უიმე, ახლა, ვენებს ხომ არ გადავაჭრევენებ? თვითმკვლელობამდე ქალის მიყვანას ვერ ვიკადრებ (იციანის). პრაქტიკულად, ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა. თუ მოხდა და დამიჩიქებს — მოგკვდებიო, — ვერა, ვერ გავიმეტებ! კეთილი აღამიანი



უიმე, ახლა, ვენებს ხომ არ გადავაჭრევენებ? თვითმკვლელობამდე ქალის მიყვანას ვერ ვიკადრებ (მეუღლესთან ერთად)

ვარ (იციანის)...

**— ერთი ეს მითხარო, ვერსაჩე კი შექვია შენს პერსონაჟს, მაგრამ შენი „სენზის“, სახელგანთქმული დიზაინერის რამე თუ გაცვია?**

— არც არაფერი. ჩემს გარდერობში ცნობილი იტალიელის კი არა, საერთოდ, არც ერთი დიზაინერის არც ერთი ნივთი არ მოიებნება. საერთოდ, შესაძლებლობის ფარგლებში მაცვია. ამ მხრივ მეგობრები მაკლებენ ყურადღებას... არადა, მაგალითად, პიჯაკის ჩაცმა არ მიყვარს, მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში მაცვია, სპორტულად გამოწყობილი უფრო კარგად ვგრძნობ თავს.

**— სერიალისთვის ხომ გაცემევენ?**

— ქალებს — კი, მამაკაცებს, ფაქტობრივად, ყველაფერი საკუთარი გვაცვია.

**— დაბოლოს — ერთი ფრაზა, სურვილისამებრ.**

— შევეცადოთ, უკეთესები ვიყოთ! ■

**ნობის ტელეფონი კონსულტაცია ინსტიმი (18 წლიდან)**  
**822 009 005**  
„მეოთხე“, „ჯუოსელი“, „მეგაკომი“ — 0,70 ლ.  
თბილისი — 0,45 ლ.  
რაიონები — 0,65 ლ.

# ტრაგედია ღონღონში

## უნიჭიერესი ქართველი იურისტი ზანგ კრიმინალებს ემსხვერპლა

3 ოქტომბერს ღონღონში ჩვენი თანამემამულე, 29 წლის ავთო ზარდიაშვილი, ზანგებმა სიცოცხლეს გამოასალმეს. ავთო ცნობილი მომღერლის, ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებლის, ანსამბლ „გურჯაანის“ ხელმძღვანელის, ბატონი ავთო ზარდიაშვილის შვილი იყო. მამა-შვილს ერთი სახელი ერქვა. მამას დიდ ავთოს ეძახდნენ, შვილს — პატარა ავთოს. მაგრამ სინამდვილეში პატარა ავთო დიდი გაქანების, დიდი გულისა და დიდი მომავლის მქონე ბიჭი იყო. მის უნივერსიტეტულ მეგობრებს არასდროს დაგვაფინყდებოდა, მუდამ მოლიმა-რო, ნიჭიერი ყმაწვილი, ცარიელ აუდიტორიაში მთელი ხმით რომ მღეროდა ხოლმე ხალხურ სიმღერებს.

### ლელა ჭანკოტაძე

ავთო კემბრიჯის უნივერსიტეტში სწავლობდა. ინგლისში წასვლამდე ის საგარეო საქმეთა სამინისტროში, საერთაშორისო სამართლის სამმართველოს უფროსის მოადგილედ მუშაობდა. თბილისში მან ახალშერთული ცოლი, ნინო შანიძე და ერთი წლის შვილი, ლევანი დატოვა. მისი ძველი ბურუსითაა მოცული. სიმართლე აღბათ, ძიების შემდეგ დადგინდება.



ავთოს მშობლებს შინ ვესტუმრეთ. მისმა მამამ, ბატონმა ავთომ ტირილით გვიაშობო შვილის შესახებ.

### ბატონი ავთო:

— სწავლა გურჯაანის პირველ საშუალო სკოლაში დაიწყო. ჩვენ გურჯაანში ვცხოვრობდით. ავთო რუსულ სკოლაში შევიყვანეთ. I და II კლასი მან რუსულად დაამთავრა. დედაჩემი, მარიამ ზარდიაშვილი რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი იყო. მან ჩემს შვილებს — მარიკასა და ავთოს სახლში გაუხსნა სკოლა და ქართულის სწავლა დააწყებინა. უზრუნველყო ჩვენს შვილებს და ნიშნებსაც უწავდა. რამდენჯერმე ავთოს „ოთხიანი“ დაუწერა. ბავშვი კინალამ გაგიჟდა, ისე ინერვიულა. შემდეგ, ჩემი გოგონა, მარიკა სტუდენტი გახდა. თბილისში მარტო ვერ გამოვუშვით. მაშინ მერვე კლასში იყო ავთო. მას დავავალეთ დის პატრონობა, ვაჟკაცობა. ასე მოხდა ავთო თბილისში. 151-ე საშუალო სკოლაში საუკეთესო და სამაგალითო მოსწავლე იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ, იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. სახელმწიფო უნივერსიტეტი წითელ დიპლომზე დაამთავრა. ბევრს არ მეცადინებოდა, უბრალოდ, ძალიან ნიჭიერი იყო. სხვა თუ ხუთ

ღოდო და ავთანდილ ჭარდიაშვილები შვილიშვილ ლევანთან ერთად



საათს ანდომებდა საგნის მომზადებას, ის ერთ საათში ისწავლიდა. ღრუბელივით ისრუტავდა ყველაფერს.

— სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მალე დაინყო მუშაობა?

— იმავე წელს, სტაჟიორად მიიღეს ვაკე-საბურთალოს პროკურატურაში. იქ მხოლოდ ცხრა თვე იმუშავა, მერე კი მითხრა: მამა, ეს საჩემო საქმე არ არის — მირჩევნია, სწავლა ასპირანტურაში გაეგრძელო. წარმატებით ჩააბარა გამოცდები. ლევან ალექსიძის ასპირანტი გახდა. ერთხელ, ავთო გაბრაზებული მოვიდა: მგონი, ჩემს ნაწერებს არ კითხულობს, არაფერს მისწორებს... ბატონ ლევანსაც გაანდო თავისი ეჭვი: ჯერ შენს ნაშრომში ისეთი რამ ვერ ვნახე, რომ შენიშვნა მომეცათ, — უპასუხა ლევან ალექსიძემ. აი, ასეთი ნიჭიერი შვილი მყავდა. აიკვირებოდა — კემბრიჯის უნივერსიტეტი უნდა დავამთავრო. არ მინდოდა, რომ წასულიყო. ვიცოდი — აქაც იოლად გაიკვლევდა გზას, მაგრამ არ დაიშალა. ასპირანტურის დამთავრებისთანავე, საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიწყო მუშაობა რიგით თანამშრომლად. ძალიან მოკლე პერიოდში კი ატაშე გახდა. კარგი მომავალი ექნებოდა, მაგრამ მან კემბრიჯში სწავლა არჩია. პარალელურად, მამუკა ხაზარაძესთან მუშაობდა მინისა და მინერალური წყლების კომპანიის იურიდიული სამსახურის უფროსად. ძალიან ხელფასი ჰქონდა. ცოლიც უცხოურ ფირმაში მუშაობდა. იცოდნენ, არაფერი გაუჭირდებოდათ, მაგრამ სწავლა უნდოდა.

— როდის წავიდა?

— 2000 წელს წავიდა, თანაც — თავის ნაგროვები ფულთი: ჩემს პატარა შვილ-

იშვილს ვფიცავ, იმის საშუალება არ მქონდა, რომ გამეგზავნა. ის კი ვუთხარი — თუ ასე გინდა კემბრიჯში სწავლა, სახლს გავყიდი-მეთქი. უარი მითხრა. დამოუკიდებლად შეძლო კემბრიჯთან დაკავშირება და რაღაც ტესტების პასუხები გააგზავნა და იქიდან მიწვევა მიიღო. შეიძლება, ასეთი ნიჭიერი ბავშვი ბევრია, მაგრამ მე შეამაყებოდა ჩემი შვილის ამბავი.

**ქალბატონი დოდო ზარდია-შვილი, ავთოს დედა:**

— ჩავიდა თუ არა, სამსახური მაშინვე დაახვედრეს. ხუთვარსკვლავიან სასტუმროში, საკონფერენციო დარბაზის უფროსად დანიშნეს. ერთ კვირაში დაგვირეკა: სწავლაც დავიწყე და მუშაობაცო. მერე ამერიკულ ტელეკომპანია CNN-ში (ლონდონის ოფისში) დაიწყო მუშაობა. დაცვის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი იყო და ძალიან მაღალი ხელფასი ჰქონდა. თუმცა, არანორმალურად შრომობდა. 3-4 საათი მიწვეს ძილიო, — გვეუბნებოდა. რვა საათი უნდა ემუშავა, მან კი 12 მოითხოვა, რადგან ღამის საათებში თუ იმუშავებდა, ორმაგ ხელფასს გადაუხდი-

ულ ფაკულტეტზე ნუ ჩააბარებინებთო... ნეტავ, მისთვის დაგვეჯერებინა...

**ბატონი ავთომ:**

— თბილისში საშუალო დონეზე ისწავლა ინგლისური. ჩემი რძალი ინგლისური ენის კარგი მცოდნეა. ასევეა მისი ძმაც, ლევან შანიძე, რომელიც ჰონკონგში, საინვესტიციო ბანკის ვიცე-პრეზიდენტი. ამ ბანკს ცენტრი ლონდონში აქვს. ცხადია, ინგლისური ენა ბრწყინვალედ იცის. ორივე — და-ძმა ალტაცებული დარჩა, ავთოს რომ მოუსმინა: ინგლისური ისე უსწავლია, ჩვენ „გადაგვიჯოკრა“, მკვიდრი ინგლისელივით ლაპარაკობსო, — მითხრეს.

**ქალბატონი დოდო:**

— ჩემი მეუღლე მაღალი დონის მომღერალია. ის „ჩაკრულოსა“ და „მრავალჟამიერის“ უბადლო შემსრულებელია. ავთოს მასზე ძლიერი ტემბრი და ყური ჰქონდა. ბრწყინვალედ უკრავდა. საოცრად მუსიკალური ბიჭი იყო. ენებსაც ალბათ, ამიტომ სწავლობდა ასე იოლად. ორი წელია, რაც შვილი არ გვინახავს. მან



მთელი ცხოვრება მეყოფაო.  
**ქალბატონი დოდო:**

— შარშან ცოლი ინგლისში წაიყვანა, წელს კი — საფრანგეთში. სამი კვირა ერთად გაატარეს პარიზში. ნინოს ვიდუკამერა გაატანე: კიდევ ერთი წელი არ ჩამოვა და მისი ყველა გალიმება დააფიქსირე-მეთქი. სამსაათიანი კასეტა ჩამოიტანა. გული ვერ უძლებს იმის ცქერას, როგორ დადის ჩემი ტანადი შვილი ლუკრის მუხუშში... მაღალი იყო ავთო, 1,9 მეტრი. ნინომ მითხრა — საოცარი დღეები მაჩუქა; სასადილოდ რომ დავსხდებოდი, მე ვჭამდი, ის კი იდაყვებით მაგიდას დაეყრდნობოდა და მიყურებდაო... 27 სექტემბერს დაემშვიდობა ნინოს. რა მოხდა ექვს დღეში ისეთი, რომ შვილი აღარ მყავს?!

**რამდენი წლის იყო ავთო?**

— 12 ოქტომბერს 30 წლის უნდა გამხდარიყო, 9 დღე დააკლდა, ჩვენ მისი დაკრძალვა კი არ გვქონდა — დაბადების დღე გადავუნადეთ... მისგან დაგვრჩა პატარა ლევანი, რომელიც მამამისის ასლია.

**ბატონი ავთომ:**

— ერთი თვის წინ გათხოვდა ჩემი გოგო და ქმართან ერთად საქორწინო მოგზაურობაში წავიდა. მაშინ გავიგეთ ავთოს გაუჩინარების ამბავი. არ ვიცოდი, როგორ უნდა მეთქვა ეს ახალგათხოვილი გოგოსთვის. ქორწილისთვის ვემზადებოდი, მაგრამ შვილის დაკრძალვა მოგვიხდა...  
**ქალბატონი დოდო:**

— სასწორის ერთ პინაზე ღმერთმა ქალიშვილის ბედნიერება დამიღო, მეორეზე კი — ვაჟიშვილის უბედურება. აბა, როგორ გავაწონასწორო?! მამა ზენონმა (ავთოს მოძღვარმა) მითხრა: ამაზე დიდი განსაცდელი, შენ, მიწიერ ცხოვრებაში აღარ გექნებოა.

**კონფლიქტური პიროვნება ხომ არ იყო ავთო?**

— არა. უამრავ ადამიანს შეაყვარა თავი გურჯაანიდან ჩამოსულმა ბიჭმა.

**სასწორის ერთ პინაზე ღმერთმა ქალიშვილის ბედნიერება დამიღო, მეორეზე კი — ვაჟიშვილის უბედურება. აბა, როგორ გავაწონასწორო?!**

ნენ. საკმაოდ სოლიდურ თანხას იხდიდა: სწავლის საფასური ყოველწლიურად 8.000 გირვანქა სტერლინგი იყო, ამიტომ ფული სჭირდებოდა; ბინის ქირაც ხომ უნდა გადაეხადა. თანაც კარგად ჩაცმა უყვარდა. ნინომ — მისმა მეუღლემ გადმოსვენებისას ორი ჩემოდანი ჩამოიტანა. მათში სულ იურიდიული ლიტერატურა ეწყო. ეს წიგნები იქ ძვირი ღირს. ასევე — ორი დიდი ჩანთა ტანსაცმელი. ზოგი მათგანი ჩანაცვამიც კი არ ჰქონდა. ბავშვს ყოველთვის კარგ და ხარისხიან ტანსაცმელს უგზავნიდა.

**ავთომ ალბათ, კარგად იცოდა ენები?**

— ფრანგული, რუსული და ინგლისური ენები ბრწყინვალედ იცოდა. მისაღებ გამოცდებს რომ აბარებდა სახელმწიფო უნივერსიტეტში, ვიფიქრე — კახეთიდან არის ჩამოსული, სჯობს, რუსულში ვამეცადინო-მეთქი, — და ქალბატონ ნუნუ ებანიძესთან მივიყვანე. სულ ცოტა ხანში, მან გვირჩია: ეს ბავშვი ლინგვისტიკის ნიჭითაა დაჯილდოებული, იურიდი-

ერთი წლისა დატოვა თავისი შვილი — ლევანი. ის ახლა სამწლიანხვერისაა. მაგისტრატურა რომ დაამთავრა, დოქტორანტურასაც დავამთავრებო, — შემოგვითვალა. მერე კი სულ ერთად ვიქნებითო...

**ცოლი როდის შეირთო ავთომ?**

**ბატონი ავთომ:**

— მაშინ ოცდახუთი წლის იყო. გავგიჟილია: ნინო მიყვარს და უნდა მოვიყვანო. უცნაური ბიჭი იყო, ჩვენ ვერ ვუგებდით. გურჯაანში ჩამოიყვანა საცოლვე თავისი მშობლებით, ჩვენთვის უნდა, გაეცნო. როგორც კი შემოვიდნენ, ავთომ დაქოქა მანქანა და გვითხრა: ჯერ ნინოს ჩემი ბებოს და პაპის საფლავი უნდა ვაჩვენო, მათ უნდა ვუთხრა, რომ დავოჯახდით... ნინოს და ავთოს ერთმანეთი ისე უყვარდათ, არ შეიძლებოდა, მათი სიყვარული ასე დამთავრებულიყო. არავის ერიდებოდნენ, ერთმანეთს ისე ეფერებოდნენ ხოლმე. ამ უბედურების დღეებში ჩემმა რძალმა თქვა: ხუთი წელი ისეთი უბედნიერესი ქალი ვიყავი, რომ ეს

მას უამრავი ხალხი დასტიროდა. კონფლიქტური პიროვნება ამას შეძლებდა?

— მაშ, რა მოხდა 3 ოქტომბერს?

— მას, ალბათ ჩაცმულობის გამო, გაძარცვის მიზნით, ვილაც ზანგი დაესხა თავს. ეს მოხდა 3 ოქტომბერს... მერე ზანგები დაედევნენ ავთოს. ეტყობა, ვერ მოახერხა დამალვა და მომიკლეს შვილი — სხვა ჩვენ არაფერი ვიცით. საქმე აღძრულია, ძიებაც დაიწყო.

**ბატონი ავთო:**

— ცოლთან სულ ჰქონდა კავშირი. დღეში ათჯერ მაინც საუბრობდნენ ტელეფონით. ჩემი რძალი „იუ-ეს-აი-დი“-ში (აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო. — ავტ.) მუშაობს. იქიდან საზღვარგარეთ დარეკვა პრობლემა არ არის. ხუთშაბათიდან, 3 ოქტომბრიდან, ავთოსთან კავშირი გაგვიწყდა. სამსახურმა ნინოს სასწრაფოდ მივლინება გაუფორმა და ის შაბათს ჩაფრინდა ლონდონში. იქიდან კი დაგვირეკა: რა კენა, აღარ ვიცი, ვერსად ვიპოვეო. ავთოს ოთახში ყველაფერი წესრიგში იყო. უპირფასეო კომპიუტერი ჰქონდა — ისიც თავის ადგილზე დახვდა და სხვა ნივთებიც.

— ინგლისში მეგობრები თუ ჰყავდა ავთოს?

— რა თქმა უნდა. მთელ ქალაქში ებებდნენ. აქედან წასულია გიგინეიშვილები — ის ოჯახი. მათ მთელი ქალაქი მოიარეს, მაგრამ ვერსად ნახეს. მე, ჩემი მეგობრების წყალობით დაფუკავშირდი საქართველოს საელჩოს. ბატონი კოტე სურგულაძე დაძვინდარა. დაიწყო ძებნა, რომელიც ხუთ დღეს გაგრძელდა. ბოლოს, ნინომ მორგში მიაგნო თავის ქმარს და

ამოიციო...

**ქალბატონი დოდო:**

— ნინომ იქ ნამდვილი საშინელება ნახა. მარტო იყო ლონდონში. პატარა გოგო, დადიოდა მორგებში და ებებდა ქმარს. ამან ძალიან დათრგუნა. 48 კილოგრამილა დარჩა. ნინომ ჩააცვა და ჩააწვინა ჩასასვენებელში. უფალს ვენაცვალე, რომ ღმერთმა ინება და ავთო ქართულ მიწაში განისვენებს. ჩემი ორი წლის უნახავი შვილის ძვლები ნინოს წყალობით დამიბრუნდა... აქედან რომ წავიდა ავთო, მისმა პატარა ლევანმა ლაპარაკიც არ იცოდა. ბოლოს კი, მამამისს ტელეფონში უმღეროდა ხოლმე: პატარა ბიჭი დამეკარგა წითელპერანგაო...

**ბატონი ავთო:**

— მოითმინო ჰკვიანმა ბავშვებმა, ნუ გარბიან საზღვარგარეთ. იმ საღამოს, როცა ჩემი შვილი ჩამოასვენეს, ხუთი ნეშტი ჩამოასვენეს საქართველოში. მხოლოდ ერთ დღეს, სხვადასხვა რეისით ხუთი მკვდარი შვილი დაუბრუნდა საქართველოს. აეროპორტის ერთმა თანამშრომელმა შემოგვჩივლა: დღე არ გავა, ვინმე არ ჩამოასვენონო.

— ისევ ავთოს დაღუპვის ამბავს დავუბრუნდეთ. თქვენ როგორ შეიტყვეთ, რომ მას რაღაც უბედურება შეემთხვა?

— ცოლს დაურეკა და უთხრა: ინციდენტი მომიხდა, მდევნიან და ვიძლებიო. ალბათ, შეეშინდა და პოლიციას არ მიმართა. იფიქრა, დამიჭერენო. შეიძლება, მას ის ზანგი შემოაკვდა. ღამის 11 საათზე დაესხნენ თავს ავთოს. ცოლს უთხრა: მას რაღაც იარაღი ჰქონდა, წავართვი და ჩხუბისას, მგონი, საძილე არტერია გადავუჭერიო. ავთომ არ იცოდა, მოკლა თუ

არა. ის ფართხალებდა, მე რომ გამოვიქეცი; ის ზანგი ჩემთან რომ მოვიდა, სამნი შორიასლოს იდგნენ და მითვალთვალებდნენ, ახლა მეძებნენ... სხვა არაფერი ვიცით. ახლა მისი ცოლისძმა მიფრინავს ლონდონში: მიწაში ჩავეძვრები და მაინც გავარკვევ, რატომ მოკლეს ავთო, — გვითხრა. აღარ ვიცით, რა ვიფიქროთ. არ ვიცით, რა მოხდა სინამდვილეში. ავთო ფიზიკურად ძლიერი ბიჭი იყო. CNN-ში მუშაობას რომ იწყებდა, ერთ-ერთი ტესტის თანახმად, მას სამი კაცი უნდა გაეღალა. ტელეფონით გვითხრა: სამი ზანგი ვცემეო. შეიძლება, ერთ-ერთმა გულში წყენა ჩაიდო და შემდეგ თავს დაესხა... კარგი ხელფასი ჰქონდა. იქაურებმა უჩივეს: უცხო ქვეყნის მოქალაქე ასეთ სამსახურში რატომ უნდა მუშაობდეს?! შეიძლება, ფულის წართმევის მიზნით აუღებენა ვინმე.

— საერთოდ, როგორ ურთიერთობა ჰქონდა ზანგებთან? ქალბატონი დოდო:

— CNN-ში ავთოს ცვლაში ერთი ზანგი მუშაობდა, რომელსაც მულატი ცოლი ჰყავდა. მათ შვილი შეეძინათ. ზანდაზან ბავშვი ჩანთით მიჰყავდათ სამსახურში. ავთოს ხშირად უთქვამს ასეთი რამ: ისე მიყვარს ეს ბავშვი, მე ვძალავ ხოლმე, რომ უფროსობიდან ვინმემ არ ნახოსო... იმ ზანგმა რომ გაიგო ავთოს უბედურების ამბავი, ტირილა თურმე: ძმა მომიკლესო.


**ბატონი ავთო:**

— ვინც გინდა დასაჯონ, მე იქ ჩამსვლელი არა ვარ. ჩემი ქართულით იქ ვის რა უნდა გავაგებინო?! თუ იქაურმა სამართალმა რაიმეს მიაგნო, ხომ კარგი, თუ არა და, ვის ვუჩივლო, რას ვუჩივლო?! ქალბატონი დოდო:

— ვინც გინდა დასაჯონ, ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. ჩემთვის მთავარი ის არის, რომ ჩემი შვილი საბურთალოს პანთეონში წვეს. შვილი, რომელიც ათ თვეში უნდა ჩამომსვლოდა საერთაშორისო სამართლის დოქტორის წოდებით...

— ძალადობის ნიშნები თუ ეტყობოდა?

— არ ვიცით. ჩვენ ნეშტი არ გვინახავს. ისეთი ჩასასვენებელი ჩამოასვენეს, რომ ვერ გავხსენით. ნინომ კი გვითხრა — თავის არეში ბლაგვი საგნით მიყენებული ჭრილობები და სისხლჩაქცევები ჰქონდაო... ერთი რამ უნდა ვთქვა: ავთო ისეთი მორწმუნე და რელიგიური იყო, რომ თუ ვინმეს მოკლავდა, ვეღარ იცოცხლებდა: ამას საკუთარ თავს ვერ აპატიებდა. მკვლელის სახელით ვერ ივლიდა...



მაია კახიძე

— ბატონო გიზო, ძალიან მაინტერესებს, რატომ არ გსურთ მესამე ნიგნის დაბეჭდვა?

— შენ თუ ვინღა, გაჩვენებ, მაგრამ ეს ნაწერები, სანამ ცოცხალი ვარ, ჩემთან ერთად იქნება და ჩემი სიკვდილის მერეც არ გამოსცემენ ჩემი ოჯახის წევრები. ჰო, ჩემს ნატვრის ხესთან დავხეტილობ — ამ ხეტიალში ოხერეტილობ... სანამ შემეძლო — არც ვწერდი...

— არ მომწონს თქვენი მელანქოლია...

— ბავშვობაში ფლეგმატიკოსი ვიყავი, სიჭაბუკეში — სანგვინიკი, მოგვიანებით ქოლერიკი და რა ვქნა, ახლა — მელანქოლიკი ვარ...

— მოდით, თბილისზე და თბილისელებზე ვილაპარაკოთ და თქვენი ვეებერთელა სიყვარული აუცილებლად დაჯანს თქვენს მელანქოლიას...

— თბილისი არაფერს დავიკარგავს, არც ცუდკაცობას და არც — კარგკაცობას. მერე რა სიცილი ვიციოდი! ახლა? კაცი კაცს არ ჰგავს და სიცილს არ ჰგავს სიცილი... დღეს ისეთი დროა, გაცინება ცოტა უხერხულობაში ჩაგაყენებს ადამიანს. ერთხელ სარკეში მოკვარი გიზოს სიცილს თვალი და მივხვდი — დამიმხინჯდა, ვერ ვიციანი. ეს, ალბათ, დღევანდელი მდგომარეობის ფიზიონომიაა. ადრე მოწყენილი კაცი რომ მინახავს ქუჩაში, გამოვიღებოდი, რომ გამეჩხიარულებინა. ახლა?! ახლა რომელ ერთს გამოვეკიდო?! ჩვენ გატანა ვიციოდით ღვიძლით ძმობის ტოლი მეგობრობით, სიყვარულით, უბრალოდ, კარგი ბიჭობით. დღეს ერთმანეთის ვინაზე კარგად ყოფნის უბედურება გვჭირს. სიმღერით და სიცილით „შეწუხებული“ ქალაქი გინახავთ? ასეთი იყო ერთ დროს თბილისი და რაც ერთი ხელით წავშალეთ, მეორეთი ვეღარ აღგვიდგენია.

— თქვენ „თბილისოლოგი“ შეგარქვეს...

— თბილისელობის გამოცნობის ერთი მეთოდი შევიმუშავე: კაცს მაჯაზე მოჰკიდებ ხელი და თბილისი უხსენებ. თუ გულისცემა აუჩქარდა, თბილისელია. თბილისში ყველას თავისი ფუნქცია და თავისი მორალური ისტორია ჰქონდა. თბილისის ხასიათი ჰქონდა — მტერს შემურდებოდა. რუსთაველზე წინა თაობის ბიჭები ჩხუბის უფლებას არ გვაძლევდნენ, რადგან ეს მეგობრობის და სიყვარულის ქუჩა იყო. ვერის უბნელები, საოცარი ბიჭები, შორიდან, ჩვენი დროიდან, კიდევ უფრო ლამაზად და ღონივრად ჩანან, რადგან აწმყო უღმობელი. „დმერთმა შენ მოგცეს, რომ მე მქონდესო“, ამ ღვეზით ცეცხოვრობდით თბილისელები. არსად ისე არ თენდებოდა, როგორც თბილისში, მისი დილის მადლმა. ყოველი დღე უბრალოდ დღე კი არა —

პაემანზე მივიჩქარი ბატონ გიზოსთან. გიზო ნიშნინიძე არაჩვეულებრივი მოსაუბრეა, თან რამდენი საინტერესო ამბავი იცის? თბილისელობა უფლება არ არის — მოვალეობააო, მითხრა. საოცარია, იურისტმა გიზო ნიშნინიძემ მხოლოდ ექვსი თვე იმუშავა სპეციალობით, თანაც 53 წლისამ დაინყო ლექსების წერა. პირველი ნიგნი — „პაემანი ვერაზე“ 1991 წელს გამოსცა, მეორე კი... გეფიცებით, არასოდეს მინახავს ასეთი სქელკანიან-სქელტანიანი ნიგნი თბილისზე, სიყვარულზე, კაცურკაცობაზე და მოგონებათა სევდაზე, ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ: მესამე ნიგნიც აქვს ბატონ გიზოს, რომლის შესახებ არავინ იცის, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჯერ არ დასტამბულა და მისი ფურცლები, ალბათ, ვერასოდეს იხილავს დღის სინათლეს, რამეთუ გიზო ნიშნინიძემ გადაწყვიტა — არ გამოსცეს და საერთოდ, საუბრის ხალისიც აღარ აქვს, — არ მინდა ვინმეს თავი მოვაბეზროო, — მითხრა.



„თბილისოლოგი“ გიზო ნიშნინიძესთან ანუ რატომ ავუხადლდუს... ქუჩის დღნეუღე

დღესასწაული იყო. თვითონ ქალაქი იყო თუატრი, სადაც ყველა თავის როლს ასრულებდა, ყოველდღე ახალი სპექტაკლი იდგებოდა, რომელიც არასოდეს მეორდებოდა. ეგნატე ფიფია, „მალვა ნუცუბიძე, ალექსანდრე ფრანგიშვილი რომ გამოივილიდნენ რუსთაველზე, ისეთ საღამოს მოეცემდნენ, უნებურად თავს იწესრიგებდი. ეს ყველაფერი გეზრდიდა. ქუჩას პატრონი ჰყავდა. ახლა ბატონი ჰყავს, პატრონი — არა... ოსი მილიციონერი იყო — კოსტა, ის გახლდათ ჩვენი სიყმაწვილის, ჩვენი დღეისა და ხვალის დარავი. ყასიდად გვიბრიალებდა თვალებს, თორემ კეთილი კაცი იყო. ჩემი და კოსტას პირველი გაცნობა ქუჩაში შედგა, ტრამვაის შეგახტი, მაგრამ ყურით „ჩამომიღო“ უკანა ბაქნიდან, კანფეტი მომცა — მეორედ აღარა ქნაო. ის კოსტა იდგა სიკეთის პოსტად, ის კოსტა იყო ჩვენი ზედამხედველი, ქვედამხედველიც, ახლომხედველიც და შორისმხედველიც...

— აშულები და ყარაჩოხელებიც გახსოვთ?

— ზემეღელი ჩოლახა და ტრუბკა მინდა გავისხნო. ტრუბკა სულ „ტრუბკას“ აბოლებდა, ჩოლახა იხვევდა ჩოხებს. ჩოლახას თარფით ხილი დაჰქონდა. ტრუბკა თავის საჩხუბარს და ყველას საჩხუბარს ჩოლახას აჩხ-

უბებდა. ჯერ გააგიუბდა, იშტაზე მოიყვანდა, მერე კი აჩუბებდა. მათი „ოქროს თევზი“ — შამია ქობულაშვილი იყო, მესამე გიფუა — სულ ნერვებაშლილი, სულ „ჭკვაზე შემლილი“ და სულ ხელგამლილი, უბნის ხელოსანი და ქუჩის მელოსანი, ძველი თბილისის აშუღა დასტის წარმომადგენელი, ძველი ვერის ეშხით გამოუფხინზლებელი მიჯრალი ტრუბალური. რამდენჯერ ღანძლით აგვასა ორივე ყური!.. მაშინ მრავალსართულიანი შენობები არ იდგა და მაინც „ცხრასართულიან“ გინებას გვასწავლიდა (ყოველი შემთხვევისთვის). თბილისის ხმამაღალი ლექსების მადლი არ აკლდა. თბილისურ ქუჩურ პოეზიას თავისი ისტორია აქვს. თბილისელი აშუღების ჩამჩი-მელქოს, ქჩიქოვას, საათნოვას მერე, მოვიდნენ გივიშვილი, სკანდარნოვა, ჰაზირა, ბეჩარა...

— თბილისში ცნობილი დალაქ ვინ იყო?

— სველიელ დალაქს ჩვენთან რა უნდოდა, ზემეღელი ფინსულა იყო, „ბოქისის“, „პოლუბოქისის“, „აიუკისის“, „ქერთულისის“, „მასტერი“. „ინფორბიურო“ გახლდათ ფინსულას სადალაქო, იმან ჩამოგვპარსა ღინდლი და ამოგვიბინა წვერი.

— მქუღე?



თბილისის სიხარულის სახლს ეძახდნენ. ეს იყო დიდი სანადიმო სუფრა, სადაც ყველას იწვევდნენ, ვინც კარგი კაცი იყო (გაიომ კაკაბაძესთან და ომან ომანიძესთან ერთად)

— ისაკა მექუღემ მთელ თბილისს დაახურა ქულები, არათბილისელებს ქულებს არ უკერავდა. „მონობლისტი“ იყო ისაკ მორღეხი — ქულების მონობლია ეყრა, დედამწის ზურგზე არ მოიპოვებოდა ისეთი „კეპკა“, როგორც თბილისური იყო. თბილისის ნამუსის ქულებს მოხდა არ უნდოდა — სუვევლგან გადიოდა. იყო დრო, როცა თბილისში კაცი ქულებს იცნობდა, ქულებს კაცით და ქულებზე კაცს რომ ეძახდნენ, მთელი ქვეყანა ფეხზე დგებოდა! ნეტავ იმ დროს!

**— ბატონო გიზო, ცოცხალი გალაკტიონი თუ გინახავთ?**

— ომის შემდეგ ძველი ფილარმონიის ბაღში („გოფილექტში“) „მარტოობის ორღენის კავალერს“ — გალაკტიონ ტაბიძეს, ლიტერატურული საღამო მოუწყვეს. ახლა პოეზიის მეფეს ბევრი იფონებს, მე მას ვერ ვკადრებ მოგონილ და შეთხზულ სტრიქონებს. პრეზიდენტში თავის ადგილს ვერ პოულობდა, ლექსს ვერ ამბობდა, თუმცა, მისი ლუმილიც ქუხდა... ძალიან მძიბე, უხერხული სირუბე იდგა. საღამომ შავად გააზმორა, ჩაშლაზე მიდგა... გალაკტიონი იყო საშინლად ფხიზელი და — ბავშვებით სუფთა... რატომღაც გალაკტიონის მემორიალი ფიქრობენ, რომ საღამო ჩაშალა, მაგრამ მე ვარ მოწმე, ჩემი თვალით ვნახე — ხალხი არ აიშალა, წამოდგა ფეხზე და ლექსმა ფრთა გაშალა...

**— ნიამ დიასამიძეზე მიაბნეო, თბილისის პატიება რომ სთხოვა...**

— კაცთან კი არა, ხესთანაც ნახავდა ნიამა საერთო ენას. თუ რამე დააკლო, თავის თავს დააკლო... წლისთავზე ერთმა ხისტვიანამ ბრძანა: ნიამმა შეაწუხაო ქალაქი — სახეში გვესროლა ტალახი. მის სიტყვას — სიტყვა შეგავებე: ნიამი თბილისის ისე უხდებოდა, როგორც ნიამი დილის... ის არ ავიწყდება თბილისის. ნიამს ყველა უყვარდა, ერთი — განსაკუთრებით. ერთხელ ამ გოგოს დაბადების დღეზე თბილისში მოსული პირველი თოვლის ფიფქი მიუტანა. მორე და-

ბადების დღეზე კი, გულის სწორს თვითონ გალაკტიონი მიჰგვარა, რომელიც ჭაბუკის გულისთქმას ანაზად აჰყვა. ასე მხოლოდ მას — გალაკტიონს შეეძლო ექნა. ნიამს თავისი სიმდიდრე ფეხებზე ეკიდა, მიტომ გაიხარა ჰაიპარად, ვიბეებამოტრიალბუელი წავიდა ქვეყნიდან, ჩვენი განარებით გაიხარა, ჩვენ კი... რაც შეგვეძლო, ვეცადეთ, რომ დაეცა... მაგრამ მის თბილისს მისთვის აღარ ეცალა. ძველია თბილისში პირველობა, მგობნის მგობნს თბილისში რა დაღვეს, მორეობა — არ შეეძლო ნიამა სხვა ძარღვიანი იყო, თან დრუბლიანი და თან მზიანი... გედის სიმღერა იმღერა — „ცოდვა თუ მაქვს ჩადენილი რამე, მომიტვეოს ჩემს თბილისმა!“... „იმხელა ბოდიში იხადა, იმხელა, რამხელაც თბილისთან შეეძლო გამხელა...“ „ნიამი“ სახელად „სანატრელს“ რქმევია, არც ახდა და კიდევ ახდა!.. „სკაპუნის იონები“ ნიამს ონებთან სასწენებლად არ ღირს. ერთხელ ზოჭო დაიჭირა, გამოაბა კოჭა-ძაფი და მასთან გაატარა კვირა. სუფრა გაუშალა — შენს მოსვლას გაუმარჯოსო, — მერე გაუშვა და კვლავ დღენით დალოცა: შენი წასვლისა იფოსო... იზამდა — მსგავსს სხვა ვერ იზამდა, იცვამდა — სხვის წესს არ იცავდა, დაღვედა — ზეცას ახედავდა, იტყოდა — ქვასაც განეთქავდა. ვერავინ იტყოდა ნიამზე უკეთესად, ვერავინ დაუკრავდა როიალზე, ვერავინ ფიქრსაც ვერ გაბედავდა უფრო მოხდენილსა და შნოიანზე. თბილისის ვერაფრით გააკვირვებ. ასე მოქცევა კი შეეძლო მხოლოდ მას, ნიამს — სულნაღვლიანს, შუქმუბლიანს...

**— ბატონო გიზო, ავთო ვარაზზე გამიგია, ნიკალას ასლი იყო...**

— ავთო არასოდეს ყოფილა კინომსხიობი, მიუხედავად იმისა, რომ ეკრანზე ფიროსმანად მოვიდა. ავთო პირად როლსაც კი მორცხვად ასრულებდა, მაგრამ ვერ თამაშობდა, საკუთარ თავსაც კი დაეძებდა ხალხში. მან ასეთი პასუხი დატოვა: მსახიობი ფიროსმანს ითამაშებს, მე ნიკალა მინდა

გავაცოცხლო... და მართლაც, ეს იყო ნიკალას მორედ მოსვლა, ოღონდ მას უკვე ვარაზი ერქვა და განსხვავება მხოლოდ დროში იყო. ისიც ამ ქალაქში დადიოდა — ესეც, ისიც ხატავდა (და მერე როგორ!) და ესეც (და მერე როგორ!)... ვარაზის ნატურმორტები მასავით მოწყენილები არიან, მისი პორტრეტები — მასავით ჩაფიქრებულნი... არასოდეს უძებნია, ვინ დაეხატა. ხატავდა მათ, ვინც უყვარდა — მეგობრებს, ახლობლებს, ძმაცკებს. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელი პრეზიდენტი მსტისლავ კელდიში განცვიფრდა ავთოს ნამუშევრებით, — ეს ახალგაზრდა, სახელმწიფო პრემიაზე წარმოადგინეთო — და მაშინვე გაჩნდნენ კრახანები: სვამსო... ჭამსო — არ უთქვამთ. მე მშვიდობის მადიებელი ვარ და არა დიდებისაო, — სველიანად გაიღიმა ავთო ვარაზმა მომხდარზე.

**— რა უფრო ფასდებოდა „იმ“ თბილისში — კაცობა თუ მუშტიკრივი?**

— ფასდებოდა გულკეთილობა, ზნეკეთილობა, მუშტიკრივი და გაჭირვების გაძლევის უნარი. ჩვენს დროს, რაზედაც უნდა ატენილიყო ჩხუბი, აუცილებლად კაცურად გვარდებოდა და არავითარ შემთხვევაში — დანით და იარაღით. თბილისელობა დიდი ტვირთია, ქართველობა — კიდევ უფრო მეტი, რამეთუ საქართველოში მხარ-თუძოზე წამოსწოლი ადგილი აღარ არის. ჩვენმა ბიჭობამ ათას ჭირსა და ღვინაში გამოიარა, ათას ჩიხში, ათას მიხვეულ-მოხვეულში, მაგრამ ჩიხში არ მოქცეულა და გზა არ გამრუდებია. დაიჯერებთ — გოგი ცაბაძეს, ცალფენა კაცს, 300 არაგველივით რომ დატოვა 300 სიმღერა თბილისზე, 14 წლამდე, როიალი თვალით არ ენახა და პიანინოზე თითი არ ჰქონდა დაკარებული? არადა, რა იქნებოდა თბილისი ამ სიმღერების გარეშე?! იცით, გოგი ცაბაძის კომპოზიტორობა რით დაიწყო? 14 წლის ბიჭს „კიროჩინზე“ ტრამეამი ფეხი გადაუჭრა. ქალაქის ტრანსპორტის შესვეურებამ საავადმყოფოში მოინახულეს და ჰკითხეს — რით აგინახდაურთ ზარალი? მან გაუბედავად თქვა: თუ შეიძლება, პიანინო მიყიდეთო, — თორემ, ვინ მიგასუნინებდა ინსტრუმენტთან?! მერე, ადგა და ქალაქისაგან მიღებული სიმწარე სიტკბოდ დაუბრუნა ქალაქს... უნა ჯავარბიძემ თავისი სახლ-კარი ფიქრის გორაზე და მთელი ავლადიდება დედაქალაქს უანდერძა... დიდი აბამიძე დიდი ბავშვი იყო, ბრძენი და ებიკურელი, უსამყლო ღონითა და ჩვილი გულით, კეთილმოწყაღე საწყლისა და უმოწყალო არმესაწყლის. ფილმ „თეთრი ქარაზის“ შემდეგ, მსახიობი კაცი „წყალწაღებულის გადარჩენისთვის“ დაავილოდეს მედლით. მისის წყალდიდობით გადარეულ მტკვარში ვერის ხიდიდან გადაეშვა ვერის არწივი და მისთვის სრულიად ჩვეული საქმე ქმნა — აღამიანი გადარჩინა,



რუსმა ჟურნალისტმა ჰკითხა: ეს ხომ სიკვდილის ტოლფასი იყო? — სამაგიეროდ, ფასი ჰქონდა სიცოცხლესა, — უპასუხა დოდომ. დოდო აბაშიძე თბილისელი ბიჭების კერპი იყო, მისი ნათქვამი, ნამოქმედარი, არა ანცობად — ბიჭობაშივე იქცა კაცობად... ბედნიერი ვარ, რომ ასეთ თბილისში ვიცხოვრე, მაშინ თბილისის ფასიც იცოდნენ და ერთმანეთისაც. თბილისის სისარულის სახლს ეძახდნენ. ეს იყო დიდი სანადიმო სუფრა, სადაც ყველას იწვევდნენ, ვინც კარგი კაცი იყო, მიუხედავად ეროვნებისა და რჯულისა.

— **დასანანია, რომ სულ წარსულ დროში საუბრობთ.**

— დღევანდელი დედაქალაქიდან მხოლოდ მისამართიღა დარჩა — თბილისი. ასე იმიტომ ვსაუბრობ, რომ მაშინ ერთმანეთის ჭირისუფლები ვიყავით! ქალაქში ჩემოდანს არ დადგამდა უადგილოდ კაცი... ერთი ძმაკაცი მოგვიკვდა, მამამისმა გვთხოვა — ჩემი შვილი სიმღერით გააცივლიყო. როგორი საქმე იყო, ძმაკაცის დაკრძალვაზე სიმღერა, მაგრამ... აი, ასე ვცხოვრობდით, ასე გვიყვარდა ერთმანეთი. ვერ წარმოიდგენთ, როგორ თენდებოდა თბილისში... ახლაც თენდება, მაგრამ — კალენდარულად... თბილისში გათენდებოდა თუ არა, გაიღებოდა ფანჯრები. დილიდანვე გაიგონებდით პიანინოს, ვიტარის ხმას. ღამის 12 საათზე გამოვდიოდით ქუჩებში — უბრალოდ, ერთმანეთს რომ მივსალმებოდით. ზემელზე მინაწერებთ სავსე ტელეფონ-ავტომატი იდა. ერთი წარწერას გავისწერებ სამაგალითოდ: „მუხურის შემთხვევაში დარეკეთ ჩემთან“ — ამას რეზო ფალავა წერდა და ქვეშ მისი ტელეფონი იყო მიწერილი. ხშირად ისმის დღევანდელ თბილისში — ქუჩის ღონეზე არ უნდა დავუშვათო. მართალია. აი, მაშინდელი ქუჩის ღონემდე კი — უნდა ავამაღლებო!

— **რომელ „თბილისობას“ მოგანოჭეს საპატიო თბილისელის ნოდებზე?**

— გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, არ


ვარ საპატიო თბილისელი.

— **მინც ვინ მიგაჩნიათ პირველ თბილისელად?**

— ხოხობი, რომელიც გორგასალმა მოკლა. ისტორიას კოსმეტიკა არ სჭირდება, სიმართლეა მისი ფერ-უშარილი. ვერისხვეის, ჩვენი უბნის „ხვეისბერი“ — შოთა დედაბერიშვილი, თბილისზე იყო შეშლილი. შოთა არაგვისპირელის შვილი — ქუჩის მტოსანი, გიჟივით მართალი და მართალივით გიჟი, უშვილო, უძირო, კენტი — „ობლების პრეზიდენტი“. ერთხელ ეს წერას ატანხილი, ტვინით გატენილი კაცი, ქალაქის ავტობუსის მაგივრად საქალაქთაშორისო „მარშრუტში“ ჩაჯდა, ჩაეძინა და ვერის მაგივრად, ბორჩალოში ამოყო თავი. იმავე ავტობუსით დაბრუნდა დედაქალაქში და დიდი ხნით მონატრებულივით ლექსად მოუხადა ბოდიში: **Здравствуйте, мои тбилиские тротуары, пишите свои тротуарные мемуары...** სწორედ თბილისის სიყვარულმა მიკარნახა: რა იქნება, რომ ჩვენს დღეებსაც აუგოთ ბეგლი? აბა, წარმოიდგინეთ, რუსთაველის მეტროდან კაფემდე არსებულ რესტავრირებულ კედელთან ვგუფუური სკულპტურული კომპოზიცია — „თბილისელი ბიჭები“! რაბივ დაამშვენებდა იგი წარსულის მოგონებასაც და აწმყოსაც! სადაც მივედი, ერთსულოვანი მოწონება და მხარდაჭერა დამხვდა. თითქმის არავინ დამიტოვებია, ვისაც ამ საქმის აკარგი ეკითხებოდა. ექსპოზიციაც შეიქმნა, თუმცადა...

— **თქვენ იმ ადგილზე მეუბნებით, სადაც უკვე სავაჭრო პავილიონებია ჩამწკრივებული? გასაგებია, თქვენი ნუხილი. იქნებ, მინც მოხერხდეს სკულპტურის დადგმა?**

— გაზაფხულზე 75 წლისა გავხდები, ჰოდა ცვლილობა, თავი დავიმშვიდო. შეუძლებელია, ოდესმე მინც არ განხორციელდეს ეს პროექტი. თბილისელი ბიჭები ხომ ცოცხლად იდგნენ აქ და ქალაქს ემსხმებოდნენ,



პატრონობდნენ... ვინ იცოდა მაშინ, რა ელოდა დღეს „სისარულის სახლს“? ვინ იცის დღეს, რა ელის ხვალ ამ სვედიან ქალაქს? თბილისის რაც ჰქონდა, ყველაფერი მოგვცა. ჩვენ ავიღეთ და სახლში წავიღეთ... ახლა კი ყველაფერი ისევ უკან გვაქვს დასაბრუნებელი. ჩემს ანდერძში ბევრი რამ წერია, მთავარია — გამეგნება გაიგოს!..

— **კარგი, ერთი, ბატონო გიზო, ანდერძი დაწერეთ?**

— ჰო, კარგა ხნის წინ დავწერე.

— **თუ საიდუმლო არ არის, მითხარით, ანდერძში რა წერია?**

— მოდი, ჩვენი დროებით განშორების, თბილისისა და თბილისელების სიყვარულის სადღეგრძელოს გეტყვი, ოღონდ — ანდერძიდან:

„... შეილებო, გაბარებთ სატახტო ქალაქს, ამ სულიწმინდას — ქართულის დედის ღვიძლ დედაალაგს... გვარავნეთ ზეცა და თავს გადგეთ მზეცა, რომ ვერა ისევე დაფაროთ თქვენცა. რომ მუდამ ცხვებოდეს კვერი, კვერვა არ მოაკლდეს მახვილს, რომ მუდამ სარობდეს ვერა, ისმენდეს ამ გენის ძახილს! რომ ამ შეძახილზე ოროლოს — ხმაღ-ხანჯალ-თოფს გააჟრჟოლოს, რომ სისხლი ამბოხდეს ძარღვში, რომ სული ამოხდეს ბოროტს... გაბარებთ ამ მზეთუნახავს...“

ჩემო „თბილისო“! ჩემო „თბილისელებო“! ძველნო და ახალნო, წასულნო და მოსულნო, ვაღმოსდილნო და ვაღმოსახელნო, სანამ პირში სული გვიდგას, სული ვუბეროთ თბილისს! თქვენთან ერთად მუხლს ვიყრი ქართულის დედის წინაშე, თქვენთან ერთად ვთხოვ პატიებას, თქვენთან ერთად შევავსებ პირთამდე მოთმინების ფიალას და ქართულის დედის თასით შევსვამ ჩვენი თბილისისა და თბილისელების სადღეგრძელოს!

ღმერთმა თუმც მომცა წლები სიბერის, გემო ვერ ვნახე წლების სიბერის... ღმერთმა არ მომცა სიბერის ნიჭი და ვრჩები ასე — ბებერი ბიჭი!

„ციხფერ გრიოსთან“, ამირან ბუაძესა და ოთარ რამიშვილთან ერთად



ნინო ჭინჭარაული უკვე რამდენიმე წელია პოდიუმზე გამოდის, თუმცა დღემდე მოდელობას პროფესიად კი არა, უბრალოდ, ჰობად მიიჩნევს. ნინო 26 წლისაა. ძალიან უყვარს ჭამა, მაგრამ როგორც კი წონაში იმატებს, მაშინვე ვარჯიშს იწყებს... უყვარს ზღვა და სითბო, ვერ იტანს ზამთარს და სიცივეს. ზოგჯერ ნიშნით თხის რქაა და როგორც გამიმზილა, საკმაოდ ჯაუჭტიც. ცხოვრებაში გული არაერთხელ სტკენია, მაგრამ ყველა ცხოვრებისეული სირთულე ვაჟკაცურად „გადაუხარშავს“ და თავი ტირილითა და დარდით არ მოუკლავს. ინტერვიუზე ნინო ყოველგვარი გაპრანჭვის გარეშე დამთანხმდა და შესვედრა ერთ-ერთ პრესტიჟულ სასტუმროში დამითქვა, რამაც ცოტა არ იყოს, გამოაცხადა და პირველი კითხვაც ის იყო, რას საქმიანობდა სასტუმროში.

**ნინო ჯაპახიშვილი**

— პროფესიით ხელოვნებამცოდნე ვარ, თუმცა ამჟამად არც ამ პროფესიით ვმუშაობ, სასტუმროში საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ვარ და თავს მშვენივრად ვგრძნობ. ყოველთვის აღვნიშნავდი, რომ მოდელობა მხოლოდ ჰობი იყო და ამ საქმიანობას არც ისე სერიოზულად აღვიქვამდი.

— **აბა, სამოდელო ბიზნესში როგორღა მოხვდი?**

— ეს მოხდა საკმაოდ გვიან. მოდელობაზე არასდროს მიფიქრია, მიუხედა-



**ურჩ და გუდხათხილ  
ნინო ჭინჭარაულს  
თავისი სუდეური  
ოსნეხეხიხ ახუდეხიხ  
ა სუა**

არაჩვეულებრივი გამოვიდა. ყველა დიდ მაღლობას გვიხდიდა. ვენაში სულ 4 დღე ვიყავით და ძალიან კმაყოფილებიც დავბრუნდით იქიდან.

— **ვისაც კი პოდიუმზე უნახხარ, ყველა აღნიშნავს, რომ არაჩვეულებრივი ხარ. რაშია შენი პროფესიონალიზმის, გამორჩეულობისა და თუნდაც ინდივიდუალიზმის საიდუმლო?**

— უნდა ითქვას, რომ ურჩი მოდელები ვარ. რაღაცებს რომ მასწავლიან, არავის ვუჯერებ. ერთ ყურში ვუშვებ და მეორიდან გამოვუშვებ ხოლმე. იმ მომენტში, როდესაც ცოტა ხნით უნდა შეჩერდე პოდიუმზე, რა იმპროვიზაციაც მომაფიქრდება, იმას ვაკეთებ ხოლმე. საკუთარი თავის ქებას ხომ ვერ დავიწყებ, სხვა რა გითხრათ...

— **რომელიმე ჩვენება თუ იყო რაიმეთი განსაკუთრებული და დასამახსოვრებელი?**

— ეს იყო პირველი ჩვენება. 200-მდე კოსტიუმი უნდა გვეჩვენებინა. თავზე გვეხურა უხარმავარი პარიკები, რომელიც ძალიან მძიმე იყო და გვიჭირდა მათი ტარება. გვეცვა ძალიან გრძელი, დიდი კაბები და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი. წინა დღით, დილის 6 საათამდე, რეპეტიციას გავდიოდით იმავე ფეხსაცმელში, რითიც ჩვენებაზე უნდა გამოვსულიყავით. გოგონებს ფეხები ცუდ დღეში გვქონდა და უამრავ ადგილას ლეიკოპლასტირი გვქონდა დაკრული. ახლა უკვე კარგად მახსენდება, მაგრამ მაშინ ნამდვილად არ გვქონდა საქმე სასაცილოდ.

— **პოდიუმზე ალბათ კუროზიხ სშირად გადაგხდენია?**

— პოდიუმამდე, ანუ ფარდის უკან რაც ხდება, ის თავიდან ბოლომდე კურიოზი არ არის?.. წარმოიდგინე, რა შეიძლება მოხდეს, როცა ყველა მოსწრებაზეა, ყველას ეჩქარება, რომ ჩაიკვას სხვა „ნარ-

ვად იმისა, რომ ბავშვობიდანვე მიყვარდა გაპრანჭვაც და მაკიაჟის გაკეთებაც. ჩავიცვამდი ხოლმე დედაჩემის მაღალქუსლიან ფეხსაცმელს და ჭკუაზე არ ვიყავი. ძალიან მიყვარდა კარგად ჩაცმა. სარკესთან მაშინაც დიდ დროს ვატარებდი და ახლაც. მაკას (ასათიანის. — ავტ.) მეგობარი ვარ და პირველად სწორედ მის ჩვენებაზე გამოვედი მისივე თხოვნით. მაშინ სულ რამდენიმე გოგო ვიყავით, მაკა მოდელების სახლში კერავდა და „პრიმერკებიც“ იქ გვქონდა. იქ ვსწავლობდით სიარულსაც. მერე თანდათან შემოგვემატნენ გოგონები. არასდროს დამავიწყდება პირველი ჩვენება. როდესაც დავინახე, რომ უამრავი ხალხი მოვიდა, ძალიან გაგნერვიულდი და გავეჯიუტდი: აღარ გამოვალ პოდიუმზე-მეთქი, არადა, ჩვენება მე უნდა გამეხსნა და არ გამოდიოდა. ბოლოს, გასამხნეველად ბევრი „ვალერიანკა“ დავლიე და გავედი.

— **ნინო, მაკა ასათიანს ვენაში ახლახან ჩატარებულ ქართული კულტურის დღეებზე შენც ახლდი. როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდი იქიდან?**

— ვენაში 5 მოდელები ვიყავით — ისინი, ვინც პანკისის ჩვენებაში ვმონაწილეობდით და ეს ჩვენება უნდა წარმოგვედგინა. ფესტივალი ძალიან ორგანიზებული იყო. ჩვენება გვქონდა რომელიღაც ულამაზეს მუზეუმში და სანახაობრივად

იალი“ და ისევ პოლიუმზე გაგარდეს.

— ისე, გულახდილად რომ გითხრა, სულ მიკვირდა, როგორ ასერხებდნენ ასე სწრაფად გახდას და სხვა კოსტიუმის ჩაცმას...

— ეს მართლაც ძალიან რთულია. როდესაც ტანსაცმელს იცვლი, ვარცხნილობა ხომ გეშლება, მაკიაჟი ხომ გიფუჭდება — მოკლედ, რაღაც საშინელებები გემართება. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ვერ პოულობ გეტრს ან ფეხსაცმელს. ერთ-ერთ ჩვენებაზე, დღემდე არ ვიცი, ვისი ფეხსაცმელი ჩავიცვი, ჩემი რომ ვეღარ ვიპოვე. აბა, რა მექნა? მეტი დრო აღარ მქონდა, პოლიუმზე უნდა გავსულიყავი, დაავლე ხელი რომელიღაც ფეხსაცმელს (მგონი ერთი-ორი ზომით დიდი მქონდა) და ჩავიცვი. სასაცილო, იცი რა არის? კულისებში ხომ ასეთი აფორიაქებული ხარ და ყველაფერს ჩქარ-ჩქარა აკეთებ, პოლიუმზე კი ისეთი დამშვიდებული გადიხარ, თითქოს არაფერი მომხდარა. ვენაში ჩვენებაზე უზარმაზარი საყურე მეკეთა, ხელებს კი ვერ ვამოძრავებდი — კოსტიუმზე მქონდა მიბმული. უცებ ცალი საყურე მომძვრა და შუა სცენაზე დავარდა. არაფერი შევიძინე და ისეთი სახე მივიღე, თითქოს ასე იყო საჭირო.

— როგორია შენი ყოველდღიური ჩაცმულობის სტილი?

— ხან სპორტულად ვიცვამ, ხან — კლასიკურად, გაანია, როგორ განწყობაზე ვარ. ისე, ზედმიწევნით მოწესრიგებულად ჩაცმა მაინცდამაინც არ მიყვარს. არ მომწონს ახალთახალი ფეხსაცმელი, რომელიც ძალიან პრიალებს, საოცრად მალიზიანებს რატომღაც...

— ე.ი. „მე ახალი არ მიყვარს, ძველი მიჩვენებას“ პრინციპს იზიარებ?

— (ივინის) არა, ასეც არ არის საქმე. ძალიან მიყვარს ახალი ტანსაცმელი. როდესაც რაიმე ახალს ვყიდულობ, აუცილებლად იმ დღესვე უნდა ჩავიცვა ხოლმე. „კუპალნიკიც“ რომ იყოს, ტანსაცმლის შიგნით მაინც ვიცვამ, ვერ ვისვენებ ხოლმე.

— სულსწრაფი ყოფილხარ?

— ასე გამოდის...

— ტანსაცმელს სად ყიდულობ?

— თბილისში იშვიათად თუ ვიყიდი რაიმეს, ძირითადად, საზღვარგარეთ ვყიდულობ.

— ე.ი. მოდელიზაცია შენთვის პოპია და უბრალოდ, უარს არ ამბობ, რომ ზოგჯერ ჩვენებე-

ბზე გამოსვიდე. თვითონაც აღნიშნე, რომ ამგვარი ჩვენებებით ვერ კიდევ არ ვართ განებივრებულები, როგორც საზღვარგარეთ. არ გენატრება ხოლმე პოლიუმი?

— არა, საერთოდ არ მაქვს პოლიუმის ნოსტალგია. ალბათ იმიტომ, რომ უფრო სერიოზული საქმით ვარ დაკავებული.

— ნინო, ხეცურები ბუნებით ძალიან მკაცრები არიან. თავიდან, ოჯახის წევრები როგორ შეხედნენ შენს პოპის?

— პრობლემები არ მქონია. ძალიან გამომწვევად ჩაცმული რომ გამოვიდე პოლიუმზე, ალბათ ამაზე მამჩნე გაბრაზდება, მაგრამ ასეთი შემთხვევა დღემდე არ ყოფილა.

— ახლა მამაკაცების შესახებაც უნდა გკითხო რაღაც-რაღაცები...

— (ივინის) რა უნდა მკითხო ამ კაცებზე, რა?..

— რა და, ვთქვათ, როგორი მამაკაცები მოსწონს ნინო ქინქარაულს...

— აუჰ! როგორი მამაკაცები? რა ვიცი, რაღაც მყარი კრიტერიუმები არ მაქვს, ხან როგორი და ხან — როგორი... კარგი აღამიანი უნდა იყოს, მამაკაცური, ვაჟკაცური, ერთგულება უნდა შეეძლოს...

— სასურველი მამაკაცის ყურადღების მიქცევას როგორ ასერხებ, იპრანტები თუ ქალური ხრიკები არ გეხერხება?

— ვაიმე!.. არა, არა, რა ქალური ხრიკები და ეშმაკობები?! ვინმე თუ მომეწონება, იგნორირებას უფრო ვუკეთებ ხოლმე, ვიდრე მისი ყურადღების მიქცევას ვცდილობ. ან რა საჭიროა ასეთი აქტიურობა?!

— შენი თავყანისმცემლები ორიგინალური, ძვირფასი საჩუქრებით არ განებივრებენ?

— ერთხელ მეგობარმა „დედამიწა“ მაჩუქა — შეგეძლო, ეს „დედამიწა“ გულზე დაგეკიდა. ეს ძალიან დიდი ხნის წინ იყო...

— როგორც ჩანს, ამ ორიგინალურმა საჩუქარმა არ გაჭრა...

— როგორც ხედავთ, არ გაჭრა: დღესაც გასათხოვარი ვარ.

— ახლო მომავალში ხომ არ აპირებ გათხოვებას, იქნებ გაგვიმხილო...

— არ ვიცი... მოდი, რა, ეს კითხვა საერთოდ ამოიღე, კარგი?..



— გულახდილი თუ ხარ მეგობრებთან, ვის უმთვლანებ ხოლმე გულისნადავებს?

— ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც რაიმე მაწუხებს, საკუთარ თავში ვიკეტები და არავის არაფერს ვეუბნები. მიჩვენება, თვითონ ვიფიქრო იმაზე, რაც მაწუხებს, ვიდრე ჩემი სადარდებელი ყველას გავეუძღვარო.

— ბუნებით მეოცნებე და რომანტიკული ხარ?

— კი, ყოველთვის ვვანტაზირობ ხოლმე, მაგრამ ვიცი, რომ ოცნებები არასდროს ამისრულებს: ოცნება ოცნებაა და მეტი არაფერი... მიწაზე ძალიან მყარად ვდგავარ და ნაკლებად მჯერა, რომ სულელური ოცნებები და სურვილები შეიძლება ასრულდეს.

— მაშინ საუბრის დასასრულს, ერთი შენი სულელური ოცნება მაინც გაგვიმხილე...

— უბრალოდ მინდა, რომ ჩემთვის ძალიან ახლობელ აღამიანებთან ერთად კარგად და ბედნიერად ვიცხოვრო, მეტი არაფერი...

სპეცსამსახურის უფროსის, თამაზ მღვრიშვილის კაბინეტის წინ, თეთრი ქაღალდის ფორმატა გაკრული, რომელზეც თანამშრომელთა საყურადღებოდ, რამდენიმე ძალზედ მნიშვნელოვანი „შეგონება“ ჩამოწერილი. პირველ პუნქტში ვკითხულობთ: „შევი ყოველთვის მართალია, შევი არ იგვიანებს, ის შეიძლება შეცოვდეს, შევი არ სვამს, ის...“ და ა.შ. იმავე ქაღალდზე შევის „საილუსტრაციოდ“ ბატონი თემურის მარად კმაყოფილი სახე აღბეჭდილი.

შეგონებებს სპეცსამსახურის თანამშრომლები ყოველ დღით კითხულობენ და თუ დღის განმავლობაში უფროსის ქმედებაში რაიმე მათთვის მოუღებელი შენიშვნა, მასმინვე ჩამონათვალის პირველ პუნქტს იხსენებენ, რომლის მიხედვითაც შევი ყოველთვის მართალია და პრობლემაც იხსნება. აი, ასე მარტივად აქვს თემურ მღვრიშვილს მოგვარებული, თანამშრომლებთან ურთიერთობის საკითხი.

**ხათუნა მაღრაძე**

— ბატონო თემურ, რატომ აღარ ჩანხართ? დანყარდა ქვეყანა თუ ახლა უფრო ფრთხილად და უნმაუროდ მოქმედებთ?

— ყველა პრობლემა მოგაგვარე, ურჩი ქალებიც მორჯულდნენ და მიჯერებენ.

— რაღაც არა მგონია: ყოველდღე პარლამენტის წინ რომ სხედან?

— მეც მაგათზე მოგასხენებთ. ვუბნებოდი: ცივ ქაზე არ დასხდეთ, გაცივდებით-მეთქი. როგორც იქნა, დამიჯერეს და ახლა, მზე რომ გაათბობს კბეხს, მაშინლა გამოჩნდებიან ხოლმე...

— ერთი პერიოდი, საზოგადოება თქვენ მიმართ საშინლად გაღიზიანებული იყო, მტკივნეულად გადაიტანეთ ამგვარი დამოკიდებულება?

— ბუნებრივია, განვიცდიდი — მეც ხომ აღმიძინა ვარ. ისე კი, ხალხის მაშინდელი აგრესია, თქვენი — ჟურნალისტების ბრალა: ხომ იცით, ქვევრს რასაც ჩასახებ, იმასვე ამოცახებს.

— რატომ, რასაც აკეთებდით, ჟურნალისტები იმას არ ამუქებდნენ?

— სულ „ღუბნიკით“ ხელში მაჩვენებდნენ, გაზეთებშიც მათთვის სასურველ მონტაჟს აკეთებდნენ. ზოგჯერ ისეთ კადრს გადაიღებდნენ, სადაც, ვთქვათ, პატარა შეცდომა დაუშევი და მერე დაიწყებოდა „წივილი-კვილიანი“ კომენტარები. რაღაც პერიოდის შემდეგ, როცა ჟურნალისტებთან ერთი-ერთზე ლაპარაკის საშუალება მომეცა და რამდენიმე მათგანმა უკომენტაროდ დაწერა ინტერვიუ, მაშინლა გამოჩნდა ჩემი ნამდვილი სახე. ახლა ყველა თქვენი კოლეგა, ვინც აქედან მიდის, მეუბნება: რა კარგი კაცი ყოფილხარო. ამის შემდეგ საზოგადოებამაც შეიცვალა დამოკიდებულება...

— მარჩელი მასტროიანი 70 წლის



**საპენსიო ასაკს მიახლოებული**

**მთავარი სპეცრაზმელი**

**აბრეშუმის გზის იმედადაა**

ასაკში ამზობდა: რა კარგია, როცა საქათმეში მამლად ზიხარო... თქვენ თუ გიფიქრიათ ამაზე?

— მამალი ვარ, აბა, დედალი ხომ არ ვიქნები! დედალი კაცი, მამალი ქალის ვირია ყოველთვის. კაცი მამალი უნდა იყოს, მაგრამ საქათმეში ჯდომს არ მინატრია. ოღონდ მამალი უნდა იყო — „პეტუნი“ არა!...

— ბატონო თემურ, რობინზონ კრუზოს მდგომარეობაში რომ აღმოჩნდეთ, ცნობილი ქალბატონებიდან ვის ისურვებდით მშვენიერ პარასკევად?

— ჩემს მეუღლეს! აბა, ახლა თქვენ დაგანგრევინებთ ოჯახს!...

— იოცნებებთ მაინც!

— არა, არა, ჩემი მეუღლე მინდა.

— ჟურნალისტ სარძლოს ისევ ეძებთ?

— ვეძებ, ჯერ არ მიპოვია.

— ეტყობა, აქტიურად არ გიძებნათ, თორემ იპოვიდით ვინმეს.

— რაც ჩემზეა დამოკიდებული, ვაკეთებ, მაგრამ შეიძლება, შევიღამ არც დამიჯეროს. ისე, თუ კარგი გოგონა იქნება, პროფესიას რა მნიშვნელობა აქვს? — გინდა, ექიმი იყოს და გინდა, პოლიციელი.

— პოლიციელი რძალი? ქალისათვის ცოტა შეუფერებელი პროფესია ხომ არ არის?

— არა, რატომ? ასე თქმს არ შეიძლება. ჩვენთან, პოლიციაში, და-ძმა და ცოლ-ქმარიც მუშაობენ. მარტო ოპერატიული სამუშაო ხომ არ არის — კადრები, კანცელარია, სამდივნო, სადაც უამრავი ქალია დასაქმებული. როგორ ფიქრობთ, რაღან პოლიციაში მუშაობს, აუცილებლად მსუბუქი ყოფაქცევის უნდა იყოს? ქალის ადგილი ყველგან არის.

— მახსოვს, ამზობდით — ქალის ადგილი მხოლოდ ლოგინშიაო...

— (იცინის) არა, მე იმათზე ვთქვი, ქვებზე

რომ სხედან, მაგრამ ყველა სამსახურში აუცილებელია ქალის მუშაობა. მე ჩემს სამსახურში სპეციალურად მივიღე გოგონები. ჯერ ერთი, მათი თანდასწრებით ბიჭები უწმაწური სიტყვების თქმას არ იკადრებენ, მეორეც — როცა თანამშრომელი ქალი ჰყავს, მამაკაცი უფრო მოწესრიგებული ხდება. წვერგაუპარსავი და გაბურბენილი არ იქნება. ქალის გარეშე ცხოვრებას და სიცოცხლეს ლაზათი არა აქვს.

— მერედა გაჭრა თქვენმა მეთოდმა?

— გაჭრა, დედას გეფიცვით! აბა, რომელიმე ბიჭი მოუწესრიგებელი მოვიდეს! გოგონები შავ დღეს დააყრიან. თუ მოეწონებათ ერთ-მანეთი, შეიყვარონ და იყვნენ ერთად, ამაზე კარგი რა არის?!

— ყოფილა ასეთი შემთხვევა?

— ერთხელ იყო. შეუყვარდათ ერთმანეთი და იქორწინეს კიდევ.

— თქვენთვის კლიპში გადაღება აღარ შემოუთავაზებიათ?

— კლიპში — არა, მაგრამ ახლა მითხრეს — ფრანგები არიან ჩამოსულები, ტიპაჟად მოეწონე და ფილმში უნდა გადავიღო.

— მთავარ როლს ხომ არ გთავაზობენ?

— მთავარ როლში მე ვინ გადამიღებს?! მსახიობი ხომ არა ვარ. თუ ფილმს პატარა ელფერს შევმატებ და ჩემს ხალხს გავასარებ, მეტის პრეტენზია არ მექნება. კლიპში რომ გადამიღეს, ხალხი იცინიდა, ერთობოდა, ბავშვებს უხაროდათ და მეც კმაყოფილი ვიყავი.

— ამზობენ, პარლამენტარებს შორის ნარკომანები და ორიენტაციაშეცვლილები არიანო. უფლება რომ გქონდეთ, თქვენს „ღუბნიკას“ მათაც ხომ არ უთავაზებდით?

— ძალიან ვთხოვთ, პოლიტიკოსებზე ნურაფერს მათქმევინებთ — პოლიტიკა ჩემი

საქმე არ არის. არ ვიცი, არიან თუ არა ასეთები, მაგრამ მათ მხარეს გახედვაც არ მინდა.

— ზვიადისტები რომ მოვიდნენ ხელისუფლებაში, რა ბედი გელით?

— მე ზვიადის დროსაც ამ თანამდებობაზე ვიყავი და შევარდნაძის პერიოდშიც აქა ვარ. მანანა გამსახურდიაც რომ მოვიდეს ხელისუფლებაში, მინც აქ დავრჩები. მე საქართველოს პრეზიდენტს ვემსახურები — ვინდ შაქრო იყოს წენგუაშვილი.

— დავიჯერო, მანანა არჩევაძე თანამდებობას არ დაგატოვებინებთ?

— ერთხელ ვკითხე, ყველას ადვილს რომ ჰპირდები, მე რას მიპირებ-მეთქი? შენ ისევ სპეცრაზმის უფროსი იქნებიო. მაშინ ასე მითხრა, მაგრამ თუ გადაიფიქრა, არ ვიცი...

— ბატონო თემურ, გავიგე — ზვიადისტი ქალები იმდენი გიტარებოთ აქეთ-იქით, რომ ერთ-ერთ მათგანს გულის წასვლამდე შეჰყვარების-ართ. რა შანსი აქვს?

— მარტო ზვიადისტებს კი არა, ბევრ ქალს მოვწონვარ და ვუყვარვარ. ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, ვინ რა პოლიტიკური ორიენტაციისა იქნება. არც ერთი არ მეუყვარება. ამ ქალებს თავიანთი გაჭირვება ეყოფათ. როცა მწყველიან, მეც პასუხს ვუბრუნებ ხოლმე, თორემ, ისე რას ვერჩი?! უამრავ ზვიადისტ ქალს ვიცნობ, ერთი, ჩემი მეგობრის სიდღერიცაა. ერთხელ მომამხსა: ცეცხლად შეგერვოს, რაც ჩემს ოჯახში ღვინო გაქვს დაღუულიო... ვერ ვიცანი — ენდროთი ჰქონდა თმა შეღებულიო...

— თქვენ თუ უცემისართ ვინმეს ისე, რომ ეთქვათ: სულზე დადესო?

— ისეთი ადამიანი ჯერ არ დაბადებულა, მე რომ მომერიოს (იციინის). ისეთს არ აუფიქრებ, რომ გამლახოს, დაშვებით კი, არავისთვის არაფერი დამიშვება, თავიდანვე ისეთი ვიყავი, როგორც ახლა ვარ — საყვარელი...



— რამდენი წელია, რაც პოლიციაში მუშაობთ?

— 34.

— ამ ხნის მანძილზე „შავი“ მეგობარი არ გყოლიათ?

— ჩემი ბავშვობის მეგობრებიდან, ზოგი ქურდი გახდა, ზოგი — ჯიბიერი, მაგრამ მე ჩემი საქმე მქონდა და მათ — თავიანთი. არც მათ აწყობდათ ჩემთან ახლო ურთიერთობა. თუ „შავი“ პოლიციელთან იმეგობრებს, დაიჩაგრება — მასზე ათას რამეს იტყვიან.

— როცა გასჭირვებიათ, არ დახმარებინებართ?

— საერთოდ გაჭირვებულს ყოველთვის ვეხმარები კაცურად, მაგრამ კანონი თუ სჯის, მე უძღური ვარ. ერთი შემთხვევა მახსენდება: რესტორანში ვქეიფობდით, ჟურნალისტებიც იყვნენ ჩვენთან ერთად. მეზობელი მაგიდიდან კაცი მოვიდა და თქვა: თემურ მღებრიშვილი მინდა ვადღერებო. მერე უშუალოდ მე მომხარია: თქვენ დამიჭირეთ და 9 წელი ვიჯექი, მაგრამ ციხეში დედა შემოვიდოდა, თუ ცოლი, ყველა ერთსა და იმავეს ამბობდა: თემური კაციაო... ამ შენს კაცობას გაუმარჯოსო. ჟურნალისტებს გაუკვირდათ: ის პერიოდი იყო, როცა გაპყვირიდნენ — მღებრიშვილი ციხეშიო!

— ეგ როგორ გავიგოთ, ბატონო თემურ?

— ანგელოზი არა ვარ, მაგრამ პატიმართან ახლობელი ქალები რომ მიდიოდნენ სანახაყად, უზნეოდ არ მოვქცეულვარ და უხერხულად არავისთვის შემისხვდავს.

— ეი. მტრები არ გყავთ?

— მტრები რომ მყავდეს, აქამდე ცოცხალი არ ვიქნებოდი. ადამიანმა დიდი ბოროტება რომ გამიკეთოს, იმას არ ვაცოცხლებ. ვიღაცა უდანაშაულო რომ დავიჭირო, ნარკოტიკი ჩაუღო, გაგამწარო ან მეუღლე გაუუბედურო — რომ გამოვა, ის კაცი მაცოცხლებს? ადამიანი „სპრავედლივი“ უნდა იყოს.

— ეი. უდანაშაულო არავინ დაგიკავებიათ?

— ჟურნალისტები ბევრს ეცადნენ, რაიმე გამოეჩქვათ, მაგრამ ვერაფერს მიაკვლიეს. სუფთა ვარ და რას იპოვიდნენ?! თუ ქუჩიდან პატარა გოგონებს ავიყვანდი, ვენდისპანსერში მიმყავდა, ახანავებდნენ, „მანი ქამას“ აჭმევდნენ, ტილებს გააცლიდნენ, უმკურნალებდნენ და გამოუშვებდნენ, მაგრამ გამოსულები, ისევ მე მწყველიდნენ. ახლა ნარკომანებს დავდევი: „წამალი“ არ გაიკეთოთ, თავი არ მოიკლათ-მეთქი! მადლიერები

შვილიშვილითან ერთად

არც ისინი დამრჩნენ.

— პოლიციიდან რომ წახვალთ, რა საქმეს მოჰკიდებთ ხელს?

— ორ წელიწადში პენსია მეკუთვნის და მაშინ ჩემს ძირითად სპეციალობას დავუბრუნდები — ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებას. დიპლომიც მაქვს, თუ გინდათ, გიჩვენებთ. აბრეშუმის გზა მაშინ უკვე გახსნილი იქნება და იქ დავიწყებ მუშაობას.

— ისე დარწმუნებით ლაპარაკობთ, რომ ალბათ უკვე ჩანყობილი გაქვთ საქმე...

— ნამდვილად. დამაცადეთ — იქაც მოხვალთ ინტერვიუზე...

— თქვენზე უამრავ ანეკდოტს ჰყვებიან. რომელი მოგწონთ ყველაზე მეტად?

— ნარკომანები უდაბნოში მიდიან, დაინახეს — ქვიშაში კაცია ჩავლული. მხოლოდ თავი უჩანს. ახლოს მივიდნენ, ნახეს — მღებრიშვილია. რა მოვივიდაო? — ჰკითხეს. — ბასმარება ჩამფლესო, — მიუღო მღებრიშვილმა. — მერე, მიწა დაენახათ? — თქვეს და თავზეც ქვიშა დააყარეს...

— ამბობენ, თემურ მღებრიშვილს შვილიშვილი ძალიან ჰგავსო.

— მაგის მოსმენა ჩემს შვილიშვილს ძალიან უხარია. ისე კი, მართლა მეავს, ძალიან ხუჭუჭაა. ამას წინათ, ბაღში ერთი უხრდელური ლექსი მოუყვლია. მასწავლებელს სიცილით უთქვამს: ზედ ეტყობა, ვისი შვილიშვილიცააო. ცოლმა მისაყვებურა — რატომ ასწავლეო? მე ვუპასუხე: ეგ ლექსი, დღემდე არც კი გამეგონა-მეთქი. ახლა იმან ჩაიცინა — ეტყობა, გენებში მოსდევსო.

— საკუთარი თავი ისე დამიხასიათეთ, ალბათ გარანტირებული გაქვთ „ადგილი სამოთხეში“...

— მე ურწმუნობის პერიოდში გავიზარდე, მაგრამ ეკლესიაშიც დავდიოდი და სათნოესაც ვანიებდი. ერთხელ ტაძარში სურდა მოვიპარე. დედამ მითხრა — დაბრმავდები — და უკანვე დავაბრუნე. ასე რომ, რაღაცის რწმენა მაქვს, მაგრამ სიმართლე ვითხრათ, ცოცხალი თავით იქ წამსვლელი არა ვარ: ჩემი ახლობლები და სინათლე ერთი დღეც რომ არ ვნახო, გადავირევი. რა ვქნა — სიცოცხლე მიყვარს.

— იქნებ, „იქ“ მეტი სინათლეა?..

— არ ვიცი, შვილო, მაგრამ „იქ“ მინც არ მინდა. ისევ აქ ვიჯდები, სიბნელეში...

ძნელი სათქმელია, რამდენი ხნის შემდეგ გაიხსნება აბრეშუმის გზა და მიიღებენ თუ არა თემურ მღებრიშვილს თავისი სპეციალობით სამუშაოდ, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ორი წლის შემდეგ, როცა სპეცსამსახურის უფროსს პენსიაში გაისტუმრებენ, ქალაქის პოლიციას, ზოგჯერ ზედმეტად აგრესიული, მაგრამ უდავოდ კოლორიტული ფიგურა დააკლდება.

ჩოგბურთი სპორტის ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული სახეობაა. შესაძლოა, სწორედ ამიტომ, არაერთი იმედისმომცემი ქართველი ჩოგბურთელი საზღვარგარეთის სპორტსკოლასა თუ აკადემიაში ვარჯიშობს. მათ შორისაა დათო კვერნაძე, რომელსაც სადღეისოდ საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელად მიიჩნევენ.

კვარნაძე მესამე წელია, ესპანეთში ცხოვრობს. ის წარსულში ცნობილი ესპანელი ჩოგბურთელების — ემილიო სანჩესისა და სერხი კასალის ბარსელონის საჩოგბურთო აკადემიაში სწავლობს. ემილიო სანჩესი ლეგენდარული არანტა სანჩესის ძმაა. თვით ეს ფაქტიც კი პრესტიჟს მატებს აკადემიას, რომლის კარიც, ბუნებრივია, ყველა მსურველისთვის ღია როდია...

დათო კვერნაძეს ესპანეთში იმ დროს დაეუკავშირდა, როცა შინ მორიგი ვარჯიშიდან ის-ის იყო დაბრუნებულიყო. ცოტა არ იყოს, გაუკვირდა კიდევ: ჯერ არც ერთი ქართული სპორტული გაზეთისთვისაც კი ინტერვიუ არ მიმიცია და თქვენ ჩემი თავი რამ გაგახსენათო?!

**ჯაბა ლენიძე**

— დათო, როგორ მოხვდი ბარსელონაში?

— ჩოგბურთის თამაში თბილისში დავიწყე, ვოვა გაბრიჩიძე იყო ჩემი პირველი მწვრთნელი. ვოვა ახლა მოსკოვში, ერთ-ერთ იქაურ საჩოგბურთო აკადემიაში მუშაობს. მამჩემმა და ვოვა გაბრიჩიძემ ერთად გადაწყვიტეს, რომ თუ ჩოგბურთში სერიოზული წარმატებების მიღწევა მსურდა, უმჯობესი იქნებოდა, უცხოეთში, რომელიმე პრესტიჟულ აკადემიაში გამეგრძელებინა ვარჯიში. მამა წარსულში ცნობილ ჩოგბურთელს, ალექსანდრე მეტრეველს დაუკავშირდა რჩევისათვის. ბატონი ალექსანდრე რუსეთის ტელეკომპანია HTB-ს საჩოგბურთო მიმომხილველია, ბევრს მოეზაურობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ძალიან კარგად იცნობს ყველა აკადემიას. სწორედ მისი რჩევითა და დახმარებით მოხვდი ბარსელონაში — ბატონმა ალექსანდრემ რეკომენდაციაც გამიწია ემილიო სანჩესთან და სერხი კასალთან.

— პირადად სანჩესთან და კა-



ლადო ჩიხლაძესთან (მარჯვნივ) ერთად. საფრანგეთი 1997 წ.

**ქართველი ბიჭი ბარსელონის ჩოგბურთის აკადემიაში არანტა სანჩესის ბევრდით ვარჯიშობს**



არანტა სანჩესთან ერთად

საღალთან თუ გაქვს ურთიერთობა?

— ორივეს ძალიან კარგად ვიცნობ და მათთან ხშირი ურთიერთობაც მაქვს. სანჩესი ტურნირებზე დაგვეყვება აკადემიის წევრებს, ის აქ სპორტულ საკითხებს განაგებს; კასალი სამეურნეო და ფინანსურ საკითხებზეა პასუხისმგებელი, თუმცა, ზოგჯერ ესპანეთის ქალაქებში გამართულ ტურნირებზე ისიც დაგვეყვება ხოლმე. სხვათა შორის, ორივე მათგანთან ნათამაშები მაქვს ჩოგბურთი. კასალს მოვუგე, სანჩესს კი ვერაფერი მოვუხერხე — 1 სეტი კი მოვუგე, მაგრამ ბოლოს მაინც დავემარცხდი...

— ალბათ, ემილიო სანჩესის დას, არანტასაც იცნობ.

— არანტა სანჩესიც ჩვენს აკადემიაში ვარჯიშობს. ძალიან პოპულარულია ეს-

პანეთში, განსაკუთრებით — ბარსელონაში. აქ ხალხი მისი ვარჯიშების საყურებლადაც კი დადის. არანტასაც ვიცნობ, რასაკვირველია.

— უშუალოდ შენი მწვრთნელი ვინ არის?

— არის ასეთი კაცი — ტატო ალვარესი, ევროპაში ჩოგბურთის საკმაოდ ცნობილი სპეციალისტი. მას არაერთი სახელოვანი ჩოგბურთელი აღუზრდია, მათ შორის — გაბრიელა საბატინი, მარი პირსი, ანხელ ხიმენესი და სერხი კასალი. ამ ჩოგბურთელებს „დიდი სლემის“ ბევრი ტურნირი აქეთ მოგებული და მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა ათეულშიც იმყოფებოდნენ. ალვარესთან სხვადასხვა ქვენიდანაც ჩამოდიან სავარჯიშოდ. დღესაც, ორი ნიჭიერი ბიჭი ვარჯიშობს, — ეჭვი არ მეპარება — 2-3 წელიწადში, ისინი მსოფლიოს წამყვანი ჩოგბურთელები იქნებიან. ერთი ესპანელია — კარლოს კვადრადო, რომელმაც წელს, 18 წლამდე ასაკის ჩოგბურთელთა საფრანგეთის ღია ჩემპონატის — როლან გაროსის ტურნირის ფინალში ითამაშა. მეორე — არგენტინელი ხუან მონაკოა. ის უკვე მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა ასეულში შედის.

— ლოგიკურად, მალე შენც დიდ წარმატებებს უნდა მიაღწიო...

— ასე გამოდის. ტატო ალვარესის ხელში, ყველამ რაღაცას მიაღწია. თავადაც ამას მეუბნება ხოლმე: მე ისეთ



ცმწვილს ხელს არ მოკვიდებ, საჩემპიონო მონაცემები რომ არ ჰქონდესო... ალვარესის ეს სიტყვები ძალიან დადებითად მოქმედებს ჩემზე – რაც შემძლია, თავს არ ვზოგავ და დღე და ღამეს ვასწორებ, რომ მალე მოვიკიდო ფეხი დიდ ჩოგბურთში.

— დათო, როგორც ვიცი, ბარსელონის აკადემიაში სხვა ქართველი ჩოგბურთელებიც ვარჯიშობენ...

— კი, ჯერჯერობით, აქ სამნი ვართ საქართველოდან: მე, ბათუმელი ნიკა ჩხარტიშვილი და თბილისელი ლიკა ჭკუასელი. ისინი ჩემ შემდეგ ჩამოვიდნენ ესპანეთში. ძალიან გავიხარე, მარტო აღარ ვარ და თავისუფალ დროს, რომელიც ძალიან მცირე გვაქვს, ერთად ვატარებთ ხოლმე. ნიკა ჯერ სერაიოზულ ტურნირებში არ თამაშობს, აი, ლიკა ჭკუასელი კი ერთი წელია, რაც ესპანეთშია და უკვე საკმარისად გამოიჩინა თავი. აქ ვარჯიშის შემდეგ უფრო წარმატებულად თამაშობს.

ახლასან შევიტყვე, რომ მოსკოველი ქართველი – თემურ გაბაშვილიც ბარსელონის აკადემიაში აპირებს სწავლის გაგრძელებას. ამას წინათ ტაშკენტის ტურნირზე შემხვდა თემური და იქ გამიზიარა თავისი გეგმები.

— სხვა ქართველ ჩოგბურთელებს თუ შეხვედრიხარ საერთაშორისო ტურნირებზე? ჩოგბურთელები ხომ ძალიან ბევრს მოგზაურობთ.

— სხვადასხვა ქვეყანაში შეხვედრივარ ლადო კაკულიას, ირაკლი უშანგივილს, ლადო ჩიხლაძეს. ირაკლი ლაბაძე ბარსელონაში იყო ჩამოსული – აქაურ ტურნირში ასპარეზობდა და ერთხანს ჩემთან სახლშიც კი ცხოვრობდა. მერე, მე წავედი ირაკლისთან და რამდენიმე დღე მასთან დავრჩი სასტუმროში. კარგად ვიცი ჩოგბურთელის ფსიქოლოგია, ხასიათი... ძნელია, როცა უცხოეთში მარტო ხარ და

ხმის გამცემი არავინ გყავს. ამას ყველა ჩოგბურთელი შეგუებულია, რადგან მათი დიდი ნაწილი, მარტო მოგზაურობს მთელი წლის მანძილზე. ჰოდა, დიდი შეებაა, როცა შენიანი, დარდის გამზიარებელი გამოჩნდება შენ გვერდით. ამიტომაც, გვერდიდან არ მოვშორებივარ ირაკლის, მთელი კვირა ერთად ვიყავით. ტურნირზე ხომ მისი უპირველესი ქომაგი ვიყავი...

— ბარსელონას ცნობილი საფეხბურთო გუნდი ჰყავს. „ბარსას“ ფეხბურთელებსაც ხომ არ იცნობთ?

— რამდენჯერმე ვიყავი „ნოუ კამპის“ სტადიონზე „ბარსელონის“ საქომაგოდ. სამწუხაროდ, დრო არა მაქვს, თორემ ფეხბურთი ძალიან მიყვარს და სიამოვნებით ვივლიდი „ბარსელონის“ ყველა თამაშზე. ამ გუნდის ფეხბურთელებიდან კი, მხოლოდ როჩემბეკსა და მოლტას ვიცნობ. მათი მძაკაცობით ვერ დავიკვებნი, მაგრამ როცა მხვდებიან, თბილად მესაუბრიან, ერთმანეთს მოვიკითხავთ ხოლმე. ერთხელ სწორედ როჩემბეკმა მომცა „ბარსელონა“-„რეალის“ მატჩის ბილეთები. ორივენი კარგი, უშუალო ბიჭები არიან.

— დათო, ვიცი, რამდენიმე თვის წინ მამა დაგეღუპა. წარმომიდგენია, როგორ გაგიჭირდებოდა — ბატონი ედუარი ხომ სულ შენ გვერდით იყო?

— კი. მამამ ყველაფერი მიატოვა თბილისში, ბევრ რამეზე თქვა უარი და ჩემთან ერთად წამოვიდა ბარსელონაში. მე და მამა აქ ვიყავით, დედაჩემი და ჩემი და — თამუნა კი თბილისში ცხოვრობდნენ. მამამ აქაურობასთან შეჩვევა გამოიოლა, გვერდიდან არ მოშორებია, ყველა ქვეყანაში, ყველა ტურნირზე თან დამყვებოდა. მის გარეშე ძალიან მიჭირს. ახლა დედა ჩემთან ერთად, მარტო მანც არა ვარ, მაგრამ მამა სხვა იყო. ჩოგანი რომ დავიჭირე ხელში, მას აქეთ გვერდიდან არ მომცილებია. ის ჩინებულად იცნობდა საჩოგბურთო სამყაროს და უამრავ საჭირობოლო საკითხს აგვარებდა. მამა ოცნებობდა, რომ დიდი ჩოგბურთელი გავმხდარიყავი. სამწუხაროდ, თვითონ ამას ვერ მოესწრო. დღეს მხოლოდ პერსპექტიულ და იმედისმომცემ ჩოგბურთელად ვითვლები. მაგრამ მამაჩემის იმედები უნდა გავამართლო. რაღაც არ უნდა დამიჯდეს, დიდ ჩოგბურთის მანც ვითამაშებ — თუნდაც იმიტომ, რომ ეს მას სურდა...

# მუჰამედ ალის 9 შვილს შორის ერთი ქრდი აღმოჩნდა

მუჰამედ ალის ქალიშვილის მაგალითი ცხადყოფს, თუ რაოდენ ძნელია მრავალშვილიანი ოჯახის შვილობა, — მაშინაც კი, როცა ეს ლეგენდარული სპორტსმენის ოჯახია. 26 წლის ხანა იასმინ ალი — მუჰამედის 9 შვილიდან ერთ-ერთი, თანაც სახელოვანი მამის შესახებ დაწერილი წიგნის ავტორი — ამ ცოტა ხნის წინ, წვრილი ქურდობისთვის დააკავეს. Linnens & Things-ის მალაზიის ერთ-ერთ გამყიდველს მოეჩვენა, რომ რამდენიმე შეკვრა, რომელიც ახალგაზრდა ქალს გაჰქონდა, მის მიერ შეძენილი ნივთების კვალობაზე მეტისმეტად მძიმე იყო. შემოწმებისას აღმოაჩინეს, რომ ხანა იასმინის პაკეტებში რამდენიმე ნივთი და სასურათე ჩარჩო იყო მოთავსებული, რომლის საფასურიც — სულ 72 დოლარი — მას არ გადაუხდია. გამყიდველის თქმით, მოკრივის ქალიშვილმა უარყო ყველა ბრალდება და შინისკენ გასწვია, მაგრამ პოლიციამ ის ავტოსადგომზე დააკავა.



შემდგომში ხანა იასმინ ალი თავდებით გაათავისუფლეს და ის ახლა სასამართლო გამოძიებას ელოდება. თუ მისი ბრალეულობა დამტკიცდა, მაქსიმალურ სასჯელად 90-დღიანი პატიმრობა და 800-დოლარიანი ჯარიმა შეიძლება მიუსაჯონ. საინტერესოა, რომ აღნიშნულ დანაშაულთან ერთად, ხანა იასმინა ალი ავტომანქანის მართვის ლიცენზიის გარეშე ეჯდა საჭეს და ამისთვის კიდევ 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და 1.070 დოლარით დაჯარიმებაც ემუქრება.

რადაც არ უნდა დამიჯდეს, დიდ ჩოგბურთის მანც ვითამაშებ — თუნდაც იმიტომ, რომ ეს მას სურდა... (მამასთან, ედუარი კვერნაძესთან ერთად)



ინფორმაციულ-შეხვედებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის ნივნაკიდან:

1. ყნოსვის შეგრძნების დარღვევას დიოსმია ჰქვია.
2. რეზო გაბრიაძე 35 კინოფილმის სცენარის ავტორია.
3. პატარა ლიანის მარცხენა შენაკადს ფაჩურისწყალი ჰქვია.
4. ვუტა სიცილის დროს ადამიანის ლოყებზე გაჩენილი პატარა ჩაღრმავებაა.
5. „კაცისა და ქალის მეგობრობას ძლიერ აქვეითებს დაღამება,“ – ამბობდა სტენდალი.
6. ჰობტუ – შემახილია კამერის გასარეკად, ხი – შემახილი მის უკან დასახევად.
7. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან სამამულო ომში 21 ათასი კაცი წავიდა.
8. გიგანტურ წიწვოვან ხეს, სეკვოიადენდრონს მეორენაირად მამონტის ხეს ეძახიან.



9. საქართველოს ტერიტორია დღეს დაახლოებით 70000 კვადრატული კილომეტრია.
10. ნატო ვაჩნაძის მარღვებში ქართული, რუსული, პოლონური და იტალიური სისხლი ჩქეფდა.
11. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, აკაკი მგელაძე ძალიან უყვარდა სტალინს. ჩემს ახალგაზრდობას მაგონებსო, ამბობდა დიდი ბელადი.
12. ციხირსა და ალასკაზე, მზრალ ნიადაგში დაცული 40-ზე მეტი მამონტის ლეშია ნაპოვნი.
13. ნაპოლეონი 52 წლის ასაკში მოკვდა. წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლებულ იმპერატორს ღარიშხნის მცირე დოზებით წამლავდნენ.
14. შექსპირის „ოთელიო“ ნახვის შემდეგ, აკაკი ხორავას ახლობლები გამურულები გამოდიოდნენ სპექტაკლიდან, რადგან აღფრთოვანებულები კოცნიდნენ გრიმწასმულ მსახიობს.
15. გელა ჩარკვიანი დედის მიერ ნაჩუქარ პიანინოზე „კრასნი ოკთაბრზე“ უკრავს. „იამაპას“ ფირმის საკონცერტო რიოალი რომ მქონდეს, სამსახურში არც წავიდოდიო, – განაცხადა მან ერთ-ერთ ინტერვიუში.
16. ერცკერცოგი ფერდინანდი, რომლის მკვლელობა I მსოფლიო ომის საბაბი გახდა, სიცოცხლეს სერბმა გავრილო პრინციპმა გამოასალმა.
17. „მუსიკას მე მხოლოდ პოეზიასთან



1901 წლის 23 მაისს, თბილისში, „გრანდ-ოთელში“, სასტუმროს თანამშრომლებმა საკუთარ ნომერში ნორვეგიის მოქალაქის, დაგნი იუელ პშიბიშევესკას გვამი აღმოაჩინეს. იმ საბედისწერო დღის შემდეგ, ასწელზე მეტი გავიდა, მაგრამ სიყვარული, მითუმეტეს — გამოორჩეული, განუმეორებელი სიყვარული სომ დროს არ ემორჩილება...

# საუკუნის მკვლელობა და თვითმკვლელობა

## მანია კახიძე

მშვენიერი დაგნის გვამი რომ აღმოაჩინეს, საოცრად შემოთრებულა ყველა. იმწუთას ვერავინ მიმხვდარა, რა მოხდა, რატომ და ვის შეეძლო ამ ნაზი არსების სასიკვდილოდ გამეჭება. რამდენიმე წუთის შემდეგ კი, უარეს დღეში ჩაცვივდნენ თურმე, უეცარი ელდისგან გაოგნებულები: გვერდით ნომერში მორეე გვამი იპოვეს — პოლონელი მემამულის შვილის, ვლადისლავ ემერიკის. ვლადისლავმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

... ახალგაზრდა ვლადისლავი დაგნის ახლობელი იყო. თბილისში კი სწორედ მისი თხოვნითა და მოწვევით ჩამოვიდა დაგნი თავის ექვსი წლის ვაჟთან — ზენონთან ერთად.

დაგნი ნორვეგიაში დაიბადა, ექიმის ოჯახში. შემდეგ ქრისტიანიაში ცხოვრობდა (ახლანდელი ოსლო), მოგვიანებით — ბერლინში. დაგნიმ ბერლინში მიიღო მუსიკალური განათლება. იქ ყოფნისას, მშვენიერი ნორვეგიელი ხატვამაც გაიტაცა. მაღალი წრის საზოგადოებაში ტრიალებდა და იმ პერიოდში, ერთი პოლონელი გაიცნო, რომელიც შემდეგ, მისი მეუღლე გახდა (პოლონელი ჭაბუკი, ცნობილი მწერალი სტანისლავ პშიბიშევესკა გახლდათ).

დაგნი და სტანისლავი მალე დაუახლოვდნენ ერთმანეთს. მეგობრული ურთ-

იერთობა სიყვარულში გადაიზარდა და დაქორწინდნენ კიდევ. ახალდაქორწინებულები ნორვეგიაში, დაგნის მშობლებთან გაემგზავრნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ, ქალ-ვაჟი შეეძინათ. მართალია, დაგნი დედა გახდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის შემოქმედებით მოღვაწეობაში. მშვენიერი ახალგაზრდა ქალი საუცხოო ტილოებს ქმნიდა, მეგობრობდა ცნობილ ნორვეგიელ მხატვართან, ედვარდ მუნკთან. საზოგადოება აღფრთოვანებული იყო დაგნის ნახატებით.

თბილისში ჩამოსვლამდე, დაგნი პოლონეთში ცხოვრობდა, ჯერ კრაკოვში, შემდეგ — ვარშავაში. ვლადისლავ ემერიკმა ქალი პოლონეთში გაიცნო და თავდავიწყებით შეუყვარდა. პოლონელი მემამულის კარგად აღზრდილ მემკვიდრეს იმის გაფიქრებაც კი სტანჯავდა, რომ დაგნი სხვას ეკუთვნოდა. შეყვარებული ვლადისლავი მთელი არსებით მიიღტვოდა დაგნისკენ, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწია. დაგნი მის გრძნობას არ პასუხობდა.

ვლადისლავ ემერიკი საქმეებზე ჩამოვიდა თბილისში, მაგრამ სიყვარული მოსვენებას არ აძლევდა. იმდენი მოახერხა, რომ საყვარელი ქალიც ჩამოიყვანა თბილისში. დაგნი პშიბიშევესკას აზრადაც არ მოსვლია, მისი სტუმრად მიწვევა ასე ტრაგიკულად თუ დასრულდებოდა. ის უცნობი ქვეყნის სილამაზემ ჩამოიყვანა, რომელიც ასე ხატოვნად აღუწერა



ვლადისლაემა. მხატვარმა ქალმაც მიიღო გადაწყვეტილება და თბილისს გამოემგზავრა ტილოების შესაქმნელად.

ვლადისლავ ემერიკმა ორი წერილი დატოვა სიკვდილის წინ, ერთი – რატომღაც გახსნილი. გახსნილ წერილში ემერიკი, გარდაცვლილი დაგნისთვის იმ კაბის ჩაცმას ითხოვდა, რომელიც ქალს მათი გაცნობის დღეს ეცვა... მეორე წერილი დაბეჭდილი იყო; მასზე ეწერა: „თბილისის პოლიცემისტერს“. უიმედოდ შეყვარებული ვლადისლავი პოლიცემისტერს წერილის გაუხსნელად შენახვას სთხოვდა. თარიღი, როდესაც წერილი უნდა გაეხსნათ, უცნაურად მოეჩვენა ყველას. ვლადისლავს სურდა, რომ წერილი დაგნის ვაჟის – ზენონისთვის, 24 წლის ასაკში გადაეცათ – ე.ი. 1919 წელს. რა ეწერა პოლონელი შეყვარებულის უკანასკნელ წერილში, სამწუხაროდ, დღესაც უცნობია. ვარაუდობენ, რომ ავტორი პატივებს სთხოვდა საყვარელი ქალის შვილს და ჩადენილი სისასტიკის მიზეზებს უხსნიდა...

არც ის არის ცნობილი, თუ მან მანცდამინც საქართველო რატომ აირჩია „განაჩენის“ აღსასრულებლად. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ვლადისლავ ემერიკმა ჯერ დაგნი მოკლა და შემდეგ, თავი მოიკლა. პატარა ზენონი, რომელიც 6 წლის იყო, როცა ულამაზესი დედა მოუკლეს, საქართველოდან მამასთან გაამგზავრეს.

დაგნი პშობიშვესკა კი თბილისში, კუკიის კათოლიკურ სასაფლაოზე დაკრძალეს. უცხოტომელი ქალის დაკრძალვა ძმები ზუბალაშვილების რძალმა – სვეტლანამ იკისრა. თუთიის კუბო სარკეებით ყოფილა დამშვენებული. დაგნის საფლავი მაშინდელი წესის დაცვით – ორმეტრ-ნახევრის სიღრმეზე გაუთხრათ. აგურის ცოკოლით დაფარულ საფლავს ცისფერი მარმარილოს დიდი ქვა დაადეს და

1999 წელს დაგნი პშობიშვესკას საფლავს იქვე, კუკიის სასაფლაოზე ადგილმდებარეობა შეუცვალეს



ნორვეგიულ ენაზე, მისი სახელი და გვარი ამოტვიფრეს.

აი, ვლადისლავ ემერიკი სად არის დაკრძალული, ძნელი სათქვლია. დაგნის საფლავს ყურადღებას არ აკლებენ თბილისში, მით უმეტეს, რომ ბოლო წლებში ნორვეგიის დედოფალი, სონია განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება ამ საკითხს. ლოგიკური კითხვაა – თუ რატომ არ დასაფლავა დაგნი ქმარმა სტანისლაემ სამშობლოში? ასე წლის შემდეგ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია. შესაძლოა, ცოლის „ღალატის“ გამო, მაგრამ უღალატა კი დაგნიმ ქმარს?! იქნებ, ორი შვილის დედა უბრალოდ მსხვერპლი აღმოჩნდა შეყვარებული ემერიკის?! წინააღმდეგ შემთხვევაში, რატომ მოკლა ვლადისლავ ემერიკმა ქალი, თუკი ის მასთან სიახლოვეზე თანახმა იყო?!

ამ ამბავში საინტერესო კიდევ ის არის, რომ ნორვეგიაში, ქალაქ კონგსვინგერში, სწორედ იმ სახლში გაიხსნა „ქალთა მუზეუმი“, რომელშიც დაგნი დაიბადა და გაიზარდა...

*P.S. მეოცე საუკუნის მიწურულს, 1999 წელს, კუკიის სასაფლაოს დირექტორ, ბატონ არკადი ჭოველიძის თაოსნობით დაგნი პშობიშვესკას საფლავს იქვე, კუკიის სასაფლაოზე ადგილმდებარეობა შეუცვალეს. მარმარილოს ფილაზე მისი გვარ-სახელი და გარდაცვალების თარიღი ამოტვიფრეს, პანაშვიდი გადაუხადეს. იმ დღეს ქართველმა მსახიობებმა და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა ერთხელ კიდევ მაგეს პატივი უცხო ქვეყნის შვილს, რომელიც ქართულმა მიწამ მიიბარა საუკუნის წინ...*

### ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი ეოჩა ღვალის უბის წიგნაკიდან:



ვლალატობ,“ – განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში დათო ევგენიძემ.

18. „მე შვიდი წლის ვიყავი და ვიცოდი კითხვა, ის კი თორმეტი წლის იყო და ჯერ ლაპარაკიც არ იცოდა,“ – ამ სიტყვებს ჟან-პოლ სარტრი თავის მემუარებში კინოს შესახებ წერს.

19. ერთხელ დიმიტრი უხნაძე სვანეთში ცხენმა გაატაცა. ამ ამბავს მისი მეგობარი შეესწრო. იგი თვალნათლივ ხედავდა, როგორ მიეჭნებოდა მხედარი უფსკრულისაკენ; ცხენი უცებ თითქოს სასწაულომქმედმა ძალამ შეაჩერა. დიმიტრიმ კი ამხანაგს ამ საიდუმლოს მიზეზი მშვიდად აუხსნა: ჩემი ბედაური შენი ჭაკის კვიცია – გაიგონე, როგორ დაიჭიხვინა შენმა ცხენმა, როცა ჩვენ უფსკრულთან ვიყავით? სასიკვდილო საფრთხეზე კი არაფერი უთქვამს.

20. ყველასათვის ცნობილია, როგორ მფარველობდა ლავრენტი ბერია თბილისის საფეხბურთო კლუბ „დინამოს“. ეს განსაკუთრებული მფარველობა „დინამოელებს“ შემდგომში ცხვირში ძმრად ამოადინეს. ხალხის მტრად ბერიას გამოცხადების წელს, „დინამო“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, მაგრამ მომხდარი მოვლენების შემდეგ, მოგებული მატჩი ხელახლა ათამაშეს, წავებინეს და საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა დააკარგვეს.

21. რო-დე-ჟანერიოს ერთ-ერთ სადალაქოში ასეთ პლაკატს წააწყდებით: ადმინისტრაცია პატივცემულ კლიენტებს სთხოვს, პირის პარსვის დროს ოსტატ დალაქთან ნუ ჩამოაგდებენ საუბარს ფეხბურთსა და პოლიტიკაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადმინისტრაცია კლიენტის უსაფრთხოებაზე პასუხს არ აგებს.

22. ავადმყოფი ჟან-პოლ მარატი შარლოტ კოდემ საკუთარ ბინაში მოკლა.

23. სულ ორ რვეულს შეადგენდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული დანატოვარი. ერთში რამდენიმე ლექსი იყო მოთავსებული, მათ შორის ერთი – უსათაურო, რომელსაც შემდგომში გამოცემლემბმა „მერანი“ უწოდეს, მეორეში – პოემა „ბედი ქართლისა“. P.S. ეს იყო და ეს.

24. სიმონ სხირტლაძემ მღებავს საკუთარი სახლის კარის სახელური არ შეადგინა – გალაკტიონს აქვს ზედ ხელი მონაკიდებიო.



# შიე გიორგი თხარა და სხვ. უკან დაბრუნება...

მისი პირადი ქონება 43 მლრდ დოლარს შეადგენს. ეს მონაცემები მოყვანილია ამერიკულ ჟურნალ Forbes-ის ყოველწლიურ რეიტინგში, რომელიც მსოფლიოს 400 უმდიდრესი ადამიანის ვინაობას აცნობს თავის მკითხველს.

როგორც „ფორბსი“ იუწყება, ამ სიაში მეორე ადგილი ინვესტორ უორენ ბაფეტს უკავია, რომელიც გეიტსისგან განსხვავებით, შარშანდელი წლის მანძილზე კიდევ უფრო გამდიდრდა: მან 33,2 მლრდ-ს კიდევ 3,8 მლრდ შემატა. მესამე ადგილზე იმავე „მაიკროსოფტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი პოლ ალენი გავიდა, რომლის ქონება, თანაგუნდელის მსგავსად, შემცირებულა – 28,2-დან 21 მლრდ დოლარამდე. პირველ ათეულში კიდევ ერთი გადარბეული კომპიუტერული მაგნატი – კორპორაცია Oracle-ის დამფუძნებელი და თავკაცი ლორენს ელისონი შედის, რომლის კაპიტალი 21,9-დან 15,2 მლრდ დოლარამდე დაეცა. ელისონს გაუსწრო უნივერსიტეტის უდიდესი ქსელის – Wall-Mart Stores-ის დამფუძნებლის სემ უოლტონის მეკვიდრეთა ოთხეულმა, რომელმაც მეოთხედან მერვედამდე ადგილები გაინაწილა: თითოეული მათგანის ქონება ერთ წელიწადში 17,5-დან 18,8 მლრდ დოლა-

რამდე გაიზარდა. სახელგანთქმული ფინანსისტი ჯორჯ სოროსი 7 მლრდ-ს მფლობელია და ოთხასეულში მოკრძალებულ 24-ე ადგილს იკავებს. მან შარშანწინდელთან შედარებით, 2001 წელს ერთი საფეხურით დაიხია უკან. აი, საფინანსო-საინფორმაციო სააგენტო Bloomberg-ის დამფუძნებელი და ნიუ-იორკის ამჟამინდელი მერი მაიკლ ბლუმბერგი კი, წინა წლის ორმოცდამეორედან 29-ე ადგილზე იმის წყალობით „გადახტა“, რომ 4-დან 4,8 მლრდ დოლარამდე გაიზარდა თავისი ქონება.

„ფორბსის“ მონაცემების თანახმად, შარშანდელი წელი ყველაზე შეძლებული ამერიკელების გადარბეების ტენდენციით აღინიშნა: 400 უმდიდრესის ჯამური ქონება 946 მლრდ დოლარით შემცირდა და სულ 872 მლრდ შეადგინა. ურნალი თურმე იტულებული გახდა, უწინდელი მინიმალური ზღვარი შეეცვლინა: თუ 2001 წელს უმდიდრესთა სიაში მოსახვედრად 600-მილიონიანი ქონება იყო საჭირო, ამიერიდან ეს ციფრი 50 მლნ-ით ნაკლები იქნება. დაბოლოს: ოთხასეულის პირველი სიიდან, რომელიც 20 წლის წინ გამოქვეყნდა, ამჟამინდელში 58 ადამიანია მოხვედრილი.

შარშან თურმე კორპორაცია „მაიკროსოფტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, მდიდართა შორის ყველაზე მეტად გადარბედა: მან 11 მლრდ დოლარი დაკარგა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ის მაინც პლანეტის უმდიდრეს ადამიანად რჩება: სადღეისოდ

## მამა ქალიშვილს ქონებას ედავება


შოუბიზნესისა და ეკრანის ვარსკვლავს, უიტნი ჰიუსტონს ძალე სასამართლოში, მოპასუხის როლში გამოსვლა მოუწევს. რა უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, მოსარჩელე ამ პროცესზე მისი ღვიძლი მამა – 81 წლის ჯონ ჰიუსტონი იქნება, რომელიც ცდილობს, ამ გზით 100 მლნ დოლარი წაართვას ქალიშვილს. ჯონი ირწმუნება, რომ უიტნის ასანახაურობელი დარჩა ის მომსახურება, რომელიც მას თავის დროზე მამის კომპანიამ გაუწია. როგორც კარგად ინფორმირებული წყარო იტყობინება – „ჯონი ძალზედ გაბრაზებულია უიტნიზე, რადგან თავის დროზე, ის შვილს ნარკოტიკებთან დაკავშირებით წარმოქმნილ პრობლემებთან გამკლავებაში დაეხმარა,

უიტნიმ კი ამის საზღაურად ერთი ცენტრიც არ გაიღო. არადა, მისტერ ჰიუსტონის წყალობით მან ფაქტობრივად, თავისი კარიერა გადაარჩინა: სწორედ მამამ, მომღერალმა ძალზედ ხელსაყრელი კონტრაქტი გააფორმა კომპანია Arista-სთან“. აქვე დავძენთ, რომ ბოლო დროს, ამ კომპანიასთან ვარსკვლავის ურთიერთობა საკმაოდ დაიძაბა. გარდა ამისა, მისი ბოლო სინგლი – WatchuLookinAt, რომელიც სექტემბერში

გამოვიდა, ჯერჯერობით ვერ ამართლებს ლეიბლის ხელმძღვანელობის იმედებს.



დაწესებული გადასახადი, მაგალითად, ღებზე	თვითმფრინავის მარკა	თურქეთის ფული ერთეული	გამოუსვლელი ადამიანი, სხეზე	მედიკამენტოზური	საყმაწვილო მოთხოვნა „თხა და ...“	მოგრძო, უმჯობეს არსებობა	სახელმწიფო აღმოსავლეთი აფრიკაში	ბოლოში ორად გაყოფილი ჯობი
რაიმის სახელური	რაიმეთი ვაგენილი ცხოველის ფიგურა	ერთნახაბი არაყი	სანოვაგე	ზრდადაუსრულელები	ბგერის გრაფიკული გამოსახულება	ესპანეთის საფეხბურთო გუნდი	იგაღ	ღვე



# პინკი როული ბავშვი

შოუბიზნესის ახალი ვარსკვლავი, პიპ-პოპ-პრინცესა პინკი, პრესას ყველა თავის საიდუმლოს დიდი სიამოვნებით უმხელს. გოგონა-სკანდალს სიმორცხვეს ნამდვილად ვერ დასწამებ. იგი ექსტრავაგანტურად და გამომწვევად იცვამს. სიმღერებში კი მღერის იმაზე, რომ არც საკუთარი თავი და არც მის გარშემო არსებული სამყარო არ მოსწონს.

მისი ყოველდღიური ცხოვრების გასაცნობად, გოგონას მეტსახელის წარმოშობის ამავიცი კმარა. პინკი „ვარდისფერს“ ნიშნავს და ეს თიკუნე გოგონამ ჯერ კიდევ მოზარდობისას შეიძინა. ერთხელ მშობლებმა ალესია (მისი ნამდვილი სახელია) ქალაქართუ საბავშვო ბანაკში გაგზავნეს. იქ მას ერთი ბიჭი ძალზე მოეწონა. საკარაუდოა, რომ გოგონა ბიჭსაც მოეწონა. მან თავისი განსაკუთრებული დამოკიდებულების გამოხატვა ფრიად ორიგინალურად მოინდომა და ალესიას სახელზედ შარვალი ჩახადა. პინკი ამბობს, რომ იგი ფეხის ფრჩხილებამდე გაწითლდა. მას შემდეგ ყველა „ვარდისფერს“ ეძახის.

იგი ხშირად უსიამოვნო სიტუაციაში ეხვევა ხოლმე. „ნატურით საოცრად ექსტრემალური ადამიანი ვარ, – ამბობს პინკი, – უსიამოვნებში მოხვედრის ტალანტი მამაჩემისგან მერგო. ისიც საოცრად პრობლემური ადამიანია, მეც მას ვგავარ. როცა მე და მამა სადმე ერთად მივდივართ, აუცილებლად რაღაც უცნაური რამ უნდა შეგვემთხვეს. ერთხელ მამა კინაღამ ვიღაც ბიჭს ეჩხუბა, როცა ის ჩემს მკერდს თვალს არ ამორებდა“.

მამისათვის ასეთი ქალიშვილის აღზრდა, ნამდვილად როული იყო. მისი საყვარელი გართობა, მასწავლებლებთან უხეშად მო-

ქცევა და მათთვის საჩოთირო შეკითხვების დასმა იყო. საერთოდ, მთელი არსებით ებრძოდა სასკოლო სისტემას, რისთვისაც ხშირად დამსახურებულად ისჯებოდა. ხან პანკ-ჯგუფებთან და ბრექ-დანსერებთან ერთად გასტროლებზე გარბოდა.

13 წლისა სკოლის რეპ-ჯგუფის ვოკალისტი იყო, მოგვიანებით, პანკებთან ერთად მღეროდა. იგი ყოველთვის დარწმუნებული იყო, რომ ვარსკვლავი გახდებოდა. მისი კერპი არანაკლებ სკანდალური მადონა გახლდათ.

სულ ცოტა ხნის წინ, იგი კიდევ ერთ სკანდალში გაეხვა. პინკმა განაცხადა, რომ ბრიტნი სპირსი მოლიმარი მარიონეტი თოჯინაა და მეტი არაფერი. სპირსმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და საპასუხოდ პინკს თვალთმაქცი უწოდა. „პინკმა ყვავილები გამოიმეზავნა და ვიფიქრე, რომ მას მოეწონებოდა. ახლა კი ჩემ შესახებ საზიზღრობებს ამბობს!“ – განაცხადა აღშფოთებულმა პიპ-პრინცესამ.

გაირკვა, რომ პინკს მართლაც გაუგზავნია ბრიტნისთვის შროშანები. ოღონდ მხოლოდ იმიტომ, რომ წინასწარ სცოდნია – სპირსს ამ ყვავილებზე ალერგია ჰქონდა.

# მადონა გაის ტეიდ მიიჩნევს

ამას წინათ, მადონა თავის ქმართან, რეი-სორ გაი რიჩისთან ერთად, ერთ-ერთ ამერიკულ ტელეშოუში გაის ახალ ფილმს რეკლამას უწევდა. ფილმში – „წაღებულნი“ ერთ-ერთ როლს მადონაც ასრულებს. სურათი სულ ახლახან გამოვიდა, თუმცა კრიტიკოსების რეცენზიებით თუ ვიმსჯელებთ, ჩავარდნა გარანტირებული აქვს. ამ ფილმის ორგელივ უამრავი მითქმა-მოთქმა იყო ატეხილი.

ბოლოს და ბოლოს, წვეილმა გადაწყვიტა, მაყურებლისთვის ფილმის გადაღების რეალური ამბავი მოეთხრო. სხვა ყველაფერთან ერთად, მადონამ განაცხადა, რომ მისი ქმარი ჰომოსექსუალიზმის ნიშნების დემონსტრირებას ახდენს. მოძღვრალმა შემოთავაზება გამოთქვა, ქმარსა და გადაღები ჯგუფის სხვა მამაკაცებს შორის არსებული „უცნაური ჰომოსექსუალური შეფერილობის“ ურთიერთობების გამო. „მათ ურთიერთობაში უამრავი ექსპლიციტური ქმედება შეინიშნებოდა, ისეთი, როგორცაა ნაზი მოფერება, ჩახუტება,

მხარზე ხელის მოთათუნება და კოცნა“, – თქვა მადონამ. მან ქმარი საქმისადმი უდიერ დამოკიდებულებაშიც ამხილა. ამბობენ, ცხოვრებაში მადონა მკაცრი და უბრალო ადამიანია. მამამთილის თქმით, ეს სკანდალისტი ქალბატონი, ყველაზე წყნარი და ზრდილი არსებაა. ოჯახურ წრეში პიპ-პუსიკის დედოფალი, თავმდაბლობითა და რბილი ხასიათით გამოირჩევა. „მადონა ძალზე ძლიერი პიროვნებაა, მაგრამ შინ ცოტას ლაპარაკობს და თავშეკავებულად იქცევა. იგი სულაც არ ჰგავს ქალს, რომელიც აგერ უკვე თითქმის 20 წელია, შოუბიზნესის წამყვანი მოძღვრალია“, – ამბობს ჯონ რიჩი. უკანასკნელ ხანებში მეჯი თავის ოჯახს დიდ დროს უთმობს: იგი თავს ევლება გაისს, ხუთი წლის ლოლას და ორი წლის როკოს. „იგი საოცრად ჰგავს მამას, როგორც გარეგნობით, ისე ხასიათით, – ამბობს ჯონი შვილიშვილზე. – ორივენი საოცარი ბავშვები არიან“. მადონას მსგავსად, გაისაც უყვარს ად-



ამიანებისთვის სიურპრიზების მოწყობა. ოდესღაც მან მშობლებისა და საცოლის გაცნობისას საოცარ ხერხს მიმართა. გაიმშობლებს გამოუცხადა, რომ შინ თავის ნაცნობს მიიყვანდა და როცა ოჯახში მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქალბატონის თანხლებით გამოცხადდა, გაოცებისგან ყველამ პირი დააღო.

ცხვი, რომელსაც შმაკის დუქინს ეძახიან	მონაწევრად დახვეული თამბაქოს ფოთლები	დაქირავებული კავალერი	არსებითი სახელის კითხვა	საზაფხულო საბაღ-ბაღითაში	საბაღ-ბაღითაში	მმარცველი, ყანაღი	იპო-ნტობ-ტეატ-რი
ადამიანი, რომლის მშობლები ინდიელი და ევროპელია	ავტოფარები	რუსი სამხედრო მოხელე, რომლის გვარის რუსთაველის პროსპექტს უწოდეს	მომღერალი ...	ქრისტიანი	სურა	კინემატოგრაფიანი ...	


### კოლიცია ფარგოსონი გაამართლა



„მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარმა მწვრთნელმა, ალექს ფერგოსონმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პოლიციას მადლობა იმის გამო გადაუხადა, რომ წესრიგის დამცველებმა მაღალი პროფესიონალიზმში გამოავლინეს და მას უსაფუძვლოდ არ დასდეს ბრალი ახალგაზრდა ქალის მიმართ სექსუალურ მეძიებლობაში. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ფეხბურთის შოტლანდიელი სპეციალისტის მოგზაურობისას, 21 წლის სტუდენტს, ვინმე ნადია ებრამს განუცხადებია, რომ კვიპტაუნის ერთ-ერთ ჯაზ-კლუბში სერ ალექსი მის „შებმას“ ცდილობდა და არაერთხელ შეეხო ხელით ფეხებზე. ამ „ფაქტის“ გამო ებრამსმა პოლიციას მიმართა და მანჩესტერელთა თავკაცისაგან „მორალური შეურაცხვეფისათვის“ ანაზღაურება მოითხოვა. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამართალდამცავებმა ოპერატიულად ჩაატარეს გამოძიება და ფერგოსონის უდანაშაულობა დაამტკიცეს. „დიდად მაღლიერი ვარ ჩემი ადვოკატისა და სამხრეთ აფრიკის პოლიციისა იმის გამო, რომ მათ ჩემი უდანაშაულობა ძალიან ძალიან დაამტკიცეს. ამავე დროს, მაღლობას ვუხდი ყველას, ვისაც ამ დღეებში ჩემი სჯეროდა. მომხდარის გამო პოზიტიური დამოკიდებულება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიმართ არ შემიცვლია და კვლავაც განაგრძობ აქაურ კოლეგებთან თანამშრომლობას“, – განაცხადა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა, რომლის თანაშემწეებიც პოლიციის მიერ ნადია ებრამსის წინააღმდეგ ცილისწამებისა და გამოძაღველობის ბრალდებით დაწყებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობასაც აპირებენ.

### განრისხებულმა კოლინამ ჩილდო ბალესტადის იაბაზა დაანარცხა

მსოფლიოში ყველაზე ცნობილი საფეხბურთო არბიტრი, პიერლუიჯი კოლინა მეტისმეტად უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდა, რის გამოც სატელევიზიო შოუ დემონსტრაციულად მიატოვა და მისთვის განკუთვნილი სპეციალური ჯილდოს მიღებაზეც უარი განაცხადა. მრისხანე იტალიელი მსაჯვი მიწვეული იყო შოუზე, რომელზეც გამარჯვებულებს ეწ. „კაპოროს ოსკარებს“ გადასცემდნენ. ცხადია, კოლინას ჯილდო „გასული საფეხბურთო სეზონის საუკეთესო არბიტრის“ ნომინაციაში გამარჯვებისთვის უნდა მიეღო. დაჯილდოების ცერემონია თავიდან ნორმალურ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, თუმცა მოულოდნელად პიერლუიჯის მისამართით მაყურებელთა რიგებიდან ვიღაცამ „სახუმარო“ რეპლიკა ისროლა: „საინტერესოა რომელ შამპუნს ხმარობს კოლინა?“ – რამაც კოლორიტული იტალიელი მსაჯვი ისე ადაშვოთა, რომ თავისი პრიზი იქვე ძირს დაანარცხა და ნამსხრევები კულისებში მიმოფანტა. შოუს დასრულების შემდეგ, კოლინამ განაცხადა, რომ დიდ



უზრდელობად და ნაკლებად სახუმარო თემად მიაჩნია ის ტრაგედია, რის გამოც იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში სრულიად გამელოტდა.

„ხშირად ვიღებ წერ-იღებს იმ ადამიანებისგან, რომელთა შვილებიც ანალოგიური დაავადებით იტანჯებიან. ჩემთვის ძალიან უსიამოვნოა, როდესაც ვინმე ამ სენის გამო დამცინის. ისიც საკმარისია, რომ ჩვენ დაავადებული ვართ და ამაზე სიცლი სრულიად შეუწყნარებელია“, – დასძინა პიერლუიჯიმ, რომელიც კანის დაავადების გამო თმას 24 წლის ასაკში გამოემშვიდობა.

### „როტორის“ ფახურთალი ცაცხლასროლი იარალით დაჯრას

კოლგოგრაღში, რუსეთსა და ალბანეთს შორის ჩატარებულ, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩამდე სამი დღით ადრე, ცეცხლსასროლი იარაღიდან ორჯერ გასროლით დაჭრეს „როტორის“ ნახევარმცველი, სერგეი რაშვესკი. ადგილობრივი პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფის მონაცემებით, ღამის გასართობ ცენტრ – „პირანიის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დაწყებული ფიზიკური შეხლა-შემოხლა სროლაში გადაზრდილა. „საქმის გარჩევამ“ ერთ-ერთი მონაწილის სიცოცხლე იმსხვერპლა. სერგეი რაშვესკი კი, იქ შემთხვევით მოხვედრილა. ხელსა და წელში დაჭრილი ფეხბურთელი „სასწრაფო დახმარების“ მანქანით საავადმყოფოში წაიყვანეს. ამჟამად სპორტსმენის მდგომარეობა სტაბილურია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. მკითხველს ვაცნობებთ, რომ „როტორის“ წარმომადგენლების მიმართ ანგარიშსწორების ფაქტებს რამდენჯერმე წარსულშიც ჰქონდა ადგილი. რამდენიმე წლის წინ, გუნდის საუკეთესო ბომბარდირის, ოლეგ ვერტენიკოვის ქალიშვილს სახეში მყავა შესახეს, ხოლო „როტორის“ პრეზიდენტის, რომან გორუნოვის ვაჟიშვილი დაუდგენელ ვითარებაში მოკლეს.

# როი ჯინის სასამართლო პროცესი დაიწყო

15 ოქტომბერს ლონდონში „მანჩესტერ ოუნაიტის“ მთავარი მენეჯერი, როი ჯინის მიერ გამოშვებული ავტობიოგრაფიული წიგნის გამო აღძრული სასამართლო პროცესი დაიწყო. მკითხველს შეეახებოდა, რომ აღნიშნულ ავტობიოგრაფიულ ნაშრომში ირლანდიელი ფეხბურთელი დაუფარავად აცხადებს „მანჩესტერ სიტის“ ნორვეგიელი მითამაშის, ალფ ინგე ხალანდისადმი მის მიერ განგებ მიყენებული ტრავმის შესახებ. კინი სასამართლო პროცესზე შავ კოსტუმში გამოწყობილი გამოცხადდა და ყველა დასმულ შეკითხვაზე პასუხების გასაცემად მზადყოფნა გამოთქვა. არ არის გამოცხადებული, რომ „ოუნაიტის“ ნახევარმცველმა ყველაფერში წიგნის გამომცემელი დაადანაშაულოს, რომელმაც თითქოს არასწორად დაბეჭდა მის მიერ ნათქვამი. ამასთანავე მოსალოდნელია, რომ ირლანდიელმა ფეხბურთელმა სასამართლოს ის აუდიონანაწერები წარუდგინოს, რომელიც წიგნის დაწერისას იყო გამოყენებული.



# უელსი ფეხბურთის საშალაბით გლობალიზაციის უელსიური პროპაგანდა

უელსის მოსახლეობა მოუთმენლად ელოდა ვეროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩს კარდიფში, სადაც ერთმანეთს უელსისა და იტალიის ეროვნული ნაკრები გუნდები შეხვდნენ. ქვეყნის ხელისუფლებამ კი, უელსელთა გუნდის ამ საპასუხისმგებლო შეხვედრის საშუალებით მშობლიური ენის პოპულარიზაცია განიზრახა და მატჩის წინ გამოუშვა სპეციალური ბარათები, რომელიც „მილენიუმის“ სტადიონზე მისულ გულშემატკივრებს დაურიგეს. ბარათებზე ვალიურ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე ეწერა სხვადასხვა სიტყვა და გამოთქმა, რომლის ხმარებაც გულშემატკივრებს ფეხბურთის ყურებისას ძალიან უყვართ. კარდიფში ამგვარად არა მარტო მშობლიური ენის პოპულარიზაცია, არამედ გულშემატკივართათვის იმის გაცნობაც სურდათ, თუ როგორ ქიმაგობენ სხვა ქვეყნებში საყვარელ გუნდებს. უელსის მთავრობის მინისტრმა, როდრი მორგანმა კი, იტალიელებს წერილი მისწერა, რომელშიც „მილენიუმზე“ ტოტისა და ვიერის ხილვის დიდი სურვილი გამოთქვა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამის შემდეგ „სკუადრა ატურამ“ ორივე ლიდერმა ტრავმა მიიღო და უელსის ნაკრების წარმომადგენლებს ისღა დარჩენოდათ, რომ მორგანისაგან „დათარსული“ იტალიის ნაკრების შესყურთათვის ბოდიში მოეხადათ. იტალიაში კი ამ დროს, უელსელთა მიერ მშობლიური ენის პოპულარიზაციის მცდელობაზე ბევრს იცინოდნენ და გაზეთებში ოფიციალური კარდიფის მიერ გამოშვებულ ბარათებზე შეცდომით დაბეჭდილ იტალიურ სიტყვებსა და ფრაზებს აქვეყნებდნენ, თუმცა, აპენინის ნახევარკუნძულის მკვიდრთა სალალობო განწყობილება

უელსი-იტალიის მატჩის შემდეგ ალბათ არსებითად შეიცვალა. ყველა-სათვის მოულოდნელად, „სკუადრა ატურამ“ „მილენიუმზე“ შეხვედრის ფრედ დასრულებაც ვერ მოახერხა და მშობლიური ენის დიდი სიყვარულით შეპყრობილ უელსელებთან ანგარიშით 1:2 დამარცხდა.



# პარცხნილობის ნოვაბორი მანიკურსაც გაღასწავდა

სახელგანთქმული ბრიტანელი ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი, რომლის ორიგინალური ვარცხნილობა კორეა-იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატის დროს, ლამისაა, ყველა გულშემატკივარმა საკუთარ თავზეც მიირთო, თურმე მანიკურითაც ყოფილა დაინტერესებული. ამ ცოტა ხნის წინ, ინგლისელი ფანების კერაში ახალშეღებილი ფრჩხილებით გამოჩნდა ხალხში. თუმცა, ეს მისი პირველი მანიკურული ექსპერიმენტი არ ყოფილა: ადრე, საზოგადოებაში შეღებილი ფრჩხილებით არ გამოჩენილა, მაგრამ ვერცხლისფერ-შავი მანიკურით ჟურნალ GQ-ის გარეკანზე იყო გამოკვირებული. როგორც ჩანს, მამინ მან არა მხოლოდ სარეკლამო მიზნით შეიღებდა ფრჩხილები, არამედ დროდადრო, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც იყენებს.

ცხადია, ბექჰემი პირველი არ არის იმ ცნობილ მამაკაცებს შორის, ვისაც მანიკური გაუკეთებია: ადრე შეღებილი ფრჩხილებით უნახავთ ლენი კრავიცი, ანტონიო ბანდერასი და ქვენტინ ტარანტინო და ალბათ იმის გამო, რომ მათ შორის ვერც ერთს ვერ დასწამებ ქალურობას, მიმბაძველებიც ძალიან გამოუჩნდნენ: უნივერსიტეტის ქსელის Woolworths-ის მენეჯერის თქმით, ბოლო დროს უფრო და უფრო მეტი მამაკაცი იჩენს ინტერესს ფრჩხილების ლაკის მიმართ, თუმცა ხშირად, ფერის არჩევა უჭირთ ხოლმე. „თავიდან ჩვენი თანამშრომლები ცოტა არ იყოს, გაკვირვებულები იყვნენ, მაგრამ როცა შეიტყვეს, რომ ეს, დევიდ ბექჰემის სახელთან ყოფილა დაკავშირებული, მათთვის ყველაფერი გასაგები გახდა, — აღნიშნა მენეჯერმა და დასძინა: — ისე კი, ნიშანდობლივია, რომ გაკვირვება გამყიდველებს უფრო შეეძლო, ვიდრე მყიდველებს. ჩვეულებრივ, მსგავსი პროდუქტის შეძენას მომხმარებლები უფრო გრძნობენ უხერხულობას: როცა მამაკაცი სახის კრემსა თუ თმის შესაღებ საშუალებას მოიკითხავს, ის, როგორც წესი, წითლდება და აქეთ-იქით იტყობება, — ალბათ ამოწმებს, მაღაზიაში რომელიმე მისი ნაცნობი ხომ არ არის...“



# რასისტი გულშემატკივრები სლოვაკეთშიც გამოჩნდნენ

ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად მოეხსენებათ, რომ ცოტა ხნის წინ ჩატარებული ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეორე და მესამე ტურის მატჩები, არცთუ ისე სასიამოვნო ვითარებაში წარიმართა. ცხადია, საქართველოს ეროვნული ნაკრების ქომაგთათვის ყველაზე დიდი იმედგაცრუება „ლოკომოტივის“ სტადიონზე ელექტროენერგიის მოულოდნელად გამორთვა იყო (რომლის მიზეზი ჯერაც არ დაუდგენიათ), თუმცა, საქართველორუსეთის მატჩის ჩაშლის ფაქტს, ბრატისლავაში გამართული სლოვაკეთ-ინგლისის შეხვედრისას დაფიქსირებული არაერთი ინციდენტის ფონზე, საერთო ევროპულ საფეხბურთო ოჯახში ისეთი უარყოფითი რეზონანსი აღარ გამოუწვევია, როგორსაც ქართული ფეხბურთის შეშფოთებული თავკაცები მოელოდნენ (ან მათი რუსი კოლეგები ნატრობდნენ). დღემდე, საფეხბურთო სამყაროში თავიანთი ხულიგნური ქცევით ინგლისელი გულშემატკივრები იყვნენ ცნობილნი, თუმცა, ბრატისლავაში ჩატარებული სლოვაკეთ-ინგლისის მატჩის დროს მომხდარმა ინციდენტებმა ცხადყო, რომ გამოუსწორებელ და მეტისმეტად აგრესიულ ალბიონელებს არც სლოვაკი ფანები ჩამოუვარდებიან. უფრო მეტიც, სლოვაკეთის ნაკრების გულშემატკივრებმა არა მარტო ბრიტანელი კოლეგების მიმართ თავიანთი სიძულვილი ვერ დამალეს, არამედ ინგლისის გუნდში მოთამაშე



შავკანიან ფეხბურთელთა მიმართ რასისტული სულისკვეთებაც გამოავლინეს. ინგლისელ და სლოვაკ გულშემატკივრებს შორის შესლა-შემოსლა ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე, ბრატისლავის ბარებში დაიწყო. ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელთა განცხადებით, წესრიგის დამყარების მცდელობისას სპეცდანიშნულების რაზმის წარმომადგენლები, ალბიონელი გულშემატკივრების მიმართ, მეტისმეტ დაუნდობლობას და აგრესიას ამჟღავნებდნენ. ბრიტანელთა გუნდის მთავარი მწვრთნელის, სვენ გორან ერიქსონის განცხადებით კი, იმ ინციდენტმა, რომლის დროსაც ერთ-ერთი ბარის მცველებმა ინგლისელ ქომაგებს ცეცხლი გაუხსნეს, მას „ველური დასავლეთის“ თემაზე გადაღებული ვესტერნების სცენები გაახსენა. ამასთანავე, ბრიტანული ფეხბურთის თავკაცები არც ინგლისის ნაკრების მხარდასაჭერად სლოვაკეთში ჩასული ფანების უმსგავს საქციელს ტოვებენ უყურადღებოდ და თანამემამულეებს გამოძვავ ქვე-

ვამი სდებენ ბრალს. ინგლისელ გულშემატკივრებს მასპინძელი გუნდის ქომაგთა გაღიზიანება სტადიონის ტრიბუნებზეც გაუგრძელებიათ. კერძოდ, ისინი მათთვის სპეციალურად გამოყოფილი ტრიბუნებიდან სლოვაკთა „ტერიტორიაზე“ გადაამძვრალან, რის გამოც თამაშის მსვლელობისას მათ შორის დაპირისპირება არ შეწყვეტილა.

ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად მოეხსენებათ, რომ ბრიტანელი ფანების უმსგავსი საქციელი არავის გაუკვირებოდა, აი, თავად მასპინძელი სლოვაკების მიერ რასისტული სულისკვეთების და უკიდურესი აგრესიულობის გამოვლინებამ კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. „კარგად გვესმოდა ყველაფერი, რასაც ჩვენი მისამართით ყვიროდნენ, იმიტომ, რომ რასისტული შემახილები არა მხოლოდ ტრიბუნის ერთი რომელიმე სექტორიდან, არამედ ყოველი მხრიდან გაისმოდა“, – განაცხადა ინგლისის ნაკრების შავკანიანმა ფეხბურთელმა, ემილ ჰესკიმ და ისიც დასძინა, რომ მისთვის ჯერ არსად მიუყენებიათ მსგავსი რასისტული შეურაცხყოფა. სლოვაკეთ-ინგლისის მატჩის მიმდინარეობისას მასპინძელი გუნდის ქომაგთა მხრიდან, ძირითადად, სტუმართა გუნდის ორი ფეხბურთელის – ემილ ჰესკისა და ემლი კოულიის მისამართით გაისმოდა შეურაცხმყოფელი და რასისტული შემახილები. სხვათა შორის, შეხვედრის მთავარმა არბიტრმა, დომინიკ მესინამ თავის ანგარიშში ზუსტად დააფიქსირა სლოვაკი გულშემატკივრების არასტუმართმოყვრული საქციელი ტრიბუნებზე. მიუხედავად იმისა, რომ მესინა მეტისმეტად საპასუხისმგებლო და დაძაბულ მატჩს სჯიდა, ისიც კი დაუფიქსირებია, რომ სლოვაკი ფანები ინგლისელთა გუნდის შავკანიანი მოთამაშეების შეურაცხყოფის მიზნით, მაიმუნისებურ ბგერებს გამოსცემდნენ.

სლოვაკეთ-ინგლისის მატჩის შემდეგ, უეფა გულდასმით შეუდგა ბრიტანული ფეხბურთის თავკაცთა მიერ შეტანილი საჩივრისა და შეხვედრის არბიტრის მიერ წარდგენილი ანგარიშის განხილვას და შესაძლებელია, სლოვაკეთის ფეხბურთის ფედერაციას მკაცრი სადამსჯელო სანქციებიც წაუყენოს. ■



# Ferrari-ს ბრძოლა ალფასკლაიმ Formula-1-ის რბოლებს ინტრიგა დაუკარგა



რუბენს ბარიკელო და მიხაელ შუმახერი

ცოტა ხნის წინ იაპონიაში გამართულმა გრან-პრიმ წერტილი დაუსვა „ფორმულა-1“-ის 2002 წლის სეზონს. როგორც მოსალოდნელი იყო, როლა კვლავ მიხაელ შუმახერმა მოიგო, გერმანელი პილოტის შემდეგ კი ფინიში, ასევე Ferrari-ს წარმომადგენელმა, ბრაზილიელმა რუბენს ბარიკელომ გადაკვეთა. ამ გამარჯვებებით წლებგანდელ ტურნირში თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, რადგან „გერმანელმა წითელმა ბარონმა“ ჩემპიონის ტიტული ზედიზედ მესამედ ჯერ კიდევ ავგუსტოში გაინაღდა და ამის შემდეგ, Ferrari-ს მთელი კოლექტივი მხოლოდ იმაზელა მუშაობდა, რომ 2002 წლის ჩემპიონატში მეორე ადგილი რუბენს ბარიკელოს დაეკავებინა. „სკუდერიის“ პილოტთა ბრწყინვალე ტანდემმა კი, „პროგრამა-მაქსიმუმი“ შეასრულა და წლებგანდელი ჩემპიონატი დიდი უპირატესობით მოიგო, თუმცა, „ფორმულა-1“-ის მესვეურნი იაპონიის გრან-პრის დასრულებისთანავე ყველაზე პრესტიჟული ავტოსარბოლო ტურნირის კრიზისზე ალაპარაკდნენ. მათი აზრით, ბოლო სამი წლის განმავლობაში, Ferrari-ს მიერ ზედიზედ მოპოვებული გამარჯვებები მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ სინიორ ენცოს მიერ ათწლეულების წინ დაარსებული საავტომობილო კორპორაცია თავის ნებისმიერ კონკურენტზე ერთი თავით

მაღლა დგას, რაც „ფორმულა-1“-ის ავტოსარბოლებისადმი გულშემატკივართა ინტერესს ანელებს. უფრო მეტიც, გავრცელდა სმები იმის შესახებ, რომ 2003 წლის სეზონისათვის მეტი ინტრიგის მისანიჭებლად, „ფორმულა-1“-ის ხელმძღვანელობა Ferrari-ს მიმართ ე.წ. პანდოკაპის პრინციპის (სხვა გუნდებისათვის ფორის მინიჭება) შემოღებასაც აპირებს, რის შედეგადაც, მათი აზრით, „შუმახერისა და კომპანიის“ უპირატესობა კონკურენტებზე, ამდენად თვალში საცემი

აღარ იქნება. ისე კი, უნდა ითქვას, რომ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს Ferrari-ს მოწინააღმდეგენი უკვე ბედს არიან შეგუებულნი, მრისხანე „სკუდერიის“ მიმართ არავითარი პრეტენზია აღარ გააჩნიათ და სარბოლო თუ საკონსტრუქტორო დონეზე მხოლოდ ერთმანეთს ეპაექრებიან. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასე ხდებოდა „ფორმულა-1“-ის 2002 წლის რბოლებში, როდესაც ძირითადად Williams-ი, McLaren-ი, Renault-ი, Sauber-ი და Jordan-ი ეცილებოდნენ ერთმანეთს (ოლონდ, არა ჩემპიონატის პირველი ადგილისათვის). ამასთან ერთად, წლებგანდელ ტურნირზე მიღწეული შედეგებით კმაყოფილია ზოგიერთი გუნდის თავკაცი. McLaren-ის ბოსის, რონ დენისის აზრით, მისი გუნდი 2003 წელს კიდევ უფრო წარმატებულად იასპარეზებს, მაგრამ იგი დარწმუნებულია, რომ Ferrari კვლავ უმთავრეს ფავორიტად



ელი ირვინი და ნიკი ლაუდა



დარჩება. „მიუხედავად ბოლო ორ რბოლაში ჩვენ მიერ მიღწეული პროგრესისა, მშვენივრად მოგვეხსენება, რომ გაისად Ferrari კიდევ უფრო გაძლიერდება, – ამბობს რონ ღენისი. – თუმცა, ჩვენ არ დავვიკარგავს ის შესაძლებლობები, ცოდნა და მოტივაცია, რაც გამარჯვების მისაღწევად არის საჭირო. თუ ყველაფერ ამას, გუნდის რესტრუქტურისა და ვაჭარების, 2003 წელს უფრო დამაჯერებლად ასპარეზობასაც შევძლებთ“.

იაპონიის გრან-პრის შემდეგ კმაყოფილებას ვერ მალავდა Jordan-ის თავკაცი, ედი ჯორდანიც, რომელიც დიდ მადლობას უხდოდა იაპონელ მრბოლელ ტაკუმო სატოს იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა, გუნდს გადააწვევტი ქულები მოაპოვებინა და კონსტრუქტორთა თასზე მეექვსე ადგილზე გაიყვანა. „ჯერჯერობით ვუხეიმო, მომავალზე კი მოგვიანებით ვიფიქრებ, – განაცხადა სატომ სამშობლოში გამართულ გრან-პრის მეხუთე ადგილის დაკავების შემდეგ. – ედმომ მიმილოცა და მეც ძალიან განარბებული ვარ იმით, რომ გუნდისთვის ქულების მოპოვება შევძელი. ამას კი ნამდვილად არ მოველოდი“.

წელს „ფორმულა-1“-ის რბოლებში პირველად მონაწილეობდა Toyota, რომელმაც დებიუტანტი გუნდისთვის არცთუ ისე ურიგო შედეგი უჩვენა. ყველასათვის მოულოდნელად, ბოლო გრან-პრის ფინელმა მიკა სალომ მერვე ადგილი

დაიკავა. ავტომრბოელთა საერთო ჩათვლაში იგი ვებერთან („მინარდი“), სატოსთან („ჯორდანი“) და ფრენტცენთან („ეროუზი“) ერთად, მე-15–მე-18 ადგილებს იყოფს. კონსტრუქტორთა თასზე კი, „ტოიოტა“ „მინარდისთან“ და „ეროუზთან“ ერთად, მე-9–მე-11 ადგილზე გავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ იაპონიის გრან-პრის არცთუ ისე წარმატებულად დასრულდა Sauber-ის პილოტებმა (ფელიპე მასა პირველივე წრეების შემოვლისას გამოეთიშა ასპარეზობას, ხოლო ნიკ ჰაიდფელდმა მხოლოდ მეშვიდე ადგილი დაიკავა), გუნდის თავკაცი, პეტერ ზაუბერი მაინც კმაყოფილია წლებანდელი საერთო შედეგებით. „შვებით ამოვისუნთქე, როდესაც დავინახე, რომ კონსტრუქტორთა თასზე მეხუთე ადგილი დავიკავეთ, – ამბობს ზაუბერი. – მთლიანობაში გუნდმა ეს შედეგი დაიმსახურა. სეზონის ფინალურ ეტაპზე მაინც დამაინც კარგად ვერ ვიასპარეზეთ და მეოთხე ადგილისათვის ბრძოლა ვერ გავაგრძელებთ, თუმცა, თუ შეჯიბრების ხასიათს მივიღებთ მხედველობაში, სინანულის საბაბი აღარ გვექნება. საიმედო მანქანის შექმნისა და მთელი სეზონის განმავლობაში შესანიშნავი მუშაობისათვის მთელ გუნდს მადლობას ვუხდი. ჩვენ უკვე აქტიურად ვმუშაობთ C22 მოდელის მანქანის შესაქმნელად და წელს მიღებულ გამოცდილებას პრაქტიკაში ვიყენებთ“.

Jaguar-ის მიერ კონსტრუქტორთა თასზე მეშვიდე ადგილის დაკავებით კმაყოფილი დარჩა „ფორმულა-1“-ის ცოცხალი ლეგენდა, ნიკი ლაუდა, რომელიც 2003 წლის სეზონში თავისი გუნდის წარმატებისათვის ერთ-ერთ უმთავრეს პირობად სარბოლო ავტომობილის მანქანების დახვეწა-გაუმჯობესებას მიიჩნევს. „ჩვენ, ტესტებს სრულიად ახალ დრავაზე უკვე მომავალ თვეში ჩავატარებთ, – ამბობს ნიკი. – ამჟამად კონცენტრირებული ვართ ჩვენს ახალ პროექტზე – Jaguar R4-ზე“.

დაბოლოს, მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ „ფორმულა-1“-ის 2002 წლის სეზონში გამარჯვებით, მხაელ შემახერმა მეხუთედ იხეიმა მსოფლიო ჩემპიონობა და ამ მხრივ, ლეგენდარული ზუან მანუელ ფანხიოს რეკორდი გაიმორა. თუ მხედველობაში მივიღებთ გერმანელი „წითელი ბარონის“ ამბიციურ ხასიათს, შეგვიძლია ვვიარაუდოთ, რომ 2003 წელს, იგი რეკორდის გაუმჯობესებას ეცდება. „ამ სეზონში მხოლოდ იმან როდი აღმაფრთოვანა, რომ ჩვენი მანქანებით ყველა რბოლის ბოლომდე მიყვანა შევძელით. ყველაზე ამაღელვებელი ის იყო, რომ ყოველი რბოლის შემდეგ, რომელიმე ჩვენგანი კარცლებზე იდგა. წელს მექანიკოსებმა მართლაც ბრწყინვალედ იმუშავეს“, – განაცხადა იაპონიის გრან-პრის შემდეგ შემახერმა.

**იონგმა ხანძარი გააჩინა**

იაპონიაში, ე.წ. „თავისუფალი პრაქტიკის“ რბოლაში მონაწილეობისას ექსტრემალურ სიტუაციაში აღმოჩნდა Minardi-ის მალაიზიელი პილოტი, ალექს იონგი. მის სპორტულ მანქანას გადასურების გამო, ბოქსში ხანძარი გაუჩნდა. მექანიკოსებმა ცეცხლი სწრაფად ჩააქრეს, თუმცა ხანძრისაგან წარმოქმნილმა ფერფლმა ბოქსში ხელსაწყოები და კომპიუტერები მთლიანად დაფარა.



**პირველი ხუთეული**

**ავტომობილთა შორის:**

1. მიხაელ შემახერი (Ferrari): 144 ქულა.
2. რუბენს ბარიკელო (Ferrari): 77 ქულა.
3. ხუან პაბლო მონტოია (Williams): 50.
4. რალფ შემახერი (Williams): 42.
5. დევიდ კულტჰარდი (McLaren): 41.

**კონსტრუქტორთა თასზე:**

1. Ferrari 221 ქულა.
2. Williams 92.
3. McLaren 65.
4. Renault 23.
5. Sauber 11.



აკაკი გეგენავა

დასრულდა ჩემი ხუთთვიანი სექტიალი ამერიკის იაფფასიანი საერთო საცხოვრებლებში. ამიერიდან აღარ მომიწევდა, ლოთებისა და ნარკომანების გვერდით თავშესაფრის ტიპის სასტუმროში ცხოვრება. დილაუთენია იმ ადამიანის განწყობით ვიღვიძებდი, ურთულესი პრობლემები რომ მოავარა, უდიდესი დაბრკოლებები გადალახა და ახლა შექელო, თავი ბუნდურად ვგრძნობ...

ჩემი მშვენიერი დასასხლისი, მოხუცი რუსი ქალი, სვეტლანა ლავროვა მართლაც რომ მფარველ ანგელოზად მომეგონა. გაწკრივალულ ოთახში, ქათქათა ლოგინში გატარებულმა პირველმა ღამეებმა ისეთი დადებითი მუხტით ამავსო, რომ იტყვიან, კლდეს გავაპობდი.

გასრულდა რუსი ფერებით შეფერილი თვეები, წარსულს ჩაჰბარდა არასრულფასოვნების განცდა, ბუნარელი თამარასა თუ ჩეჩენი მუსას დანახვისას რომ მეუფლებოდა. აღარაფერს ვამბობ იმ ყოველდღიურ უარყოფით მუხტზე, ბრუკლინის სასტუმრო-ბალაგანიდან რომ მომეგებოდა.

ისეთი სიხალისე და ოპტიმიზმი დამეუფლა, დარწმუნებული ვიყავი, ჩემთვის მიუღწეველი არაფერი იქნებოდა. მეოცნებე ბიჭვივით, მთელი სამყარო ჩემი მეგონა და იმედიანად ვუსწორებდი თვალს მომავალს...

ფორტუნა კეთილად მიღიმიოდა და, რამდენად ტრაფარეტულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, საღღაც, ცის დასალიერს ჩემი ვარსკვლავიც დავლანდე...

სვეტლანა, ჩემი კეთილი ანგელოზი

დაიხ, მხოლოდ ამ სიტყვებით ვიხსენებ სვეტლანა ლავროვას – 70-ს გადაცილებულ, სათნი მოხუცს, რომელმაც შორეულ ამერიკაშიც კი მაგრძნობინა, რომ ადამიანს ყველაზე მეტად სწორედ ოჯახური ატმოსფერო და სითბო სჭირდება. დეიდა სვეტამ თავისი თბილი, მშობლიური დამოკიდებულებით თავიც შემაყვარა. სამწუხაროდ, დღეს იგი ამქვეყნად აღარ არის და როცა რომელიმე ეკლესიაში შევდივარ, აუცილებლად ვანთებ სანთელს მისი სულის მოსახსენებლად. მის ქალიშვილებთან დღესაც მაქვს ურთიერთობა, ხშირად მირეკავენ, ან მე ვურეკავ ხოლმე. ორივეს, ხმა ძალიან მიუგავს დედის ხმას და მათთან საუბრისას ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ძალიან ძვირფას ადამიანს ვიხსენებ.

სვეტა ლავროვამ მთელი ცხოვრება მოსკოვში გაატარა. აღრე დაქვრივდა. რუსული



ამერიკული «ოლისა» ისევ „ЗОЛОТОЕ КОЛЬЦО“-ს იმაღსე...

ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა ერთ სკოლაში და ორ ქალიშვილს ზრდიდა. ერთხელ, სრულიად შემთხვევით, ვიღაცამ „მწვანე ბარათის“ ლატარიის ბილეთი შეავსებინა და... მოიგო მილიონთათვის სანუკვარი „მწვანე ბილეთი“.

არ უნდოდა, ცხოვრების ბოლო წლების ოკეანის გაღმა გატარება, მაგრამ ქალიშვილების სიხარულსა და დაჟინებულ თხოვნას წინ ვერ აღუდგა. წავიდა, მაგრამ დღე არ გავიდოდა, რომ არ ენანა. თუმცა, თავს იმით იმშვიდებდა, რომ ქალიშვილები იქვე, თავის მახლობლად ვეულებოდა. თუმცა, ცხოვრების ამერიკულ სტილზე გადასული რუსი ქალბატონები მაინცდამაინც ხშირად თავს „არ აწყენდნენ“ დედას.

არ ვიცი, რატომ და რისთვის, შეიძლება მისი დიდბუნებოვნებიდან გამოძინარე, ისე ძალიან მოეწონე და შეემთვინა, როგორც საკუთარ შვილს. ზოგჯერ ისეთ დიდ ყურადღებას ვგრძნობდი მისგან, რომ განცვიფრებას ვერ ვმაღავდი... მშვენივრად მახსოვს პირველი დილა სვეტა ლავროვას სახლში. ჩვეულებრივად, შრომის ბირჟაზე ადრე რომ მივსულიყავი, 6 საათისთვის უკვე ფეხზე ვიყავი. ჰოდა, როდესაც სააბაზანოდან გამოსულს საუზმე გაშლილი დამხვდა, გაოგნებული დავრჩი. სამზარეულოს მაგიდაზე გვერდიგვერდ იდო კარაქი, პური, შევიცარიული ყველი, ატმის ჯემი, რუსული ძეხვი და ორცხობილა. დეიდა სვეტა გაჩქურასთან იდგა და მომცრო ქვას დაჰყურებდა, თან ხის ნასვრეტებიანი კოვზით ურევდა. როგორც კი დამინახა, გამიღიმა და მითხრა:

– მოდი, აკავი, დაჯექი. ახლავე რუსულ „ვარენიკებს“ მოგართმევ. ხომ გიყვარს „ვარენიკები“?

ერთხანს გაოგნებული ვიდექი და ამ ცისფერთვალა, კეთილ მოხუცს შევყურებდი.

– რას გამეშებულხარ? მოდი, დაჯექი!..

– რატომ შეწუხდით, დეიდა სვეტა? ახლა ძალიან ადრეა, ცოტა დაგეგვენათ... – როგორც იქნა, ამოვიღე ხმა.

– ეე, შვილო! რა დამასვენებს... შენ იცი, რა არის დედის გული? შენ ახლა აქა ხარ და დედაშენი ალბათ დარდით ღამეებს ათენებს, ჩემი შვილი რას ჭამსო... მოდი, მოდი, დაჯექი... მთელი დღეები, ვინ იცის, მშვიერი დადიხარ...

ვიჯექი და მაღიანად ვილუკებოდი. ნამდვილად ვერ წარმოძვდინა, თუ თბილისიდან ასე შორ მანძილზე ამხელა სითბოს მაგრძნობინებდნენ... თითქოს მაშინ გავაცნობიერე, რომ დედამიწა არცთუ ისე დიდი ყოფილა...

საღამოს, ბირჟიდან რომ დაგებრუნდი დაღლილ-დაქანცული, ისეთი ვახშამი დამხვდა, რომ უკვე აღარ ვიცოდი, რა მეთქვა. ზღაპარში თუ სიზმარში მეგონა თავი. როგორი დასაჯერებელია? – ამერიკაში გამოჩნდა კეთილი ანგელოზი, რომელიც თავს მეულებოდა, ჩემზე დედასავით ზრუნავდა. ამხელა ქვეყანაში უკვე მარტო აღარ ვგრძნობდი თავს – ვიღაც ჩემზე ლელავდა და ნერვიულობდა... სვეტლანა ლავროვამ ისეთი ოჯახური იდილია შემიქმნა, რაღა დავიშალო და ხანდახან შინიდან გასვლა არც მინდოდა ხოლმე. ცოტა არ იყოს, სვეტას ყურადღებით გავენებიერდი კიდევ, მოვეშვი, ის კაკო აღარ ვიყავი, პირველ თვეებში რომ მეტეორივით დაქვრივდი...

მიუხედავად ამდენი ყურადღებისა, დეიდა სვეტას ერთი გამოუსწორებელი „ნაკლი“ ჰქონდა, თუკი ეს ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს, – ლაპარაკს იყო დანატრებული,



**ჩვენი ყოველი ხანგრძლივი დისპუტი საღამოობით, ლამის პოლიტიკურ დებატებამდე მისული კამათიც კი, სიმღერით მთავრდებოდა**

თანაც მშობლიურ ენაზე. საღამოობით, ძილის წინ მომიხელთებდა და...

რაზე აღარ ვლაპარაკობდით — რუსეთზე, ოჯახზე, სიყვარულზე, შვილებზე, ძალიან ხშირად — საქართველოზე, ქართველი კაცებისა და რუსი ლამაზმანების საუკუნოვან ურთიერთობაზე... სვეტას სასაუბრო თემა არ ელეოდა. თავიდან მეც მსიამოვნებდა ეს საღამოები. ერთი-ორჯერ რუსული რომანსებიც ვუმღერე ძველებურ საბჭოთა ვიტარაზე, რომელიც თან წამოეღო ამერიკაში... ასე რომ, სულ მთლად გადავრე ჩემი მოხუცი დიასახლისი. ჩვენი ყოველი ხანგრძლივი დისპუტი საღამოობით, ლამის პოლიტიკურ დებატებამდე მისული კამათიც კი, სიმღერით მთავრდებოდა. სვეტას სისარულს საზღვარი არ ჰქონდა. ისეთი გრძობა გამიჩნდა, რომ მიუღწევს ჩემს მოლოდინში ატარებდა. მანვედრებდა ნაირ-ნაირ კერძს, სოკოსა და ბოსტნულის სალათებს, ერთად ვწვავდით მწვადს ჰაერ-ლუმენში... თავდაპირველად „ვუმკლავდებოდი“ ამ ღამეულ შემოტევებს, მაგრამ ერთ თვეში უკვე არაქათი გამომეცალა. როგორია? — დილაადრიან სამუშაოდ წასული, ცემენტისა და ქვიშის მტვერნაყლაპი რომ დაბრუნდები შინ და რაც გინდა გემრიელი ვახშამი დაგახვედრონ, ლამის 2-3 საათამდე გამღერონ და გალაპარაკონ... ცოტაც და, ვეღარ გაუძლებდი.

თანაც, მართალია, სვეტლანა ჩემზე ძალიან ზრუნავდა, მაგრამ ზოგჯერ მისი ზედმეტი ყურადღება უხერხულ მდგომარეობაში მაგებდა. საკმარისი იყო, შინ დამგვიანებოდა, რომ იგი უზომოდ ნერვიულობდა და

ჩემ მისვლამდე არ იძინებდა. რამდენჯერმე ქართველ ბიჭებთან მომიხდა შეხვედრა და ქეიფი და დილაადრიან დავბრუნდი შინ. სვეტა გაუნდლად მიწოლილიყო ტახტზე და ადამიანის ფერი აღარ ეღო. ოთახში ვალერიანის წვეთების სუნი იდგა და მაგიდაზე წნევის წამალიც დავლანდე. ამის შემდეგ, ყოველთვის წინასწარ ვაფრთხილებდი, რომ დამავიანდებოდა და ამასაც არანაკლებ აპროტესტებდა.

ღედა სვეტას გვერდით ამ ოცდაათ წელს გადაცილებულ კაცს, თავი ისევ პატარა ბიჭი მეგონა, რომელსაც დედიკოს უკითხავად არსად შეეძლო წასვლა. მაგრამ სხვაგან წასვლაზე არც მიფიქრია. აქ ისეთი თბილი ატმოსფერო მხედებოდა, რომ სვეტას რეჟიმს ასე თუ ისე ვუძლებდი... მაგრამ ერთხელ კი მთელი სერიოზულობით გაგულისდა. მიუხედავად იმისა, რომ გაუფრთხილე, მაინც გამინაწყენდა, მთელი სამი ღამე შინ რომ არ გავათენე:

— კაკო, მე მინდა დედაშენს დაველაპარაკო თბილისში...

— რა თქმა უნდა, რა პრობლემა, ღედა სვეტა?! თქვენ ისე ხართ ჩემზე თანგადაყოლილი, რომ დედაჩემი აძლენ ხანსაც უნდა გამეცნო თქვენთვის...

ეს კი ვუთხარი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მთლად ჩემდა სასიკეთოდ არ უნდა ყოფილიყო საქმე. სვეტას ტონი მაინცდამაინც არ მომეწონა...

— შენ ამ ბოლო დროს ძალიან აიშვი, კაკო! მთელი ღამეები საღვაც დადიხარ, დედაშენმა კი არაფერი იცის!

— მეგობრებთან ვიყავი, ღედა სვეტა! არადა, მართლაც ასე იყო — იმ დღეებში ამერიკაში რაღაც დღესასწაულს ზეიმობდნენ და მეც ბირჟაზე გაცნობილ ქართველ ბიჭებთან ერთად ვატარებდი დროს...

— ფრთხილად იყავი, კაკო! ეს ამერიკა! თბილისი ან მოსკოვი არ გეგონოს, რამე უბედურებას არ გადაეყარო!.. არა, დედაშენს მაინც უნდა დაველაპარაკო!..

უარს როგორ ვეტყვოდი და თბილისში დავრეკე. როცა ყურმილი სვეტას გადავულოცე, ადამიანის ფერი აღარ მეღო. ნამდვილად არ მინდოდა, უცნობ რუს ქალს დედაჩემისთვის საყვედური ეთქვა ჩემზე, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, სვეტლანას ერთი აუცი სიტყვა არ დასცდენია ჩემი მისამართით, გადაკრულადაც კი არ მიუნიშნებია დედაჩემისთვის ჩემი „უწესობის“ შესახებ. პირიქით — იმდენი მაქო და მაღიდა, რომ აძლენი სოტბით, მგონი, ყურბეც ამიწითლდა... ბოლოს, უცნობ ქალს დაჰპირდა — შენს შვილს არაფერს გაუჭირვებ, არ ინერვიულო... და მე გადმომაწოდა ყურმილი.

— ვინაა, შვილო, ეს ქალი? — გაკვირვებით მკითხა დედა.

— ჩემი დიასახლისია, ღედა და ძალიან კარგი ქალია. ხომ გასსოვს, რომ გითხარი — ერთ რუს, მოხუც ქალთან გადავდივარ-მეთქი საცხოვრებლად. ძალიან კეთილი მოხუცია, თან მყვება...

— ჰო, შვილო! კარგია, რომ ასეთი ადამიანი შეგხვდა... მაგრამ მე მაინც შენი დარდი მკლავს... ხომ არ გშია, შვილო, ხომ არაფერი გიჭირს? თავს გაუფრთხილდი... ვინ იცის, როგორ გიჭირს მანდ მარტო ყოფნა!..

— ნუ ნერვიულობ, დედა! ყველაფერი კარგად არის... შენ გაუფრთხილდი თავს, შვილიშვილს მიხედე...

— მე რა მიჭირს, შვილო, შენ იყავი კარგად... — მერამდენედ მესმოდა ეს სიტყვები, მერამდენედ მეუფლებოდა ერთი და იგივე ტკივილიანი განცდა თბილისში, ახლობლებთან დარეკვის შემდეგ. თითქოს რაღაც მწყდებოდა, სადაც გულის სიღრმეში... სულ უფრო მეძალებოდა სურვილი ჩემიანებთან ყოფნისა... მაგრამ, რას ვიზამდი? — ბელს უნდა შეგვეუბოდი და მეც ასე ვიქცეოდი. ერთგვარ შეხებას მაშინ ვგრძნობდი, როცა ბანიკანდ მორიგ თანხას ვაგზავნიდი თბილისში ახლობლებთან, მაგრამ როდის იყო, ფული ნამდვილი სიყვარულის კომპენსაციას სწევდა!..

...ვიღეკი ყურმილით ხელში და სახეზე ალბათ იმხელა სევდა აღმებეჭდოდა, რომ ამერიკაში შექმნილმა „ახალმა დედამ“ ცრემლი ვეღარ შეიკავა, იქვე სავარძელში ჩაეშვა და ასლუკუნდა.

### მცირე ნოსტალგიური ჩანართი

ვისაც უცხოეთში მცირე ხნით მაინც უცხოვრია, ბუნებრივია, დამეთანხმება, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ სად ათენებ ღამეს. მე ამ მხრივ ძალიან გამიმაართლა. გარდა იმისა, რომ ფაქტობრივად, მიზერულ გადასახადს ვიხდიდი ბინაში, საკმაოდ კომფორტულ პირობებშიც ვიმყოფებოდი. არც საჭმელ-სასმელი მაკლდა, არც არავინ ამწაპნიდა რამეს, არც ნარკომანები და ლოთები დამიფრთხობდნენ ძილს. მშვიდ გარემოში ვცხოვრობდი და მზრუნველი დიასახლისიც თავს დამფოფინებდა. თუმცა, ჩემი ოჯახი და თბილისი ძალიან მენატრებოდა... განსაკუთრებით ჩემი პატარა გოგონა, რომელმაც უჩემოდ გადადგა პირველი ნაბიჯი და მალე ალბათ ტიტინსაც დაიწყებდა. ზოგჯერ სევდა და ნოსტალგია ერთდროულად მეძალებოდა ხოლმე და თბილისში დაბრუნებაზე ვიწყებდი ფიქრს,

მაგრამ ეს ყველაფერი წუთიერად ხდებოდა — მწარე რეალობა მაფხიზლებდა და ახალი ენერგიით მავსებდა, იმ ენერგიით, რომლითაც ამერიკაში წამოსვლისას ნაკისრი „მისია“ უნდა შემერეულიყვნინა: ცოტა ფული მეშოვა, იმდენი მაინც, რომ ჩემი ოჯახი დამეპურებინა. უფლება არ მქონდა, შუა გზაზე გაეჩერებულიყავი, ყველაფერი მიმეტოვებინა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი ანები მომენატრნენ და მეტი არაფერი...  
არა, ამის უფლება ნამდვილად არ მქონდა. შუა გზაზე ვერ გაეჩერდებოდი, აწყობილ საქმეს ვერ მივატოვებდი...

**ახალი „ბიზნისის“ ძიებაში**

მოკლედ, ბინის პრობლემა მოგვარებული მქონდა. მთავარი იყო, მუდმივი სამუშაო მეშოვა. მართალია, ბირჟაზე ყოველდღე დავდიოდი და მრავალი ხელობის ათვისება შევძელი იქ გაცნობილი ქართველების წყალობით. მოკლედ, დურგლობაც შეძელი, კალატროზობაც, ელექტრიკოსობაც, თქვენ წარმოიდგინეთ — მებაღებაც. ერთხელ ერთ მცხეთელ ბიჭს გავყვები, ბრუკლინის გარეუბანში მცხოვრებ რომელიღაც მილიონერთან. ლამის ნახევარ ჰექტარზე ჰქონდა სხვადასხვა ხეხილის ბაღი გაშენებული. ისეთი გასხვლა მასწავლა მცხეთელმა ვასიკომ, ალბათ არასოდეს დამავიწყდება. მთელი კვირა ვიმუშავეთ და თითოეულმა 800-800 დოლარაც ავიღეთ... მაგრამ იყო დღეები, როცა 30-40 დოლარადაც ვვიმუშავებ, ზოგჯერ ხელმოცარულიც დავბრუნებულვარ შინ. აი, მაშინ უნდა ვენახათ ჩემი მოხუცი დიასახლისის ქოთქოთი. რაც არ უნდა დამემალა, მაინც მიმიხვდებოდა, რომ იმ დღეს ვერაფერი ვიმოვე და ცდილობდა, „კომპენსაცია“ გემრიელი კერძებით გაეწია...

არადა, რაღაც გზას უნდა დავდგომოდი. ბირჟაზე ნაშოფნი „სამსახური“ ძირითადად 3-4 დღე, მაქსიმუმ ერთი კვირა თუ გრძელდებოდა. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ისევ

ახალი რაიმი უნდა გეპოვა, რაც ნერვიულობასთან და ემოციურ სტრესთანაც იყო დაკავშირებული. არა, ამ ტემპით წარმატებას ვერ მივაღწევდი. რაღაც კონკრეტული გადაწყვეტილება უნდა მიმეღო! ხოლო რა, ეს თავად უნდა გადამეწყვიტა...

ზიზო-ზემფირასთან, მშვენიერ უზბეკ ახალგაზრდა ქალთან ფიქტიურ ხელის მოწერაზე უარი განაცხადე. ეს რომ გამეკეთებინა, არც ჩემს თავთან ვიქნებოდი მართალი და ვერც ჩემს მეუღლეს აუუხსნიდი, რომ ყველაფერი „ოჯახის ბედნიერებისთვის“ ჩავიღინე...

ერთხანს ხელოვნური ავტოავარიის მოწყობაზეც ვფიქრობდი, მაგრამ რისკისთვის მზად არ ვიყავი, არც აფერაზე წამსვლელს ვგავდი და არც რაიმე სურვილი მქონდა, ფეხი ან სულაც კისერი მომეტეხა დოლარებისთვის...

...დარჩა ყველაზე რეალური და ნაღდი გამოსავალი — ტრადიციულ მუშაობა. მართალია, ამას დრო და საქმე თანაც სჭირდებოდა, სამაგიეროდ, ჩემი ბუნების კაცისთვის ზედგამოჭრილი იყო. რომ წარმოვიდგენდი, როგორ მოვივლიდი ჩემი ტრადიციით მთელ ამერიკას, ჟურნალტელი მივლიდა ხოლმე. ამქვეყნად არაფერი ისე არ მიტაცებდა, როგორც მოგზაურობა — ტრადიციულ მუშაობა კი, სწორედ ამის საშუალებას მომცემდა. შევხვდებოდი უამრავ ახალ ადამიანს, ენახავდი ახალ ქალაქებსა და დასახლებებს, ისტორიულ ძეგლებს...

მოკლედ, ძალიან გამიტაცა ოცნებამ. ბირჟაზე ახალგაგნობილ ერთ-ერთ ჩემს „კომპანიონს“ დავურეკე — რუსთაველ მძილოს, რომელსაც მალხაზი ერქვა. ისიც აპირებდა სატვირთო მანქანაზე მუშაობის დაწყებას. არც მას ჰქონდა საკმარისი თანხა სასწავლო კურსებზე შესატანად.

— რა ვქნათ, მალხაზ? იქნებ, რაიმე მოვიფიქროთ და როგორმე დავიწყეთ კურსებზე სიარული, თორემ ასე ყოველდღიური მუშაობით არაფერი გამოგვივა, — ვუთხარი, თან მისი ერთ-ერთი მეგობრის ამბავი მაინ-

ტერესებდა, რომელიც ახლა უზარმაზარი ტრადიციით სერავდა ამერიკის გზებს, შტატებიდან შტატში საქონელი გადაჰქონდა.

— კაკო, შენ ფულის შოვნა არ უნდა გაგიჭირდეს. იმ დღეს ისეთ ლამაზ და მდიდრულად ჩაცმულ ქალთან დაგინახე, თვალები შუბლზე ამვიდა! — პირდაპირ მომახალა მალხაზმა.

— ვინ ქალთან დამინახე? — გავიოცე, მაგრამ მერე გამახსენდა, რომ ზიზო-ზემფირას მივაცდილებდი თამარას სასტუმროში. — ის ქალი, ბიჭო, იქით ეძებს ფულს. ფიქტიური ქორწინებაც კი შემომთავაზა და იმდენი ფული მოითხოვა, კინაღამ გავგიჟდი.

— სთხოვე მაინც ფული, იქნებ გასესხოს. თუ არა და, მოდი, იცი, რას გეტყვი — ეგ გოგო როგორმე გამაცანი, იქნებ, მე გამოვივადე რამე!..

— ადექი და გაიცანი, ხომ არ გგონია, დიდად მესატება გულზე!


— მერე არ გეწყინება, კაკო? — ეტყობა, არ მოელოდა, ასე ადვილად თუ „დავუთმობდი“ ლამაზ უზბეკ ქალს.

— რა უნდა მეწყინოს? — ჩემი არც საყვარელია და მით უმეტეს, არც საცოლე... ერთი ლამაზი „უზბეკაა“, ფულს დახარბებული. არა მგონია, ხელი გავიმართოს. ჩემგან რა მიღის? — ერთხელაც დავურეკე და შეგახვედრებ. შენ იცი და შენმა ვაჟაკობამ!..

მე და მალხაზი მეორე დღეს უნდა შევხვედროდით ერთმანეთს და დაწვრილებით გავველო სატვირთო მანქანის მართვის კურსებზე სწავლის პირობები.

...ისევ ფულის შოვნის პრობლემა მაწუხებდა. ერთბაშად მჭირდებოდა მნიშვნელოვანი თანხა, თორემ მერე თანდათან შევძლებდი გადახდას, კურსებზე სწავლის პერიოდში, თან ვიმუშავებდი. თანაც არც ბინის ქირა მექნებოდა გადასახდელი: ჩემმა კუთილმა დიასახლისმა ისიც მითხრა — რამდენიმე თვე, თუ გინდა, ნურაფერს გადამიხდი და მერე ერთბაშად მომეცი, როცა ფულს იშოვო...  
...ამ ფიქრში ვიყავი და თავში გენიალური აზრი მომივიდა: ჩემი ძველი რესტორანი გამახსენდა. „ЗОЛОТОЕ КОЛЬЦО“-ში ნამდვილად არ მეტყოდნენ უარს ფულის სესხებაზე. ჩემი შეფ-მზარეული კუნძა უეჭველად დამემხარებოდა გასაჭირში ჩავარდნილს; დარწმუნებული ვიყავი, რომ მენდობოდა. რესტორნის მეპატრონის, მშვენიერი კისას იმედიც შეიძლებოდა მქონოდა...

და ასე, იმედის ამარა „ЗОЛОТОЕ КОЛЬЦО“-ში წასვლის თადარიგი დავიჭირე...



დასაწყისი იხ. „გზა“, №40-41

რესტორნის სამრეცხაოში, ჭუჭყიან ტაფებსა და ქვაბებთან პირისპირ დარჩენილ ნინის, ჯერ „ქალია“ ოფიციალური აჩიკო დაადგამს თვალს, მაგრამ გოგონა მას, სულ ადვილად მოიშორებს თავიდან. დღე არ გავა და ნინი შეამჩნევს, რომ რესტორნის შეფ-მზარეულის — მთასავით მოსული, მაღალი გრიშა კუბლაშვილის დაჟინებული ყურადღების ობიექტი გამხდარა, თუმცა თავიდან, კაცი ამას უფროსის ჩვეული სიმკაცრით ნიღბავს.

შალვა ბიძია ნინის აფრთხილებს — მამაკაცები შენნაირი პატარა და გულუბრყვილო გოგონებით ტყუილად როდი ინტერესდებიან და რაიმე ხიფათს არ გადაეყაროო. მაგრამ ნინი შალვას ყურს არ უგდებს, რადგან თავად სულ სხვა, შორს გამიზნული გეგმები აქვს და მამაკაცებს აქეთ, თავის სასარგებლოდ გამოყენებას უპირებს. კინორეჟისორი გოგი გორგილაძეც, რომელიც შალვა ბიძიამ რესტორანში მისვლის პირველ დღეს გააცნო, მას სწორედ „ხალხში გასასვლელად“ სჭირდება, შეფ-მზარეული გრიშა კი — რესტორნის ჭურჭლის აწროლებული სამრეცხაოდან მყუდრო ბარში გადასასვლელად.

ამ „სტრატეგიული“ გეგმის ფონზე, ნინის, ცხადია, ერთი წუთითაც არ ავიწყდება დიტო და ერთ დღეს იმ სასტუმროშიც მიდის, სადაც ახალგაზრდა კაცმა მას პაემანი დაუნისნა. ყოველ საღამოს, რესტორნიდან შინ მისული, ნინი კომოდის უჯრიდან ბლოკნოტს იღებს და მის ბოლო გვერდზე მოთავსებულ კალენდარში მორიგ რიცხვს დიდზე დიდი სიამოვნებით შლის. დიტოსთან შეხვედრის დღე სულ უფრო ახლოვდება...

ნინი შინ ფეხით წამოვიდა, მაგრამ მალე, გზა აუბნა და როცა შალვა ბიძიას სახლს კითხვა-კითხვით ძლივსლა მიაგნო, უკვე ბინდებოდა. შალვა ბიძია ჯერ არ დაბრუნებულყო. ნინიმ ტანზე წყალი გადაივლო და ლოგინში ჩაწვა. მალე კარის გაღების ხმა გაიგონა და ძილ-ბურანში წასულს, შალვა ბიძიას ხმაც ჩაესმა:

- როგორ მოიარე?
- მშვენივრად, — უპასუხა ნინიმ.
- კარგი, დაისვენე. ხვალ შეგიძლია, ცოტა მეტიც იძინო, — უთხრა შალვა ბიძიამ.

ნინის ისედაც დიდი თვალები გაოცებისგან კიდევ უფრო გაუფართოვდა.

— ჰო, ჰო, „კუხნაში“ გადავიყვანეს, იქ კი ძალიან ადრე მისვლა საჭირო არ არის...



რუსულან ბერიძე

# ქალური ინსუიკია ანუ ჭიამიას თვითობი

შალვა ბიძიას ნინისთვის დაწვრილებით არაფერი აუხსნია, თუმცა, ასახსნელი ბევრი არც არაფერი იყო: წინა დღეს, როგორც კი დილით ნინი შინიდან გავიდა, შალვა ბიძიამ კარზე კაკუნი გაიგონა და რომ გამოაღო, აქოშინებული ცირა დაინახა:

— ჩქარა, წამოდი, „ფანტომასი“ ბობოქრობს, — უთხრა მან შალვას, — შენი „კუკლა“ ძმისშვილი ამ დილით სამრეცხაოში არ გამოჩენილა...

„ფანტომასის“ თანამშრომლები შეფ-მზარეულ გრიშას ეძახდნენ და მისი განრისხებისა ყველას ძალიან ეშინოდა. თუმცა, შალვა ბიძიას ეს ამბავი დიდად როდი აწუხებდა, რადგან რესტორნის კარისკაცები შეფს არ ემორჩილებოდნენ...

— სად ბრძანდება ქალბატონი? — ჰკითხა სამზარეულოში შესულ შალვას

გრიშამ.

— არ ვიცი, — მშვიდად მიუგო შალვამ.

— როგორ თუ არ იცი?

— არ ვიცი და რა ვქნა? მითხრა, ერთ ადგილზე ვარ მისასვლელილო... მეტი არაფერი დაუზუსტებია...

— ძმისშვილიც მაგას ჰქვია... შენთვის მაინც ეთქვა... — ამკარად ხმა მოუღბა გრიშას.

იქვე მდგარი ოფიციალტი აჩიკო კი სასწრაფოდ ასისინდა:

— ლია ეგეთი „ფოკუსისთვის“ აქედან პანდურის კვრით გააგდეს. ეგ ლაწირაკი კი, სადაც უნდა, იქ დაეხეტება და...

— ამას შენ არავინ გეკითხება! — სიტყვის დამთავრება არ აცალა გრიშამ აჩიკოს. — გასწი, შენს საქმეს მიხედე!..

– ისე, ლია, ჩვენი ყოფილი ოფიციალური, სამსახურიდან მართლა ერთი დაგვიანებისთვის გავაგდე...

– ვიცი, – დაუდასტურა შალვამაც.

– კარგი, კარგი, არა უშავს... შენი ძმისწული ჯერ ძალიან პატარა და გამოუცდელია... პატრონობა სჭირდება... ამიტომ, სვალთან „კუნაში“, ბოსტნეულის საჭრელთან დავაყენებ...

შალვა მიხვდა, რომ შეფ-მზარეულის გადაწყვეტილებას უთუოდ უნდა დასთანხმებოდა და ასეც მოიქცა. თუმცა, გულს მაინც ეჭვები უღრღნიდა: „აჩიკო მართალია – ლია ორი საათის დაგვიანებისთვის გრიშამ გარეთ გაუძახა, ნინი კი მთელი დღის გაცდენისთვის დააწინაურა. ნეტავ, ეს ყველაფერი რას უნდა ნიშნავდეს?... თანაც, პატრონი სჭირდებაო, რომ დააყოლა, ნეტავ, ჩემს ძმისშვილს მაგის საპატრონო რა სჭირს?!“

შალვა გრძელიშვილი მიეჩვენა, რომ ყველაფერში რჩევა ნუცასთვის უნდა ეკითხა, მაგრამ მას შემდეგ, რაც საკუთარი უხერხემლობით, აქტიურ ცხოვრებასთან დამაკავშირებელი ეს „დაფიც“ საკუთარი ხელით გაწვევითა, საკუთარ ფიქრებთან და დარდთანაც მარტო დარჩა. ახლაც, ის იყო, შეფის გადაკრულ სიტყვებზე თავის მტკრევა მარტოს უნდა დაეწყო, რომ მხარზე ვიღაცის ხელის მსუბუქი შეხება იგრძნო. შალვამ მოიხედა და სევდიანად მოღიმარი ნუცა დაინახა:

– დამშვიდდი, ჩემო შალვა, ხომ იცი, ნინისნაირი კოხტა გოგონები ყველას მოსწონს... არც გრიშამა გამონაკლისი... მაგრამ ჩვენი შეფი არც იმდენად სულელია, რომ ერთი თითისხელა გოგოს გულისთვის კარიერა გაიფუტოს... ამიტომ, ბევრს ვერაფერს გაუბედავს... თანაც მეც აქვე ვიქნები... ას თვალს და ას ყურს გამოვიბამ... ასე რომ, წინასწარ გულს სულ ტყუილად იხეთქავ... ის კი არა და, კიდევ უნდა გიხაროდეს, ნინიმ რომ ჭურჭლის რეცხვას ასე ადვილად დააღწია თავი...

ნუცას სიტყვებმა შალვა საბოლოოდ დაამშვიდა. ქალს მხარზე ხელი მეგობრულად მოუთათუნა და სიტყვის უთქმელად გაეროდა.

– ეჰ, შალვა, შალვა... – ამოიოხრა ნუცამ, – ან მე რას მტანჯავ და, ან საკუთარ თავს?... – მაგრამ შალვას მისი სიტყვები ნამდვილად არ გაუგონია...

მეორე დღით ნუცამ ნინი ბოსტნეულის საჭრელთან მიიყვანა და დამოძღვრა:

– იცოდე, შეფს წუთიც კი არ უნდა ალოდინო, ყველაფერი სწრაფად და სუფთად უნდა გააკეთო. გასაგებია?

– გასაგებია... – თავი დაუკრა ნინიმ

და მაშინვე საქმეს შეუდგა.

მალე სამზარეულოში გრიშაც გამოჩნდა. მას ნინისკენ არც კი გაუხედავს, თითქოს საერთოდ ვერ ამჩნევსო. ნინიმაც იმავეთი უპასუხა და ბოსტნეულის ჭრა ისე მშვიდად განაგრძო, თითქოს სამზარეულოში ბუზიც კი არ შემოფრენილიყოს...

ცოტა ხანში, შეფმა ნინი კაბინეტში გამოიძახა. კაბინეტი სამზარეულოს გვერდით იყო. სანამ ნინი ამ მომცრო ოთახის კარს შეაღებდა, ნუცა წამოეწია და წასჩურჩულა:

– გრიშა კაბინეტში შემთხვევით არავის იძახებს. მაგრამ დაუდუქი, მაგრამ მთლად ცხვირ-პირს კი ნუ დააღლეწავ...

ნინიმ, თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნია და კარი შეაღო.

შეფი მაგიდას უჯდა და ქაფქაფა ჩაის სვამდა. მაგიდაზე მდგარ პატარა თეფშზე რამდენიმე ცალი „პეჩენია“ იღო.

შეფს თეთრი პერანგის ზედა ორი ღილი შეეხსნა და მსუქანი, პრიალა ყელი გამოეჩინა.

– მოდი აქ, ჩამოჯექი, – მაგიდასთან მიიწვია მან ნინი.

ნინიმ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და შეფის წინ დასკუბდა.

– ჩაი გინდა? – ჰკითხა გრიშამ.

– მინდა.

გრიშამ აშკარად გაკვირვებულმა გადმოხედა ნინის: ჩვეულებრივ, ქვეშევრდომები ჩაიზე მოკრძალებულ უარს ეუბნებოდნენ. თუმცა, შეფმა უკვე კარგად უწყოდა, რომ ნინი ნამდვილად, არც ჩვეულებრივი და არც მოკრძალებული ქვეშევრდომი იყო. ასე რომ, სხვა გზა აღარ დარჩენოდა – კარადიდან მეორე ჭიქაც გამოიღო და ნინის ჩაი დაუსხა.

ნინიმ ჩაი მაშინვე პირთან მიიტანა. შეფმა მას რამდენიმე ყლოუპის მოსმა აცალა და შემდეგ ჰკითხა:

– გუშინ სად ბრძანდებოდი?

– ერთგან... ძალიან მჭირდებოდა...

– მე არ მიკითხავს, გჭირდებოდა თუ არა. სად იყავი-მეთქი? – ხმას აუწია გრიშამ.

ნინიმ „პეჩენია“ ჩაკბინა, ზედ კიდევ რამდენიმე ყლოუპი ჩაი დააყოლა და გაუძეო-რა:

– ხომ გითხარით, ძალიან მჭირდებოდა-მეთქი...

– კიდევ აპირებ „იქ“ წასვლას?

ნინიმ მოკეჩილი „პეჩენია“, ლამბაქზე დადო, ჩაის ჭიქა გვერდზე გასწია და შეფს თვალი თვალში გაუყარა:

– ვაპირებ, მაგრამ ეს ჩემს სამუშაოს არანაირად არ შეეხება.

– შეეხება და ნახავ, რა ჩიტსაც დაიჭერ! – დაიგრგვინა შეფმა.

მაგრამ ნინის წარბიც არ შეუხრია.

შეფი მიხვდა, რომ მასთან საუბრის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა.

– როცა წასვლას დააპირებ, აუცილებლად გამაფრთხილე, – ამოღერდა მან ბოლოს.

– უკვე დავაპირე, – უთხრა ნინიმ და ფეხზე წამოდგა...

შეფ-მზარეულის კაბინეტიდან გამოსულ ნინის მაშინვე ნუცა დაეძგერა:

– რა უნდოდა?

– არაფერი. ჩაი დამალევენა.

– თავს ნუ ისულელებ! გრიშა თავის კაბინეტში ჩაის დასალევედ არავის ეძახის...

– მე დამიძახა. თუ არ გჯერა, შედი და თავად ჰკითხე...

– კარგად დაიმასხვრე: გრიშა ძალას არასდროს არავის ატანს. მაგრამ იმათ, ვინც არ ემორჩილება, სამსახურიდან უბრალოდ აგდებს ხოლმე...

– ვნახოთ, ვინ ვის გააგდებს...

– ტყუილად ფაფხურობ, ცამდე მართალიც რომ იყო, მაინც არავინ გამოგესარჩლება. შეფ-მზარეული აქ ყველაზე მთავარია...

– აი, დარდი... – ჩაილაპარაკა ნინიმ და ისევ ბოსტნეულის ჭრა განაგრძო.

გრიშას იგი კაბინეტში აღარ გამოუძახია, მაგრამ ნინი მის აშკარა ნდომით სავსე მზერას კი სშირ-სშირად იჭერდა ხოლმე და გულში ეცინებოდა. თუმცა, აქაოდა, სიფრთხილეს თავი მაინც არ სტკივავო – იმ დღიდან მინი-ბოლო, ჯინსის შარვლით შეცვალა, გამჭვირვალე „ბლუზკაზე“ კი თეთრი ხალათი მოიცვა...

შალვა ბიძამ ნინის ჩაცმულობაში შეტანილი ეს ცვლილება მაშინვე შენიშნა, მაგრამ კითხვით მაინც არაფერი უკითხავს. არც ნინის შეუჩივლია რამე, რადგან იცოდა, რომ შალვა ბიძა შეფს ვერაფრის თქმას ვერ გაუბედავდა. ან კი, რა უნდა ეთქვა? ჩემს ძმისშვილს ასე ნუ ამტერდებიო?... გრიშა ხომ, ნინის სხვა, არაფრით აწუხებდა...

ერთი სიტყვით, გრიშას დანისლული და ნდომით სავსე მზერა რომ არა, ნინი თავისი ახალი სამუშაო ადგილით ნამდვილად კმაყოფილი იქნებოდა. ჭურჭლის რეცხვისას ხმის გამცემი არავინ ჰყავდა და მთელ დღეს, ჭუჭყიანი ტაფებისა და ქვაბების ხეხვაში ატარებდა. სამზარეულოში კი, მუდმივად ხალხი ირეოდა. ჭურჭლის სარეცხი მანქანა აქაც იდგა, მაგრამ მასში მხოლოდ ბროლისა და

ფაიფურის ჭურჭელსა და ვერცხლის დანა-  
ჩანგალს რეცხდნენ.

სამზარეულოში, სადაც სისუფთავის-  
გან ყველაფერი ბზინავდა და პრიალებდა,  
ლამაზად გამოწყობილი ოფიცინანტები  
ხშირ-ხშირად შემობოდნენ და თავიანთ  
ლანგრებს გრივას მიერ მომზადებული  
კულნარიული შედეგებით ავსებდნენ.  
დროდადრო, „მირაჟის“ მუდმივ კლიენტე-  
ბზე საჭიროადაც იცლიდნენ. მალე ნინიმ  
ლამის ყველაფერი ზეპირად იცოდა –  
მათი უმეტესობის ცოლების, საყვარლების,  
წარმატებისა თუ წარუმატებლობის შესახ-  
ებ.

სამზარეულოში გამოჩენილი აჩიკო  
ირგვლივ ყოველთვის ძვირფასი ღე-  
ზოდორანტის სურნელს აფრქვევდა და  
ხანდახან, საჭმლის მადისაღმძვრელ სუნ-  
საც კი ფარავდა ხოლმე. ქალები მას  
მაშინვე კითხვებს აყრიდნენ: „რას შერე-  
ბი, აჩიკო? როგორ არიან შენი ბებრუხ-  
უნები? შენთან კურკური ხომ არ მოჰ-  
ბეზრდათ?“ მსგავს კითხვებზე აჩიკოს  
მხოლოდ მრავალმნიშვნელოვნად ელიმე-  
ბოდა, საჭმელ-სასმლით სავსე ლანგარს  
მოხდენილად მიარბენინებდა და ვიწრო  
თეძოებსაც ჩვეულებისამებრ, დედაკაცურად  
არხევდა. აჩიკოს სამზარეულოდან გასე-  
ლა და გრივას ზიზღით სავსე შეძახ-  
ილი: „ფუ, ამასაც კაცი ჰქვია, რაღა!“ –  
ერთი იყო.

ყოველ საღამოს, სამსახურიდან შინ  
დაბრუნებული ნინი, კომოდიდან ბლოკნოტს  
იღებდა და კალენდარში მორიგ რიცხვს  
შლიდა. როცა დიტოსთან შესხედრამდე  
ერთადერთი დღეა დარჩა, ნინიმ ნუცას  
გამოუცხადა:

- ხვალ სამსახურში არ მოვალ.
- რატომ? – ჰკითხა ნუცამ.
- ერთ ადგილზე ვარ წასასვლელი...
- გასაგებია... შეფი გააფრთხილე?
- არც მიფიქრია.
- შენი საქმისა შენ იცი. მალე დაბ-  
რუნდები?
- ჩემი ნება რომ იყოს, საერთოდ არ  
დავბრუნდებოდი...
- გამოდის, რაღაცაში თუ ვიღაცაში  
ეჭვი გეპარება, ხომ?
- ასე გამოდის... თუმცა, ჯერ მაინც  
არ ვიცი... ვნახთ...
- რაც არ უნდა მოხდეს, მე მაინც  
მხოლოდ წარმატებას გისურვებ...

ნინიმ ნუცას მადლიერებით სავსე  
თვალები შეანათა და საქმე განაგრძო. თან  
დროდადრო, კედელზე ჩამოკიდებულ საათს  
გახედავდა და ეჩვენებოდა, რომ დრო ძალიან  
ნელა გადიოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ნინის ცვლა

დამთავრდა და მანაც მაშინვე შინისკენ  
მოუსვა. შალვა ბიძია შინ არ დახვდა.  
ნინი მის მოსვლას დაელოდა და გააფრთხ-  
ილა: ხვალ ისევ წასვლას ვაპირებო.

- საღამოს ხომ დაბრუნდები? –  
ჰკითხა შალვა ბიძიამ.
  - არ ვიცი.
  - შეფი თუ გააფრთხილე?
  - არა.
  - იცოდე, მეორედ აღარ გააპატიებს...
  - აი, დარდი...
- შალვა ბიძიამ ნინის გაოცებით შეხე-  
და:

- იცი, რაშია საქმე, ნინი...
- რაში?
- მე შენ აქ კი ჩამოგიყვანე, მაგრამ  
როგორც ჩანს, შენი მშობლები მართლები  
იყვნენ, როცა მაფრთხილებდნენ, რომ...
- განსაკუთრებით – დედაჩემი, ხომ?
- აზრის დასრულება არ აცალა ნინიმ.
- ჰო... უფრო სწორად... უბრალოდ,  
იმის თქმა მინდოდა, რომ თუ რამე მოხდა,  
მეც უთუოდ უნდა შემატყობინო. შენმა  
დედ-მამამ ხომ შენი თავი მე ჩამაბარა, –  
როგორც იყო, აზრს თავი მოუყარა შალ-  
ვამ.
- აუცილებლად შეგატყობინებ... მარ-  
თლა, მართლა... გაბრუნდები... – დააიძედა  
იგი ნინიმ.

დიტოსთან შესხედრის დღეს, ნინი  
ლოგინიდან კი არ წამოდგა – წამოფრინ-  
და. მართალია, დიტომ ის პირველი  
საათისთვის დაიბარა, მაგრამ ნინი სას-  
ტუმრო „კინოს“ ეზოში მთელი ორი საათით  
ადრე დაერჭო. დედა მაროს შვილიშ-  
ვილი გოგა, ნინის სასტუმროს ეზოში, შა-  
დრეკანთან დახვდა. თუმცა, თავად შა-  
დრეკანი, რატომღაც დამშრალი იყო და  
სასტუმროს ეზოც ნინის უწინდელივით  
შთამბეჭდავი ნამდვილად აღარ მოეჩვენა.  
გოგამ ნინი მაშინვე იცნო.

- გეტყობა, აქაურობა მართლა მოგე-  
წონა, – უთხრა მან ნინის და გაუღიმა.  
ნინის მისმა ღიმილმა გული გაუთბო და  
თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.
- გინდა, კაფეში დაგაპატიყო? ჩვენთან  
გადასარეე ზაჭაპურს აცხოხენ.

ნინის გოგას წინადადება საკმაოდ მიმზ-  
იდველი მოეჩვენა და სხვა ღროს, ალბათ,  
უარს არ ეტყოდა. მაგრამ ახლა... ახლა  
აქ ის მხოლოდ დიტოს სანახავად იყო  
მოსული. „რაც არ უნდა მოხდეს, ვინც  
არ უნდა მთხოვოს, აქედან ფეხს მაინც  
არ მოვიცვლი“, – დაასკვნა ნინიმ გულ-  
ში და ის იყო, ეზოში სკამზე უნდა  
ჩამომჯდარიყო, რომ დიტოს ნათქვამი  
გაახსენდა: ადგილზე რომ მიხვალ, მე

მიკითხეო, – და დაბნეულმა ნინიმაც  
ირგვლივ ისე მიმოიხედა, თითქოს, ვიღა-  
ცას ეძებო.

უცხად სასტუმროს კარში დედა მარო  
გამოჩნდა. ნინი მანაც შორიდანვე იცნო  
და გაუღიმა. ცოტა ხნის შემდეგ კი, სკა-  
მზე მის გვერდით ჩამოჯდა და ჰკითხა:

- ისევ მოხვედი? მართლა ვინმეს ხომ  
არ ეძებ? მითხარი, ვინ არის, იქნებ, მე  
მოგაძებნინო.
- კი, ვეძებ... მას დიტო ჰქვია... გვარ-  
ად რჩეულიშვილია...
- დიტო, დიტო... – ჩაილაპარაკა დედა  
მარომ, – მაინც, რა ხელობის კაცია შენი  
დიტო? ამ სასტუმროში ხომ მარტო არ-  
ტისტები და რეჟისორები ჩერდებიან...
- გვარ-სახელის მუტი არაფერი ვიცი.  
დღევანდელ დღეზე მითხრა, ამ ადგილზე  
მოდი და დამელოდო...
- რომელ საათზე უნდა შეხვედე?
- პირველზე.
- მერე ასე ადრე რამ მოგიყვანა?  
წამოდი ჩემთან, ჩაის მაინც დაგაღვინებ...
- არა. აქ ჯდომა მირჩევნია.
- კარგი, იჯექი. მე კი ნომრები მაქვს  
დასალაგებელი. მოვრჩები თუ არა, ისევ  
გამოგხვდავ, – დედა მარო სასტუმროში  
შევიდა.

როგორც კი პირველი საათი შეს-  
რულდა, ნინის ადგილებისგან გული კი-  
ნაღამ ყელში მოეჭვინა: აი, ახლა გაიღება  
სასტუმროს კარი და დიტო გამოჩნდებაო,  
მაგრამ კარში არავინ გამოჩენილა. ნინიმ  
ცოტა კიდევ შეიცადა, შემდეგ სასტუმროს  
ვესტიბიულში შევიდა და მორიგეს მია-  
შურა.

მორიგეს სახეზე ეტყობოდა, დიტოს  
გვარ-სახელი ნამდვილად არაფერს ეუბ-  
ნებოდა. დიტო ვერც მეორე მორიგემ გაიხ-  
სენა. თუმცა, სასტუმროს ჩანაწერების  
წიგნი მაინც გულმოდგინედ გადაათვა-  
ლიერა და დიტოს კოორდინატებიც მაშ-  
ინვე აღმოაჩინა:

- კი, არის, აი, აგერ: დიტო რჩეულიშ-  
ვილი... ძირითადად მოსკოვში ცხოვრობს...  
თბილისში როცა ჩამოდის, ყოველთვის ჩვენ-  
თან ჩერდება. მაგრამ ამ ბოლო ხანებში  
აღარ გამოჩენილა... საკმაოდ ცნობილი  
რეჟისორია. მგონი, ჩვენი შეფიც უნდა  
იცნობდეს.
- თქვენი შეფი?
- ჰო, გოგი გორგილაძეზე გეუბნები.

ეგ კიდევ უფრო ცნობილი რეჟისორია. ეს  
სასტუმროც მაგისია. „კინოშნიკებისთვის“  
ააშენა. ხშირად, თავადაც აქ ცხოვრობს  
ხოლმე. მომავალი ფილმისთვის მსახიობე-  
საც აქ არჩევს და გადაღებებზეც აქედან  
დადის... ამ წუთშიც აქ არის, თავის ნო-

მერში... თუ გინდა, ადი და შენი კაცის ამბავიც ჰკითხე, იქნებ, რამე იცოდეს...

— არა, არა... — ამკარად დაიბნა ნინი, — ცოტას კიდევ დაველოლები, იქნებ, თვითონ გამოჩნდეს...

— მაინც ვის ელოდება ჩვენი პატარა ჩიტუნია? — მოესმა ნინის ზურგს უკან ნაცნობი ხმა.

ნინი მაშინვე შებრუნდა და მის წინ მდგარი, მხიარულად მოღიმარი გოგი გორგილაძე დაინახა.

— ხომ გითხარი, ერთმანეთს კიდევ შევხვდებით-მეთქი? — განაგრძო ბატონმა გოგომ, ნინის მაშინვე ხელკავი გამოსდო და მორიგეების ცნობისმოყვარე მხერვას სასწრაფოდ გაარიდა.

ნინი ბატონი გოგის დანახვაზე იმდენად დაიბნა, რომ კარგა ხანს ხმის ამოღებაც კი ვერ მოახერხა.

— იმედი მაქვს, რომ ფინჯან ყავას და ჩვენს საფირმო ნამცხვარზე უარს არ მეტყვი? — ნინის ღუმილით საბოლოოდ გათამამებულმა ბატონმა გოგომ მსუბუქად უბიძგა მას მეორე სართულზე ამავალი კიბისკენ.

ნინი ერთწამს შედგა და ირგვლივ დაბნეულმა მიმოიხედა. მერე კი ბატონ გოგისთან ერთად, კიბეს ისე მშვიდად აუყვა, თითქოს აქ სწორედ ამისთვის იყო მოსული.

ბატონი გოგი ნინის მეორე სართულის ღია აივანზე მდებარე პატარა კაფეში შეუძღვა და ფეხზე წამომხტარ ოფიციატს ნამცხვარი და ყავა შეუკვთა.

— ამ წუთში მოგართმევთ, ბატონო გოგი, ამ წუთში... — დაფაცურდა ოფიციატი.

ბატონმა გოგომ თავიდანვე შენიშნა, რომ ნინი ზასითაზე ვერ იყო. ამიტომ, ჯერ სრულიად განწყენებული საუბარი გაუბა, შემდეგ ნელ-ნელა საკუთარ ფილმებსა და მათში დაკავებულ მსახიობებზეც გადავიდა და უამრავი საინტერესო და სასაცილო ამბავიც გაიხსენა. ასე რომ, როცა ოფიციატმა ყავა და ნამცხვარი მოიტანა, ნინი უკვე იღიმებოდა, ხოლო ცოტა ხანში, კიდევ აკისკისდა.

— იცი, რაშია საქმე? — დაიწყო ისევ ბატონმა გოგომ.

— მაინც, რაში? — ისევ გადაიკისკისა ნინიმ და ნამცხვარი მაღიანად ჩაკბინა.

— იმაში, რომ ახალი ფილმის გადაღე-



ბისთვის ვემზადები და ვფიქრობ, ერთ-ერთი მთავარი გმირი ქალის როლი შენ შემოგთავაზო.

— რა-ა-ა? — ნინის ნამცხვარი კიბულად გადასცდა.

— კი, კი, კინოსინჯებზე აუცილებლად უნდა მოხვიდე. შენ ხომ ასეთი ფოტოგენური ხარ... მერე რა თვალები... თმა... რა ტანი გაქვს... ასე რომ, ჩემო გოგონი, თუ ჭკუით მოიქცევი, შეიძლება, სულ მალე ცნობილი მსახიობიც კი გახდე. — ამ სიტყვებზე, ბატონი გოგი, ნინის ახლოს მიუჩოჩდა და თვალეში ამკარა ნდომით ჩახედა.

— წამოდი, ჩვენს სასტუმროს დაგათვალიერებინებ. — სასწრაფოდ ისევ საქმიანი იერი მიიღო ბატონმა გოგომ და ნინის თანხმობას არც კი დალოდებია, აივნიდან ისე გაიტაცა.

— ამ სასტუმროში სულ ოცი-ოცდაათი ადამიანი თუ იყრის თავს. დღისით, ვისაც რა უნდა, იმას აკეთებს, სადამოლობით კი ყველანი ამ დიდ დარბაზში, ბუნართან ვიკრიბებით ხოლმე და მხოლოდ კინოზე ვსაუბრობთ.

ნინი ბატონ გოგის უყურადღებოდ უსმენდა, რადგან მისი ფიქრი ისევ ღიბოს დასტრიალებდა: „ვინ იცის, ისიც რამდენჯერ მჯღარა ამ დარბაზში... რამდენი

რამ აკავშირებს აქაურობასთან... ასე რომ არ იფოს, რაღა აქ დამინიშნავდა შეხვედრას?... ისე, ნეტავ, რა მოხდა? რატომ არ მოვიდა?...“

ნინიმ ერთი კი გაიფიქრა — მოდი, ბატონ გოგის ღიბოს ამბავს მართლა ვკითხავო, — მაგრამ მერე, რატომღაც, მაინც გადაიფიქრა...

ამასობაში ბატონმა გოგომ ნინი ერთ ლამაზად მოწყობილ ოთახთან მიიყვანა:

— აი, ეს კი ჩემი ნომერია. ყოველთვის აქ ვჩერდები ხოლმე. შედი, შედი, ნუ გერიდება...

ნინიმ ოთახის ზღურბლს ამკარად დამფრთხალმა გადააბიჯა.

ოთახში, კედლთან მიდგმულ ტახტზე, უამრავი ფერადი ჟურნალი იყო მიმოფანტული, ტახტის შორიახლოს, ჟურნალების მაგიდაზე კი, რატომღაც, ჭუჭყიანი წინდები ეწყო.

ბატონმა გოგომ წინდები მაშინვე იატაკზე გადმოყარა, ტახტზე მიმოხეული ჟურნალებიც სასწრაფოდ წამოკრიბა და ნინი ტახტზე თითქმის ძალით დასვა.

ნინიმ წამოწევა სცადა, მაგრამ ბატონმა გოგომ ის ტახტის ტყავადაკრულ ბალიშებს ისევ გულმოდგინედ გააკრა:

— კარგი ერთი, რას ჯიუტობ?! — ჩაიბურტყუნა მან. — განა ეს შენ კი არ გინდა?!

ნინი ბატონი გოგის თავხედობამ იმდენად გააოგნა, რომ მის მარწმუნებევით მკლავებში მოქცეული, ერთხანს მართლა გაყურდა. მაგრამ შემდეგ ისეთი ძალით გაიწია, რომ კინალამ ორივემ იატაკზე მოილო ზღარათანი. თუმცა, ბოლო წუთს, მაინც ბატონმა გოგომ იმარჯვა, სასწრაფო კვეთილი ნინი ტახტის ბალიშებს საბოლოოდ „მიაწევა“ და გამშაგებით დაუწყო კონცა.

ნინიმ დაკვივლება სცადა, მაგრამ ყელიდან მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ყრუ ბგერები ამოუვიდა. ბატონ გოგის პირიდან რომელიღაც წამლის ძალიან სპეციფიკური სუნი ამოსდიოდა. „ეეტყობა, კბილის ექიმთან იყო“, — გაიფიქრა ნინიმ და ამ უსაიმოვნო აღმოჩენისგან ამკარად წამოაზიდა. შემდეგ ერთხელ კიდევ, მაგრამ სრულიად უშედეგოდ გაიბრძოლა, მოსალოდნელი საშინელებისაგან საბოლოოდ კრიჭამეკრულმა, თვალეები უმწეოდ დახუჭა და ქმენატეხილ მოძალადეს უსიტყვოდ დანებდა...

**გაგრძლება იქნება**



ბრედ პიტ და ჯენიფერი

# საკუთარ თავთან ჭიდილი

უილიამ ბრედლი პიტი მისურის შტატის ქალაქ სპრინგფილდში დაიბადა. მას მოსიყვარულე, მაგრამ მკაცრი და ღვთისმოსავი მშობლები ჰყავდა. იგი არცთუ ისე შეძლებულ ოჯახში იზრდებოდა, ამიტომ ბიჭუნას კარგად უნდა ესწავლა, რომ მომავალში თავად მეტი ფული ეშოვა, თანაც უმცროსი და-ძმისთვისაც უნდა მიეხედა და საეკლესიო გუნდშიც ემღერა. ბრედი თავისი ჭკუისა და შრომისმოყვარეობის წყალობით, ყველაფერს თავს შესანიშნავად ათამედა და ამასთანავე, სკოლის აქტივისტი და საკმაოდ კარგი სპორტსმენიც იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ, ყმაწვილი კარგი განათლების მისაღებად მშობლებმა მისურის შტატის უნივერსიტეტში გააგზავნეს, სადაც ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სარეკლამო და გრაფიკული დიზაინის განყოფილებაზე ჩაირიცხა.

ჯენიფერ ენისტონი კი ბერძენი ემიგრანტის ენასტასაკის შთამომავალია. თავის დროზე, ბაბუამისი შტატებში ჩასულა და სასაუზმე გაუხსნია. თავიდან საქმე მაინცდამაინც კარგად ვერ აუწყვია და ამიტომ ვაჭიშვილი და რძალი უკან, საბერძნეთში გამგზავრებულან. იქ რამდენიმე წელი უცხოვრიათ, ქალიშვილი ჯენიფერი შესძენიათ და კვლავ ნიუ-იორკში დაბრუნებულან. ჯენიფერის მამას, ჯონ ენასტასაკს მსახიობობა გადაუწყვეტა და გვარიც ენისტონად გადაუკეთებია, დედას კი მანეკენად დაუწყია

მუშაობა. იმ დროისათვის, როცა ჯენიფერი ცხრა წლისა შესრულდა, წყვილი გაიფარა. მამა გაემგზავრა, დედა კი საოცრად უბედური და ბრაზიანი გახდა. ჯენიფერს მისი ემშონდა კიდევ, ამიტომ ცდილობდა, რაც შეიძლება იშვიათად გამოსულიყო ოთახიდან, სადაც თავს აკვარელის საღებავებით ხატვით იქცევა. მისი ერთი ნახატი „მეტროპოლიტენის“ მუზეუმშიც გამოფინეს, როცა იქ ნიჭიერ ბავშვთა შემოქმედების ექსპოზიცია მოეწყო.

დედამ გადაწყვიტა, მარტოსული მოზარდი გოგონას ხატვით გატაცებისათვის სხვა მიმართულებაც მიეცა. იგი დღენიადაგ იმას ჩასწინებდა ჯენიფერს, რომ მას ფართო სახე, ძალზე ახლო-ახლო ჩამჯდარი თვალები და უსახური ტურები ჰქონდა (ყველაფერ ამას, აუცილებლად იმასაც დააყოლებდა ხოლმე, რომ გოგონას ტურები მამას უგავდა), ამიტომ მას თვალების შეღებვასა და ტურის საცხის წასმას ასწავლიდა, რათა უფრო მიმზიდველი ყოფილიყო. ამ მეცადინეობებმა ჯენიფერი დედასთან მაინც ვერ დაახლოვა, საკუთარი გარეგნობის კომპლექსი კი ნამდვილად გაუჩინა: გოგონას ჩვევად ექცა ჭარბი მაკიაჟის გამოყენება. სკოლის დამთავრების შემდეგ, ჯენიფერმა საკუთარ პრობლემებში გარკვე-

ვის მიზნით, ფსიქოანალიტიკოსის პროფესიის დაუფლება გადაწყვიტა და პარალელურად, სამსახიობო კურსებზეც ჩააბარა. ალბათ იმ მიზნით, რათა საკუთარი თავის და დღესთვისაც დაემტკიცებინა, რომ იგი მხოლოდ ახლო-ახლო ჩამჯდართვალბიანი ნაცრისფერი თავი არ იყო.

ამ დროისათვის ბრედმა უნივერსიტეტი დაამთავრა და მშობლებს აცნობა, რომ სწავლის გაგრძელებას პასაღენის ხელოვნების სკოლაში აპირებდა. იგი გაემგზავრა, მაგრამ – არა პასაღენაში, თუმცა იქვე ახლოს – ჰოლივუდში. მას კინოვარსკვლავობა სულაც არ სურდა, მაგრამ არც ის ჰქონდა გარკვეული, თუ კონკრეტულად რა უნდოდა ამ ცხოვრებაში. იგი მუშაობდა ოფიცინტად, მტვირთავად, სატვირთო ავტომანქანის მძღოლად, წიწილის კოსტუმში გამოწყობილი, რესტორნის წინ იდგა და კლიენტებს ეპატიჟებოდა. კიდევ, სტრიპტიზის მოცეკვავე გოგონების მძღოლიც იყო.

მერე, წელს ზევით შიშველი, ჯინსის სარეკლამო რგოლში გადაიღეს. ტელევიზიით ამ რეკლამის ჩვენების დღიდან, მისი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა: ამას მოჰყვა ფილმები, ჟურნალები, ვარსკვლავისა და სექს-სიმბოლოს სახელი.

ვარსკვლავური ცხოვრების წესი ბრედს სულაც არ ხიბლავდა. ეს მან ამ ცოტახნის წინ მიცემულ ინტერვიუშიც დაადასტურა.

– ჩემთვის ეს ყველაფერი მიუღებელი და გაუგებარია. არ ვიცი, რატომ არ შემიძლია კბილის ექიმის მოსაცდელში ჯდომა? რატომ უნდა ვისარგებლო თვითმფრინავში ჩაჯდომისას სხვა გასასვლელით? თითქოს გამუდმებით გინერგავენ, რომ სხვანაირი, სხვებისგან განსხვავებული ადამიანი ხარ და შენც სხვა გზა აღარ გრჩება და ამ







სისულელეს იჯერებ. მე კი ისევ ისეთივე — ყველასნაირი, ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, რომელსაც კინოვარსკვლავის სხეული ხაფანგად ექცა.

უხადო გარეგნობის წყალობით, ხაფანგში გამომწვევედურ ბრედს ფსიქოანალიტიკოსის დახმარება დასჭირდა. მას ორგანიზმის ნერვული გადაძაბვის და კრიზისის დიაგნოზი დაუსვეს. სენსები ექვსი თვის განმავლობაში გრძელდებოდა და მთელი ამ ხნის მანძილზე მისი ძვლომარებით შემოფოთებული ექიმი, ბრედის პოსპატილიზაციას მოითხოვდა. პიტი ამას არ დათანხმდა და მკურნალობას ამბულატორიულად განაგრძობდა.

ბრედ პიტი მართლაც არ აპირებდა ვარსკვლავობას და როცა მიხვდა, რომ ვარსკვლავის ამპლუაში ნორმალურ ადამიანად ყოფნა აკრძალული იყო, თავისი ჩვეულებრივობის მტკიცებას მიჰყო ხელი: ჯერ კიდევ პრემიერამდე, უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა მისი მონაწილეობით გადაღებულ ფილმს — „ემმაკის საკუთრება“; ცდილობდა, გადაღებების დამთავრებამდე მიეტოვებინა მისთვის საძულველი როლები (სადაც მის შიშველ ტორსს, უცილობლად, ხაზგასმულად წარმოაჩენდნენ) და მუშაობას მხოლოდ კონტრაქტის დარღვევისათვის 63 მილიონით დაჯარიმების მუქარის გამო განაგრძობდა; როლების შერჩევისას კი ისეთ სცენარებს ანიჭებდა უპირატესობას, რომელშიც მისი გმირი დამარცხებული, დამცირე-

ბული და გასისხლიანებამდე ნაცემი გამოჩნდებოდა კადრში. სარისკო სცენების გადაღებისას, უარს ამბობდა ღუბლიორის გამოყენებაზე და ლამის ამყობდა საკუთარ სახეზე გაჩენილი ახალ-ახალი სისხლიანი დაბეჭედობისა თუ ნაჭღევის შემხედვარე, რადგან ამით კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს თავის ჩვეულებრივობას.

კიდევ — მის ცხოვრებაში იყო გვინეტ პელტროუ, როცა მან წინასწარ იცოდა, რომ ფილმის — „შიდი წელი ტიბეტში“ გადაღებებისას, გვინეტი აუცილებლად ჩააკითხავდა არგენტინაში და ისიც იცოდა, რასაც თავად ეტყოდა. შინ დაბრუნებამდე ერთი დღე რჩებოდა, გადაღება კი არა და არ მთავრდებოდა. მალაზიები საცაა დაიკეტებოდა. პიტმა საქორწინო ბრილიანტის ბეჭდის შერჩევა რეჟისორის ასისტენტს სთხოვა. ასისტენტმა დავალება შეასრულა. გვინეტი ჩამოფრინდა, ბრედმა ბეჭედი გაუწოდა და ის სიტყვები უთხრა, რასაც აპირებდა. მის წინადადებას ისიც დათანხმდა... მაგრამ შემდეგ, შეყვარებულები ერთმანეთს დაშორდნენ. რატომ? არავინ იცის. გვინეტის მამაც კი, რომელიც პოლიუელის ერთ-ერთი გავლენიანი პიროვნება გახლდათ და ხანგრძლივი დროის მანძილზე კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ამ ქორწინებას, უეცრად მოღბა და განაცხადა, რომ მიესალმება ამ კავშირს. სასიამორომ სასწრაფოდ, რომანტიკული კომედიის — „ლუეტის“ სცენარი შეუკვთა, სადაც კარაოკით გატაცებული ორი ახალგაზრდა, ერთმანეთს სწორედ თავისი გატაცების წყალობით პოულობდა. მთავარი როლები გვინეტსა და ბრედს უნდა შეესრულებინათ, სურათის პროდიუსერი და რეჟისორი ბრიუს პელტროუ გახლდათ. ყველაფერი საოცრად სწრაფად და მოხერხებულად მოხდა... აი, დაშორების მიზეზი კი, ყველასათვის უცნობი დარჩა, ხოლო პიტი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ამ კავშირში ნამდვილი არაფერი იყო.

...ერთ მშვენიერ დღეს, ჯენიფერ ენის-ტონს თეატრში როლი შესთავაზეს. იგი დათანხმდა. სცენისა და ფსიქოანალიტიკოსობის შეთავსება ვეღარ მოხერხდა. მან სამსახიობო კარიერა აირჩია, რადგან ფიქრობდა, რომ საკუთარ პრობლემებს ამ ასპარეზზე უფრო სწრაფად დაძლევა, მაგრამ შეცდა. სპექტაკლი მალე მოიხსნა სცენიდან, ახალ როლებს კი არავინ სთავაზობდა. ორი წლის მანძილზე ჯენიფერი ოფიციალურად მუშაობდა, გულმოდგინედ იკეთებდა მაკიაჟს და დედის დახმარებაზე უარს აცხადებდა. შემდეგ კი ლოს-ანჯელესში გაემგზავრა, რათა კინოში ეცადა ბედი. მას პირდაპირ უთხრეს, რომ ვიდრე ათ კილოს მანც არ დაიკლებდა, სტუდიაში არც გამოჩენილიყო. ჯენიფერმა ეს მოთხოვნა შეასრულა და მალე, რამდენიმე უფერულ სურათშიც მიიღო მონაწილეობა. შემდეგ კი, გაბუღებები შიგერ, მასვით



უღიარებელ „დიდ მსახიობთა და რეჟისორთა“ — ესთეტიკა კომუნას მიეკვლია და მათთან ერთად დასასხლდა.

ერთხელ, ნაცნობ ყმაწვილს, რომელიც მსახიობთა სააგენტოში მუშაობდა, ყავის სმისას საკუთარ მეზობლებზე უყვებოდა და ართობდა. მონათხრობმა ყმაწვილი ძალზედ გაამხიარულა და საუბრისას უთხრა, რომ ახალი ტელეესერიალის გადაღება იწყებოდა, რომლის პერსონაჟებიც საოცრად ჰგავდნენ მის მეზობელ ახალგაზრდებს. მან ურჩია, რომ ეს გამოცდილება გამოეყენებინა და ბედი ეცადა. ჯენიფერი სინჯებზე წავიდა და სერიალში — „მეგობრები“, რომლის გადაღებებზეც ჯერ კიდევ გრძელდება, ერთ-ერთი მთავარი როლიც მიიღო. ენისტონს ამ სერიალში უდიდესი პოპულარობა მოუტანა და დღესდღეობით, ერთ სერიაში 750 ათას დოლარს უხდის. სულ ახლახან კი ამ ფილმში განსახიერებელი როლისათვის „ემის“ პრემიითაც დაჯილდოვდა.

— რვა წლის წინ, ჩემი მომავლის შესახებ ვინმეს რომ მოეყოლა, ვიტყვი: „არა, რას ამბობ? ეს არ მოხდება! მე ამის ღირსი არა ვარ, გესმით?!“

ჯენიფერმა ეს ინტერვიუ ორი წლის წინ მისცა ჟურნალისტებს, როცა სტუდიის გრძობებმა და პოლიციის მეგობრებმა მაკაჟის გაკეთების ყველა საიდუმლო გაუმხილეს, ხოლო მისი თმა მთელი ამერიკის ალტაცების საგნად იქცა; როცა ღელამისმა, რომელიც გაზუთის კრემლნარევი ინტერვიუ მისცა, სადაც მისი გოგონას ვარსკვლავობისკენ მიმავალი რთული გზა აღწერა, ჯენიფერმა დედას დაურეკა და ხმის აუკანკალებლად განუცხადა, რომ მასთან ურთიერთობა აღარ სურდა. იმავე პერიოდში მას რომანი ჰქონდა მსახიობ ტეიტ დონო-

ვანთან. ეს ურთიერთობა ორი წელი გრძელდებოდა. დონოვანი ცუდი ყმაწვილი ნამდვილად არ იყო, მაგრამ ჯენიფერს მისი ცოლობა არ სურდა. ერთ მშვენიერ დღეს, ენისტონმა გადაწყვიტა, რომ ცხოვრებისაგან მოწყობა საკმარისი იყო — ამიერიდან საკუთარი ცხოვრება თავად უნდა ემართა და დონოვანს დაშორდა.

ამულატორიული მკურნალობის კურსზე მყოფი ბრედ პიტსი და ჯენიფერ ენისტონი ერთმანეთს რომელიმე ფილმის პრემიერაზე შეხვდნენ. ბრედმა ჯენიფერი ვანშაშზე დააპატიჟა, ჯენიფერმა მიპატიჟება მიიღო...

მათი ქორწილი მილიონი დოლარი დაჯდა. 75 ათასი მხოლოდ ყვავილებში დაიხარჯა. 100 ათასი სიმყურდოვის დაცვასა და პაპარაცების მოგერიებაში გადაიხადეს. მას შემდეგ წელიწად-ნახევარი გავიდა. სულ ახლახან გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელიც მართალია, ახალი ფილმის გადაღებას ეძღვნებოდა და პირადულ შეკითხვებს თავიდანვე ტაბუ ჰქონდა დადებული, ერთმა ჟურნალისტმა მანც თავისი გაიტანა და ბრედს ჰკითხა:

— მისტერ პიტ, რა ფერისაა თქვენი მუდღის კბილის ჯაგარისი?

პრესკონფერენციის ორგანიზატორები დაიძმნენ, აუდიტორია აჟელდა, პიტმა გაიღმა და უპასუხა:

— თეთრი და ცისფერი. უფრო სწორად, აკვამარინისფერი, ანუ იმ ფერისვე, რა ფერისაც მისი თვალებია... — შემდეგ დაფიქრდა და დასძინა:

— მესმის, რომ ჩემი პირადი ცხოვრება თქვენს ინტერესს იწვევს. რა გითხრათ? შინ პიჟამით დავდივარ, დაუვარცხნელი და გაუპარსავი. საწოლში ნაყინს მივირთმევ — მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, თეთრე-

ლი დავსვარო... მართალი გითხრათ, სწორედ ეს მსურდა — ჩემს უახლოეს ადამიანს ისეთი დავენახე, როგორც სინამდვილეში ვარ. ნამდვილად არ ველოდი, ჩემი ცოლით ასე თუ ვიამყებდი. მე მისით ყოველ წამს ვამყობ... საბოლოოდ, უნდა გითხრათ, რომ ცოლიანი კაცის მდგომარეობა ძალზედ მომწონს.

ჯენიფერ ენისტონმა კი თმა შეიჭრა, მიუხედავად იმისა, რომ „მეგობრების“ მთელი გადაღები ჯგუფი მის ამ განზრახვას ეწინააღმდეგებოდა.

— რა რეაქცია ჰქონდა თქვენს მეუღლეს, როცა ახალი ვარცხნილობით პირველად გიხილათ?

— მთხვავა, სამხარეულოში გავსულიყავი და მისი საყვარელი ბანანისა და რძის კოქტეილი მომეზადებინა. — ეს ერთი ინტერვიუს პასუხია. აი, მეორე:

— იცით, ორივე ჩვენგანი ბევრი რამისგან უნდა გაეთავისუფლებულიყავით, რათა ერთმანეთი ისეთებდ აღგვექვა, როგორებიც სინამდვილეში ვართ...

ისინი ერთხმად აცხადებენ, რომ სურთ იყოლიონ შვილები. ჯენიფერს ორი ან სამი შვილი უნდა, ბრედს — შვიდი და არავითარ შემთხვევაში, ნაკლები. თუმცა, ამ ყველაფერს სამომავლოდ აპირებენ, ახლა კი ორივეს ყურადღება კონცენტრირებულია... არა, არ იფიქროთ, რომ კარიერაზე, როგორც ეს, ჩვეულებრივ, პოლიცულში ხდება, არა — ერთმანეთზე. კარიერის თაობაზე კი, ორივე ძალზე წყნარად და ფლეგმატურადაც კი საუბრობს. ენისტონი კვლავ ბევრს ხატავს და ძერწავს კიდევ. პიტს სერიოზულად გაიტაცა მუსიკამ და დიზაინითაც ისევ დაინტერესდა. ბრედი იმასაც ამბობს, რომ შესაძლოა, ფილმებში მონაწილეობაზე საერთოდ თქვას უარი... ■



# თუ გსურს, შენი სუნიანი ნაცნობობით გამოიჩინო



## პრადიკული ვარცხნილობა, ისეთი, როგორც სარა პარკერს აქვს...

გრძელი, ხვეული კულულები მის „საფირმო ნიშნად“ ითვლებოდა. ამჟამად, სარა ბავშვს ელოდება და საშუალო სიგრძის მსუბუქად აჭრილ ვარცხნილობას ამჯობინებს. ასეთი ვარცხნილობა ნაწილ-ნაწილ, მრგვალი ჯაგარისის მეშვეობით, ფენით უნდა გაიშრო. გაშრობისას თმის ბოლოები შიგნითა მხარეს უნდა შეიხვიო. საბოლოოდ, თმა მცირედენი გელის გამოყენებით ხელით დაიყენე.

## ჯენიფერ ლოპესისნაირი საუცხოო კულულები...

პოპ-ვარსკვლავმა ამ ბოლო ხანებში გრძელი, ხვეული ვარცხნილობა აირჩია და ბუნებრივი კულულები უმშვენებს სახეს. გინდა



ასეთივე ვარცხნილობა? დასველე თმა სპეციალური საკულულე ლოსიონით, შემდეგ კი, თმა პაპილოტზე დაახვე, რომელიც კერტიკალურ მდგომარეობაში უნდა დააყენო. თმა კარგად გაიშრე და მხოლოდ ამის შემდეგ, ფრთხილად მოიხსენი პაპილოტი.

## ჰიპის სტილი, ისეთივე, როგორც კამერონ დიასს აქვს...

მოკლედ შეკრეჭილ, „აწეწილ“ თმას, დიასმა მოულოდნელად გრძელი, სწორი, ჰიპის სტილის, რომანტიკული ვარცხნილობა ამჯობინა. ამ ტიპის თავისუფალი, დაუდევარი ვარცხნილობის გასაკეთებლად, თმა სწორად უნდა გაიშრო ფენით და შემდეგ მცირე ოდენობის ცვილით თმის ცალკეული ნაწილები საერთო ვარცხნილობიდან გამოყო.





ვიღაც აფართხალდა კიდეც, იატაკზე სხეულის დაცემის ხმაც გავიგონე თითქოს. მაგრამ ამ კაცის გარდა, ახლოს არავინ იყო. მერე ეს კაცი მობრუნდა და წავიდა. მაშინდა დავინახე — ხელში გაშლილი დანა ეკავა. მეტი არაფერი დამინახავს, არც გამიგონია.

თავმომძინარებულ კაცი, ავჭალის მინის ქარხნის შუშის მბერავი ოსტატი ვაჟა ლელუაშვილი:

— მე დილიდან აქ ვზივარ. მატარებელმა გამასწრო და მინდოდა, ცოტა წამეძინა, მაგრამ ვერ მოვახერხე. ეს კაცი შემოვიდა და ცარიელ სკამზე დაჯდა. თვალმომჭრუტული ვუყურებდი. მშვიდი, სასიამოვნო შესახედაობის მოხუცი იყო. გამიკვირდა, მისი ასაკის კაცს ხელჯოხი რომ არ ჰქონდა.

ზომაზე მეტად გაფითრებული მეჩვენა. როცა დარბაზს მოავლო თვალი, მთელი ტანით შემობრუნდა, კისერი გაშეშებული ჰქონდა. ძილი გამიკრთა და თვალმომჭრუტული ვიხედებოდი. წინ ეს კაცი შეჯდა. ასე რომ, მისი არც ერთი მოძრაობა არ გამომეპარებოდა. ხუთი წუთი არ იქნებოდა გასული, რომ ეს კაცი, მისი ასაკისათვის შეუფერებელი სისწრაფით წამოხტა და გაშლილი დანა მოიქნია, თითქოს ვიღაც უხილავს ჩაართყა. გავიგონე ადამიანის განწირული ყვირილი, სხვა არაფერი გამიგონია. მერე ადგა ეს კაცი და დინჯად წავიდა გასასვლელისკენ, თან ერთი-ორჯერ, მთელი ტანით მობრუნდა და ისევ მოიხედა იმ ადგილისაკენ, სადაც ადრე იჯდა. აქ კიდეც იყო ხალხი, რომელმაც ყველაფერი დაინახა, მაგრამ რომელიღაც მატარებელი ჩამოდგა და ყველა გაიკრია.

— თქვენ თქვით, რომ ყვირილი მოგესმათ... ვინ იყვირა? ამ კაცმა? — იკითხა კაპანაძემ.

— არა, ამ კაცს არ უყვირია, ვიღაც სხვამ იყვირა, მაგრამ ახლოს არავინ იყო... მეც ძალიან გამიკვირდა.

— წამოიყვანე! — უთხრა კაპანაძემ ღონღაძეს. — პატაკი გვაქვს დასაწერი, მოკლევასაც ჩავატარებთ და სანამ უფროსი დაბრუნდება, ყველაფერი მზად დავახვედროთ.



— თქვენ ხომ არ შეიშალეთ! — იყვირა მილიციის უფროსმა, სამსონ ფოფხაძემ, როცა ე.წ. მოკვლევის მასალები წაიკითხა. — თუ მკვლელობა მოხდა, სადაა გვამი? ვიღაც შიზოფრენიკმა დარბაზში რაღაც მოიქნია... სადაა სხვა მტკიცებულებები? ახლავე გააგდეთ ის კაცი აქედან!

— დანა დაუბრუნოთ, უფროსო?

— რის დანა, რა დანა?

— აგერაა, საქმეში, უფროსო.

სამსონ ფოფხაძემ საქალღიდან გაშლილი დანა ამოიღო და შეათვალიერა.

— რა სუნი უდის, ანდა რა დანაა, ასი წლის იქნება.

— სისხლის სუნიაო, უფროსო.

— არ არის ეს სისხლის სუნი, ღონღაძე, და საერთოდ, პროვოკაციას ხომ არ მიწობს ვიღაც?! მანახვეთ ერთი, ის კაცი! რამდენიმე წუთის შემდეგ, კანკავაძემ მილიციის უფროსის კაბინეტში იჯდა.

— მისმინეთ, მოხუციო! თქვენ ამტკიცებთ, რომ კაცი მოკალით, ხომ?

— კი, მოვკალი.

— მერედა, სადაა გვამი! გადამალეთ?

— გვამი არ დამიმალავს, მაგრამ არ ვიცი, სად არის.

— კარგი, დაუშვით მოკალით. რა იყო მკვლელობის მოტივი?

— როგორ გითხრათ... ვრცელი ამბავია... ლეგნ... ასე რომ... მტკიცებულებები...

— არა უშავს, დაწვრილებით მოგვიყვიეთ.

— უკანასკნელი ორმოცდაათის განმავლობაში, მოსვენება არ მქონდა მისგან, დაიწყო მოხუცება. თავიდან ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ მერე, თანდათან აუტანელი გახდომისი მოქმედება. პირველად ტრამვაის გაჩერებაზე შემხდვდა. ბინძური, წვერგაუპაროსავი, ნახევრად მელოტიკური მიცვალებულივით გაფითრებული, სახეზე ერთდღეს ნერვიც არ უტოკავდა. მთითქოს სანთლის საგანს ჰქონდა გამოძერწილი თავისი გაყინული, ღირებრგადაკრული თვალებით.

ცაში იხედებოდა და ამავდროს, მე მიყურებდა. ელაში იყო კისერი გაშეშებული ჰქონდა და მთელი ტანით ბრუნდებოდა, როცა გვერდზე მიხედვა უნდოდა.

— მოიცა, მოიცა! — ჩაერია სამსონ ფოფხაძე. — სახე თქვენც გაფითრებული გაქვთ, კისერს ვერ ამოძრავებთ და ამწუთას, მე რომ მელაპარაკებთ, ჭერში იყურებით...

— მართალი ბრძანდებით, — უპასუხა კანკავაძემ, — ეს ალბათ სიბერის ბრალია. დიდი ხანი არ არის, ყოველივე ის, რაც თქვენ აღნიშნეთ, დამჩემდა. მანამდე, მეც ჩვეულებრივი ფერი მქონდა, თავსაც ვაბრუნებდი და არც ელაში ვიყავი. ეს ალბათ სიბერის ბრალია, ანდა — უფრო უარესის... თუმცა, სიბერეზე უარესი, რა უნდა იყოს. ალბათ...

— მერე, ტრამვაის გაჩერებაზე შემხვდაო, ამბობდით, — შეაწყვეტინა მილიციის უფროსმა.

— ჰო, გაჩერებაზე იდგა, გვერდი ავუარე და ტრამვაიში ავედი. როცა ტრამვაი დაიძრა, იგი იქვე, უძრავად დარჩა, სადაც იდგა. კარგა მანძილი გაიარა ტრამვაიმ და როცა ჩამოვედი, მოულოდნელად წინ დამხვდა. გამიკვირდა — როგორ მოახერხა-მეთქი?... მერე ვიფიქრე, რომ ალბათ ტაქსი დაიქირავა და იმით გამომასწრო, მაგრამ რა მიზნით გააკეთა ეს, ვერაფრის დიდებით ვერ ამოვხსენი. თავიდან, შინსახკომის აგენტი მეგონა, მითვალთვალებს-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე: აგენტები ასე გამომწვევად არ იქცევიან. იმ დღეს კიდეც ორჯერ შემომხვდა. ჩაუუვლიდი გვერდს, მეგონა, უკან მოვიტოვე, გავიხედავდი და აგერ არ დგას?! ერთხელ ტროლეიბუ-

ის გაჩერებაზე დაძვდა. მე ტროლეი-  
ბუსში ავედი. კარი დაიხურა და  
დავიძარი. შვებით ამოვისუნთქე — იგი  
ტროლეიბუსზე დარჩა. უცებ კეფაზე ვილა-  
ციის დაფინებული მზერა ვიგრძენი. მოვ-  
იხედე და ლამის გული გამისკდა — იგი  
ჩემ გვერდით იდგა ტროლეიბუსში. მარ-  
თალი გითხრა, შიშმა ამიტანა. ვიფიქრე  
— მეჩვენება-მეთქი; წნევის აწევას და  
სიბერეს დაგაბრალე, ჰალუცინაციაა და  
ალბათ ისევე გაივლის, როგორც დამეწ-  
ყო-მეთქი. როცა ჩემს გაჩერებაზე ჩამოვე-  
დი, იგი ტროლეიბუსში დარჩა, ჩემი  
თვალთ დავინახე, როგორ დაიხურა კარი  
და გაჰყვა ტროლეიბუსს. სახლისაკენ  
მიმავალ ქუჩას ავუყვები, თან უკან ვიხედუ-  
ბოდი — ხომ არ მომდევს-მეთქი? ჩუ-  
რეთში ვცხოვრობ, კლარა ცუტკინის ქუ-  
ჩაზე. „კიროვნი“ ამოვათავე და ჩემს ქუ-  
ჩაზე რომ შევუხვიე, აკერ არ შემომხვდა?  
ისევ ისე იდგა და ლიბრგადაკრული, ელამი  
თვალებით ცაში იხედებოდა... ასე გაგრ-  
ძელდა ზუსტად 37 დღე. სადაც არ უნდა  
წავსულიყავი, ყოველთვის წინ მხვდებო-  
და, არასოდეს უკან არ ამდევნებია. ერთ-  
დერთი ადგილი, სადაც მისგან თავს მოს-  
ვენებულად ვგრძობდი, ჩემი პატარა ოთახი  
იყო. ჩაკეტილი კარს, მივხურავდი დარა-  
ბებს, ავანთებდი ელექტრონს და ნერვებ-  
დაწყვეტილი, ქანცმიღებული დავეგდებო-  
დი საწოლზე და ვიძინებდი. დილით  
გამოვიდოდი ქუჩაში და იწყებოდა ჩემი  
ტანჯვა. იგივე იყო ყოველდღიური.  
— კი, მაგრამ მოხუცი კაცი ბრძანდებ-  
ოთ. დარჩენილიყავით შინ, თუკი იგი  
მხოლოდ ქუჩაში არ გაძლევდათ მოს-  
ვენებას — რაღას დაეხეტებოდით მთელი  
დღე?! — უხეშად უთხრა სამსონ ფოფხ-  
აძემ.  
— სახეტილოდ სად მცალია?! მარ-  
ტოხელა კაცი ვარ, შვილი მე არ გამაჩ-  
ნია და ახლო ნათესავი. მთავრობამაც  
პენსია არ დამინიშნა, პოლიტიკური მო-  
საზრებებიდან გამომდინარე: კადეტი ვიყავი,  
1924 წელს ძლიერ გადავურჩი დახვრე-  
ტას. ამიტომ იძულებული ვარ, ვიმუშაო  
— ფოსტაში ვმუშაობ, დეპუტების დამტარე-  
ბლად.  
— ჰო! ვერაა სარფიანი საქმე! —  
თანაუგრძნო მილიციის უფროსმა.  
— რას ამბობთ? რის სარფიანი? სანამ  
მე სამსახურში მივლასლასდები, ახალ-  
გაზრდებს თხუთმეტი დეპეშა აქვთ უკვე  
დარიგებული, თანაც მისალოც და კარგი  
შინაარსის დეპუტებს მტაცებენ და ჩემს  
უბანშიც იჭრებიან, ერთი-ორი მანეთი  
ზედმეტი რომ გააკეთონ.  
— ესე იგი, ყოველთვის წინ გხვდებო-

დათ და არასოდეს უკან არ ავდევნები-  
ათ... ასე გაგრძელდა ოცდაჩვიდმეტი დღე.  
ოცდამეთვრამეტე დღეს რა მოხდა?  
— ოცდამეთვრამეტე დღეს, რამდენ-  
ჯერმე შემხვდა ქუჩაში. საღამოს, როცა  
ჩემს ეზოში შევედი და კიბე ავიარე, რათა  
აივანს გავყოლოდი და ჩემს ოთახამდე  
მიმეღწია, კიბის თავზე შემომხვდა. აივ-  
ნის დასაწყისში გვერდი ავუარე და  
სწრაფი ნაბიჯით წავივდი ჩემი ოთახ-  
ისკენ. კარი სწრაფად მივაჯახუნე, დარა-  
ბებიც მივხურე, ელექტრონი ავანთე და  
შიშისაგან ვიღრიალე — იგი იქ, ჩემს  
ოთახში, ჩემს საწოლთან იდგა.  
— როგორ, კაცი? დაკეტილი ოთახში  
როგორ შევასწრო? ფოკუსნიკი ყოფი-  
ლა! — სცადა გახუმრება უფროსმა.  
— არ ვიცი, როგორ და რა გზით  
მოახერხა შემოსვლა — კარი ისე სწრაფად  
მივხურე, ბუზი ვერ შემოფრინდებოდა.  
— მერე? მერე რა მოხდა?  
— მერე, როგორღაც დავძლიე შიში,  
აკანკალებული ხელით, მაგიდიდან ჩემი  
ძველი საკეცი დანა ავიღე, რომელსაც  
პურის საჭრელად ვხმარობდი და ვუთხ-  
არი: თუ არ მომეშვები, მოგკლავ, აი, ამ  
დანას გაგიყრი გულში-მეთქი. მომეჩვენა,  
თითქოს გაიცინა, მაგრამ ნერვიც არ  
შესტოკებია სახეზე. ისევ ისე იდგა გაშ-  
ემებული და ჭერში იხედებოდა. ახლალა  
შევაძმინე — თავი ოდნავ გვერდზე ჰქონ-  
და გადახრილი, კისერმოქცეულივით. ისევ  
გავუშორე: თუ არ მომეშვები, მოგკლავ-  
მეთქი, — და ახლა უკვე იმის შემეშინდა,  
რომ მართლა გავუყრიდი დანას, ამიტომ  
სწრაფად გავაღე დარაბები, დერეფანში  
გავიდი და კარი გარედან ჩაკეტე დალაძე-  
ბულიყო. დილადავ ქუჩებში დავხეტია-  
ლობდი. არც ერთხელ არ შემხვედრია.  
დილით, როცა ქალაქმა გაიღვიძა, ვისლა  
ახსოვდა სამსახური?! სახლში დავბრუნ-  
დი, ჯერ ფრთხილად შევიხედე ფანჯრი-  
დან. ელექტრონი ისევ ენთო, ოთახში  
არავინ იყო. შევედი და ტანგაუნდელად  
დავეგდე საწოლზე. მაშინვე დამეძინა, მა-  
გრამ ნეტავ, არ დამძინებოდა: ახლა სიზ-  
მარში გამომეცხადა. მანამდე არასოდეს  
დამსიზმრებია და საერთოდ, იშვიათად თუ  
ვხვდავდი სიზმრებს. ცხადში ხომ არ  
მასვენებდა — ახლა სიზმარში „ჩამისახ-  
ლდა“... მაშინ ვინანე, რომ არ მოკალი  
და ჩემს თავს შეეფიცე — თუ ისევ ცხ-  
ადში გამომეცხადებოდა, აუცილებლად  
მოგკლავდი. იმ დღეს კი, არ ვიცი, როგორ  
მოვხვდი ვაგზლის მოედანზე. დილიდანვე  
აუტანლად ცხელოდა. ვიფიქრე — სად-  
გურის შენობაში შევალ, ცოტას გავ-  
გრილდები-მეთქი. ხომ იცით, ძველ შე-

ნობებში სიცხის დროს რომ გრილა და  
სიცხის დროს საგრძობლად თბილა,  
თანაც იმ ღამის უძილო ვიყავი და  
წაძინებაზეც არ ვიტყვოდი უარს. დანარ-  
ჩენი ყველაფერი იცით. მე იგი მოკალი.  
მართალია, წინასწარგანზრახვა მქონდა,  
მაგრამ დანაშაული მაინც ძლიერი  
სულიერი აღელვების დროს, ანუ აფექ-  
ტის დროს მოხდა. იმედია, სასამართლო  
ჩემს ასაკთან ერთად, ამასაც გაითვალ-  
ისწინებს.  
— სასამართლო, ბრალის აღიარებით  
მილიციაში თქვენს გამოცხადებასაც  
გაითვალისწინებდა, მაგრამ მთავარი სამხ-  
ილი არ არსებობს! თქვენი ნაამბობი, ფაქტე-  
ბის გარეშე, ზღაპრებია და მეტი არაფერი.  
მაპატიეთ და, აღრეც გქონიათ ჰალუცი-  
ნაციები? აღრიცხვაზე ხომ არ ყოფილხ-  
ართ ფსიქიატრიულში? ან ხომ არ გია-  
ვადმყოფიათ?  
— არა. არც ფსიქიატრიულში ვყო-  
ფილვარ აღრიცხვაზე და სერიოზულად  
არც არასოდეს მიავადმყოფია, წინააღ-  
მდეგ შემთხვევაში, 80 წლისა ვერ მოვ-  
იყრებოდი.  
— თქვენ თქვით, რომ საძილე არტე-  
რიაში ჩაარტყით დანა. წინასწარ იცოდით  
ამ საშიში წერტილის შესახებ? ანუ ის,  
რომ საძილე არტერიის დაჭრა იცოდა  
მოძენტალურად კვდება?  
— ახალგაზრდობაში სამხატვრო სას-  
წავლებელი დავამთავრე, იქ ანატომიასაც  
გვასწავლიდნენ. გარდა ამისა, ნებისმიერ-  
მა, ბევრად თუ მცირედ განათლებულმა  
ადამიანმა იცის ანატომია რაღაც პოპუ-  
ლარულ დონეზე. ერთი რამ კი აუცილე-  
ბლად უნდა აღვნიშნო: როცა დანა მოვ-  
იქნიე, თავს ვეღარ ვაკონტროლებდი, ესე  
იგი, მიზნად არ ვისახავდი აუცილებლად  
საძილე არტერიის გადაჭრას. როცა სისხ-  
ლმა სახეში შემომასხა, აი, სწორედ მაშინ  
მივხვდი, რომ საძილე არტერია გადავჭ-  
ერი.  
— მხატვარი ბრძანდებით? — გამო-  
ცოცხლდა ფოფხაძე.  
— არა. გეოგრაფიას ვასწავლიდი სა-  
შუალო სკოლებში, ხატვის ნიჭი კი ვერ  
განვითარე. გერმანიასთან „ჩხუბის“ დროს,  
პოლკის მხატვარი ვიყავი. მას მერე  
ფუნჯი არ მჭერია ხელში.  
— შეგიძლიათ, მოკლულის პორტრე-  
ტი დახატოთ?  
— ვეცდები.  
— აბა, ჩქარა — სახატავი ფურცელი  
და ფანქარი! — გასცა ბრძანება სამსონ  
ფოფხაძემ.  
გაგრძელება იქნება

# „ხოჭოს“ შემცვლელი New Beetle

გერმანული კონცერნის – „ფოლკსვაგენის“ მექსიკური ფილიალის თავკაცმა რაინჰარდ იუნგმა გამოაცხადა, რომ 2004 წლისთვის დაგეგმილია სახელგანთქმული „ხოჭოს“ წარმოების შეწყვეტა. ცნობილი ინჟინრის, ფერდინანდ პორშეს მიერ XX საუკუნის 30-იან წლებში დაპროექტებულ ამ მოდელს ამჟამად მხოლოდ მექსიკაში უშვებენ. ქალაქ პუებლოს ქარხნის კონვეიერდან ყოველდღიურად 60 ავტომობილი ჩამოდის. „ფოლკსვაგენის“ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება იმ მკაცრი ეკოლოგიური ნორმებითაა განპირობებული, რომელიც მექსიკაში 2005 წელს შევა ძალაში.

„ხოჭო“ ამ ნორმებს არ აკმაყოფილებს, მისი მოდერნიზების შემთხვევაში კი, ავტომობილი არარენტაბელური გახდება.

ამჟამად „ფოლკსვაგენის“ ოჯახის ვეტერანი მექსიკაში 7.000 ევრო ღირს. ეს საკმაოდ ძვირია, თუ გავითვალისწინებთ საგრძნობლად მოძველებული ავტომობილის სამომხმარებლო თვისებებს. თუმცა, „ხოჭო“ მაინც ადგილობრივი ავტობაზრის ყვე-



ლაზე იაფფასიან პროდუქტად რჩება. 2002 წელს მექსიკაში თითქმის მილიონი ახალი მსუბუქი მანქანა გაიყიდა და ამ რაოდენობის 26% სწორედ „ფოლკსვაგენზე“ მოდის, რომელიც რეალიზაციით თავის უახლოეს მდევრებს – „ჯენერალ მოტორსსა“ და „ნისანს“ უსწრებს.

2005 წელს „ხოჭოს“ VW New Beetle-ის ბაზაზე შექმნილი კაბრიოლეტი შეცვლის. პირველად ეს მანქანა წლეულს, მაიამში იყო წარმოდგენილი პრესის სამსჯავროზე, მისი ოფიციალური პრემიერა კი, 2003 წლის იანვარში, დეტროიტის ავტოსალონზე გაიმართება. ახალი მოდელის წარმოებაც პუებლოს ქარხანაშია დაგეგმილი, მისი გაყიდვა კი, აშშ-სა და ევროპის ბაზრებზე პირველივე კვარტალში დაიწყება. New Beetle Cabrio-ს საორიენტაციო ფასი 22.000 დოლარია. ■



# ყველაზე სწრაფი Ford-ი

ორიოდე წლის წინ, ამერიკულმა კორპორაცია „ფორდმა“ ევროპაში წარმოებული თავისი სამოდელო რიგის განახლებას მიჰყო ხელი: სულ 5 წლის მანძილზე 45 ახალი მოდელისა და მოდიფიკაციის გამოშვება დაგეგმილი. ამ პროგრამის მორიგი, რიგით 27-ე ნიმუში, ცნობილი ავტომობილის – Ford Focus-ის სპორტული ვარიანტი – RS (Rally Sport-ი) აღმოჩნდა. ამ აბრევიატურის სახელით კორპორაცია „ფორდის“ ყველაზე სწრაფი მანქანები გამოვა; მათ შორის პირველი, Escort RS 1600 (1969) იქნება. სუპერჩქაროსნული „ფოკუსის“ ბაზად გამოყენებულია WRC-ის (World Rally Car) რაღისთვის განკუთვნილი ვერსია, რომელიც წარმატებით მონაწილეობს პრესტიჟულ საერთაშორისო შეჯიბრებებში. მოდელი RS შეზღუდული რაოდენობით –



სულ 4500 ცალად გამოვა. მის ყველა ვერსიას ერთი და იგივე კომპლექტაცია და ფასი – 30.665 ევრო ექნება. სპორტული მოდელის ძრავის სიმძლავრე 215 ცხ.ძ-ს შეადგენს; ავტომობილის მასის 6 კგ-ზე თითო ცხ.ძ. მოდის. მანქანის მაქსიმალური სიჩქარე 200 კმ/

სთ-ს აღემატება. RS-ი 18-დუმიანი ბორბლებით იქნება აღჭურვილი, მანქანის სპორტულ ხასიათს სალონის სხვადასხვა ატრიბუტიც – მაგალითად, ალუმინის პედლები და ე.წ. ერგონომიული სავარძლები უსვამს ხაზს. ■

# „კაცს თავის ნაამაგარი ჰგონია ძან მაგარი“...

„თეატრალურ სარდაფში“ ტრადიციისამებრ, პოეზიის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები შეიკრიბნენ. ლიტერატურულ საღამოს მწერალი დათო ტურაშვილი უძღვებოდა. მან „აბსოლუტური კლასიკოსი“ – კოტე ყუბანეიშვილი წარმოგვიდგინა და თქვა: კოტეს შემდეგ თუ ვინმეს სურვილი გაუჩნდება, ლექსი „აკადროს“ ჩვენს საზოგადოებას, შეუძლია, ჩვენი სცენა და მიკროფონი გამოიყენოს, ოღონდ, უნდა გავვიძხილოს თავისი სახელი, გვარი, სად სწავლობს და სად „წვალობს“. დარბაზში მართლაც საინტერესო საზოგადოება შეკრებილიყო. მათ შორის მწერალი და პარლამენტარი რევაზ მიშველაძეც იყო.



თამრიკო ბოლქვაძე და კოტე ყუბანეიშვილი

კოტე ყუბანეიშვილმა ჩვეულებისამებრ, „ხულიგნური“ ლექსები წაგვიკითხა, „ცუდი სიტყვებისთვის“ წინასწარ ბოდიშიც მოიხადა. ჩვენ მაინც თავს შევიკავებთ და შედარებით „კარგ სიტყვებს“ შემოგთავაზებთ:

„კაცს თავის ნაამაგარი ჰგონია ძან მაგარი“;

„ერთმა შეეთვალა ბანძმა გადაამტერა ცხრა ძმა“.

კოტესთან დაკავშირებით ერთი სასიხარულო ინფორმაციაც მაქვს ბავშვებისთვის: ბოლო ხანებში მან ზღაპრე-

ბის წერას მიჰყო ხელი. შესაძლოა, უახლოეს მომავალში მისი ზღაპრების კრებულაც ვიხილოთ. იმედია, აქ მაინც არ იქნება გამოყენებული ე.წ. „ცუდი სიტყვები“.

აუდიტორიის წინაშე წარდგა ყურნალისტი, თამრიკო ბოლქვაძეც, რომელსაც ერთ-ერთი ლექსი ქართველი ლოთებისთვის მიუძღვნია.

ლოთების თემა ლალი კეკელიძემ განაგრძო:

„იქნებ გვიშველოთ, მისტერ სმიტ! ბიჭები დაიღალნენ სმით“.

მისი ლექსები ენის გასატენს ჰგავდა და ბილწსიტყვაობითაც გამოირჩეოდა. შედარებით უწყინარ 2 სტრიქონს შემოგთავაზებთ.

„მლაშე მრუშის საშოდან, ნაბუშვარი გამოძვრა“.

ტაში არ წყდებოდა დარბაზში, როცა იოსებ სტალინისადმი მიძღვნილი ლექსი – „SOS!“ წაგვიკითხა.

სტუდენტმა ლექსო ლეკიაშვილმა სამარშრუტო ტაქსიში დაწერილ ლექსს გვაზიარა. გვონებ, იქ გოგო მოსწონებია, ჯენტლმენობა გამოუჩენია და მისთვის ლექსი მიუძღვნია, რომელიც ასე მთავრდება:

„ეს მე ვარ, – ლექსო ლეკიაშვილი, ჩაბრძანდით, თქვენი გადახდილია“.

დამსწრე საზოგადოება აღფრთოვანებული დარჩა 10 წლის სალომე ჯანელიძის პოეზიით. მას კითხვის განსაკუთრებული სტილი და მანერა აქვს. ლამაზი რითმებით გამოირჩეოდა 16 წლის სოფო კერესელიძის ლექსები. კოტე ყუბანეიშვილი განცვიფრებას ვერ ფარავდა: რა თაობა წამოვიდა – გაგიჟდება კაციო, – დროდადრო ჩაილაპარაკებდა ხოლმე... სცენის მიღმა ის პატარა პოეტებს ესაუბრებოდა, ვინ იცის – იქნებ, ზღაპრების კრებულის გამოცემაზეც თათბირობდნენ.

## თბილისს თქასგე მეგობრები იგტუნებენ

„თეატრალურ სარდაფში“ საქველმოქმედო საღამო გაიმართა, რომელიც ერთი თვის წინ, ვენაში დაღუპული ქართველი მუსიკოსის, დათო ოძელაშვილის ხსენებას ეძღვნებოდა. ამ პატარა სივრცეში დათოს უმრავლეს მგობარი და კოლეგა შეიკრიბა, მათ შორის: დავით მაღრაძე, რატი აძაღლობელი, დათო ტურაშვილი, „უცნობი“, ჯონდი ბაღათურია. საღამოს ვანიკო თარხნიშვილი უძღვებოდა. განწყობა საკმაოდ სველიანი იყო. დარბაზში დათოს პატარა ბიჭი – ლაზარე დაბაჯბაჯბა, მუსიკოსის მუკლუე ცრემლიან თვალებს ვერ მალავდა. ვნახეთ ვიდუომასალა, სადაც დათოს მომავადობელი მუსიკა ჟღერდა. ამ კადრებზე, ბევრისთვის პირველად, ოძელა დასარტყამ ინსტრუმენტებზე დაკრის ოსტატადაც წარმოგვიდგა. დრამერმა მერაბ სანნიძემ აღტაცება ვერ დაფარა და მისი მგობრების გვებზე გავიზიარა:

– სულ მალე, გამოვა 50-წუთიანი კომპაქტ-დისკი, სადაც დათოს ნამოღვაწარი იქნება ჩაწერილი. ჩვენ – მისმა მგობრებმა ერთხმად ვთქვით, რომ ამ საქმეში ფული არ გვინდა. ყველა ხარჯს ჩემი სტუდია იღებს თავის თავზე. დისკის რეალიზაციის თანხა

მის ოჯახს გადაეცემა. ყველაფერი, რასაც გავაკეთებთ, იქნება მხოლოდ და მხოლოდ დათოს ოჯახის კეთილდღეობისთვის გამოიზრული. სამ თვეში ერთხელ ყოველ 20 რიცხვში (20 მისი გარდაცვალების დღე) დაგეგმილი გვაქვს „მიუზიკ-პროექტები“. მოეწყობა კონცერტები და გაყიდული ბილეთების თანხა მილიანად მის ოჯახს მიზმარდება. პირველი იქნება გიტარისტი სანქსი, რომელიც სულ მალე ჩამოვა საქართველოში. სავარაუდოდ, 20 დეკემბერს ის აფრიკული ჯგუფი ჩაატარებს კონცერტს, რომლითაც დათო აღფრთოვანებული გახლდათ. ჯგუფი „ინსაითი“ და ნინო ქიათაძე ახალ პროექტზე იწყებენ მუშაობას.

**ენიო ქათამაძე:**

– დათოს მუსიკას საოცარი სიღრმე ჰქონდა. თავისებურად ხსნიდა ყველაფერს, როგორი ჭეშმარიტებაცაა, რომ დღემდე მარგალია, ასეთივე ჭეშმარიტი ბერა მოქონდა მის მუსიკას. მაქვს კიდევ. ჭეშმარიტება ისიც, რომ ადამიანის სხეული დღეს არ არსებობს, მაგრამ მუსიკა იარსებებს მანამდე, სანამ ადამიანები იარსებებენ. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. ადამიანები ყველაფერს



გვებთან. სხეულის არყოფნასაც შეგუებიან. ის, რომ მუსიკა დარჩება, ძალიან კარგია. **ნატო მიტონიძე:**

– ძალიან მიჭირს საუბარი. ყველა მოგონებას სველასთან და ძლიან დიდ ტკივილთან მიჰყავარ. ის იყო ადამიანი, რომელსაც შეეძლო, ყველანაირი პრობლემა გაეადვილებინა შენთვის. ყველაზე მეტად გულს ის მტკენს, რომ გამოგვაკლდა მგობარი, ფენომენალურად ნიჭიერი ადამიანი – ჩვენც რომ არ ვიცოდით. შეიძლება ისეთი ნიჭიერი.

# ტასელ ძბთუმ შამანი დაიძიბაჟა

ავსტრალიელი მსახიობი, რასელ ქროუ თანამემამულეებს შორის უდიდესი პოპულარულობითა და სიყვარულით სარგებლობს. თუმცა, მსახიობისთვის ამას საზრუნავის მეტი, არაფერი მოაქვს. პაპარაცები მის სახლთან 24 საათის მანძილზე მორიგეობენ, მათ აბეზარი ცნობის-მოყვარეებიც ემატებიან, რომლებმაც მოსვენება დაუკარგეს ქროუს.

რასელს კი ზოგჯერ მაინც სურს განმატობებით ყოფნა ავსტრალიაში მდებარე საკუთარ ფერმასზე. სიმპვიდის მოსაპოვებლად რასელმა ამ ცოტა ხნის წინ, სრულიად ორიგი-



ნალურ ხერხს მიმართა: აბორიგენი შამანი დაიქირავა. ჯადოქარს ცნობისმოყვარეთა მოგერიება ევალება. ამ ხერხმა ნამდვილად გაჭრა, ცრუმორწმუნე ავსტრალიელებს ზომ ისე არაფერი ამინებთ, როგორც შამანის წყევლა.

ცოტა ხნის წინ, ქროუმ „ოსკაროსან“ პოპულარულ მსახიობთა ათეულში პირველი ადგილი დაიკავა. ერთ-ერთი ავტორიტეტული კინო-ჟურნალის გამოკითხვის შედეგების მიხედვით რასელმა, რობერტ დენიროსაც კი აჯობა. სხვა გამოკითხვის შედეგებით იგი მსოფლიოს ყველაზე სექსუალურ და სასურველ მამაკაცად მიიჩნიეს.

# მანდრასი ჭბბრმგე წიგნის დაწიბას თიძბბმს



ანტონიო ბანდერასს ვნებიანი საყვარლის როლებს შესრულება მოჰბებრდა. „მსურს, რომ გმირი-საყვარლის იმიჯს თავი დავალწიო“, – განაცხადა მსახიობმა ქალთა ჟურნალისათვის მიცემულ ინტერვიუში.

კინოვარსკვლავის თქმით, მართალია, ამ სცენურ იმიჯს დიდი შემოსავალი მოაქვს, მაგრამ იგი მსახიობის შინაგან თვითშეგრძნებას ეწინააღმდეგება: ბანდერასის ცოლი მსახიობი, მელანი გრიფიტია და ისინი ბედნიერად გრძნობენ თავს. გასაგები მიზეზების გამო, ბანდერასს სცენურ იმიჯთან ერთად, არც მის გარშემო ატეხილი მრავალრიცხოვანი მითქმა-მოთქმა ხიბლავს. „ამჟამად, ჩემ შესახებ არსებულ არასანდო ინფორმაციას ვაგროვებ და მალე ამ ჭორების თაობაზე წიგნსაც დავწერ“, – განაცხადა ინტერვიუში მსახიობმა.

# შუმასგრბის კიდუჟ რბთი თილმბის პბრმბიბბა გადაიბბ



BBC News საიტი იტყობინება, რომ კინოკომპანია 20-th Century Fox-მა ახალი ფილმის „სატელეფონო ჯიბურის“ პრემიერა გადადო. გადაწყვეტილება განაპირობა უცნობი სნაიპერის მიერ ვირჯინიისა და მერილენდის შტატებში ჩადენილმა მკვლელობებმა. ფილმში სწორედ ასეთი სნაიპერი მოქმედებს. თუმცა, სცენარისტ ლარი კოენისა და რეჟისორ ჯოელ შუმასერის სურათში დაძნალების მხოლოდ ერთი მსხვერპლია ნაჩვენები. სიუჟეტი საკმაოდ მარტივია: ჟურნალისტი, რომლის როლსაც კოლბინ ფარელი ასრულებს, სატელეფონო ჯიბურში შედის, რათა თავი მეგობარ გოგონას დაურეკოს. მობილური ტელეფონით ვერ სარგებლობს, რადგან მის ყოველ ზარს ცოლი აკონტროლებს. ამ დროს ტელეფონი რეკავს და უცნობი სნაიპერი (მის როლს კიფერ საზერლენდი ასრულებს) ჟურნალისტს ეუბნება, რომ იგი მიზანში ჰყავს ამოღებული როგორც კი იგი ჯიბურიდან გამოვა, მას მაშინვე მოკლავენ. ტორონტოს ფესტივალზე ფილმმა მაღალი შეფასება დაიმსახურა. ვაშინგტონის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენების გამო, კინოკომპანია გადაწყვიტა საკუთარ იმიჯს გაპფრთხილებოდა და პრემიერა გადადო. ფილმის ეკრანებზე გამოსვლის ზუსტი თარიღი ჯერჯერობით ცნობილი არაა.

პოლიველში ეს პირველი შემთხვევა როდია, როცა თაროზე დებენ ფილმს, რომელმაც მაყურებელს შესაძლოა, რეალურ ტრაგიკულ მოვლენათა ასოციაცია აღუძრას. 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, იმავე შუმასერის ფილმის – „ცუდი კომპანია“ პრემიერა გადაიდო. იგივე ბედი ეწია სურათებს – „ზარალის ანაზღაურებას“ (არნოლდ შვარცენბერის მონაწილეობით) და „24 საათს“.

# ჯეიმს მბნბი ჟლასტბბბბბბბბბბბბბბბბბბბბ შუპბბბბბბბბბბ



ლეგენდარული აგენტის, ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი, პირს ბროსნანი ამბობს, რომ იგი ძლიერი კლასუსტროფობიითაა შეპყრობილი. ირლანდიური წარმოშობის მსახიობი, „ოსკაროსან“ ჰოლი ბერთან ერთად, ახლახან ბონდიანის ახალ ფილმში – **Die Another Day** გადაიბეს. გაირკვა, რომ ბროსნანს ჩაკეტილი სიფრცის შიში მაშინაც უშლის ხელს, როცა გადასაღებ მოედანზე ყველა კამერა მას უყურებს. მსახიობმა თქვა: „არ მსურდა, რომ პროდიუსერებს ჩემი ფობიის შესახებ გაეგოთ, მაგრამ ძნელია, რომ ყოველთვის მამაცურად გამოიყურებოდე. „დანტეს პიკის“ გადაღებებისას მე საშინელი სტრესი გადავიტანე, როცა ჩემი გმირი ჩამონგრევის საშიშროების წინაშე მდგარ შახტში ჩარჩა. იყო მომენტი, როცა კამერას ჩემი გაქცევის დროს აჩერებდნენ, მე კი თავს იმდენად ცუდად ვგრძნობდი, რომ სუნთქვაც კი აღარ შემიძლო“.



# მლიქურში Queen-ის ვაქსელაჟი გაიხსნა

პოლივეუდის ვარსკვლავების ხეივანში, საჭუთარი ვარსკვლავის ქონის პატივი, სულ რაღებში ბრიტანელ როკერს (მათ შორის „ბიტლებს“) ხვდა წილად. 18 ოქტომბერს ამ დიდებულ კოპორტას ჯგუფ Queen-ის მუსიკოსებიც შეურთდნენ. ჯგუფი მთელ მსოფლიოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. ისინი გინესის წიგნშიც არიან შეყვლები, როგორც ბოლო 50 წლის საუკეთესო ბრიტანული სინგლისა („ბოპემის რაფსოდია“) და საფეხბურთო პიზნის – "We Are The Champions" ავტორები. ჯგუფის ვარსკვლავის ნომერია – 2027.

ჯგუფის მუსიკა უკვდავებს მიუზიკლში "We Will Rock You", რომლის ჩვენებაც გაგრძელდება 2004 წლამდე ლონდონის უესტ-ენდის სცენაზე. დღეისათვის მიუზიკლი ნახევარმა მილიონმა მაყურებელმა უკვე ნახა. ნომბერს კი, „ქინის სიმფონიის“ საორკესტრო ვარიანტი ლონდონის სამეფო ფესტივალის დარბაზში, სამეფო კარბონის ორკესტრის მიერ შესრულდება.



# ჯენიტუტი გვინეცგი რქვიანტმს

ამ ცოტა ხნის წინ, გვინეტ პელტროუს მამა, ბრიუს პელტროუ გარდაიცვალა. გარდა ამისა, ექიმებს ეჭვი გაუჩნდათ, რომ „ოსკაროსანი“ მსახიობი კიბოთი იყო დაავადებული და ანალიზები აუღეს. გვინეტის ყოფილმა შეყვარებულმა, ბენ აფლეკმა, მას სახლში რამდენჯერმე დაურეკა, რათა მოეკითხა და გაემხნევებინა იგი. თუმცა, ყურმილს ყოველთვის გვინეტის ძმა იღებდა, რომელმაც ბენს აცნობა, რომ გვინეტი



თავს სუსტად გრძობდა და არავისთან სურდა დალაპარაკება. ბუნებრივია, აფლეკის ასეთმა ყურადღებამ მისი ამჟამინდელი მეგობარი ქალის – ჯენიფერ ლოპესის მძაფრი ეჭვიანობა გამოიწვია.

იგი მოუთმენლად ელოდა მომენტს, როცა **VH1/Vogue Fashion Awards**-ის ცერემონიაზე გვინეტს პირისპირ შეხვდებოდა. ჯენიფერს ხომ იქ წლის ყველაზე გავლენიანი ვარსკვლავის ჯილდო უნდა მიეღო, გვინეტს კი – ყველაზე მოღური მსახიობის. ლათინურამერიკელის საბედნიეროდ, პელტროუმ განაცხადა, რომ ცერემონიას ვერ დაესწრებოდა, რადგან ჯერ კიდევ ვერ გამოვიდა ძლიერი ნერვიული სტრესიდან.

# ტრეკა ტომინ-სცამტსს პტრნო „დისნილონდში“ მტსწტნს

რებეკა რომინ-სტამოსმა (მონაწილეობს ფილმებში – „აღამიანები იქსი“ და „საბედისწერო ქალი“) ქალთა ჟურნალ „ჯენისათვის“ შიფონის სამოსში გამოწვობილმა, წყალქვეშ გადაიღო სურათები და მისი ფოტოების მნახველთ საფიქრალი ბევრი აღარაფერი დაუტოვა. მსახიობმა ჟურნალს ინტერვიუც მისცა, სადაც გადაჭარბებული გულახდილობა გამოავლინა. მან მოჰყვა, რომ პირველად თავის ამჟამინდელ ქმარს – ჯონ სტამოსს, „დისნილენდში“ დანებდა. იქიდან მიყოლებული, წელიწადში ერთხელ, წყვილი აუცილებლად სტუმრობს გართობის ცენტრს, რის შემდეგაც მათ ცხოვრებაში სექსუალური მართონის კვირა იწყება. რებეკა იმაშიც გამოტყდა, რომ უყვარს პორნო და ცნობილ მსახიობთა მონაწილეობით (მაშინდელი გადაღებული, როცა ეს მსახიობები კინოსამყაროში ჯერ კიდევ არაფერს წარმოადგენდნენ) გადაღებული ფრიად პიკანტური ფილმების კოლექციის მფლობელია. მათ შორისაა ადრე გადაღებული პორნო, სილვესტერ სტალონეს მონაწილეობით.



# ნიკოლ კიდმანი საკუთატი მტლით უკმაცოთუილთა

მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლ კიდმანმა ტრილერში – „სხვები“ შესრულებული როლისათვის კრიტიკოსთა ქება დაიმსახურა, თავად ძალზე უკმაყოფილოა და არა იმიტომ, რომ ფილმში უამრავი საზარელი სცენაა, არამედ სულ სხვა მიზეზის გამო. „მე სასტიკად ვერ ვიტანდი საკუთარ თავს ამ ფილმში. სურათის ჩვენებაზე ჩემს დასთან – ენტონისთან ერთად წავვიდი და უკან დაბრუნებისას ისე ცუდად გავხდი, რომ ენტონის ჩემი სასტუმრომდე მიცილება მოუხდა. მთელი გზა იმას ვფიქრობდი, ეს რა სამინელება ჩავიღინე-მეთქი. თავი იძენად ცუდად ვგრძენი, რომ ლოგინშიც კი ჩავწექი. ამაზე ნამდვილად არ უნდა ვსაუბრობდე, მაგრამ ამ ფილმში ჩემი უამრავი სისუსტე საამკარაოზე გამოვიტანე. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, საკუთარ თავში ძალა მაინც ვიპოვე და ჩვენებების დროს ქვეყანა არ დავტოვე“. გამოდის, რომ კიდმანი არაერთი მანითაა შეპყრობილი, თუკი საკუთარ თავს საშიშ და საბედისწერო საიდუმლოს მფლობელ „სხვების“ გმირთან აიგივებს.



# დაავადების „ფსიქოლოგია“

რუბრიკას უძღვება ექიმი  
თამარ მამასაძე

## ვის რა აწუხებს

**გული** იმ ადამიანებს სტკივთ, რომელთაც სინარული შეშოქმედებითი ძალა დაკარგეს, რომელთაც აღარ შეუძლიათ სიყვარულის გამოხატვა ან არ აძლევს საკუთარ თავს სიყვარულის უფლებას. **სისხლის პრობლემა** იმ ადამიანებს ეწუხებათ, რომელთაც დაივიწყეს სიცოცხლის ხალისი, რომლებიც ყოველთვის უკმაყოფილნი არიან.

**მხედველობა** ქვეითდება, როცა ადამიანს რაღაცაზე „თვალის დახუჭვა“ სურს. მაგალითად, მოზარდები ხედავენ პრობლემებს ოჯახში, მაგრამ არ უნდათ, აღიარონ, რომ მათი მშობლები არ ყოფილან ისეთი იდეალურები, როგორებიც მანამდე ეგონათ. **ასლო მხედველობა** — მომავლის შიშია, **ასტიმბატიზმი** (ბუნდოვანი მხედველობა) კი, — საკუთარი თავის ტეშმარტივი სახით არდანახვის სურვილი. **სურდო** — თხოვნაა დახმარების შესახებ, დაუღვრელი ცრემლები.

**ჩაღის დაავადება**, განსაკუთრებით ქრონიკული — გამოუთქმელი სიტყვები, პრეტენზიები, მოთხოვნებია. შეზღომი გაცივების დროს ეცადეთ, თქვენი დაფარული წყენა გამოთქვათ მასთან, ვინც გაწყენინათ. გადაეჩვიეთ იმის უჩუმიად ტარებას, რაც არ მოგწონთ და აუცილებლად იგრძნობთ უკეთესობას.

**ძალის სასაქმოს ორგანოთა**

**დაავადების** უმრავლესობის მიზეზი, მამაკაცის მიმართ წყენა გახლავთ, ხშირად — პრობლემები მამასთან ურთიერთობაში, აგრეთვე — საკუთარი ქალური ბუნებისა და დანიშნულების აღიარების სურვილის არქონა.

**დავრისია** — დათრგუნვილი მრისხანებაა, რომელსაც არ აძლევთ გამოსვლის საშუალებას.

სულ დაავადებათა გამომწვევი 5 ფსიქოლოგიური მიზეზი არსებობს: **მრისხანება, წყენა, დანაშაულის ცნობიერება, შარიანობა, სიცოცხლის შიში.**

**მრისხანება** ორგანიზმს შიგნიდან „აფეთქებს“ — იმის მიუხედავად, გადმონათხვეთ თუ არა მას სხვებზე და თუნდაც არც აღიარებდეთ, რომ იგი თქვენში არსებობს. მრისხანება იწვევს ჭკუასუსტობას, დაჭიმულობებს, თირკმლებში კენჭების გაჩენას, ნიკრისის ქარს, ღვიძლის დაავადებებს.

**წყენა** — ასუქებს ორგანიზმს, იწვევს სიმსივნეს, სექსუალური პარტნიორის მიმართ წყენა კისტის გაჩენის მიზეზი ხდება.

**დანაშაულის შებრძანება** სხვადასხვა სახის ტკივილს იწვევს,

აგრეთვე — ლოთობას, ალერგიებს. **შარიანობა, გასლიანობა სკაპტიციზმი** — ართრიტს, რევმატიზმს, **სიცოცხლის შიში**, საზომურ ტკივილებს, წყლულს, უჭაერიობის შეტევებს, ანემიებს, აპათიებს, დამბლებს, აპენდიციტს, ფრიგიდულობას იწვევს.

ჩვენი პრობლემების მიზეზი ჩვენს არასწორ მსოფლმხედველობაში, საკუთარ თავზე ავადმყოფურ შეხედულებაში უნდა ვეძებოთ. ჩვენ თავად ვამბობთ უარს სინარულზე ბედნიერებაზე, ხოლო შემდგომ, გვიკვირდება დაავადების განვითარება და თავს მსხვერპლად მივიჩნევთ. ხოლო გასაღები „ჯიბში“ გვაქვს — თუკი ეს ჩვენი აზროვნების პრობლემაა, მამასადაძე, შეიძლება მისა



შეცვლა და გამოჯანმრთელება, ერთადერთი აუცილებელი პირობაა — თავი დააღწიოთ დაუსრულებელ ტკივილებს. ცხოვრება თავად მოგიყვანთ ექიმსაც და მასწავლებელსაც, ხელში ჩაგვადებთ წიგნებს, რომელიც გიკარნახებთ, ვის და როგორ მიმართოთ, როგორ მოიქცეთ თქვენი ორგანიზმი გიკარნახებთ, როგორ ისუნთქოთ სწორად, რა ჭამოთ, სად და როგორ დის გაისეირნოთ. მთავარია გვეროდეთ საკუთარი თავის და არ შეჩერდეთ. არ არსებობს თქვენი სურვილის შემაკავებელი ძალა.

## დისლექსიით დაავადებულთა საგუჩნალო სათვალე



ბრიტანელმა მეცნიერებმა ხელი მოჰკიდეს სპეციალური სათვალის შემუშავებას, რომელიც დისლექსიით დაავადებულ ადამიანებს შეუძლებს მისცემს. დისლექსია პრაქტიკულად შეუსწავლელი, მაგრამ საკმაოდ გავრცელებული (მოსახლეობის დაახლოებით 5-10%-ს აწუხებს) დაავადებაა, რომლის დროსაც ადამიანი ვერ აღიქვამს ნაბეჭდ ტექსტს — ცალკეულ ასოებს სიტყვებად ვერ აერთებს. ბუნებრივია, ეს ხელს უწყობს სოციალურ იზოლაციაში ადამიანის მოქცევას და ხშირად, ფსიქიკურ აშლილობასაც იწვევს ხოლმე.

აღნიშნული სათვალე იმ ხელსაწყოს ბაზაზე უნდა შეიქმნას, რომელიც თვალების მოძრაობას გააკონტროლებს და დატვირთვას შეუმსუბუქებს თვალებს. თავდაპირველად, მსგავსი ხელსაწყოები სამხედრო მფრინავებისთვის იყო განკუთვნილი. ოქსფორდის უნივერსიტეტის სპეციალისტების აზრით, სპეციალური სათვალე ხელს შეუწყობს იმის დადგენას, პაციენტი ორივე თვალით ხედავს ნაბეჭდ ტექსტს თუ თვალები მას ერთმანეთთან შეუთავსებლად აღიქვამენ. ამ საკითხის გარკვევის შემდეგ, ექიმს მხოლოდ ისლა დარჩება, რომ შესაფერისი სამკურნალო საშუალება დაუნიშნოს ავადმყოფს.

# საქსი სიბერეში

## როგორ მივალნიოთ სქესობრივი ცხოვრების გახანგრძლივებას

სხვადასხვა აღმზნები დიეტის ძიებაში პაციენტები ხშირად საწინააღმდეგო შედეგს ღებულობენ, ვიდრე ორგანიზმი კვების ახალ ტიპს ეგუება, სტრესში იმყოფება და მისი აქტიურობაც ქვეითდება. ეგზოტიკური დიეტები და ნაყენები მხოლოდ მათთვისაა კარგი, ვისაც თავდავიწყებით სჯერა მათი, მაგრამ იგივე წარმატებით შეიძლება სვით წყალი და დააყოლოთ კარტოფილი. თაფლი, კაკაო, ზღვის პროდუქტი – ყოველივე ეს სასარგებლო და არაჩვეულებრივია. სინამდვილეში, რაც მამაკაცს სჭირდება (სხვათა შორის, ქალსაც) ეს სრულფასოვანი, მრავალფეროვანი კვება გახლავთ.



## ჯადოსნური სიტყვა თუ რეალური პრეპარატი?

ვიაგრის მოქმედების მექანიზმი სისხლძარღვოვან დონეზე ხორციელდება. ამიტომ პრეპარატის მიღების შემდეგ, საჭიროა პარტნიორთან ურთიერთობა, ხოლო ვიაგრა აქტიურებს სქესობრივ ფუნქციას. თუ მისი დაღვევის შემდეგ, პაციენტი ტახტზე წამოწევა და გაზეთის კითხვას დაიწყებს, იგი, კერძოდ, ეფექტს ვერ მიიღებს. ურთიერთობის გარეშე აზნება არ ვითარდება.

ზოგიერთ მამაკაცს ვიაგრის მიღების შედეგად უვითარდება გვერდითი მოქმედებები:

მხედველობის ცვლილებები, ფერის აღქმის დაკარგვა, ფაღარათი (კუჭის აშლა), სახეში, თვალებზე სისხლის მოწოლის შეგრძნება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, თითების კანკალი და ა.შ. მაგრამ ეს ცვლილებები დროებითია და ბევრი პაციენტი მზადაა, აიტანოს ისინი წარმატების შემთხვევაში.

## ალკოჰოლი და სქესობრივი ფუნქცია


ჯერ კიდევ ჰიპოკრატემ შენიშნა, რომ ალკოჰოლი ადამიანს უძლიერებს სურვილს და უკარგავს ამ სურვილის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. თუმცა, ზოგჯერ ხდება, რომ ალკოჰოლის მოყვარული პაციენტი, სასმელისთვის თავის დანებებასთან ერთად, სქესობრივი ფუნქციის დაქვეითებას აღნიშნავს.

ალკოჰოლი საკმაოდ ენერგოტიკული პროდუქტია: მისი 1 გ იმდენივე ენერგიას წარმოქმნის, რამდენსაც 5 გ ხორცი. როცა მამაკაცი აღარ იღებს ასეთ ენერგეტიკულ შევსებას, ორგანიზმი ახალ რეჟიმზე გადაწყობას იწყებს. ამ მდგომარეობაში იგი უარს ამბობს იმაზე, რის გარეშეც შეიძლება გაძლება – პირველ რიგში, სექსზე, რომელიც ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე სუნთქვა და საჭმლის მონელება. თუ მამაკაცი ამას ზედმეტ ყურადღებას არ აქცევს, მაშინ ერთ-ორ თვეში ორგანიზმი აღიდგენს თავის ძალებს და ყველაფერი ნორმის ფარგლებში ჩადგება; მაგრამ თუ ეს პრობლემა გაზვიადებულად იქნება აღქმული, შესაძლოა, განვითარდეს წარუმატებლობის მოლოდინის ნევროზი და როცა ორგანიზმი ძველი ენერგიით დაიწყებს მუშაობას, მამაკაცს შიშისა და მოლოდინის გამო, მაინც არაფერი გამოუვა.

# შეისუნთქეთ... ორიოდე აბი

ახლო მომავალში, ადამიანებს ალბათ აღარ მოუწევთ აბებისა თუ თხევადი წამლების დაღვევა, რადგან შესაძლებელი გახდება პრაქტიკულად ყველა პრეპარატის შესუნთქვა. გერმანელი სპეციალისტების მიერ ჩატარებული გამოკვლევები ადასტურებს, რომ ორგანიზმში ცხვირ-ხორხიდან მოხვედრილი წამალი გაცილებით მეტ ეფექტს იძლევა, ვიდრე მისი ორალური ანალოგი. გარდა ამისა, ამგვარად მიღებულ პრეპარატებს ნაკლებად ახასიათებს გვერდითი მოვლენები.

აღნიშნული აღმოჩენა განსაკუთრებით, ცენტრალურ ნერვულ სისტემასთან დაკავშირებული და სხვადასხვაგვარი ფსიქიკური დაავადების (მაგალითად, ალცჰაიმერის ავადმყოფობის) სამკურნალოდ იქნება მნიშვნელოვანი, – უპირველესად იმიტომ, რომ ამგვარ სნეულებათა დროს, მკვეთრად ქვეითდება სისხლის მიმოქცევის ინტენსივობა, ამიტომ თავის ტვინის შესაბამის მონაკვეთებზე ჩვეულებრივი წამლების მოქმედება საგრძნობლად იკვიანება.





### მავენე მობინადრენი

#### წითური ტარაკანა

ვინ დაბრძანდება თქვენს სამზარეულოში ღამობით? უყვარს ნესტი და, განსაკუთრებით სითბო. +20 გრადუსზე დაბალ ტემპერატურაზე კარგად ვერ მრავლდება, ხოლო -7 გრადუსზე, ერთ წუთში იღუპება. მის რაციონში შედის ქაღალდი, სტეარინის სანთლები, საპონი, პოლიეთილენი და საკუთარი თანამომხმეებიც კი. ისინი კი, ვინც ვერ შეჭამეს და ვინც თქვენი ფეხსაცმლის ძირებს გადაურჩნენ, 16 თვემდე ცოცხლობენ.

რას გვავენებს? გადააქვს 100 სახეობამდე მიკრობი და პარაზიტული ჭიების კვერცხების 14 სახეობა. თავისი ცხოველქმედების პროდუქტებით აბინძურებს ირგვლივ ყველაფერს – საჭმელს, წიგნებს, ტანსაცმელს.

როგორ მოვიშოროთ? თუ კორპუსში ცხოვრობთ, ტარაკანისგან თავის დასაღწევად ან მთელი სახლი უნდა შეებრძოლოს მას, ანდა თქვენი ბინა კოსმოსური ხომალდით პერმეტული უნდა გახადოს.

სხვაგვარად წითურები სავენტილაციო მილიდან, ღიად დარჩენილი კარიდან ან აივნებიდან ისევ შეიძლება შეიჭვინტონ.

#### შავი ტარაკანა

წითური მეგობრისაგან განსხვავებით, ნაკლებად მოძრავია და ნაკლებნაყოფიერიც. მკვეთრ შუქზე ვერ ძლებს, ამიტომ სამზარეულოებში არ ჩნდება. მას ბნელი სარდაფი და კანალიზაცია ურჩევნია. სწორედ მან მისცა დასაბამი თავისი მოღვმის სახელწოდებას. თათარ-მონღოლები ნაბდის კარვის ნაოჭებში ჩასახლებულ თანამაცხოვრებელს „შავ მბრძანებელს“ ანუ „კარახანს“ უწოდებდნენ, საიდანაც გაჩნდა დამახინჯებული „ტარაკანა“.

რას გვავენებს? იმავეს, რასაც წითური ტარაკანა, მაგრამ შედარებით ნაკლები მასშტაბით.

როგორ დავაღწიოთ თავი? ისევე, როგორც წითურს.

#### ჭიანჭველები

კელტ-ღრუილები ფიქრობდნენ, რომ ჭიანჭველები მიწიერი არსებობის უკანასკნელი სტადიის ფერიები იყვნენ. მაგრამ დიასახლისებს ისინი ბევრ საზრუნავს უჩენენ.

რას გვავენებენ? ძვრებიან ნებისმიერ ჭუჭრუტანაში, ძალიან უყვართ ტკბილეული.

როგორ მოვიშროთ? ჭიანჭველები არ არიან ისეთი სიცოცხლისუნარიანები, როგორც ტარაკანები, ვერ ვეუბნებიან საწამლავს. გარდა ამისა, ისინი ნერვულ სტრესს განიცდიან. ამიტომ სცადეთ, გამოიყვანოთ ისინი ხახვის ან ნივრის სუნის მეშვეობით, რომელსაც ჭიანჭველები ვერ უძლებენ. შეი-


ძლება, მათ გზაზე მოათავსოთ მოხარშული ძროხის ძვალი – როცა ჭიანჭველები მფორებში შეძვრებიან, ძვალი ძეღუღარე წალში ჩაავდეთ.

#### ბუზები

ჩვენგან განსხვავებით, ძველი ეგვიპტელები პატრის სცემდნენ ბუზს: იეროგლიფი მისი გამოსახულებით, შემართებას, გბედულებას აღნიშნავდა.

რას გვავენებს? გადააქვს ჭიის კვერცხები და მძიმე დაავადებათა (ტიფის, დიზენტერიის, სალმონელოზის, პოლიომიელიტი ქოლერის) გამომწვევები.

როგორ დავაღწიოთ თავი? ქიმიურ საშუალებებით მათი მოწამვლა საკმაოდ ძვირი ჯდება, თანაც ბუზები ძალიან ეგუებიან შხამებს. წებოვანი ქაღალდი უფრო ეფექტურია. ბუზს არ უყვარს ორპირი ქარსისუფთავე და დაბალი ტემპერატურა (-1 გრადუსზე იგი იღუპება, +1 გრადუსზე აღამრავლდება, ხოლო +8 გრადუსზე მისი კვერცხი იღუპება), მაგრამ ყველაზე ეფექტურია ბუზების საყვარელი, სიბინძური კერების – ნაგავსაყრელების, ბუნკერების გაუწმენდელიყოფა.



## ★ ★ ★ ჯანსაღ უჯრედებს სტაბილურ პირობებში გამოიყვანენ

შესაძლოა, ახლო მომავალში, ლეიძლით დაავადებულ ადამიანებს დონორული ორგანოს მოლოდინში სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ყოფნა აღარ მოუწიოთ: ბრიტანელი ექიმების ბოლოდროინდელი გამოკვლევების შედეგად შემუშავებულია ორგანიზმში დონორული უჯრედების შეყვანა. ამ ტექნოლოგიის წყალობით შესაძლებელი გახდა უჯრედების გამოსაყოფად და გასამრავლებლად აუცილებელი, აბსოლუტურად სტერილური პირობების შექმნა. სასინჯი ოპერაციები ლონდონში, სამეფო კოლეჯის საავადმყოფოში ჩატარდა. როგორც შეცნიერები ამბობენ, ამ მეთოდს ლეიძლის მწვავე დეფიციტით დაავადებული ავადმყოფების სამკურნალოდ გამოიყენებენ – ე.ი. სწორედ იმ შემთხვევაში, როდესაც ლეიძლის უჯრედების აქტივობა არ არის საკმარისი ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელი სასიცოცხლო ფერმენტების შესაბამისად.

## ყავა კარჩენს ებრძვის

თუ ადრე, იმაში გვარწმუნებდნენ, რომ ყავა ცუდად მოქმედებდა კბილებზე, იტალიაში ამ ცოტა ხნის წინ დასრულებული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ საქმე სრულიად საპირისპიროდაა. იტალიურმა მედიკოსებმა დაადგინეს, რომ ნატურალური (და არა ხსნადი!) ყავის ზოგიერთი კომპონენტი ხელს უშლის კბილებზე გაჩენილი ბაქტერიების გამრავლებას. ყავაში შემავალი ქლოროგენური და ნიკოტინური მჟავები, ასევე – ტრიგონელინი (ნივთიერება, რომელიც განსაკუთრებულ გემოს ანიჭებს ე.წ. ესპრესოსს, ხელს უწყობს ორგანიზმის შებრძოლებას ისეთ მიკრობებთან, როგორცაა, მაგალითად, Streptococcus mutans, რომელიც კარიესის განვითარების მთავარ მიზეზს წარმოადგენს. მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელის, ქ-ნ კარლა პრუცოს თქმით, კბილებზე აგრესიული სტრეპტოკოკის მოქმედების შეჩერება ყავის წყალბით, 40,5-დან 98,1%-მდე მერყეობს.

# თქვენი პატარა



## როცა ბავშვი ხელოვნურ აკვებაზეა

ჩვილ ბავშვებში საკმაოდ ხშირია საჭმლის მონელების დარღვევის შემთხვევები, რაც განპირობებულია ასაკობრივი თავისებურებებით: კუჭის წვენის დაბალი მჟავიანობით, ნაწლავის დამცავი ლორწოს შენელებული წარმოქმნით, ღვიძლის ინაქტივაციური ფუნქციის არასაკმარისობით. ამიტომ როგორც კი უმნიშვნელოდ ირღვევა ჩვილის კვების რეჟიმი, მას მამინვე ემართება დიარეა (ხშირი, მეტ-ნაკლებად თხიერი განავლის გამოყოფა გაძლიერებული პერისტალტიკის შედეგად). საუბარია არა კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ინფექციურ დაავადებებზე, არამედ მონელების ფუნქციურ დარღვევებზე. ანუ უბრალო დისპეფსიაზე. ამის მიზეზი ხშირად ის არის, რომ ბავშვის საკვების რაოდენობა და შეადგენლობა არ შეესაბამება მისი კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებს. ანუ ბავშვს სისტემატურად აძლევენ მისი ასაკისათვის შეუსაბამო საკვებს. ტუტეზე მყოფი ბავშვი, რომელსაც მოთხოვნის შესაბამისად კვებავენ, მსგავსი პრობლემების წინაშე თითქმის არასოდეს დგება. სულ სხვა საქმეა ხელოვნურ საკვებზე მყოფი პატარა. მისი კვების დრო და რაოდენობა მკაცრად უნდა იყოს დაცული. ამასთან, ზოგიერთი დედა არასწორად მიიჩნევს, რომ „ჯანმრთელობა“ და „სიმსუქნე“ სინონიმებია. მას სურს, გაზარდოს გოლიათი და ავიწყდება კვების ელემენტარული წესები. ბავშვისათვის ნარევის მომზადებისას ხშირად არღვევენ პროპორციებს (აკეთებენ უფრო სქელ და ცხიმოვან ნარევს), არ იცავენ ახალი საკვების

დამატების ვადებს (ფიქრობენ, რომ არაფერი დაშავდება, თუ ფაფას, დასაშვებ ვადაზე ერთი თვით ადრე მისცემენ პატარას), ამცირებენ კვების შუალედებს.

## „რეკორდების“ შედეგი

რალაც დროის განმავლობაში, ბავშვის საჭმლის მომნელებელი სისტემა უძკლავდება მომატებული რაოდენობისა და კონცენტრაციის სა-

კვებს, თუმცა საამისოდ მას დაძაბვა სჭირდება. მაგრამ ფერმენტული აპარატის გამოფიტვა გარდაუვალია. შედეგად ნაწლავებში მდიდს ფერმენტებით არასაკმარისად დატუშავებული და მარტივ ნივთიერებებამდე დაუქუცმაცებელი საკვები. ამას კი კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოშლა მოსდევს თან, რაც მამინვე იწვევს ნაწლავის ნორმალური მიკროფლორის დარღვევას.

ბავშვი ხდება მოუსვენარი, უარს ამბობს საკვებზე ან საჭიროზე ნაკლებს ჭამს. ტუცეული შებერილი აქვს, ისმის ყურყური და გაზებთან ერთად, ნაკადურად გამოიყოფა თხევადი განავალი, ანუსის (უკანა გასავლის) ირგვლივ კანი სწრაფად ღიზინდება. ბავშვი წინაში ადარ მატულობს, ზოგჯერ კლებულობს კიდეც. თუ კუჭის მოქმედება ძალიან ხშირია, მალე ვითარება გაუწყლოება: კანი და ენა შრება, ღიდი ყოფილიდან ჩავარდნილია, შარდვა კი – გაიშვითებული. ასეთი მდგომარეობის დროს დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ ექიმს.

## დავიცვათ დიეტა

უფრო ხშირად უბრალო დისპეფსია შედარებით მშვიდად მიმდინარეობს. ბავშვი თითქოს ჯანმრთელია, მადას არ კარგავს, თუმცა საერთო მდგომარეობას „აფუჭებს“ საკვების ამოქარვებები და ხშირი კუჭის მოქმედება – 6-8-ჯერ დღეში. დისპეფსიის გამოვლენისას ბავშვი გადაჰყავთ წყლისა და ჩაის დიეტაზე და ამასთან ასმევენ გლუკოზიან-მარილოვან ხსნარებს. ასეთი რეჟიმის დაცვა საჭიროა 4-6 საათის განმავლობაში, მაშინაც კი, თუ პატარას არა აქვს გაუწყლოების ნიშნები. ხსნარებზე იყენებენ რეჰიდრონს, გლუკოსოლანს, ორალიტს ან ციტროგლუკოსოლანს.

თქვენ მიერ დამზადებული სამკურნალო სითხე ვარგისია დღე-ღამის განმავლობაში, მეორე დღისათვის კი იგი ხელახლა უნდა მოამზადოთ!


პირველ საათებში პატარას აძლევენ 2 ჩ/კ ხსნარს, ყოველ 2 წუთში ერთხელ. სითხის მოცულობას და დროის შუალედებს თანდათან ზრდიან. ჩვეულებისამებრ, წყლისა და ჩაის დიეტის დამთავრებისას ბავშვის მდგომარეობა უმჯობესდება და იგი სრულიად კანონიერად ითხოვს ჭამას. ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ შშობელმა ისევ არ დაარღვიოს ბავშვის გამოჯანმრთელების პროცესი და ისევ არ მისცეს ზედმეტი საკვები დამშუულ პატარას.

## დიეტის შემდგომ

ხელოვნურ საკვებზე მყოფ ბავშვს ზემოთ აღწერილი დიეტის შემდგომ, პირველ დღეს უნდა მიეცეს ნარევის საჭირო რაოდენობის არა უმეტეს 50%-ისა (უმჯობესია რძემჟავა პროდუქტი), ხოლო მე-2, მე-3 დღეს, თანდათანობით მიაღწევთ ასაკობრივ ნორმას. მოცემულ ეტაპზე აუცილებელი არ არის კვებასა და კვებას შორის, 3-საათიანი შუალედის დაცვა.

1-2 კვირის განმავლობაში რეკომენდებულია საჭმლის მომნელებელი ფერმენტების: პანკრეატინის, მეზიმ ფორტეს, აბომინის გამოყენება.

კვების რეჟიმის დარღვევით გამოწვეულ გართულებებზე, საუბარს „გზის“ მომდევნო ნომერში განვაგრძობთ.



მორენა მერკვილაძე

ახალი აღთქმის მიხედვით, ნათლობა თვით უფალმა იესო ქრისტემ დააწესა, როდესაც მკვდრებით აღდგომის შემდეგ, მოციქულებს გამოეცხადა და აუწყა: „მოცემული მაქვს მე მთელი ხელმწიფება ცაში და დედამიწაზე. ამიტომ წადით და მოიმონაფეთ ყველა ხალხი, მონათლეთ ისინი მამისა და ძისა და სულისმადის სახელით. ასწავლეთ მათ ყოველივეს და ცვა, რაც მე გამეცნეთ“...



ნათლობასთან დაკავშირებით, გვესაუბრება თელავის წმინდა ნნოს სახელობის ტაძრის მღვდელი, მამა ბასილი (იასალაშვილი).

ნათლობის დროს ადამიანს, პირველ რიგში, ადამის მიერ ჩადენილი ცოდვა მიეტყუება, რომელიც ყველა ადამიანზე მემკვიდრეობით გადადის. ასევე მიეტყუება პირადად ჩადენილი ყველა ცოდვა. ნათლობას მეორედ შობაც ეწოდება. სახარებაში წერია: „კინც ხელახლა არ იშობა, ვერ იხილავს ღვთის სასუფეველს“ (იოანე 3, 3). ადამიანი ღვთის მუცლიდან ხორციელი, ამქვეყნიური ცხოვრებისთვის იბადება, ხოლო ნათლობით – ზეციური, უკვდავი ცხოვრებისთვის.

რა უნდა გააცნობიეროს მოსანათლმა უპირველესად?

თუ ადამიანი ზრდასრულია, პირველ რიგში უნდა გააცნობიეროს, რა არის ნათლობა, კარგად შეისწავლოს მართლმადიდებლური სარწმუნოება, მოინანოს ჩადენილი ცოდვები, ირწმუნოს უფალი იესო ქრისტე და მისი მცნებებით ცხოვრება დაიწყოს ისე, როგორც სახარებაში წერია.

ვის მიერ ხდება ნათლობის საიდუმლოს შესრულება?

ახალი აღთქმის მიხედვით, ადამიანთა მონათვლა მოციქულებს თვითონ უფალმა დაავალა, რომელთა შემდგომ, ნათლობის საიდუმლოს მათი მემკვიდრე-ღვთისმსახურები აღასრულებენ. სჯულის კანონის მიხედვით, ნათლობის შესრულების უფლება, მხოლოდ მღვდლებს აქვთ. მაგრამ თუ ჩნდება საშიშროება, რომ ადამიანი მოუნათლავი შეიძლება გარდაიცვალოს და მღვდლის მოყვანა არ ხერხდება, ამ შემთხვევაში დასაშვებია, რომ საერო პირმა მონათლოს. სამჯერ დაასხ-

# რა მნიშვნელობა აქვს ნათლობას?

ამს წყალს თავზე და იტყვის: „ინათლება მონა ღმრთისა (სახელი) სახელითა მამისათა, ამინ! და ძისათა, ამინ! და სულისა წმიდისათა, ამინ!“

როგორ აღესრულება ნათლობა მღვდლის მიერ?

ნათლობის საიდუმლოს აღსრულების დროს, მოსანათლს მღვდელი უკითხავს ლოცვებს, მისგან ბოროტი სულის – ეშმაკის განსაღვენად. მოსანათლი კი აღთქმას დებს, რომ იცხოვრებს უფლის მცნებების დაცვით, რომლის დასტურადაც ამბობს – „მრწამსს“, რასაც მღვდლის მიერ ნაკურთხ წყალში მოსანათლის სამჯერ შთაფვლა (ჩაყურყუმალება) მოსდევს. იმ შემთხვევაში, თუ შთაფვლა ვერ ხერხდება, მოსანათლს წყალი თავზე სამჯერ უნდა დაესხას. წყალში შთაფვლა ნათლობის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია – სულიწმინდის მადლი მონათლულზე სწორედ ამ დროს გადმოდის.

ეკლესიური სწავლებით, მირონცხება სულ სხვა საიდუმლოა. რატომ ხდება ნათლობის და მირონცხების ურთიერთდაკავშირება?

მირონის ცხება ადამიანს აძლევს ძალას, რომ ქრისტეს მცნებები აღასრულოს.

მირონცხების შემდეგ, მღვდელი ახალმონათლულს მირონისგან განბანს, რაც წინათ, რვა დღის შემდეგ ხდებოდა. რამ განაპირობა ადრე დამკვიდრებული წესის სახეცვლილება?

მონათვლისთანავე განბანვა, ოჯახის პირობებში, წმინდა მირონის შეხებისგან დაგვიცავს და მისი შეურაცხყოფის ცოდვას აგვარილებს, რადგან მირონის მოწმენდის უფლება მხოლოდ სასულიერო პირს აქვს ამასთანავე, არ მოხდება სახლში „განბანვა“ „განმბანველი ნათლის“ მიერ, რაც ეკლესიური სწავლებით, არასწორია. განბანვის შემდეგ, ჯვრის სახით თმის შეჭრა, სიმბოლურად უფლისადმი მორჩილების გამომხატველია.

რა ვალდებულება ეკისრება ნათლიას ნათლულის მიმართ?

ნათლია, როგორც სულიერი მშობელი, ვალდებულია, იზრუნოს ნათლულის სულიერ აღზრდაზე, უნდა ილოცოს მისთვის, ქრისტეს მცნებებით ცხოვრება შეასწავლოს, ასწავლოს ლოცვა, მარხვა, წირვა-ლოცვაზე დასწრება და საზიარებლადაც მიიყვანოს. თუკი ადამიანი გრძნობს, რომ სულიერი თუ ფიზიკური მიზეზების გამო, ნათლის მოვალეობას ვერ შეასრულებს, შეუძლია, ნათლიაობაზე უარი თქვას (მონათვლამდე).

როგორ ხდება სხვა სარწმუნოებიდან ან სექტიდან განდგომილი წევრის ნათლობა?

ასეთ შემთხვევაში, თუ ადამიანი მოუნათლავია, მართლმადიდებლური წესით ინათლება, ხოლო თუ მონათვლის მერე შეიცვალა სარწმუნოება, ხოლო რაღაც პერიოდის შემდეგ, მოხდა მისი ეკლესიისკენ შემობრუნება, ასეთ ადამიანს ეკლესია ღებულობს სინანულით (აღსარებით), რომლის დროსაც უნდა მოინანიოს ეს ცოდვა და მტკიცედ გადაწყვიტოს, რომ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას აღარ განუდგება.

შეიძლება თუ არა ხელმეორედ მონათვლა?

როგორც მეორედ ხორციელ დაბადებას ვერ მოვახერხებთ, ასევე შეუძლებელია მეორედ სულიერად შობაც. ამიტომ მეორედ მონათვლა დიდი ცოდვაა.

როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, როდესაც არ იცის, მონათლულია თუ არა?

ასეთ დროს აუცილებლად უნდა მოინათლოს.

P.S. ნათლობის რიტუალურ ნაწილთან დაკავშირებულ საკითხებზე „გზის“ მომდევნო ნომერში გვესაუბრებით.




# კვირის (28 ოქტომბერი - 3 ნოემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

## ღიანებალი - 24/X-22/XI



თავს მკაცრი კონტროლი გაუწიეთ - განსაკუთრებით, საფინანსო საკითხებში, წინააღმდეგ შემთხვევაში, უსიამოვნებებს ვერ ასცდებით. ამიტომ, კარგი იქნება, თუ ამ კვირაში შინიდან პირდაპირ სამსახურში წახვალ, იქიდან კი, ასევე სხვაგან წაუსვლელად, სახლისკენ აიღებთ გეზს.

## მეზოლდონა - 23/XI-21/XII



ენას კბილი და აჭირეთ, თორემ უსიამოვნება არ აცდებთ. ამ კვირაში კოლეგებთან და უფროსობასთან სერიოზული კონფლიქტები გელით. დაძაბულობას მხოლოდ სასიყვარულო თავგადასავალი მოგიხსნით, რომელიც, წესით, შაბათს გექნებათ.

## თხის რქა - 22/XII-20/I



ამ კვირაში გაურკვეველი ნოსტალგიის გრძნობა მოგეძალება. შესაძლოა, ძველი ჩვევები გაიხსენოთ, დიდი ხნის უნახავ ადამიანებს შეხვდეთ და ძველი, გაზუნებული ფოტოსურათების თვალიერება მოგიხდეთ. მიეცით თავს ამის უფლება, რადგან რაიმე სახლეს თქვენს ცხოვრებაში ახლო მომავალში არ უნდა ელოდოთ.

## მერწყული - 21/I-19/II




თქვენს მოზღვავე ბულ ენერგიას გამოსავალი სჭირდება. ფიგაროსავით ხართ: ყველაფერს ასწრებთ - გარშემომყოფთა გამხნეებასაც, მათი სურვილების შესრულებასაც, ახალ-ახალი საქმეების წამოწყებასაც და კარგად დასვენებასაც.

## თაგზა - 20/II-20/III



ნუ მოერიდებით წვეულებებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის ზედმეტად პომპეზურად მოგეჩვენებათ, ხოლო იქ შეკრებილი ხალხი - ნაკლებსაინტერესოდ. შესაძლოა, იქ პერსპექტიული ნაცნობები გაიჩინოთ და გავლენიანი ადამიანების მხარდაჭერასაც გამოჰკრათ ხელი. მომაბზრებელი ურთიერთობებისგან კი, უქმე დღეებშიც მოასწრებთ დასვენებას.

## მშრპი - 21/III-20/IV




რეალურად შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობები და ჩამოწერეთ მთელი კვირის ან, თუ გნებავთ, მთელი თვის გეგმები. შაბათი და კვირა სპორტს და ფიზიკურ დატვირთვას დაუთმეთ.

## ბშრ - 21/IV-21/V




განსაკუთრებული კვირა გელით. სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელი პირად ცხოვრებაში. შესაძლოა, დიდი ხნის მეგობართან ან სატრფოსთან უთანხმოება მოგივიდეთ, თუმცა, ახალი სიყვარულიც არც ისე შორსაა: ამ კვირაში ბევრ მანე ჩვევას მოიშორებთ, მათ შორის, თამბაქოს წევასაც გადაეჩვევით.

## მარტო - 22/V-21/VI




ამ კვირას უამრავი სასიამოვნო საზრუნავი გექნებათ. ოჯახისთვის საჭირო ნივთების, ან საყვარელი ადამიანისთვის საჩუქრების შესაძენად, მაღაზიებს შემოიღებთ. სრულებითაც რომ არ გიყვარდეთ საყიდლებზე სიარული, ამ კვირაში ეს უდიდეს სიამოვნებას მოგგვრით.

## ბიძნობი - 22/VI-22/VII



მხოლოდ სამშაბათსა და ოთხშაბათს შეგიძლიათ სერიოზულად იმუშაოთ, სხვა დღეები კი, ვიზიტების, მეგობრებთან ქეთვისა და ოჯახური დღესასწაულებისთვის უფროა შესაფერი. ეჭვგარეშაა, რომ ყველა ამ დონისძებაზე განსაკუთრებით ვინებამახვილი, იქნებით - შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ!

## ლომი - 23/VII-23/VIII




მთელ კვირას წინააღმდეგობების დაძლევაში გაატარებთ: მეგობრები თქვენი ყურადღების მიპყრობას შეეცდებიან, ხოლო თქვენ, ნებისმიერი გართობისა და რომანტიკული სეირნობის დროსაც კი, ერთადერთი სურვილი არ მოგასვენებთ - რაც შეიძლება სწრაფად გაიქცეთ ოფისში და საქმეებს მიხედოთ.

## ქალწული - 24/VIII-23/IX



სასურველ შედეგს რომ მიაღწიოთ, მთელი ძალების კონცენტრირება მოგიწევთ. მაგრამ ამ შედეგმა, შესაძლოა, არც კი დაგაკმაყოფილოთ, რადგან ის ბევრ დათმობასა და მსხვერპლს მოითხოვს. ამიტომ დაფიქრდით, ღირს კი ძალების ეს-ოღენ დიდი დაძაბვა?

## სასწორი - 24/IX-23/X



მიუხედავად იმისა, რომ ამ კვირაში განმარტოების სურვილი გექნებათ, ვიზიტებს მაინც ვერ ასცდებით, რადგან, შესაძლოა, რაიმე მცირე უსიამოვნება შეემთხვეს თქვენს ნათესავებს, რომლებიც თქვენთან არ ცხოვრობენ. სამაგიეროდ, სასიყვარულო ურთიერთობები, მიღებულ სტრესს აბსოლუტურად მოგიხსნით.



# როგორ ხართ მეუღლესთან ურთიერთობაში?

1) რას ფიქრობთ ქორწინების შესახებ?

ა) იმასვე, რასაც თქვენი მეუღლე - 1;

ბ) ქორწინება ბორკილებს ჰგავს - 3;

გ) ქორწინება დიდი ბედნიერებაა - 2.

2) რას ფიქრობთ ნიშნობის შესახებ?

ა) ძალზედ მოძველებული ტრადიციაა - 9;

ბ) სიყვარულის საუკეთესო პერიოდის დაფიქსირებაა - 8;

გ) ნიშნობის გამართვა სისულელეა - 7.

3) როგორ ფიქრობთ უნდა იყვნენ თუ არა მეუღლეები ერთმანეთის ერთგულნი?

ა) დღეს ეს მნიშვნელოვანი აღარ არის - 3;

ბ) ქორწინება აუცილებლად ურთიერთნდობაზე უნდა იყოს დამყარებული - 4;

გ) ქორწინება ერთგულების გარეშე აზრს კარგავს - 5.

4) გიფიქრიათ თუ არა განქორწინებაზე?

ა) ასეთ ფიქრს თავში ვერც გაივლებთ - 7;

ბ) ცოლ-ქმრის შეუთანხმებელ ცხოვრებას განქორწინება სჯობს - 5;

გ) ასეთ შეკითხვაზე პასუხს ვერ გასცემთ - 2.

5) რას ფიქრობთ სიყვარულის შესახებ?



ოჯახში?

ა) ოჯახს საერთო ბიუჯეტი უნდა ჰქონდეს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე რამდენს შოულობს - 8;

ბ) ფინანსებს ქალი უნდა განაგებდეს - 6;

გ) ფინანსები მამაკაცის საქმეა - 4.

7) გსიამოვნებთ თუ არა, როცა მეუღლე თქვენ მიმართ სიყვარულის დემონსტრირებას ახდენს?

ა) რა თქმა უნდა - 6;

ბ) გააჩნია სიტუაციას - 7;

გ) ცხოვრება უამისოდაც შეიძლება - 8.

8) როგორ გირჩევნიათ შვეშულების გატარება?

ა) მარტოობაში - 5;

ბ) ოჯახთან ერთად - 3;

გ) ნაწილი - ოჯახთან ერთად, ნაწილი - მარტოს - 2.

9) რამდენი შვილის ყოლის სურვილი გაქვთ?

ა) სამის ან ოთხის - 3;

ბ) ორის - ქალ-ვაჟის - 1;

გ) ერთიც საკმარისია - 2.

10) რას ფიქრობთ მეუღლის მშობლების შესახებ?

ა) პატივს სცემთ მათ აზრს - 4;

ბ) გიყვართ და მათ დახმარებას სიამოვნებით იღებთ - 2;

გ) ისინი თავს გაბეზრებენ - 3.

Handwritten numbers and marks on the right margin, including '3', '7', '5', '1', '2', and '53'.

ვარულზე?

ა) უსიყვარულოდ ცხოვრება უაზრობაა - 8;

ბ) ოდესღაც, სიყვარულის შესახებ ილუზიები გქონდათ, მაგრამ ახლა... - 7;

გ) ნამდვილი სიყვარული ჯერ არ გამოგიცდიათ - 6.

6) როგორ უნდა გვარდებოდეს ფინანსური პრობლემები

## დააჯამეთ ქულები

34, 39, 43, 47, 54 ქულა: ცხოვრება ისე გაქვთ მოწყობილი, როგორც პირადად თქვენ მოგწონთ და გაძლევთ ხელს. მხოლოდ საკუთარ ინტერესებს ითვისებთ, მეუღლისა და მისი ახლობლების აზრი კი საერთოდ არ განაღვლებთ.

40, 44, 48, 52, 57, 58 ქულა: კარგი მეუღლე ხართ, ბედნიერი ოჯახი გაქვთ, თუმცა ამაში თქვენს მეუღლესაც ისეთივე წვლილი აქვს შეტანილი, როგორც თქვენ.

35, 38, 45, 50, 56 ქულა: სჯობს, თქვენი ქცევები რეალობას უფრო მეტად შეუტყავსოთ,

ოჯახის წევრების აზრიც გაითვალისწინოთ და უფრო დამთმობიც გახდეთ.

37, 42, 51, 53, 59 ქულა: ძალიან მენჭრილ-მანე ადამიანი ხართ და ოჯახში პრობლემები მხოლოდ და მხოლოდ თქვენი ამ თვისების გამო ჩნდება ხოლმე.

36, 41, 46, 49, 55 ქულა: ზედმეტად უხეში და მკაცრი ადამიანი ხართ, ამიტომაც მეუღლეს მაინცდამაინც ვერ ეწყობით. ეცადეთ, შეიცვალოთ და თქვენი ცხოვრებაც უფრო სასიამოვნო გახდეს.

# უნებეღმა ცოლ-ქმარმა სქესი გაცვადა



უნგრეთის ქალაქ სეგედში უცნაური ოპერაცია ჩატარდა. ცოლ-ქმარმა სქესი გამოცვალა: ქალმა მამაკაცობა ისურვა, მამაკაცმა კი ქალად გახდომა მოინდომა.

ოპერაცია ექიმმა ლასლო პაიორმა გააკეთა. მანვე კორესპონდენტს მოუთხრო, რომ

ცოლა ხნის წინ, კლინიკას ცოლ-ქმარი ესტუმრა. მამაკაცმა ექიმებს განუცხადა, რომ მას და მის ცოლს სქესის გამოცვლა სურდათ. თავდაპირველად, მედპერსონალს ეს ხუმრობა ეგონა, მაგრამ გაირკვა, რომ ცოლ-ქმარს სქესის გამოცვლა მტკიცედ გადაწყვეტილია. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, თუმცა ექიმი პაიორი დეტალებზე საუბარს მოერიდა, რათა სამედიცინო საიდუმლო არ გაეთქვა. ერთი კი დასძინა, რომ წყვილს პირველი პრობლემა მაშინ შეექმნა, როცა ახალგაომცხვარი ქალი, სავადმყოფოს ქალთა განყოფილებაში გადაიყვანეს; იგი სხვა პაციენტებმა არ მიიღეს და მედპერსონალი იძულებული გახდა, კვლავ მამაკაცთა განყოფილებაში დაებრუნებინა ავადმყოფი. ყოფილი ცოლი აცხადებს, რომ თავს მშვენივრად გრძნობს, მაგრამ მიზეზს, თუ რამ გადააწყვეტინა მას და მის ქმარს ასეთი ნაბიჯის გადადგმა, არ ასახელებს.

# ზოოპარკის თანამშრომლებმა ცხოველები შეჭამეს

გერმანიის ერთ-ერთი პატარა ზოოპარკის ორი მეთვალყურე სამუშაოს ჩამოაშორეს, მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ მათ ზოოპარკის რამდენიმე ბინადარი შეჭამეს. დაწესებულების ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მეთვალყურეებმა ხუთი ტიბეტური ქათამი და ორი კამერუნული ცხვარი გამოიყენეს საკვებად. ინციდენტი ქალაქ რეკლინგჰაუზენში მოხდა. ადმინისტრაციის ყურადღება იმ ფაქტმა მიიპყრო, რომ ზოოპარკიდან ცხოველები იკარგებოდნენ. მათ პოლიციას მიმართეს. პოლიციამ ზოოპარკის ყველა თანამშრომელი დაჰკითხა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ამ ამბავში ორი მეთვალყურის ხელი ერია.

ეჭვითანილები დააპატიმრეს და პოლიციაში წაიყვანეს. დაკავებულებმა აღიარეს, რომ ისინი ვაჭირვებამ აიძულა ასე მოქცეულიყვნენ, რადგან ძალიან დაბალი ხელფასები ჰქონდათ, რომელიც მათ ნორმალურ არსებობას ვერ უზრუნველყოფდა. ამჟამად, ცხოველთა ყოფილი მეთვალყურეები



სასამართლო სავადწყვეტილებას ელიან. ვარაუდობენ, რომ მათ მხოლოდ ჯარიმის გადახდა მოუწევთ, პატიმრობას კი თავიდან აიცილებენ.

# ბოცასის მოყვარული საგზაო ბოძმა დააქმნა

ელნბურგში 33 წლის როს უოტის სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. ელნბურგის მცხოვრებს საგზაო ბოძთან სექსუალური კავშირის დამყარებაში ადანაშაულებენ. ინციდენტი მოქალაქეების თავშეყრის ადგილას – კელტონ-ჰილის კვარტალში მოხდა. უამრავი გამგლელის თვალწინ, უოტმა თეთრ-სტაფილოსფერ საგზაო ბოძს ხელი წამოავლო, გენიტალიებზე მიიჭირა და მიწაზე აქეთ-იქით გორაობა დაიწყო. გამგლელთა ნაწილი იცინოდა და როსს შემახილებით ამხნეებდა. ინციდენტი ოც წუთს გაგრძელდა, ადგილზე მისული პოლიცია კი მხოლოდ იმას შეესწრო, თუ ჟინმოკლულმა უოლტმა როგორ დააბრუნა საგზაო ბოძი თავის ადგილას. როგორც დაკავებულმა აღნიშნა, იგი თურმე ბოძს იმიტომ დააცხრა, რომ თავისი საყვარელი სექსუალური ობიექტი – სპორტული ფეხსაცმელი ვერსად მოიძია. მოწმეებმა დაადასტურეს, რომ უოტი უცნაურ გამოხდომამდე იქვე მდებარე მანქანების სადგომის მძღოლებთან მისულა და მათთვის სპორტული ფეხსაცმლის მიყიდვა უთხოვია და როცა სიყვარულის



ობიექტი ვერსად უშოვია, თვალში ბოძი მოსვლია...

სასამართლომ როს უოტი საზოგადოებრივ ადგილას ჩადენილ შეუფერებელ საქციელში დაადანაშაულა და წესრიგის დამრღვევის მუხლი მიუყენა, საბოლოო განაჩენს სასამართლო ერთ თვეში გამოიტანს, მანამდე კი საქმის დეტალურად შესწავლა მიმდინარეობს.


# აბა, დახუჭეთ თვალები და მიიხითვით?

ბერლინში გაიხსნა რესტორანი – Unsich-Bar („უხილავი ბარი“), სადაც სტუმრებს დახუჭული თვალებით ჭამას სთავაზობენ. რესტორნის მებატონეები კლიენტებს მათთან ყოფნისას, მხედველობის გარდა, ყველა სხვა გრძნობის ორგანოს გამახვილებას ურჩევენ. თვალეხსველ სტუმრებს რესტორანში ბრმა ოფიციატები ემსახურებიან. პერსონალი 30 კაცისგან შედგება, მათგან 22 ბრმაა.

რესტორანში მომხმარებელს ამა თუ იმ კონკრეტულ კერძს არ სთავაზობენ – მათ მხოლოდ იმას ეკითხებიან, თუ საერთოდ რას მიირთმევენ – ხორცს, თევზს თუ ბოსტნეულს.

რესტორანი ბრმებისა და შეზღუდული მხედველობის მქონე ადამიანთა ორგანიზაციამ გახსნა. მათი წარმომადგენლის, მანფრედ შარბანის თქმით, ორგანიზატორებს სურდათ, ყნოსვის, შეხებისა და გემოს შეგრძნებების გამახვილებით, სიამოვნება მიენიჭებინათ უჩვეულო პირობებში მოხვედრილი მომხმარებლისთვის. „სტუმრები გაკვირვებას ვერ ფარავენ იმით, რომ მათი გემოს რეცეპტორები ტვინს ისეთივე ინფორმაციას გადასცემს, რასაც ჩვეულ მდგომარეობაში თვალები“, – განაცხადა მან.

# ფოტოკუჩიოზები



6109/34  
ძაღვან სან ცენესო უენნელი

TV-პროგრამა  
21.10-27.10 2002 წ.

მსოფლიოს მაღალრეიტინგული სტაბილები

# კამუიანი


114



„სოფა არ იყოს  
ვეჭვიანობდი...“


გაგულირება სოლად  
უვილის საყვარელი  
მოგლარაღი მოიყვანა

30



ეროსი — „XX  
საუკუნის ყველაზე  
შთაბეჭდავი ხეა“

23



ღაზაურელი ვაჟინგომი  
— მანიაკის კაბნაში  
ვეწვამონის ჩაართო

8



ღავით ყიფიანი  
პირველი ღისიღნტი  
უახგურთუ

ყოველ ორშაბათს!